

საშენი მასალების მოპოვება საქართველოში

პრაქტიკის ანალიზი





პუბლიკაცია მომზადდა პროექტის - „საშენი მასალის მოპოვება საქართველოში: პრობლემების დადგენა და მათი გადაწყვეტის გზები“ - ფარგლებში. პროექტის ფინანსური მხარდამჭერია საქართველოს დია საზოგადოების ფონდი (Open Society Georgia Foundation, OSGF).

პუბლიკაციის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მწვანე ალტერნატივა და ის შესაძლებელია არ გამოხატავდეს საქართველოს დია საზოგადოების ფონდის შეხედულებებს.



მწვანე ალტერნატივა

© მწვანე ალტერნატივა, დეკემბერი 2021

თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG

პუბლიკაციის ავტორები: ირინა სვანიძე და მარიამ ხვედელიძე

სარჩევი

შესავალი	2
1. კვლევის ძირითადი მიგნებები	4
1.1 საშენი მასალების მოპოვების გარემოზე შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის შეფასება	4
1.2 კუმულაციური ზეგავლენა.....	7
1.3 ლიცენზიების პირობების გადახედვა.....	9
1.4 წიაღის ათვისების გეგმა-გრაფიკი.....	10
1.5 ლიცენზიის პირობების კონტროლის შესახებ ყოველწლიური ანგარიშგება.....	12
1.6 წიაღით სარგებლობის საპროექტო დოკუმენტაცია	13
1.7 სახელმწიფო კონტროლის სფეროში ფუნქციათა გადანაწილება და განხორციელებული შემოწმებები.....	14
1.8 ადგილობრივთა მონაწილეობა ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში	18
2. ქვიშა-ხრეშის მოპოვება მდინარე იორზე	20
3. ქვიშა-ხრეშის მოპოვება თბილისში, დიდმის ქალებში	42
4. ქვიშა-ხრეშის მოპოვება მდინარე რიონზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტში.....	55
5. ქვიშა-ხრეშის მოპოვება მდინარე სუფსაზე	72
6. კვარციანი ქვიშის მოპოვება საჩხერის მუნიციპალიტეტში.....	89
7. კირქვის მოპოვება დედოფლისწყაროში	118
8. კირქვის მოპოვება კასპის მუნიციპალიტეტში.....	137
9. კირქვის მოპოვება მარტვილის მუნიციპალიტეტში.....	150
გამოყენებული მასალა	169

შესავალი

სამშენებლო მასალების მოპოვებას საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სექტორში, მოპოვების მოცულობის მიხედვით, წამყვანი ადგილი უჭირავს. წიაღის ეროვნული სააგენტოს¹ 2020 წლის მონაცემებით, საქართველოში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისთვის გაცემული ლიცენზიების ნახევარი სწორედ საშენი მასალების მოპოვებისთვის გაცემულ ლიცენზიებზე მოდის.²

სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალები (ქვიშა-ხრეში, კირქვა, კვარციანი ქვიშა, ბაზალტი, გრანიტი და სხვა) მთელი საქართველოს მასშტაბით მოიპოვება. საშენი მასალების მარაგებით მდიდარ ტერიტორიებზე მოპოვებითი საქმიანობის განხორციელების შეზღუდვის რაიმე წინაპირობა, პრაქტიკულად, არ არსებობს. სამშენებლო მასალების დია კარიერები გვხვდება ყველგან: დასახლებებთან ძალზე ახლოს, ხშირად, სახლებიდან 100 მეტრის ან უფრო მოკლე რადიუსში, ბიომრავალფეროვნებით მდიდარ ტერიტორიებზე, მნიშვნელოვან ბუნებრივ ჰაბიტატებში ან მათ სიახლოვეს, მდინარეების კალაპოტებსა თუ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე.

ამ კვლევის მიზანია, წარმოაჩინოს საქართველოში საშენი მასალების მოპოვების მართვის სისტემასა და პრაქტიკაში არსებული სტრუქტურული პრობლემები. ამისათვის, შესწავლილ იქნა სამი სახის საშენი მასალის - ქვიშა-ხრეშის, კირქვისა და კვარციანი ქვიშის - მოპოვების პრაქტიკა რვა არეალში; ესენია:

1. მდინარე იორი - ქვიშა-ხრეშის მოპოვება;
2. დიდმის ჭალები - ქვიშა-ხრეშის მოპოვება;
3. მდინარე რიონის ზუთხისებრთა სატოფო არეალი - ქვიშა-ხრეშის მოპოვება;
4. მდინარე სუფსა - ქვიშა-ხრეშის მოპოვება;
5. საჩხერის მუნიციპალიტეტი - კვარციანი ქვიშის მოპოვება;
6. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი - კირქვის მოპოვება;
7. კასპის მუნიციპალიტეტი - კირქვის მოპოვება;
8. მარტვილის მუნიციპალიტეტი - კირქვის მოპოვება;

კვლევის მეთოდოლოგია

ანგარიში ეფუძნება სავსე გასვლების - კარიერების და მიმდებარე ტერიტორიების ვიზუალური დათვალიერებისა და ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრების შედეგად მოპოვებულ

¹ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ წიაღის ეროვნულ სააგენტოს [შეცავალა სახელი](#) და 2020 წლის 1 იანვრიდან, ის მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოდ იწოდება.

² მეორე ნახევარი, თითქმის მთლიანად, მიწისქვეშა წყლების მოპოვებაზე მოდის.

ინფორმაციას; ასევე, სხვადასხვა საჯარო უწყებიდან, კერძოდ - წიაღის ეროვნული სააგენტოდან, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტიდან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოდან და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ შრომის უსაფრთხოების სააგენტოდან მიღებულ მასალებს. კვლევისას გამოყენებული იყო, ასევე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და Global Forest Watch-ის შემუშავებული საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასის (www.atlas.mepa.gov.ge) მონაცემები.

კვლევის პროცესში შესწავლილი იქნა საქართველოს მასშტაბით რვა არეალის ფარგლებში მოქმედი წიაღის მოპოვების 128 ლიცენზია და აღნიშნული ლიცენზიების გასაცემად ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები; ლიცენზიანტების მიერ სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტები - წიაღის ათვისების გეგმა-გრაფიკები, ლიცენზიის პირობების შესრულების ყოველწლიური ანგარიშები; სალიცენზიო ტერიტორიის მდგომარეობის შემოწმების მიზნით განხორციელებული კონტროლის მასალები (ინსპექტირების მასალები, სამართალდარღვევის ოქმები და ა.შ.) და სხვა სახის დოკუმენტები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები მთლიანად ეფუძნება ზემოაღნიშნული ორგანოებისგან მიღებულ მასალებს. იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლოა, საჯარო უწყებებს სრულად არ ჰქონდეთ მოწოდებული მოთხოვნილი ინფორმაცია, არსებობს იმის ალბათობაც, რომ ანგარიშში მოცემული ზოგიერთი მოსაზრება სრულად არ ასახავდეს რეალობას.

კვლევაზე მუშაობის საბოლოო ეტაპზე, კვლევის მიგნებების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით, ჩატარდა ონლაინდისკუსია. წიაღის სფეროს რეგულირებაში ჩართული და კვლევის ანგარიშში მოხსენიებული ყველა საჯარო უწყების მოწვევის მიუხედავად, შეხვედრას ესწრებოდა მხოლოდ წიაღის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი. მან აღნიშნა, რომ კვლევის პრეზენტაციაში წარმოდგენილი ზოგიერთი მონაცემი არ შეესაბამებოდა სიმართლეს და საჭიროებდა გადამოწმებას წიაღის ეროვნულ სააგენტოსთან. ამდენად, შეხვედრის შემდეგ, მწვანე ალტერნატივამ დამატებით მიმართა წიაღის ეროვნულ სააგენტოს იმ ინფორმაციის მისაღებად, რომელიც, სააგენტოს წარმომადგენლის განცხადებით, არსებობდა სააგენტოში, მაგრამ აკლდა კვლევას. სამწუხაროდ, წიაღის ეროვნულ სააგენტოს არ მოუწოდებია მოთხოვნილი ინფორმაცია.

კვლევისთვის სამშენებლო მასალების მოპოვების შემთხვევების/არეალების შერჩევა რამდენიმე კრიტერიუმზე დაყრდნობით მოხდა:

- სალიცენზიო ტერიტორიის მასშტაბი (განსაკუთრებით ვრცელი ფართობი);
- მნიშვნელოვანი ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებასა და ბუნებრივ ჰაბიტატებზე;
- მოსახლეობასთან სიახლოვე და სოციალური ზეგავლენის მასშტაბი;

- ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობა, საზოგადოებრივი აქტიურობა და მედიის ინტერესი;
- რეგიონული ბალანსი (ოთხი შემთხვევა - დასავლეთ საქართველოდან, ოთხი - აღმოსავლეთ საქართველოდან).

ანგარიშის სტრუქტურა

ანგარიშის პირველ თავში თავმოყრილია კვლევის ფარგლებში შესწავლილი რვა შემთხვევის ანალიზის შედეგად გამოვლენილი ძირითადი პრობლემური საკითხები. შემდგომ, ყოველი თავი ეთმობა ცალკეულ შემთხვევას. თავდაპირველად განხილულია ქვიშა-ხრემის მოპოვების შემთხვევები, შემდგომ - კვარციანი ქვიშის მოპოვების შემთხვევა და ბოლოს - კირქვის მოპოვების შემთხვევები.

1. კვლევის ძირითადი მიგნებები

1.1 საშენი მასალების მოპოვების გარემოზე შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის შეფასება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (გზშ-ს) ნაწილობრივ მხოლოდ 2018 წლიდან, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის³ ამოქმედების შემდეგ დაექვემდებარა. მანამდე, 2006-დან 2018 წლამდე წიაღის

მოპოვების სფერო ფაქტობრივად მთლიანად დერეგულირებული იყო და ნებისმიერი სახისა და მოცულობის წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად საკმარისი იყო მხოლოდ გეოსაინფორმაციო პაკეტის მომზადება. შესაბამისად, წინასწარ არასდროს ხდებოდა იმის შეფასება, თუ რა სახის პოტენციური ზემოქმედება შეიძლებოდა ჰქონოდა მოპოვებით საქმიანობას გარემოზე. 2018 წელს, წიაღისეულის მოპოვება გარკვეულწილად დაექვემდებარა გარემოსდაცვით შეფასებას, თუმცა, მოპოვების შემთხვევების დიდი ნაწილი, დღესაც, პროცედურის ფარგლებს გარეთ რჩება.

სამშენებლო მასალების მოპოვება, უმეტეს შემთხვევაში, არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით, I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობებში, ანუ იმ საქმიანობებში, რომლებიც აუცილებლად ექვემდებარება გზშ-ს, ნებისმიერი ტიპის საშენი მასალის ღია კარიერული მოპოვება მხოლოდ იმ შემთხვევაში შედის, თუ მოპოვების ადგილის ზედაპირი 25 ჰექტარზე მეტია. ქვიშა-ხრემის გარდა, ყველა სხვა სახის სამშენებლო მასალის მოპოვება, როდესაც მოპოვების ფართობი 10 ჰექტარზე

³ საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, I და II დანართები. ხელმისაწვდომია „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე, სარეგისტრაციო კოდი: 360160000.05.001.018492

მეტია, ხვდება კოდექსის II დანართში, რაც იმას ნიშნავს, რომ სკრინინგის პროცედურით წყდება დაექვემდებარება, თუ არა საქმიანობა გზმ-ს. რაც შეეხება ქვიშა-ხრემს, მისი მოპოვება ხვდება მხოლოდ კოდექსის I დანართში და გარემოზე ზემოქმედების შეფასებას მხოლოდ მაშინ ექვემდებარება, როცა სალიცენზიო ტერიტორიის ფართობი 25 ჰექტარზე დიდი ზომისაა.

თუ სამშენებლო მასალების მოპოვების ლიცენზიების მასშტაბებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ლიცენზიების უმეტესი ნაწილი არ ექვემდებარება გზმ-ს, რადგან, ძირითადად, მათი ფართობი 25 ჰექტარზე ნაკლებია. კვლევის ფარგლებში, რვავე შერჩეულ არეალში გაცემული 128 ლიცენზიიდან 108 ლიცენზია 10 ჰექტარზე ნაკლები ფართობისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ლიცენზიების თითქმის 85% არ ექვემდებარება გზმ-ს. 25 ჰექტარზე მეტი ფართობის ლიცენზიები, რომლებიც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართში ექვევნიან და აუცილებლად ექვემდებარებიან გზმ-ს, მხოლოდ აღნიშნული ლიცენზიების 5%-ს შეადგენს, დანარჩენი 10% კი ექვევა II დანართში და მათი გზმ-ის პროცედურას დაექვემდებარების საკითხი სკრინინგის ეტაპზე წყდება.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი ლიცენზიების აბსოლუტური უმრავლესობა 2018 წლამდე პერიოდშია გაცემული, როდესაც მოპოვების სექტორი მთლიანად დერეგულირებული იყო. თუმცა, მოყვანილი სტატისტიკის გათვალისწინებით, ვითარება მნიშვნელოვნად განსხვავებული არც დღესაა. ზემოხსენებული 128-ვე ლიცენზია კოდექსის მიღების შემდეგაც რომ ყოფილიყო გაცემული, მათი 85-90% მაინც არ დაექვემდებარებოდა გზმ-ს.

ამგვარად, კანონმდებლობით განსაზღვრული სისტემა დღესაც ნაკლოვანია. გზმ-ს საჭიროება სალიცენზიო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ არსებული ეკოსისტემის, გავრცელებული ბიომრავალფეროვნების, მოსახლეობასთან სიახლოვისა თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, შეიძლება სულ მცირე, თუნდაც ერთ ჰექტარზე ნაკლები ფართობის მქონე ლიცენზიის გაცემის პროცესშიც კი არსებობდეს.

აღნიშნულის დასამოწმებლად შეიძლება მოვიყვანოთ კვლევის ფარგლებში შესწავლილი არაერთი შემთხვევა. მაგალითისთვის, მდინარე რიონზე, ზუთხისებრთა სატოფო არეალის ფარგლებში, ბოლო წლებში ქვიშა-ხრემის მოპოვების ექვსი ლიცენზია მოქმედებდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ექვსივე აღნიშნული ლიცენზია 2018 წლის, ანუ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის დანერგვის შემდეგ გაიცემოდა, ფართობის გათვალისწინებით, მათგან მხოლოდ ერთი დაექვემდებარებოდა გზმ-ს. თუმცა, რეალურად, არეალის უკიდურესად მაღალი კონსერვაციული ღირებულების გათვალისწინებით როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე (რიონი დუნაისთან ერთად უკანასკნელი მდინარეა ევროპაში, სადაც გვხვდება ზუთხისებრთა სატოფო არეალი), აღნიშნულ უბანზე ქვიშა-ხრემის მოპოვების თუნდაც ერთი პატარა ლიცენზიის გაცემაც კი ძალიან საფრთხილოა. მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ ტერიტორიაზე მოქმედი არცერთი ლიცენზიის გაცემის პროცესში არ ჩატარებულა გარემოზე ზემოქმედების შეფასება, არ მომხდარა იმ პოტენციური ზიანის წინასწარ შეფასება, რომელსაც მდინარის კალაპოტში და მის ნაპირებზე განხორციელებული ღია კარიერული სამუშაოები მაღალი ღირებულების ბუნებრივ ჰაბიტატს მიაყენებდა. შესაბამისად, არც ის აუცილებლად გასატარებელი შემარბილებელი თუ საპრევენციო ღონისძიებები განსაზღვრულა, რომელთა

სალიცენზიო პირობებში შეტანაც აუცილებელი იქნებოდა, თუ ლიცენზიები გზმ-ის შედეგების გათვალისწინებით საერთოდ გაიცემოდა.

ლიცენზიების გაცემის პროცესში არც სოციალური ზეგავლენის შეფასება და გათვალისწინება ხდება. კვლევის ფარგლებში შესწავლილი ლიცენზიების ძალიან დიდი ნაწილი მოსახლეობასთან ძალიან ახლოს, ზოგ შემთხვევაში, 50-100 მეტრშია გაცემული და ხშირად მოპოვებითი სამუშაოები პირდაპირ ადგილობრივების ეზოებიდან იწყება. ამის მაგალითი გვაქვს საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაჯითში, სადაც უახლოესი სახლიდან 50 მეტრშია გაცემული კვარციანი ქვიშის მოპოვების ლიცენზიები მას შემდეგ, რაც აქ ოჯახი უკვე ცხოვრობდა. მსგავსი შემთხვევა გვაქვს მარტვილის სოფელ ვახაშიც, სადაც კირქვის მოპოვება უშუალოდ ორი ადგილობრივი მაცხოვრებლის ეზოს ჭიშკრიდან იწყება.



სატელიტური ფოტო 1.1. სოფელი ბაჯითი. წყარო: Google Earth



სატელიტური ფოტო 1.2. სოფელი ვახა და სალიცენზიო ტერტორიები.
წყარო: Google Earth

1.2 კუმულაციური ზეგავლენა


ხშირად, საშენი მასალების მოპოვების პატარ-პატარა ლიცენზიები ერთ უბანზე, ერთმანეთის გვერდიგვერდაა თავმოყრილი. ასეთი ლიცენზიების უმრავლესობა ძალიან მცირე მასშტაბისაა და მათი ფართობი იშვიათად აღწერბებს 10 ჰექტარს, ძირითადად კი, ხუთ ჰექტარზე ნაკლები ზომისაა.

მცირე ფართობის გათვალისწინებით, ასეთი ლიცენზიების ცალკეულად მოქმედებასთან დაკავშირებული უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე თუ ადგილობრივ მოსახლეობაზე შესაძლოა, არ იყოს იმდენად მაღალი, რომ განდეს ლიცენზიის არ გაცემის საფუძველი. შესაძლებელია, მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენა საკმაოდ მაღალიც იყოს, მაგრამ რადგანაც მცირე ზომის ლიცენზიები გზმ-ის პროცედურას არ ექვემდებარებიან, მათი მოქმედების პოტენციური ზეგავლენის სათანადო შეფასება არასდროს ხდება.

თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ წიაღისეულის მარაგები ხშირად ერთ არეალზეა თავმოყრილი, ძალიან ბევრი მცირე ზომის ლიცენზიის გაცემა ხდება ერთ საბადოზე ან საბადოს ერთ უბანზე. შედეგად, ხდება ის, რომ ერთ უბანზე მოქმედ რამდენიმე ლიცენზიას ერთიანობაში ძალიან მაღალი კუმულაციური ზემოქმედება აქვს გარემოზე თუ მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობაზე. ამ კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინება ლიცენზიების გაცემის პროცესში არ ხდება, რადგანაც ცალკეული ლიცენზიების მოქმედებით გამოწვეული პოტენციური უარყოფითი ზემოქმედება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განიხილება.


კუმულაციური ზემოქმედების თვალსაჩინო მაგალითია საჩხერის მუნიციპალიტეტში მოქმედი ითავაზას საბადო და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელი ხაშმის მიმდებარედ, მდინარე იორზე არსებული ქვიშა-ხრემის კარიერები.

ითავაზას საბადოს I და III უბნებზე, ერთმანეთის გვერდიგვერდ, მთლიანობაში, 21 ლიცენზიაა გაცემული. 21 ლიცენზიიდან მხოლოდ ერთი ლიცენზიაა შედარებით დიდი - 17 ჰექტარი ფართობის, დანარჩენი 20 ლიცენზია 10 ჰექტარზე ნაკლებს ფარავს. ცალ-ცალკე, თითოეული ლიცენზიის ზემოქმედება გარემოზე თუ ადგილობრივ მოსახლეობაზე შესაძლოა არ იყოს ძლიერი, თუმცა ერთიანობაში ლიცენზიები ძალიან ვრცელ, 70 ჰექტარზე დიდი ფართობის ტერიტორიას მოიცავს და მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა აქვს გარემოზე, მიმდებარე სოფლებზე და მათი მაცხოვრებლების კეთილდღეობაზე.



რუკა 1.1. ითავაზას საბადო, საჩხერის მუნიციპალიტეტი. ტერიტორია. წყარო: საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი.

მდინარე იორზე გაცემული 27 ლიცენზიიდან, 10-მდე ლიცენზია საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ხაშმის მიმდებარე ტერიტორიაზეა ერთად თავმოყრილი. თითოეული ლიცენზია ცალ-ცალკე, 10 ჰექტარზე ნაკლებია, თუმცა, ყველა ერთად, საერთო ჯამში, 50 ჰექტარს აღწევს. აქედან გამომდინარე, მოსახლეობაზე და გარემოზე ზემოქმედების მასშტაბიც დიდია.



რუკა 1.2. სოფ. ხაშში და მის მიმდებარედ განლაგებული სალიცენზიო ტერიტორიები. წყარო: საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი.

1.3 ლიცენზიების პირობების გადახედვა


განხილული 128 ლიცენზიიდან, უმრავლესობა ხანგრძლივი პერიოდით - 10-20 წლის ვადითაა გაცემული. თუმცა, ლიცენზიების გაცემის შემდგომ არავინ ახდენს სალიცენზიო ტერიტორიისა და მისი მიმდებარე არეალის

მდგომარეობისა თუ სტატუსის შემოწმებას და საჭიროების შემთხვევაში, ლიცენზიის პირობებისა ან ლიცენზიის კონრეტულ ტერიტორიაზე მოქმედების მიზანშეწონილობის საკითხის გადახედვას.

მაგალითისთვის, მარტვილის მუნიციპალიტეტში შპს “წაჩხურუზე” კირქვის მოპოვების N00496 ლიცენზია 2007 წელსაა გაცემული, ანუ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც არ იყო დაარსებული მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლი. თუმცა, ამ ტერიტორიაზე 2013 წელს დაცული ტერიტორიის ოფიციალურად დაარსების შემდგომ, არ ყოფილა განხილული კომპანია “წაჩხურის” ლიცენზიის გაუქმების ან ადგილმონაცვლეობის საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ სალიცენზიო ტერიტორიის დიდი ნაწილი პირდაპირ ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე ხვდება.

გარდა ამისა, ბუნების ძეგლთან ძალიან ახლოს მდებარეობს შპს “წაჩხურის” მეორე N00596 ლიცენზიაც, რომელიც პირველ ლიცენზიასთან ერთად, 2007 წელსაა გაცემული. მოპოვებული კირქვის სატვირთო მანქანებით გადასაზიდად კომპანია წლების განმავლობაში იყენებდა ავარიულ ხიდს, რომელიც პირდაპირ კანიონის თავზე გადის. იმის გამო, რომ ხიდი დაზიანებული იყო და მასზე ნედლეულით დატვირთული უზარმაზარი სატვირთოების მოძრაობა საფრთხეს

უქმნიდა კანიონში შესულ ვიზიტორებს, ხიდი გაუქმდა. თუმცა, მანამდე, წლების განმავლობაში არ მომხდარა იმის შემოწმება, თუ რამდენად უსაფრთხო იყო კანიონიდან 150 მეტრში კირქვის კარიერის ფუნქციონირება თუ აქ მოპოვებული ნედლეულის ტრანსპორტირება.



სატელიტური ფოტო 1.3. მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლი და სალიცენზიო ტერიტორია. წყარო: საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი.

1.4 წიაღის ათვისების გეგმა-გრაფიკი

ლიცენზიანტისთვის წიაღის ათვისების დამტკიცებული (შეთანხმებული) გეგმის ქონა მნიშვნელოვანია, რადგანაც შემდგომში სწორედ აღნიშნული გეგმის მიხედვით იხდის წიაღით სარგებლობის გადასახადს - მოსაკრებელს.

ათვისების გეგმაში განსაზღვრულია ყოველწლიურად მოსაპოვებელი ნედლეულის რაოდენობა კუბურ მეტრებში. კომპანია ვალდებულია, რომ ამ რაოდენობის შესაბამისად გადაიხადოს წიაღით სარგებლობის გადასახადი, მიუხედავად იმისა, ის რეალურად მოიპოვებს თუ არა წიაღისეულს. იმ შემთხვევაში, თუ მოპოვება აჭარბებს ათვისების გეგმით განსაზღვრულ მოცულობას, მაშინ ლიცენზიანტი გადასახადს იხდის წიაღის ფაქტობრივად მოპოვებული რაოდენობის მიხედვით. შესაბამისად, ლიცენზიანტისთვის ათვისების გეგმის არქონა ნიშნავს იმას, რომ მან შესაძლოა სრულად არ გადაიხადოს ან საერთოდ არ გადაიხადოს წიაღით სარგებლობის გადასახადი.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57³ მუხლის მიხედვით, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ან წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელის მიერ სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა ან სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშის საქართველოს კანონმდებლობით

დადგენილი წესით და დადგენილ ვადაში წარუდგენლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით“.⁴

იმის მიუხედავად, რომ წიაღის ათვისების გეგმა ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია, სათანადოდ ვერ კონტროლდება კომპანიათა მიერ მისი ფლობა. კვლევის ფარგლებში შესწავლილი 128 ლიცენზიანტიდან, წიაღის ათვისების გეგმა-გრაფიკი ლიცენზიის გამცემი ორგანოსთვის სულ 33 ლიცენზიანტს (ლიცენზიანტების საერთო რაოდენობის მხოლოდ 25%) აქვს წარდგენილი და შეთანხმებული, რომელთაგანაც მხოლოდ 10-მა ლიცენზიანტმა მოახდინა (ლიცენზიანტების 7%) მისი დროულად შეთანხმება (წიაღისეულის ათვისების გეგმა მომზადებული და დამტკიცებული უნდა იყოს ლიცენზიის მიღებიდან ერთი თვის ვადაში). ყურადსაღებია, რომ შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოს მიერ ათვისების გეგმა-გრაფიკის არქონის ფაქტი მხოლოდ 9-ჯერ იქნა გამოვლენილი.

სააგენტოსგან მიღებულ წერილში⁵ წიაღის ათვისების გეგმების საკითხის მოუწესრიგებლობა იმით ფაქტითაა ახსნილი, რომ ზოგიერთი ლიცენზიატის მიერ ათვისების გეგმის არქონა ცნობილი მხოლოდ სალიცენზიო პირობების კონტროლის ფუნქციის წიაღის ეროვნულ სააგენტოში გადასვლის შემდგომ გახდა. შედეგად, სააგენტომ დაიწყო დარღვევების აღმოჩენა და შესაბამისი რეაგირების განხორციელება მათზე. თუმცა, მაკონტროლებელი ორგანო აქვე აღნიშნავს, რომ დღესაც “შესაძლოა არსებობდეს არაერთი ლიცენზია, რომელზეც არაა დამტკიცებული ათვისების გეგმა, რის თაობაზეც სააგენტო ახორციელებს/განახორციელებს შესაბამის ადმინისტრაციულ ღონისძიებებს”.

აღნიშნული განმარტება, მდგომარეობას გარკვეულწილად ხსნის, თუმცა არ იძლევა სისტემური ხარვეზის არსებობის გამართლების საფუძველს. ის გარემოება, რომ წიაღის ეროვნულ სააგენტომდე ლიცენზიის პირობების შესრულების მაკონტროლებელი სხვა ორგანო იყო, არ ამართლებს იმ ფაქტს, რომ წიაღის ათვისების გეგმების არარსებობა ძალიან ბევრი ლიცენზიანტის შემთხვევაში წლების განმავლობაში საერთოდ დაუდგენელი იყო. დროის სხვადასხვა პერიოდში ლიცენზიების კონტროლზე პასუხისმგებელი შესაბამისი ორგანო უნდა ყოფილიყო ვალდებული უზრუნველყო კანონდარსრულება.

გარდა ამისა, იმის მიუხედავად, რომ უკვე თითქმის 4 წელია, რაც წიაღის ლიცენზიის პირობების კონტროლი წიაღის ეროვნული სააგენტოს პრეროგატივა გახდა და ამავე ორგანოს მტკიცებით იგი ახორციელებს შესაბამის ადმინისტრაციულ ღონისძიებებს დარღვევების აღმოსაჩენად და საპასუხოდ, ლიცენზიანტების უმრავლესობას დღემდე არ აქვს სააგენტოსთან შეთანხმებული წიაღის ათვისების გეგმა.

⁴ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 57³ მუხლი. ხელმისაწვდომია „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე, სარეგისტრაციო კოდი: [020.000.000.05.001.000.010](https://www.gov.ge/portal/gov.ge/doc.aspx?docid=020.000.000.05.001.000.010)

⁵ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 17 აგვისტოს #22/302 წერილი მწვანე ალტერნატივას დირექტორს.

1.5 ლიცენზიის პირობების კონტროლის შესახებ ყოველწლიური ანგარიშგება

ყველა ლიცენზიანტი ვალდებულია ყოველწლიურად 1 აპრილიდან 1 მაისამდე ლიცენზიის გამცემ ორგანოს, ანუ წიაღის ეროვნულ სააგენტოს წარუდგინოს წერილობითი ანგარიშგება სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ. აღნიშნულ

ანგარიშგებას კომპანიები წარადგენენ შევსებული უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების ფორმა #1-01-ის სახით.

სტატისტიკური დაკვირვების ფორმა აერთიანებს სხვადასხვა ინფორმაციას კარიერის მდგომარეობისა და მოპოვებული წიაღისეულის შესახებ, კერძოდ:

- წიაღით სარგებლობისათვის მიწისა და სამთო (გეოლოგიური) მინაკუთვნების მდგომარეობა ლიცენზიის გაცემის მომენტისათვის;
- სამთო (გეოლოგიურ) მინაკუთვნში მოქცეული სასარგებლო წიაღისეულის მარაგები, ლიცენზიის მიხედვით;
- საანგარიშო პერიოდში ჩატარებული გეოლოგიური სამუშაოების მოცულობა - ჭაბურღილების გაყვანა, თხრილები, ტექნოლოგიური სინჯები და სხვა;
- საცდელი კარიერები;
- გადახსნითი სამუშაოების მდგომარეობა და მიმდინარე გადახსნის კოეფიციენტი;
- ფუჭი ქანების მოხსნა;
- სასარგებლო წიაღისეულის ოდენობა საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის (მარაგების კატეგორიების მიხედვით), საანგარიშო პერიოდში მოპოვებული ოდენობა და წიაღისეულის ოდენობა საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის;
- თანმდევი სასარგებლო წიაღისეულის ოდენობა;
- ნარჩენები და მათი გადამუშავება - სანაყაროების რაოდენობა, ფართობი, ჩამონათვალი;
- ღროებით გამოუყენებელი და დასაწყობებული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა;

იმის მიუხედავად, რომ ყოველწლიური ანგარიშგების ფორმა უნდა მოიცავდეს მრავალფეროვან ინფორმაციას, რომელიც სააგენტოს წარმოდგენას შეუქმნის კარიერზე არსებული მდგომარეობის შესახებ, ლიცენზიანტების მიერ ყოველწლიურად წარმოდგენილი ფორმების აბსოლუტური უმრავლესობა თითქმის სრულად ცარიელია და წარმოდგენილია მხოლოდ მონაცემები ლიცენზიით მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობის შესახებ, საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის არსებული მარაგების ოდენობის შესახებ და საანგარიშო წელს მოპოვებული წიაღისეულის რაოდენობის შესახებ.

დამკვიდრებული პრაქტიკა ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ წიაღის ეროვნული სააგენტო საერთოდ არ ამოწმებს ანგარიშგების ფორმების შინაარსსა თუ სრულყოფილებას და მხოლოდ ფორმალურად აღრიცხავს წარმოადგინა თუ არა ის კომპანიამ.

ლიცენზიის პირობების ყოველწლიურ ანგარიშგებებთან მიმართებით, პრობლემურ საკითხს წარმოადგენს ასევე ანგარიშების წარმოდგენის საკითხიც. აღსანიშნავია, რომ შესწავლილი 128

ლიცენზიიდან ლიცენზიის პირობების კონტროლის შესახებ ყოველწლიური ანგარიშგება სრულად (ლიცენზიის მოქმედების განმავლობაში ყველა წლისათვის) წარმოდგენილი არ ყოფილა 40 ლიცენზიის (ლიცენზიების საერთო რაოდენობის 30%) შემთხვევაში, სულ 117-ჯერ. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ანგარიშგებების წარუდგენლობის ფაქტების აღმოჩენა და მათზე რეაგირებაც გამოწვევაა. 2018 წლამდე, ანუ იმ პერიოდამდე, სანამ წიაღის მოპოვების სფეროს კონტროლი წიაღის ეროვნული სააგენტოს ვალდებულება გახდებოდა, ყოველწლიური ანგარიშგებების წარდგენის ფაქტების აღმოჩენა პრაქტიკულად საერთოდ არ ხდებოდა, შესაბამისად, არც კანონდარღვევაზე რეაგირებას ჰქონდა ადგილი. 2018 წლის შემდეგ, სააგენტომ გაამკაცრა ანგარიშგებების კონტროლი, შედეგად ამ წლებში ანგარიშგების წარუდგენლობის ან დაგვიანებით წარდგენის 117 ფაქტიდან 33 ფაქტი იქნა დაფიქსირებული. თუმცა, წიაღის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია, რეაგირება მოახდინოს ანგარიშის წარუდგენლობაზე მხოლოდ უკანასკნელ საანგარიშო (მიმდინარე) წელს. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ არაერთ ლიცენზიანტს ყოველწლიური ანგარიშგება რამდენიმე წლის განმავლობაში არ აქვს წარდგენილი, ანგარიშის წარუდგენლობის ძალიან ბევრი ფაქტი აღმოუჩენელი და რეაგირების გარეშეა დარჩენილი.

1.6 წიაღით სარგებლობის საპროექტო დოკუმენტაცია

კიდევ ერთი საინტერესო საკითხი შეეხება წიაღით სარგებლობის საპროექტო დოკუმენტაციას. ყველა ლიცენზიანტი ვალდებულია, საბადოს ათვისების დაწყებამდე მოამზადოს წიაღით სარგებლობის პროექტი.

წიაღით სარგებლობის პროექტი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს წიაღის მოპოვების ტექნიკურ, ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ საშუალებებს, მოცულობებსა და პირობებს.⁶

საპროექტო დოკუმენტაცია 2007 წლამდე მტკიცდებოდა ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ. 2007 წელს, შესაბამისი ბრძანების გაუქმების შემდეგ, წლების განმავლობაში საპროექტო დოკუმენტაციის არსად წარდგენის საკანონმდებლო ვალდებულება არ არსებობდა. თუმცა, წიაღით მოსარგებლე სუბიექტები კვლავ ვალდებული იყვნენ ლიცენზიით დადგენილ ვადაში შეედგინათ წიაღით სარგებლობის საპროექტო დოკუმენტაცია და ამ დოკუმენტის შესაბამისად ეწარმოებინათ მოპოვებითი სამუშაოები.

შედეგად, წლების განმავლობაში, ლიცენზიის გამცემი ორგანო არ ფლობდა ასეთი მნიშვნელოვანი სახის დოკუმენტს და, შესაბამისად, არც მისი არსებობა კონტროლდებოდა.

⁶ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის #271 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტების – წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიშის) წესის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების პროექტის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების ტექნოლოგიური სქემისა და წიაღისეულის შესწავლის სამუშაოთა გეგმების შედგენის წესისა და სტატისტიკური დაკვირვების ფორმების (№1-01, №1-02, №1-03 და №1-04) დამტკიცების თაობაზე“. ხელმისაწვდომია „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე, სარეგისტრაციო კოდი: 300160070.10.003.017891

წიაღით სარგებლობის პროექტის ლიცენზიის გამცემი ორგანოსთვის წინასწარ შეთანხმების ვალდებულება 2019 წლის 17 მაისის დადგენილებით შემოვიდა.⁷ შესაბამისად, სააგენტოში დაცულია მხოლოდ იმ ლიცენზიების საპროექტო დოკუმენტები, რომლებიც 2019 წლის 17 მაისის შემდეგ არის გაცემული. ამ თარიღამდე გაცემული ლიცენზიების საპროექტო დოკუმენტაციებზე წვდომა წიაღის ეროვნულ სააგენტოს არ გააჩნია და მას მხოლოდ მაშინ ეძლევა შესაძლებლობა გაცნოს აღნიშნულ დოკუმენტს, როცა ლიცენზიანტის შესამოწმებლად გადის სალიცენზიო ტერიტორიაზე.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება, რა თქმა უნდა, მისაღებია. თუმცა, ლიცენზიის გამცემი ორგანოსთვის საბაღოს დამუშავების პროექტის ლიცენზიის მიღებამდე წარდგენის ვალდებულება ბევრად უფრო ადრეც უნდა გაჩენილიყო. ეს საკითხი ძალიან დიდი ხნის განმავლობაში იყო დაურეგულირებელი და დღესაც, ახალი დადგენილება ვრცელდება მხოლოდ 2019 წლის შემდგომ გაცემულ ლიცენზიებზე. ამგვარად, გამოდის, რომ იმ ასულობით ლიცენზიის საპროექტო დოკუმენტაციას, რომლებიც დადგენილების დამტკიცებამდეა გაცემული, წიაღის ეროვნული სააგენტო კვლავ არ ფლობს, რაც ორი ძირითადი მიზეზითაა გაუმართლებელი: (1) არ შეიძლება წიაღის ეროვნულ სააგენტოს, ორგანოს, რომელიც ამოწმებს ლიცენზიის პირობებს, წვდომა არ ჰქონდეს იმ მთავარ დოკუმენტზე, რომელიც ლიცენზიის ძირითად პირობებს განსაზღვრავს. (2) ამასთან, დაუშვებელია, წიაღის ეროვნული სააგენტო არ ფლობდეს ინფორმაციას იმის შესახებ, შეთანხმებული აქვს, თუ არა კომპანიას წიაღით სარგებლობის პროექტი წიაღის ათვისების დაწყებამდე.

1.7 სახელმწიფო კონტროლის სფეროში ფუნქციათა გადანაწილება და განხორციელებული შემოწმებები

სალიცენზიო ტერიტორიებზე კონტროლს, სხვადასხვა უფლებამოსილების ფარგლებში, სხვადასხვა უწყება ახორციელებს.

სასარგებლო წიაღისეულის, მათ შორის, სამშენებლო მასალების მოპოვების სფეროს, 2018 წლის იანვრიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წიაღის ეროვნული სააგენტო აკონტროლებს. სააგენტოს ფუნქციაა, როგორც სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების გაცემა, ისე გაცემული ლიცენზიების პირობების შესრულების კონტროლი. ლიცენზიის პირობების შესრულების კონტროლის მიზნით ობიექტების საქმიანობის ინსპექტირებას (შესწავლას, შემოწმებას, დათვალიერებას) წიაღის ეროვნული სააგენტო ახორციელებს.⁸

2013-2017 წლებში სასარგებლო წიაღის მოპოვების ლიცენზიების პირობების კონტროლის ფუნქციის შესრულება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

⁷ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 17 აგვისტოს #22/302 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.
⁸ საქართველოს კანონი „წიაღის შესახებ“, 31-ე მუხლი. ხელმისაწვდომია ხელმისაწვდომია „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე, სარეგისტრაციო კოდი: 380.000.000.05.001.000.140

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის პასუხისმგებლობაში შედიოდა.⁹ 2017 წლის ბოლოს განხორციელებული რეფორმის შედეგად, დეპარტამენტის უფლებამოსილება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სფეროსთან მიმართებით მხოლოდ წიაღის უკანონო მოპოვების ფაქტების გამოვლენითა და მათზე რეაგირებით შემოიფარგლება.

რაც შეეხება შრომის პირობებს, კარიერების, როგორც მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაო ადგილების შემოწმებას ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის უსაფრთხოების სააგენტო. სააგენტო, კანონის¹⁰ შესაბამისად, გასცემს მითითებას აღმოჩენილი დარღვევის დადგენილ ვადაში გამოსწორების შესახებ. დარღვევის გამოსწორებისათვის განისაზღვრება გონივრული ვადა და აღინიშნება შესაბამის ოქმში. მითითებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, ზედამხედველი ორგანო კვლავ ამოწმებს სამართალდამრღვევს და ადგენს შემოწმების აქტს, სადაც აღინიშნება მითითებების შესრულების სტატუსი. მინიჭებულ ვადაში დარღვევის გამოსწორებლობის შემთხვევაში, სააგენტო სამართალდამრღვევს უწესებს ჯარიმას და დარღვევის გამოსასწრებლად კიდევ დამატებით გონივრულ ვადას აძლევს. ამასთანავე, ზედამხედველ ორგანოს უფლება აქვს, შეაჩეროს სამუშაო პროცესი.

მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების შემოწმება ტექნიკური უსაფრთხოების კუთხით ხორციელდება ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ. კანონით¹¹, კარიერებზე გეგმიური ტექნიკური ინსპექტირება ყოველ მეორე წელს უნდა განხორციელდეს. კვლევის ფარგლებში შესწავლილი შემთხვევებიდან, მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტებს განეკუთვნება მხოლოდ კვარციანი ქვიშისა და კირქვის კარიერები; ქვიშა-ხრეშის მოპოვება მომეტებული საფრთხის შემცველ კატეგორიაში არ შედის.

კვლევის პროცესში შესწავლილი 128 ლიცენზიიდან, ლიცენზიის პირობების ადგილზე შემოწმება განხორციელებულია მხოლოდ 50 ლიცენზიის შემთხვევაში.

შემოწმებების ძირითადი ნაწილი განხორციელებულია 2018 წლის შემდგომ, წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ. კერძოდ, სააგენტომ 2018-2021 წლებში 50-დან 31 ლიცენზია შეამოწმა. 2018 წლამდე პერიოდში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა სულ 19 შემოწმება ჩაატარა.

⁹ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 4 იანვრის #1-1/2 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – წიაღის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“. ხელმისაწვდომია „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.024.016517

¹⁰ საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, თავი II, მუხლი 18. ხელმისაწვდომია „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე, სარეგისტრაციო კოდი: 270000000.04.001.017910

¹¹ საქართველოს მთავრობის დადგენილება №173 „მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ინსპექტირების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, მე-3 მუხლი. ხელმისაწვდომია „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე, სარეგისტრაციო კოდი: 470030000.10.003.017339

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ სალიცენზიო ტერიტორიების ტექნიკური უსაფრთხოების შემოწმება კირქვისა და კვარციანი ქვიშის 79 ლიცენზიიდან (მომეტებული საფრთხის შემცველი კარიერები) განხორციელებულია მხოლოდ 14-თან.

რაც შეეხება შრომის პირობების ინსპექტირებას, შრომის უსაფრთხოების სააგენტოს მიერ მხოლოდ ერთი ლიცენზიის შემოწმებაა განხორციელებული.

1.8 სამართალდარღვევებზე რეაგირება

აღმოჩენილ სამართალდარღვევებზე რეაგირების კუთხით, მნიშვნელოვანია რამდენიმე საკითხის ხაზგასმა.

განსხვავებული პრაქტიკა

ისეთ დარღვევებზე, როგორცაა ლიცენზიის პირობების შესრულების ყოველწლიური ანგარიშგებების დაგვიანებით წარდგენა ან/და წარუდგენლობა, თუ წიაღის ათვისების გეგმა-გრაფიკის შეუთანხმებლობა, რეაგირების პრაქტიკა განსხვავებულია. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, ასეთი დარღვევებისთვის გათვალისწინებული ჯარიმა 500 ლარს შეადგენს, სასამართლოს გადაწყვეტილებები ასეთი დარღვევების შემთხვევაში, ხშირად, განსხვავებულია. ზოგიერთ ლიცენზიანტს, ზემოაღნიშნული დარღვევებისთვის, სასამართლო აჯარიმებს, მაგრამ არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სასამართლომ ანალოგიური სამართალდარღვევები მცირე მნიშვნელობის მქონედ მიიჩნია, ჩათვალა, რომ მათ არ გამოუწვევია მნიშვნელოვანი ზიანი; ლიცენზიანტები გაათავისუფლა სახდელისგან და მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნით შემოიფარგლა.

შეზღუდული ვადა სახდელის დაკისრებისთვის

ყურადსაღებია ისიც, რომ სასამართლოს მიერ სახდელის დაკისრების ვადა შეზღუდულია. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქალაქო სასამართლოს განსჯად სამართალდარღვევის საქმეზე სახდელის დაკისრების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო თუ სამართალდარღვევა დენადია, ფაქტის გამოვლენის დღიდან.

შესაბამისად, წიაღის ათვისების გეგმის არქონის შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია სამართალდამრღვევს ჯარიმა დააკისროს მხოლოდ გეგმის შეთანხმების ერთთვიანი ვადის გასვლიდან ოთხი თვის განმავლობაში, ხოლო ყოველწლიური ანგარიშგების წარუდგენლობის შემთხვევაში, ანგარიშგების წარდგენის ბოლო ვადიდან - 1 მაისიდან ოთხი თვის განმავლობაში. სახდელის დაკისრების ვადის შეზღუდვის ზემოაღნიშნული წესი პრობლემურია შემდეგი ორი გარემოების გამო:

წილის ათვისების გეგმა-გრაფიკი არის დოკუმენტი, რომელსაც ერთჯერადად ადგენს და ლიცენზიის გამცემ ორგანოსთან ათანხმებს ლიცენზიანტი კომპანია და რომელიც, რელევანტურია ლიცენზიის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში. შესაბამისად, წილის ათვისების გეგმა-გრაფიკის არ ქონა ნებისმიერ დროს კანონდარღვევაა და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს იმას, სამართალდარღვევის ფაქტის აღმოჩენის და სასამართლოს მიერ განხილვის მომენტში რა დროა გასული წილის ათვისების გეგმის შეთანხმების ვადის გასვლის დღიდან. გარდა ამისა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, კვლევის ფარგლებში შესწავლილი არაერთი, წლების წინ გაცემული ლიცენზიის შემთხვევაში არ არის შეთანხმებული ათვისების გეგმა და რადგანაც ყველა აღნიშნული სამართალდარღვევა მიიჩნევა ხანდაზმულად, არ არსებობს მათზე რეაგირების ბერკეტი.

რაც შეეხება ლიცენზიის პირობების შესრულების ყოველწლიურ ანგარიშებს, აქ პრობლემურია როგორც წილის ეროვნული სააგენტოს რეაგირების დროულობა, ისე სასამართლოს მიერ საქმის დროული განხილვა. მეტი თვალსაჩინოებისთვის, განვიხილოთ სამტრედიის მუნიციპალიტეტში, მდინარე რიონზე, ზუთხისებრთა სატოფო არეალის ფარგლებში გაცემული ერთ-ერთი ლიცენზიის მაგალითი. წილის ეროვნულმა სააგენტომ შპს „ჰეილონის“ მიერ ანგარიშგების წარდგენის ვადის დარღვევა 2020 წლის 22 ივნისს, ანუ ანგარიშის წარდგენის ვადის გასვლიდან თვისა და 22 დღის შემდეგ დააფიქსირა და სასამართლოს გადასცა, სასამართლომ კი, საქმე მხოლოდ 4 სექტემბერს განიხილა, როდესაც სახდელის დაკისრების ოთხთვიანი ვადა 4 დღის გასული იყო და შეწყვიტა საქმისწარმოება. ამ მაგალითით კარგად ჩანს, რომ ბიუროკრატიული პროცესებისა თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, შესაძლოა, დროულად აღმოჩენილ სამართალდარღვევასაც კი გაუვიდეს სახდელის დაკისრების ვადა და დარჩეს რეაგირების გარეშე.

ჯარიმის დაკისრება

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, ლიცენზიის პირობების დარღვევისათვის გათვალისწინებულია ორი ოდენობის - 500 ლარიანი ან 2000 ლარიანი ჯარიმის დაკისრება. სასარგებლო წილისულის მოპოვების ლიცენზიის მფლობელის მიერ სასარგებლო წილისულის ათვისების გეგმის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა ან სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა იწვევს სახდელის დაკისრებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო ნებისმიერი სხვა სახის დარღვევა, იმის მიუხედავად, თუ რა სირთულისა და შინაარსისაა ის, ითვალისწინებს 2000 ლარიან ჯარიმას. ჯარიმის ეს ოდენობა ისეთი სერიოზული მოპოვების წესების დარღვევებისთვის, როგორცაა, მაგალითად, წილის მოპოვების განხორციელება დაბალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან მატლისკენ და ერთ საფეხურად, თუ ციცაბო და მაღალი გამონამუშევარი კედლების არსებობა, ძალზე მცირეა და მომპოვებელს, იმ ფინანსური სარგებლის გათვალისწინებით, რასაც მოპოვებული ნედლეულის რეალიზაციით იღებს, უღირს ასეთი მინიმალური ოდენობის ჯარიმის გადახდა და არ აქვს საქმიანობის დარღვევით გაგრძელების შიში.

გარდა ამისა, შეზღუდულია ერთ ჯერზე დასაკისრებელი ჯარიმის რაოდენობაც. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ერთდროულად რამდენიმე სამართალდარღვევის ფაქტი,

სასამართლო უფლებამოსილია ლიცენზიანტს ჯარიმა დააკისროს მხოლოდ ერთი დარღვევისთვის, რომლისთვისაც გათვალისწინებულია ყველაზე მაღალი ოდენობის ჯარიმა. შესაბამისად, გამოდის, რომ თუ ლიცენზიანტს ერთდროულად ჩადენილი აქვს რამდენიმე დარღვევა, მაგალითად, არ აქვს შეთანხმებული წიაღი ათვისების გეგმა, არ აწარმოებს ყოველწლიურ ანგარიშგებას და კარიერულ სამუშაოებს ახორციელებს ლიცენზიის არაერთი პირობისა და უსაფრთხოების ნორმების დარღვევით, სასამართლოს მიერ ის დაჯარიმებული იქნება ერთჯერადად, მხოლოდ ერთი სამართალდარღვევისათვის.

1.8 ადგილობრივთა მონაწილეობა ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში

წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის პროცესში როგორც მუნიციპალიტეტის, ისე ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობა და ჩართულობა უკიდურესად მნიშვნელოვანია. გარდა იმისა, რომ

ადგილობრივები ფლობენ ტრადიციულ ცოდნას, რომელიც მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, მათ, ასევე, აქვთ სრული უფლება ფლობდნენ ინფორმაციას, რომ მათ საცხოვრებელთან ახლოს იგეგმება წიაღის მოპოვების ლიცენზიის გაცემა, რამაც შესაძლოა საგრძნობლად შეცვალოს მათი საცხოვრებელი გარემო და მნიშვნელოვანი სახის დადებითი თუ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივების ჩართულობამ შესაძლებელია, გამოკვეთოს არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთა ლიცენზიის გაცემამდე გათვალისწინებაც შესაძლოა, გახდეს ლიცენზიის გაცემის შემდგომ ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებისა და პროტესტის თავიდან არიდების საშუალება. ეს კი, სარგებლის მომტანია როგორც მოსახლეობისთვის, ისე ლიცენზიანტი კომპანიის, სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტისათვის.

ამ კვლევის მიგნებების განსახილველად გამართულ ონლაინდისკუსიაზე, წიაღის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წიაღის სფეროს რეგულირების ფუნქციის სააგენტოში გადასვლის შემდგომ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ლიცენზიების გაცემის პროცესში მუნიციპალიტეტების ჩართულობის ხარისხი, რაც მოსალოდნელი რისკების მაქსიმალური პრევენციის საშუალებას იძლევა. თუმცა, როგორც არ უნდა გაზრდილიყო ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმირებულობა, ეს რეალური შედეგის მომტანი იქამდე არ იქნება, სანამ ინფორმაცია თითოეულ ადგილობრივამდე უშუალოდ არ მივა და ლიცენზიის გაცემის პროცესში მათი აზრი არ იქნება მოსმენილი და გათვალისწინებული.

ადგილობრივი მაცხოვრებლების მონაწილეობის ლიცენზიის გაცემისას არასდროსაა უზრუნველყოფილი. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან წიაღის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობას.


შესწავლილი რვავე არეალის ფარგლებში ჩატარებული საველე გასვლებისას, ადგილობრივი მაცხოვრებლების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ არ ყოფილა ინფორმირებული მათ სოფლებში, მათ საცხოვრებლებთან ახლოს ლიცენზიების გაცემის შესახებ. მოსახლეობა დაგეგმილი პროექტის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ იგებს, რაც ლიცენზიანტს სალიცენზიო ტერიტორიაზე ტექნიკა შეჰყავს და მოპოვებით სამუშაოებს იწყებს. ხშირად, ადგილობრივები ტექნიკას გზას უკეტავენ და მათი ნებართვის გარეშე მოპოვებითი სამუშაოების დაწყებას ამ გზით უშლიან ხელს.

2. ქვიშა-ხრეშის მოპოვება მდინარე იორზე

ავტორი: ირინა სვანიძე

შესავალი

მდინარე იორის აუზი დიდი კავკასიონის (ცენტრალური კავკასიონის) სამხრეთ ფერდობებზე, ქართლისა და კახეთის ქედებს შორის არის გადაჭიმული, რომელიც ლანდშაფტების მდიდარ მრავალფეროვნებას მოიცავს. იგი სათავეს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობიდან, ზღვის დონიდან 2,600-2,800მ სიმაღლეზე იღებს.¹²



რუკა 2.1. მდ. იორი. წყარო: საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი.

დღეისათვის მდინარე იორის მთელ სიგრძეზე ქვიშა-ხრეშის მოპოვების 27 ლიცენზიაა გაცემული. ინერტულ მასალას კომპანიები სამ სხვადასხვა (თიანეთის, გარდაბანის და საგარეჯოს) მუნიციპალიტეტში მოიპოვებენ.

ანგარიშის მომზადების დროს მდინარეზე ქვიშა-ხრეშის მოსაპოვებლად გაცემული ყველა ლიცენზიისა და სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებისგან მიღებული მასალების (ადმინისტრაციული წარმოების მასალები, ლიცენზიანტების მიერ წარმოებული ყოველწლიური

¹² REC Caucasus, ნომბერი 2020. [ალაზანი-იორის მდინარეთა სააუზო მართვის გეგმის შემუშავება საქართველოში.](#)

ანგარიშგებები, შემოწმებების მასალები და ა.შ) შესწავლა მოხდა. ხოლო, რადგან ლიცენზიების უმეტესი ნაწილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ხაშმის მიმდებარედ არის ერთად თავმოყრილი (იხ. ცხრილი 2.1), სავლელე გასვლის ფარგლებში სწორედ ხაშმის გარშემო არსებული სალიცენზიო ტერიტორიები დავათვალერეთ.

ცხრილი 2.1. სოფ. ხაშმის მიმდებარედ გაცემული ლიცენზიები.


კომპანია	ლიცენზიის ნომერი	ფართობი	მოქმედების პერიოდი
შპს „ბორან კონსტრაქშენი“	1004742	7,51ჰა	2017-2022
შპს „ბორან კონსტრაქშენი“	1004741	4,61ჰა	2017-2022
შპს „თიმალი“	1004119	2,55 ჰა	2016-2021
შპს „თიმალი“	1005208	8,32 ჰა	2018-2023
შპს „თიმალი“	10001650	3,31 ჰა	2020-2022
შპს „თიმალი“	1003547	4,52 ჰა	2016-2021
შპს „იორი 2008“	1004242	8,17 ჰა	2017-2022
შპს „კავკასმაგისტრალი“	00016	7 ჰა	2006-2026
შპს „მილენიუმ მაინინგი“	10000574	107000 კვ/მ	2019-2024

სავლელე გასვლის მიგნებები

სოფელ ხაშმს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. აქ მდებარეობს V საუკუნის დასასრულსა და VI საუკუნის დასაწყისში აშენებული სამების ეკლესია, აღრე მას კაწარეთის სამებით მოიხსენიებდნენ.¹³ სოფელში დაახლოებით 1000 - მდე კომლი ცხოვრობს. ხაშმი თავისი განსაკუთრებული მევენახეობის ზონითაც არის ცნობილი

მდინარე იორი სოფ. ხაშმის გვერდით მოედინება. იორის სანაპიროზე სტუმრობისას, აუცილებლად შენიშნავთ ქვიშა-ხრემის უზარმაზარ მთებს. აქ წიაღისეულს, ერთმანეთს მოსაზღვრედ სხვადასხვა კომპანია მოიპოვებს და გადაამუშავებს (იხ. რუკა 2.2 და სატელიტური ფოტო 2.1). შესაბამისად, იმისი გარჩევა, რომელი სალიცენზიო ტერიტორია ვისი საკუთრებაა რთულია. როგორც ადგილობრივები ამბობენ, მდინარეზე მოპოვებული ქვიშა-ხრემი საავტომობილო გზების მშენებლობას უნდა მოხმარდეს.

¹³ NOVATORS.GE, დაუთარილებული. [სოფელ ხაშმისა და კაწარეთის სამების შესახებ.](#)



რუკა 2.2. სოფ. ხაშმი და მის მიმდებარედ განლაგებული სალიცენზო ტერიტორიები
წყარო: საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი.



სატელიტური ფოტო 2.1. სოფ. ხაშმი და მის მიმდებარედ განლაგებული სალიცენზო ტერიტორიები.
წყარო: Google Earth

ქვიშა- ხრეშის მოპოვების ზემოქმედება გარემოზე

მდინარეზე ქვიშა-ხრეშის მოპოვებითი სამუშაოების გამო, იორის კალაპოტები და სანაპიროები სრულიად სახეცვლილია (იხ. ფოტო 2.1). კომპანიები ქვიშა-ხრეშს იმაზე ბევრად მეტ სიღრმეზე (დაახლოებით 5-8 მ-ზე ხდება მოპოვება) მოიპოვებენ, ვიდრე ეს სალიცენზიო პირობებით არის განსაზღვრული (1,5მ-დან 3-მდე), რის გამოც მდინარის სიღრმემ საგრძნობლად დაიწია (იხ. ფოტო 2.2).



ფოტო 2.1. ირინა სვანიძე, ივლისი, 2021. ქვიშა-ხრეშის მოპოვების შედეგად სახეცვლილი მდინარე იორის კალაპოტი. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.



ფოტო 2.2. ირინა სვანიძე, ივლისი, 2021. მდ. იორზე ქვიშა-ხრემის მოპოვება. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

წლების წინ, მდინარეს გასწვრივ სიგრძეზე ჭალის ტყეები გასდევდა, წყლის დონის კლებამ კი ჭალის ტყეების გახმობა გამოიწვია. ადგილობრივების თქმით, მდ. იორი რომ აღიდებოდა ჭალის ტყეებს ფარავდა. დატბორვისგან თავის დასაცავად კი სოფლის მოსახლეობას მდინარის გარშემო დიდი ქვები ჰქონდა ჩაყრილი (გოდორისყურები). ტერიტორიების გაყიდვის შემდეგ, ლიცენზიის მფლობელმა კომპანიებმა ქვები ამოყარეს და იქაურობა სრულიად შეცვალეს. გარკვეული პერიოდის შემდეგ კი მდინარეში წყალმაც დაიწია. ადგილობრივები მიიჩნევენ, რომ ადგილზე მოპოვებითი სამუშაოები აღარ უნდა გრძელდებოდა და სახელმწიფო კომპანიებს მუშაობის გაგრძელების უფლებას არ უნდა აძლევდეს. „წესით სხვაგან უნდა მიდიოდნენ, მაგრამ არ ანებებენ თავს მაინც. არ აცდიან მდინარეს, რომ კვლავ შეავსოს თავისი თავი, თხრიან და თხრიან განუწყვეტლივ“ - სოფ. ხაშმის მკვიდრი.

სალიცენზიო ტერიტორიებზე ორჯერ: 2021 წლის ივლისში (იხ. ფოტო 2.3) და 2021 წლის ნოემბერში ვიმყოფებოდით. ნოემბერში განსხვავებული სურათი დაგვხვდა. კერძოდ, მდინარეში წყალი სრულიად დამშრალი იყო (იხ. ფოტო 2.4). შესაძლოა აღნიშნული ფაქტი ნაწილობრივ წყლის სეზონურ კლებასაც უკავშირდებოდა, თუმცა, ის დიდი ალბათობით ქვიშა-ხრემის ქაოტურმა მოპოვებამ და კალაპოტის ცვლილებამ გამოიწვია. ფაქტია, მოპოვების გამო ტერიტორია სრულიად დეგრადირებულია.



ფოტო 2.3. ირინა სვანიძე, ივლისი, 2021. ქვიშა-ხრეშის მოპოვების შედეგად სახეცვლილი მდინარე იორი. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.



ფოტო 2.4. ირინა სვანიძე, ნოემბერი, 2021. ქვიშა-ხრემის მოპოვების შედეგად დაშრალი მდინარე იორი. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

სალიცენზიო პირობების მიხედვით, დგინდება თუ რა რაოდენობის წიაღისეულის მოპოვების უფლება აქვს ლიცენზიანტს. სალიცენზიო ტერიტორიებზე არსად არ არის საავტომობილო სასწორები დამონტაჟებული. შესაბამისად, იმისი დადგენა, თუ რა რაოდენობის ქვიშა-ხრეში მოიპოვა და გაიტანა ლიცენზიანტმა შეუძლებელია.

ინერტული მასალის მოპოვება იორის ორივე ნაპირზე მიმდინარეობს. მძიმეწონიანი მანქანები კი ერთი ადგილიდან მეორესთან დასაკავშირებლად მოკლე გზას იყენებენ და პირდაპირ შუაგულ მდინარეში გადაადგილდებიან (იხ. ფოტო 2.5).



ფოტო 2.5. ირინა სვანიძე, ივლისი, 2021. მდინარეში მიმავალი მძიმეტონიანი მანქანა. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

კანონის მიხედვით¹⁴, კომპანიები ვალდებული არიან, უზრუნველყონ სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება. სალიცენზიო ტერიტორიებზე არც ეს წესია დაცული (იხ. ფოტო 2.7). ტერიტორიები, სადაც მოპოვებითი სამუშაოები უკვე დასრულებულია გადათხრილია და ისეა მიტოვებული. მდინარის სანაპიროები დაჭაობებულია. სალიცენზიო ტერიტორიების გარშემო კი, ქაოტურადაა დასაწყობებული ფუჭი ქანები (იხ. ფოტო 2.6). ადგილობრივი მაცხოვრებლები მოპოვების წინააღმდეგი არ არიან, მაგრამ თვლიან, რომ სამუშაოების დასრულების შემდეგ კომპანიებმა ტერიტორიები უნდა მოასწორონ და მას წინანდელი სახე ნაწილობრივ მაინც უნდა დაუბრუნონ.

¹⁴ საქართველოს მთავრობის №136 დადგენილება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე, მუხლი 7.



ფოტო 2.6. ირინა სვანიძე, ნოემბერი, 2021. მიტოვებული სალიცენზიო ტერიტორია. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

უკანონო მოპოვება

მდინარე იორზე ქვიშა-ხრეშის უკანონო მოპოვების არაერთი ფაქტია. ადგილობრივების თქმით, კანონის დამრღვევთა უმეტესი ნაწილი იურიდიული პირია, რომელიც მასალას შემდგომი რეალიზაციისთვის მოიპოვებს. თუმცა, არის შემთხვევები როცა ინერტულ მასალას ნებართვის გარეშე ფიზიკური პირები მოიპოვებენ (ძირითადად, საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით). კვლევამ აჩვენა, რომ სახელმწიფო უწყებები კონტროლს ხშირ შემთხვევაში ვერ ახორციელებს, შესაბამისად, იმისი დადგენა: ვინ, სად და რა რაოდენობის წიაღისეულს მოიპოვებს, ან არღვევს, თუ არა კანონს - ხშირ შემთხვევაში, უცნობი რჩება. აღნიშნული სტიმულს აძლევს კანონდამრღვევებს, ლიცენზიის მიღების გარეშეც მოიპოვონ ქვიშა-ხრეში.



ფოტო 2.7. ირინა სვანიძე, ივლისი, 2021. მიტოვებული სამსხვრევი დანადგარი და სალიცენზიო ტერიტორია. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

სოციალური ზემოქმედება

სოფლის მაცხოვრებელთა საცხოვრებელი პირობები, წიაღისეულის მოპოვების გამო ბოლო 15 წელია საგრძნობლად შეიცვალა. ადგილობრივების თქმით, სწორედ ამ პერიოდში მოხდა ლიცენზიების მაქსიმალურად გასხვისება.

მრავალი კომპანიის მიერ მდინარეში ქვიშა-ხრეშის მოპოვებამ, თავისი დადი დაასვა მდინარეს. ადგილობრივების მთავარი წუხილი, სწორედ იორის „დაკარგვას“ უკავშირდება. მათი თქმით „მდინარე იორი მოკლეს“. ტერიტორიები რომლითაც წლების წინ სოფელი სარგებლობდა, მათ აღარ ეკუთვნის. „ჩვენ ერთი ქვაც რომ ავიღოთ ეგრევე დაგვაჯარიმებენ. მდინარეზე არაფრის უფლება ჩვენ აღარ გაგვაჩნია. ფაქტიურად ქალა და მდინარე წაგვართვეს სოფელს. თუმცა, სანაცვლოდ არანაირი კომპენსაცია არავის არ აგვიღია“ - ამბობს სოფ. ხაშმის მაცხოვრებელი.

მოსახლეობა მდინარეს არაერთი დანიშნულებით გამოიყენებდა. აქ აქტიურად მოიპოვებდნენ თევზს, ბავშვებისათვის კი მდინარე ზაფხულში დასასვენებელ და გასართობ ადგილს წარმოადგენდა. ადგილობრივები იხსენებენ, რომ მდინარეს გასწვრივ ლამაზი ქალის ტყეები გასდევდა, იორიც სუფთა და თევზით სავსე იყო.

მოსახლეობის თქმით, სწორედ ინერტული მასალების მოპოვებას შეეწირა ათობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა. წლების წინ, მდინარის გარშემო დაახლოებით 40 ჰექტარზე ყოფილა გაშენებული ვენახი, რომელიც საერთოდ განადგურდა. ახლა იმ ადგილებზე სტუმრობის შემთხვევაშიც კი, იმის გარჩევა გასულ წლებში იყო თუ არა იქ ვაზი გაშენებული შეუძლებელია.



ფოტო 2.8. ირინა სვანიძე, ივლისი, 2021. დაზარალებული სახლი, სოფელი ხაშში. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

იორზე ქვიშა-ხრეშის მოპოვებამ და გადამუშავებამ ერთი ოჯახის ცხოვრება მთლიანად შეცვალა. სალიცენზიო ტერიტორიებიდან მათი სახლი დაახლოებით 300 მეტრით არის დაშორებული. ოჯახის წარმომადგენელი გვიყვება, რომ ყველა კომპანიის ერთდროულად მუშაობის გამო ძალიან ძლიერი ვიბრაციაა, რამაც მისი სახლის მთლიანად დაზარალება გამოიწვია (იხ. ფოტო 2.8 და 9). ოჯახს ეკონომიკური ზიანიც მიადგა, რაც მოსავლიანობის კლებამ განაპირობა. ხაშმის მიწები ერთ-ერთ ყველაზე ნაყოფიერად ითვლება საქართველოში, თუმცა გარემო პირობების ცვლილებამ მოსავლიანობაზეც იქონია გავლენა. ხილი მთლიანად თეთრი მტვერით იფარება ხოლმე, რაც ხშირად მოსავლის დიდი ნაწილის გაფუჭებას იწვევს. წელს ადგილობრივებს ხილის დიდი ნაწილის გადაყრა მოუწიათ, რადგან მათი უმეტესი ნაწილი ხეზევე დალპა.



ფოტო 2.9. ირინა სვანიძე, ივლისი, 2021. დაბზარული სახლის შესასვლელი, სოფელი ხაშმი. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

ადგილობრივების თქმით, ლიცენზიების გაცემით, მათ არანაირი სარგებელი არ აქვთ. სოფლის მაცხოვრებლები სალიცენზიო ტერიტორიებზე ნაკლებად არიან დასაქმებული. რაც შეეხება ინერტულ მასალას, საჭიროების შემთხვევაში ხაშმის მაცხოვრებლებს საბაზრო ფასად უწევთ მისი ყიდვა, ყველანაირი შეღავათის გარეშე.

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

მოსახლეობა ნებართვის გაცემის პროცესში ჩართული არ ყოფილა. ადგილობრივებისათვის ინფორმაცია ლიცენზიების შესახებ, მდინარეზე ინერტული მასალების მოსაპოვებელი სამუშაოების დაწყების შემდეგ გახდა ცნობილი. ხაშმის ერთ-ერთი მაცხოვრებელი იხსენებს, რომ ერთ დღეს მათი მშვიდი ცხოვრება მძიმეწონიანი ტექნიკის მუშაობის დროს წარმოქმნილმა ხმაურმა და მტვერმა დაარღვია. სწორედ მაშინ გაიგეს, რომ „იორი გაიყიდა“.

სოფ. ხაშმის მაცხოვრებლები ამბობენ, რომ წლების განმავლობაში აპროტესტებენ და ჩივიან ქვიშა-ხრეშიდან გამოწვეული პრობლემების გამო, თუმცა ვერანაირი შედეგი ვერ მიიღეს.

ქვიმა-ხრემის გადამამუშავებელი ქარხნების ზეგავლენა გარემოსა და მოსახლეობაზე

იორის გასწვრივ, სალიცენზიო ტერიტორიების სიახლოვეს, განთავსებულია ქვიმა-ხრემის გადამამუშავებელი ქარხნებიც (იხ. ფოტო 10).



ფოტო 2.10. ირინა სვანიძე, ივლისი, 2021. ქვიმა-ხრემის გადამამუშავებელი ქარხანაფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

საწარმოო ტერიტორიებზე დასაწყობებული გადამამუშავებული თუ გადასამუშავებელი მასალა დიდი მთების სახით არის წარმოდგენილი (იხ. ფოტო 2.11 და 2.12), რომელიც ქარიან ამინდში განსაკუთრებით დიდ პრობლემას უქმნის სოფ. ხაშმის მოსახლეობას. ოდნავ ნიავის ამოვარდნის დროსაც კი სოფელს მტვერი უფინება. გადამამუშავებელი ქარხნებიდან წამოსული მტვერი და ხმაური, დღეღამის არცერთ მონაკვეთში არ წყდება. უფრო მეტიც, ადგილობრივების თქმით, კომპანიები ღამით უფრო მეტი დატვირთვით მუშაობენ. ღამის საათებში კი როცა სოფელს სძინავს, სამსხრვევი დანადგარებიდან გამოწვეული ხმაური ადგილობრივებისათვის კიდევ უფრო მეტად შემაწუხებელი ხდება.



ფოტო 2.11. ირინა სვანიძე, ივლისი, 2021. გადამუშავებული ქვიშა-ზრეშის სანაყაროფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.



ფოტო 2.12. ირინა სვანიძე, ივლისი, 2021. გადამუშავებული და გადამუშავებელი ქვიშა-ხრეშის სანაყაროფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

ქვიშა-ხრეშის გადამუშავება მის გარეცხვასა და დაფქვას გულისხმობს. ადგილობრივები იორში თევზის გაქრობს ერთ-ერთ მიზეზად, საწარმოებიდან დაბინძურებული წყლის მდინარეში ჩაშვებას უკავშირებენ. გარემოზე ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ მასალებში ჩანს, რომ სააგენტომ მდ. იორზე კომპანიების მიერ დაბინძურებული წყლის ჩაშვების ფაქტები გამოავლინა, თუმცა კომპანიების უმეტესობა საერთოდ არ დაჯარიმებულა. ადგილზე სიტუაცია კი დღემდე არ გამოსწორებულა. ხაშმის მაცხოვრებლები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოს რეაგირება დარღვევებზე არაეფექტურია, რადგან ჯარიმის ოდენობა მცირეა, მისი გადახდა კი, კომპანიებისთვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენს.

ინერტული მასალების მოპოვების გავლენა წყალმომარაგების სისტემაზე

სოფელში, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით წყალმომარაგების სისტემა მოეწყო, რომელმაც გარდაბანის მუნიციპალიტეტის ხუთი სოფელი (მარტყოფი, ნორიო, ახალსოფელი, ვაზიანი და ახალი სამგორი) 24-საათიანი წყალმომარაგებით უნდა უზრუნველყოს.¹⁵ პროექტის დამკვეთი მუნიციპალური განვითარების ფონდია, შემსრულებელი კი, კომპანია „კომფორტმენი“. საპროექტო ტერიტორიაზე ნაგებობები უკვე აშენებულია და მიწები გაყვანილი.

¹⁵ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, 2020. [გარდაბანის მუნიციპალიტეტის 5 სოფლის წყალმომარაგებისათვის მეორე ეტაპის სამუშაოები მიმდინარეობს.](#)



ფოტო 2.13. ირინა სვანიძე, ივლისი, 2021. მოპოვების გამო, ჰაერში დარჩენილი წყალმომარაგების შენობის ნაწილი და მილიფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

პროექტს, ინერტული მასალების მოპოვების გამო, მნიშვნელოვანი ზიანი უკვე მიაღწა. კერძოდ, კომპანიის მიერ ჩაყრილ მილებს, ლიცენზიანტებმა ქვიშა-ხრეშის მოპოვების დროს მიწა გამოაცალა და ჰაერში დატოვა (იხ. ფოტოსურათები 2.13 და 2.14). ზიანის გამოსწორების მიზნით კი, ტერიტორიაზე ჯებირები მოაწყვეს. მალევე მიხვდნენ, რომ მხოლოდ ჯებირები სიტუაციას ვერ გამოსწორებდა და გადაწყვიტეს ტერიტორია სხვა ადგილიდან ამოთხრილი მიწით ამოეკოთ. კომპანია „კომფორტმშენის“ წარმომადგენლის თქმით, ვერც ეს უკანასკნელი ვერ გამოსწორებს სიტუაციას და საბოლოო ჯამში, შეიძლება, სისტემას დიდი ზიანი მიაღგეს.



ფოტო 2.14. ირინა სვანიძე, ივლისი, 2021. მოპოვების გამო, ჰაერში დარჩენილი წყალმომარაგები მილი და მის გარშემო მოწყობილი ჯებირები, ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

გარდა აღნიშნულისა, პროექტს ზიანი სხვა კუთხითაც მიაღდა. წყალმომარაგების სისტემის მოწყობა, დაახლოებით სამი წელია მიმდინარეობს. პროექტის დაწყებამდე წინასწარი კვლევებით დადგინდა, რომ ადგილზე წლის დიდი მარაგი იყო. თუმცა, ჭაბურღილების გაკეთების შემდეგ წყალი არ ამოვიდა. „კომფორტმშენის“ წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ წყლის პრობლემა ქვიშა-ხრეშის მოპოვებას უკავშირდება, რადგან მდინარეში წყალი უფრო და უფრო იკლებს.

დოკუმენტების შესწავლის შედეგად გამოვლენილი დარღვევები

წიაღის ეროვნული სააგენტოდან მიღებული მასალების¹⁶ შესწავლის შედეგად, სხვადასხვა სახის დარღვევები გამოიკვეთა. კერძოდ:

- ✓ ლიცენზიით განსაზღვრული პირობების მიხედვით, ლიცენზიანტი ვალდებულია ლიცენზიის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემ ადმინისტრაციულ

¹⁶ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 15 აპრილის #22/124 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

ორგანოს წარუდგინოს ათვისების შესაბამისი გეგმა-გრაფიკი. აღნიშნული გეგმის გარეშე წიაღის მოპოვება - კანონდარღვევაა. შესწავლილი 27 ლიცენზიიდან - გეგმა-გრაფიკი მხოლოდ ორ კომპანიას ჰქონდა წარდგენილი (შპს „მშენებელი 80“ ლიცენზიის #1003860 და შპს „ბორან კონსტრაქშენი“ ლიცენზიის #1004742). ამ ორი კომპანიიდანაც, მხოლოდ ერთი ლიცენზიის (შპს „მშენებელი 80“) შემთხვევაში იყო დროულად დამტკიცებული გეგმა-გრაფიკი (წიაღისეულის ათვისების გეგმა მომზადებული და დამტკიცებული უნდა იყოს ლიცენზიის მიღებიდან ერთი თვის ვადაში);

- ✓ მხოლოდ ერთი ლიცენზიის (შპს „ბორან კონსტრაქშენი“ - ლიცენზიის #1004742) შემთხვევაში იყო წარდგენილი და შეთანხმებული წიაღით სარგებლობის პროექტი;
- ✓ ლიცენზიანტი ვალდებულია,¹⁷ ყოველწლიურად მოამზადოს და წარადგინოს უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების ფორმა N1-01. შესწავლილი 27 ლიცენზიიდან 12-ის შემთხვევაში დოკუმენტი ყოველწლიურად იყო წარდგენილი. ოთხი ლიცენზიის შემთხვევაში სტატისტიკური დაკვირვების ფორმა N1-01 -კომპანიას - ერთხელ არ ჰქონდა კომპანიას წარდგენილი. ორის შემთხვევაში ორჯერ. ერთის შემთხვევაში - თერთმეტჯერ. შვიდ ლიცენზიანტს ჯერ კიდევ ჰქონდა დრო წარსადგენად. სრულიად გამოგნებულია თავად ამ ანგარიშების ხარისხი. ყველა კომპანია ანგარიშის წარდგენისათვის გამზადებულ სპეციალურ შაბლონს იყენებს, სადაც გარკვეული სახის მონაცემები უნდა ჩაიწეროს. ხშირ შემთხვევაში კომპანიების მიერ წარდგენილი ანგარიშების დიდი ნაწილი შეუსვებელი და არაფრისმომცემია.

ყურადსაღებია, რომ შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოს მიერ ათვისების შესაბამისი გეგმა-გრაფიკის არქონის ფაქტი მხოლოდ ორჯერ, ხოლო სტატისტიკური დაკვირვების ფორმა N1-01 არ ქონა ხუთჯერ იქნა დაფიქსირებული.

ყველა ლიცენზიას თან ახლავს გეოსაინფორმაციო პაკეტი. ამ უკანასკნელში სალიცენზიო ტერიტორიებსა და მოსახლეობას შორის დამორების შესახებ ინფორმაციას ხშირ შემთხვევაში არ ვხვდებით და ის მხოლოდ უახლოესი სოფელი/სოფლების ჩამონათვალთ შემოფარგლება. შესაბამისად, ნათელი ხდება, რომ წიაღის ეროვნული სააგენტო, ისე გასცემს ნებართვებს, რომ მოსახლეობის დამორების საკითხს საერთოდ არც ითვალისწინებს.

ლიცენზიის გაცემის პროცესში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი - ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ჩართულობაა. ლიცენზიის გაცემამდე, წიაღის ეროვნული სააგენტო, ადგილობრივ მუნიციპალიტეტს ლიცენზიის თაობაზე უგზავნის წერილს და სთხოვს მათ, ამ ლიცენზიასთან დაკავშირებული პოზიციის დაფიქსირებას. განხილული 27 ლიცენზიიდან

¹⁷ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის დადგენილება №271, ტექნიკური რეგლამენტების – წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიშის) წესის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების პროექტის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების ტექნოლოგიური სქემისა და წიაღისეულის შესწავლის სამუშაოთა გეგმების შედგენის წესისა და სტატისტიკური დაკვირვების ფორმების (№1-01, №1-02, №1-03 და №1-04) დამტკიცების თაობაზე.

მხოლოდ 21 შემთხვევაში იყო ლიცენზიის გაცემისას მუნიციპალიტეტის თანხმობა მიღებული, ექვს შემთხვევაში - არა.

ლიცენზიის გაცემამდე, თანხმობას წიაღის ეროვნული სააგენტო სხვადასხვა უწყებებიდან იღებენ. ლიცენზიების გაცემის პროცესში, თანხმობის წერილები მიღებულია ქონების ეროვნული სააგენტოდანაც. უწყება ნებისმიერი ლიცენზიის გაცემაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში არის თანახმა, თუკი კომპანია ადგილობრივ მოსახლეობას სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლებას არ შეუზღუდავს. ამ პირობას წიაღის ეროვნული სააგენტო, ზოგ შემთხვევაში ითვალისწინებდა და უღებდა ლიცენზიანტს პირობებში, ზოგ შემთხვევაში არა (რითი ახდენდა შეფასებას, ეს უკვე გაურკვეველია).

სახელმწიფო კონტროლი და დარღვევაზე რეაგირება

2018 წლამდე, სალიცენზიო პირობების კონტროლი და ზედამხედველობა, გარემოზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილებას წარმოადგენდა. დეპარტამენტიდან მიღებული მასალების¹⁸ შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ უფლებამოსილების ფარგლებში სულ სამი კომპანია შემოწმდა. კონტროლის შედეგად, სხვადასხვა სახის დარღვევები გამოიკვეთა და კომპანიებს გარკვეული რაოდენობის ჯარიმა დაეკისრათ (იხ. ცხრილი 2.2).

ცხრილი 2.2. 2018 წლამდე გზდ-ს მიერ შემოწმებული კომპანიები.

კომპანია	დარღვევა	გარემოზე მიყენებული ზიანი	ჯარიმის ოდენობა
შპს „თიმალი“	უკანონოდ მოიპოვა 765 კუბ.მ ქვიშა-ხრეში	965 250	1000 ლარი
შპს „დილა - 95“	უკანონოდ მოიპოვა ქვიშა-ხრეში	250 ლარი	1000 ლარი
შპს „ფხოვი“	უკანონოდ მოიპოვა 250 კუბ.მ ქვიშა-ხრეში	450 ლარი	1000 ლარი

გარემოზე ზედამხედველობის დეპარტამენტმა, 2018 წლიდან მხოლოდ ორი კომპანია (შპს „ფხოვი“ და შპს „დილა - 95“) შეამოწმა. დადგინდა, რომ ორივე კომპანია არღვევდა კანონს. კერძოდ: შპს „დილა - 95 - ი უკანონოდ მოიპოვებდა ქვიშა-ხრეშს.¹⁹ გარემოზე მიყენებულმა ზიანმა 348 ლარი შეადგინა. კომპანია 1000 ლარით დაჯარიმდა. შპს „ფხოვის“ შემოწმების შემდეგ

¹⁸ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2021 წლის 23 აგვისტოს წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

¹⁹ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის: 2021 წლის 28 იანვრის #058887 ოქმი და 2017 წლის 13 თებერვლის #033507 ოქმი აღმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ.

დადგინდა, რომ კომპანიამ სათანადო ლიცენზიის გარეშე მოიპოვა²⁰ 242,3 მ³ ქვიშა-ხრეში. გარემოზე მიყენებულმა ზიანმა 442 ლარი შეადგინა. ეს კომპანიაც 1000 ლარით დაჯარიმდა.

წიაღის ეროვნული სააგენტო 2018 წლიდან ახორციელებს სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლის მიზნით ობიექტების საქმიანობის ინსპექტირებას (შესწავლას, შემოწმებას, დათვალიერებას).²¹ სააგენტო ინსპექტირების ორ ფორმას იყენებს: ადგილზე გაუსვლელად დოკუმენტების შემოწმებას და საველე დათვალიერებას.²²

განხილული 27 ლიცენზიიდან, სააგენტომ სალიცენზიო ტერიტორიაზე გაუსვლელად მხოლოდ შვიდი ლიცენზია შეამოწმა.²³ შედეგად გაირკვა, რომ კომპანიები სხვადასხვა დარღვევებით მუშაობდნენ. ყურადსაღებია, რომ ერთიდაიგივე დარღვევაზე სახელმწიფომ სხვადასხვაგვარი რეაგირება მოახდინა, ასე მაგალითად:

- სააგენტომ კონტროლის დროს გამოავლინა, რომ ხუთი ლიცენზიის შემთხვევაში კომპანიებს არ ჰქონდათ წარდგენილი სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიში. ერთიდაიგივე დარღვევაზე სასამართლომ ორ ლიცენზიანტს (შპს „თიმალი“ - ლიცენზიის #1003547; 1004119; 1005208; შპს „ხაში 2016“ - ლიცენზიის #10000129) 500 ლარიანი ჯარიმა დააკისრა,²⁴ ერთი ლიცენზიანტის (ფ/პ თენგიზ აბრამიშვილი“ - ლიცენზიის #10000037) მიმართ კი მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნით შემოიფარგლა.²⁵
- ორ ლიცენზიის მფლობელ კომპანიას არ ჰქონდა წარდგენილი ათვისების გეგმა-გრაფიკი. ერთ ლიცენზიანტს (ფ/პ იმანი მირზაევს - ლიცენზიის #10001393) სასამართლომ 500 ლარიანი ჯარიმა დააკისრა,²⁶ მეორეს მიმართ (შპს „მილენიუმ მაინინგის“ - ლიცენზიის #10001381) კი მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნით შემოიფარგლა.²⁷

წიაღის ეროვნულმა სააგენტომ საველე დათვალიერების ფარგლებში მხოლოდ ექვსი სალიცენზიო ტერიტორია (შპს „თიმალის“ #1003547; 1005208; 10001546; შპს „იორი 2008“-ის

²⁰ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2019 წლის 19 მარტის #046063 ოქმი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ.

²¹ წიაღის შესახებ კანონი, მუხლი 31.

²² საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება #1-1/2; სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე, მუხლი 6.

²³ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 15 აპრილის #22/124 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

²⁴ თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 3 ივლისის დადგენილება, საქმე #4/3561-20 და თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 12 სექტემბრის დადგენილება, საქმე #4/6746-19.

²⁵ თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 18 ივლისის დადგენილება, საქმე #4/7429-19; 330510019003071397;

²⁶ თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება, საქმე #5805-20.

²⁷ თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 5 ოქტომბრის დადგენილება, საქმე #4/5804-20.

ლიცენზია #1004242; შპს „ბორან კონსტრაქშენის“ - ლიცენზიის #1004742; შპს „კრინტის“ - ლიცენზიის #1000897) შეამოწმა. რის შედეგადაც დადგინდა, რომ ორი კომპანია: შპს „თიმალი“ და შპს „იორი 2008“ გარკვეული სახის დარღვევებით საქმიანობდნენ. ასე მაგალითად:

1. შპს „თიმალის“ (ლიცენზიის - #1003547) სალიცენზიო ტერიტორია 2020 წლის 21 ოქტომბერს შეამოწმა სააგენტომ.²⁸ რა დროსაც დაადგინა, რომ კომპანიას, უკვე დასრულებული ჰქონდა მოპოვებითი სამუშაოები, ტერიტორიაზე დასაწყობებული იყო ერთმანეთში არეული თიხა-მიწა და ფუჭი ქანები. ხოლო ტერიტორიის ნაწილი გრუნტის წყლით იყო დაფარული. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობების ადგილები არ ფიქსირდებოდა. აღნიშნულის გამო, სააგენტომ რეაგირების მიზნით მიმართა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. თუმცა მათგან რა რეაგირება მოხდა, უცნობია.
2. შპს „თიმალის“ (ლიცენზიის - #1005208) სალიცენზიო ტერიტორია 2020 წლის 27 ოქტომბერს შეამოწმა სააგენტომ. რა დროსაც დაადგინა, რომ კომპანიის მიერ დარღვეული იყო, ლიცენზიით განსაზღვრული პირობები, კერძოდ: სამუშაოები არ იყო ნაწარმოები პროექტის შესაბამისად. ერთ უბანზე მოპოვება არ იყო ნაწარმოები მდინარის კალაპოტის გასწორებაზოვნების მიმართულებით. მოპოვება ნაწარმოები იყო ქაოტურად. მეორე უბანზე კარიერის ბორტის დახრის კუთხე ნაცვლად საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული 35 გრადუსისა უახლოვდებოდა 90 გრადუსს.²⁹ აღნიშნულის გამო, სააგენტომ რეაგირების მიზნით, კვლავ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს მიმართა. მათგან რა რეაგირება მოხდა, უკვე უცნობია.
3. შპს „თიმალის“ (ლიცენზიის - #10001546) სალიცენზიო ტერიტორია წიაღის ეროვნულმა სააგენტომ ორჯერ შეამოწმა. პირველად, 2020 წლის 27 ოქტომბერს და დაადგინა, რომ კარიერის ბორტის დახრის კუთხე ნაცვლად საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული 45 გრადუსისა 90 გრადუსს უახლოვდებოდა.³⁰ სააგენტომ რეაგირების მიზნით მიმართა სასამართლოს. მოსამართლის გადაწყვეტილებით კომპანია 2000 ლარით დაჯარიმდა.³¹ 2021 წლის 9 მარტს, მეორედ შემოწმდა კომპანია. სალიცენზიო ტერიტორიაზე კვლავ იგივე დარღვევა იყო.³² მეორე შემოწმების შემდეგ, რა რეაგირება მოახდინა სახელმწიფომ დარღვევაზე უცნობია.

²⁸ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 21 ოქტომბრის შემოწმების შესახებ #000071 ინსპექტირების აქტი.

²⁹ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 27 ოქტომბრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი #002800.

³⁰ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 27 ოქტომბრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი #002787.

³¹ რუსთავის სამოქალაქო სასამართლოს 2020 წლის 27 ნოემბრის დადგენილება, #4-378-20 საქმე.

³² წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 9 მარტის #000309 ადმინისტრაციული მიწერილობა.

4. შპს „იორი 2008“-ის (ლიცენზია - #1004242) სალიცენზიო ტერიტორია წიაღის ეროვნული სააგენტომ ერთხელ შეამოწმა.³³ კონტროლის დროს აღმოჩნდა, რომ სამუშაოები არ იყო ნაწარმოები პროექტის შესაბამისად, კერძოდ მოპოვება ნაწარმოები იყო მდინარის ჭალა - კალაპოტში ქაოტურად, სხვადასხვა სიღრმეებზე. კარიერის ბორტის დახრის კუთხე ნაცვლად, საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული 55 გრადუსისა უახლოვდებოდა 90 გრადუსს. სააგენტომ რეაგირების მიზნით მიმართა სასამართლოს. მოსამართლის გადაწყვეტილებით კომპანია 2000 ლარით დაჯარიმდა.³⁴

კვლევით დადგინდა, რომ კარიერებზე შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებული მდგომარეობა არცერთი ლიცენზიის შემთხვევაში არ შეუმოწმებია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტს.³⁵

მდინარე იორის მაგალითმა აჩვენა, სახელმწიფო კონტროლი სუსტია, კანონდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კი, სახელმწიფო რეაგირება არააფექტური. ხშირ შემთხვევაში, კომპანიები არ ჯარიმდებიან, დაჯარიმების შემთხვევაშიც კი, ჯარიმების ოდენობა იმდენად მცირეა, რომ ლიცენზიანტებს მისი გადახდა არაფრად მიაჩნიათ და დარღვევით მუშაობას განაგრძობენ.

³³ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 26 ოქტომბრის #002804 ოქმი.

³⁴ გარდაბნის მაგისტრი სასამართლოს 2021 წლის 26 თებერვლის დადგენილება, საქმე #4-377-20.

³⁵ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 21 ივნისის #09/1504 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

3. ქვიშა-ხრემის მოპოვება თბილისში, დიდმის ქალებში

ავტორი: მარიამ ხვედელიძე

დიდმის ქალები თბილისში, ოლიმპიური სოფლის მიმდებარედ, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ზედა ტერასაზე მდებარეობს. ქალების 64 ჰექტარი ტყით იყო დაფარული მანამ, სანამ ტერიტორიაზე ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად, ტყის საფარის უდიდესი ნაწილი განადგურდებოდა (იხ.სატელიტური ფოტო 3.1 და 3.2).

დიდმის ქალები ქალაქისთვის უჩვეულო ბუნებრივი ეკოსისტემით გამოირჩევა და ერთადერთი ადგილია თბილისის მასშტაბით, სადაც ქალის ტყის ეკოსისტემა, ფლორისა და ფაუნის გამორჩეული სახეობებით ასეთი მდიდარი ჰაბიტატი მუაგულ ქალაქში შემორჩა.



სატელიტური ფოტოები 3.1 და 3.2. დიდმის ქალები 2010 და 2020 წლებში - ქალის ტყის გაქრობა ქვიშა-ხრემის მოპოვებისა და დასაწყობების შედეგად


წყარო - კვლევის ანგარიში: დიდმის ქალები ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე - არსებული მდგომარეობა და პრობლემიდან გამოსავალი.



უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში დიდმის ქალების ბუნებრივი ეკოსისტემის მნიშვნელოვნად დეგრადირება უკავშირდება ტერიტორიაზე მიმდინარე სხვადასხვა პროცესებსა და საქმიანობებს. მტკვრის სანაპიროს ზედა ტერასიდიან ქვიშა-ხრეშის მოპოვება, დასაწყობება და გადამუშავება ის უმთავრესი მიზეზებია, რომელთაც ქალების ასე გარდაქმნა გამოიწვიეს.³⁶

დიდმის ქალებში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ზედა ტერასის მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს ამავე ტერიტორიაზე მოპოვებული ქვიშა-ხრეშის განთავსებისა და წიაღისეულის მოპოვების შედეგად ღიად დატოვებული კარიერების არეალს. ტერიტორიის ფართობი, რომელზეც წიაღისეულია მოპოვებული შეადგენს 13 ჰექტარს, ხოლო დასაწყობებული ინერტული მასალა 3 ჰექტარს ფარავს.

ტერიტორიაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვების ერთადერთი - #00267 ლიცენზია მოქმედებს, რომელიც 2006 წელს 20 წლის ვადით გაიცა შპს „გრავის“ სახელზე. ლიცენზია 1.79 ჰექტარი ფართობის სამთო-მინაკუთვნის ფარგლებში 80 000 კუბური მეტრი ქვიშა-ხრეშის მოპოვებას ითვალისწინებს.³⁷



რუკა 3.1. #00267 ლიცენზიის კონტური წყარო: სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების #00267 ლიცენზიას თანდართული მასალები; სს „საქართველოს გეოლოგიისა და სამთო საქმის ეროვნული კომპანიის“ მიერ გაცემული ტოპოგრაფიული რუკა

ამჟამად, დიდმის ქალების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის (დიდმის ქალების სამეზობლო თემის) აქტიური პროტესტის შედეგად, როგორც მოპოვებითი, ისე გადამამუშავებელი სამუშაოები შეწყვეტილია. თუმცა, ტერიტორიაზე წიაღისეულის უკონტროლო მოპოვებით გამოწვეული დეგრადაცია ისევ სახეზეა.

³⁶ ხვედელიძე, მ., & ტრაპაიძე, ა. (2021). [კვლევის ანგარიში: დიდმის ქალები ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე - არსებული მდგომარეობა და პრობლემებიდან გამოსავალი](#). ღია საზოგადოების ფონდი.

³⁷ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების #00267 ლიცენზია. (2006 წლის 14 სექტემბერი).

დიდმის ქალების ეკოსისტემის მნიშვნელობა

ქალის ტყეები უნიკალურ და, ამასთან, უკიდურესად მოწყვლად ეკოსისტემას წარმოადგენს. დღეისათვის, ამ ტიპის ეკოსისტემების ძალიან მცირე ნაწილია შემორჩენილი საქართველოში; ამიტომაც, ეროვნული კანონმდებლობით, ქალის ტყეები იმ ბუნებრივი ეკოსისტემების რიცხვშია შესული, რომლებიც განსაკუთრებულ დაცვას ექვემდებარება.³⁸ შესაბამისად, ქალის ტყეები დაცული უნდა იყოს ყოველგვარი დაბინძურების, დაზიანებისა თუ დეგრადაციისგან.

ამასთან, დიდმის ქალები უნიკალურ ჰაბიტატს წარმოადგენს ფლორისა და ფაუნის სხვადასხვა სახეობებისთვის. სხვა მცირეტანიან ცხოველებთან ერთად, დიდმის ქალებში ბინადროს საქართველოს წითელი ნუსხით დაცული მოწყვლადი სახეობა - წავი. წავი წითელ ნუსხაში მისი საბინადრო ჰაბიტატის უკიდურესად შემცირების გამოა შესული; თუმცა, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, წავების საკმაოდ დიდი ოჯახი ბინადრობს დიდმის ქალებში, მდინარე მტკვარში არსებულ ქალის კუნძულზე, ე.წ. თბილისის წავის კუნძულზე. სწორედ ამ მიზეზით, თბილისის წავის კუნძულის შესახებ ინფორმაცია 2020 წელს შესაფასებლად გაეგზავნა „ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ“ (ბერნის) კონვენციას და სულ მალე, კუნძული ზურმუხტის საიტი გახდება, რაც მის დაცვას საერთაშორისო დონეზე გახდის სავალდებულოს. წავებთან ერთად, დიდმის ქალების ტერიტორიაზე ბინადრობენ ბერნის კონვენციით დაცული ფრინველთა სხვადასხვა სახეობებიც.³⁹

ქვიშა-ხრემის მოპოვების ზემოქმედება გარემოსა და ადგილობრივ მოსახლეობაზე

მოსახლეობის პროტესტი

დიდმის ქალებში ქვიშა-ხრემის მოპოვების არეალთან ყველაზე ახლო დასახლებული პუნქტი საცხოვრებელი კომპლექსი „მწვანე ალმასია“, რომელიც ტერიტორიიდან დაახლოებით 300 მეტრში მდებარეობს. „მწვანე ალმასის“ მაცხოვრებელთა ნაწილმა, დიდმის ქალების ეკოლოგიურ პრობლემასთან საბრძოლველად, აქტიური პროტესტი 2019 წელს წამოიწყო და მოგვიანებით, დიდმის ქალების საინიციატივო ჯგუფიც ჩამოაყალიბა.

პირველ ეტაპზე, მაცხოვრებლების ყურადღება მათ სახლთან სატვირთო მანქანების ხშირმა მოძრაობამ მიიპყრო. ადგილობრივები იხსენებენ, რომ წუთში რამდენიმე სატვირთო გადაადგილებოდა პირდაპირ მათ საცხოვრებელ კომპლექსთან გამავალ გზაზე. სატვირთო მანქანების მოძრაობა წარმოშობდა ძლიერ ხმაურსა და დიდი რაოდენობით მტვერს; ავტომანქანები მუდმივად ძარაგადაუხურავად გადაადგილებოდნენ.

თავდაპირველად, აქტივისტებმა გარემოებებში გარკვევა დაიწყეს - მათ აინტერესებდათ, რა ხდებოდა მათ საცხოვრებელ სახლებთან ისეთი, რაც ყოველდღიურ სიმშვიდეს ასე ურღვევდათ. სამართალდარღვევის არაერთი ფაქტის აღმოჩენის შემდეგ, უკანონო საქმიანობებთან საბრძოლველად, ადგილობრივებმა პროტესტის სხვადასხვა ფორმას მიმართეს (აქციები, დემონსტრაციები, საჩივრები და ა.შ.).

³⁸ საქართველოს პარლამენტი. (1996 წლის 10 იანვარი). საქართველოს კანონი "გარემოს დაცვის შესახებ". 45-ე მუხლი. ხელმისაწვდომია „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე, სარეგისტრაციო კოდი: 360.000.000.05.001.000.184

³⁹ ხვედელიძე, მ., & ტრაპაიძე, ა. (2021). [კვლევის ანგარიში: დიდმის ქალები ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე - არსებული მდგომარეობა და პრობლემებიდან გამოსავალი](#). ღია საზოგადოების ფონდი.

ზემოქმედება ადგილობრივ ეკოსისტემაზე

ქვიშა-ხრეშის მოპოვება შეუქცევად ზიანს აყენებს დიდმის ჭალების უნიკალურ ეკოსისტემას და ართმევს მას პოტენციალს, გახდეს თბილისის უდიდესი სარეკრეაციო სივრცე; ამასთან, საფრთხეს უქმნის ჭალის ტყეებში გავრცელებული ფლორისა თუ ფაუნის სახეობებს.

ქვიშა-ხრეში ჭალის ტყეების 13 ჰექტარზეა მოპოვებული, ხოლო ნედლეული 3 ჰექტარი ფართობის ტერიტორიაზეა დასაწყობებული.⁴ წიაღისეულის დასაწყობების შედეგად, ნიადაგი გაუვარგისებელია, ასეულობით ხე კი, ჩაფლულია ქვიშა-ხრეშისა და ფუჭი ქანების გროვებში, რითაც გამოცლილი აქვს საარსებო წყარო და განწირულია ხმობისთვის (იხ.ფოტო 3.3 და 3.4).



ფოტოები 3.1. და 3.2. დიდმის ჭალების ვრცელ ტერიტორიაზე დასაწყობებული წიაღისეული და ინერტულ მასალაში ჩაფლული ხეები.
წყარო: Storgaard Photography, The Tragedy of Dighomi Meadows





ფოტოები 3.3. და 3.4. მარიამ ხვედელიძე, დეკემბერი, 2020. ინერტული მასალის გროვებში ჩამარხული ხეები. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

კიდევ ერთი პრობლემა ღიად დატოვებული კარიერებია, რომლებიც 15 ჰექტრამდე ფართობის ტერიტორიას მოიცავს. გარდა იმისა, რომ დაბინძურებული წყლითა და ნაგვით სავსე ღრმულები ლიდმის ჭალების იერსახეს ამახინჯებს, ისინი ბუნებრივ ეკოსისტემას უქმნის საფრთხეს. კარიერების გამო, დიდი რაოდენობით ნაყოფიერი ნიადაგია განადგურებული, ჭალის ტყის ჰაბიტატი კი - ფრაგმენტირებული. ღია კარიერებს გარშემორტყმული მცენარეულობაც მძიმე ზემოქმედების ქვეშ ექცევა - ხეები ნიადაგის გარეშე, ფესვმოშიშვლებულადაა დარჩენილი (ფოტო 3.5 და 3.6).



ფოტოები 3.5 და 3.6. მარიამ სვედელიძე, დეკემბერი, 2020. ნიადაგამოცლილი ხეები. ფოტოები მწვანე ალტერნატივის არქივიდან. დეკემბერი, 2020

დიად დატოვებული კარიერები, განსკუთრებით კი, ღრმა ორმოები, წყლით არის დაფარული. წყლიანი ორმოების დიდი ნაწილი სხვადასხვა ტიპის, დიდმის ჭალებში უკანონოდ განთავსებული ნაგვითაა დაბინძურებული (იხ. ფოტო 3.7). დაბინძურებული წყლით სავსე კარიერები საფრთხეს უქმნის დიდმის ჭალებში გავრცელებული ფაუნის წარმომადგენლებს, რომლებმაც დაბინძურებული წყალი შეიძლება დალიონ. ზოგიერთ ადგილას დრმულები მტკვართან ძალიან ახლოსაა; წვიმიან დღეებში კარიერების დანაგვიანებული წყალი მდინარის წყალს ერევა და მდინარეს აბინძურებს.



ფოტო 3.7. დაბინძურებული წყლით სავსე კარიერი. წყარო: კვლევის ანგარიში „დიდმის ჭალები ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე - არსებული მდგომარეობა და პრობლემებიდან გამოსავალი“.

ზემოქმედება მოსახლეობაზე

ქვიშა-ხრეშის მოპოვებითი საქმიანობა ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა ადგილობრივ მოსახლეობაზეც. დიდმის ჭალების საინიციატივო ჯგუფის წევრის, ანა ტრაპაიძის თქმით, 2019-

2020 წლებში მოპოვებული ნედლეულის ტრანსპორტირება ინტენსიურად მიმდინარეობდა და საცხოვრებელი კომპლექსის გზაზე წუთში რამდენიმე სატვირთო ავტომობილი გადაადგილდებოდა (იხ. ფოტო 3.8); ეს იწვევდა ძლიერ ხმაურსა და ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურებას. სატვირთოების აბსოლუტური უმრავლესობა არ იცავდა გარემოსდაცვით სტანდარტებს და ნედლეული ტერიტორიიდან ძარაგადაუხურავად გაჰქონდა.

ნედლეულის ტრანსპორტირებასთან ერთად, ადგილობრივ მოსახლეობას ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საქმიანობებით გამოწვეული ხმაური და მტვერიც აწუხებდა.

მოსახლეობის თქმით, უკანონოდ მოქმედი საწარმოები გარემოსდაცვითი სტანდარტების დაუცველად ფუნქციონირებდნენ; მშრალ ამინდებში, ადგილობრივებისთვის ყოველთვის ადვილად შესამჩნევი იყო მტვერსა და გამონაბოლქვში გახვეული სივრცე მათ საცხოვრებელთან ახლოს, საწარმოების მიმდებარე ტერიტორიაზე. საწარმოო გაფრქვევებს, მასალის ტრანსპორტირებით გამოწვეული დაბინძურება ემატებოდა, რადგანაც მასალის გადაზიდვა მუდმივად ტენტის გადაფარების გარეშე ხდებოდა.

საცხოვრებელ კომპლექსთან ახლოს ოლიმპიური სოფელი მდებარეობს; კომპლექსი საცურაო აუზს, ტანვარჯიშის არენასა და სპორტულ მოედნებს აერთიანებს. ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ გადაღებულ ფოტოსურათებში კარგად ჩანს დიდმის ჭალების საწარმოო ზონიდან წამოსული დიდი რაოდენობით მტვერი და გამონაბოლქვი, რომელიც სპორტული კომპლექსის თავზეა თავმოყრილი (იხ. ფოტო 3.9).

ჰაერის დაბინძურება ხშირად ხელს უშლიდა სპორტული სივრცის ფუნქციონირებას და სპორტსმენებს ვარჯიშისთვის არახელსაყრელ გარემოს უქმნიდა (იხ. ფოტო 3.10 - დაბინძურებული ოლიმპიური აუზი). დიდმისთვის დამახასიათებელი ძლიერი და ხშირი ქარების გათვალისწინებით, ჰაერის დაბინძურების პრობლემა კიდევ უფრო მწვავედებოდა.



ფოტო 3.8. ინერტული მასალის ტრანსპორტირებისას გადაღებული ფოტო „მწვანე ალმასის“ ერთ-ერთი ბინიდან. წყარო: კვლევის ანგარიში „დიდმის ჭალები ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე - არსებული მდგომარეობა და პრობლემიდან გამოსავალი“.

პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა მტკვრის დაბინძურებაც, რადგანაც საწარმოო პროცესებში გამოყენებული წყალი ყოველგვარი ფილტრაციის გარეშე პირდაპირ მდინარეს უერთდებოდა (იხ. ფოტო 3.11).⁴⁰



ფოტო 3.9. მტვერში გახვეული ოლიმპიური სოფელი. წყარო: კვლევის ანგარიში „დიდმის ჭალები ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე - არსებული მდგომარეობა და პრობლემიდან გამოსავალი“.

⁴⁰ ხვედელიძე, მ., & ტრაპაიძე, ა. (2021). კვლევის ანგარიში: [დიდმის ჭალები ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე - არსებული მდგომარეობა და პრობლემიდან გამოსავალი](#). ღია საზოგადოების ფონდი.



ფოტო 3.10. დაბინძურებული ოლიმპიური აუზი.
წყარო: კვლევის ანგარიში „დიდმის ქალები
ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე - არსებული
მდგომარეობა და პრობლემიდან გამოსავალი“.



ფოტო 3.11. საწარმოდან მტკვარში
ჩამავალი დაბინძურებული წყალი
წყარო: კვლევის ანგარიში „დიდმის
ქალები ეკოლოგიური კატასტროფის
წინაშე - არსებული მდგომარეობა და
პრობლემიდან გამოსავალი“.

ქვიშა-ხრემის მოპოვების ლიცენზია და მასთან დაკავშირებული საეჭვო გარემოებები

დიდმის ქალებში ქვიშა-ხრემს კომპანია „იბერია-მშენი“ შპს „გრავიზე“ გაცემული ლიცენზიის ფარგლებში მოიპოვებს.⁴¹ თუმცა, მოპოვებითი საქმიანობა უკანონოა, თუ რატომ, ქვემოთაა განხილული.

წიაღის ეროვნული სააგენტოსგან მიღებული წერილით ირკვევა, რომ #00275 ლიცენზია ჯერ კიდევ შპს „გრავის“ სახელზე ირიცხება და კომპანიას ლიცენზია გასხვისებული არ აქვს.⁴² სააგენტოს ცნობით, „გრავის“ კომპანია „იბერია-მშენისთვის“ 2014 წელს დადებული ხელშეკრულებით მიცემული აქვს ლიცენზიის ფარგლებში წიაღისეულით სარგებლობის უფლება. წიაღის ეროვნული სააგენტო განმარტავს, რომ „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად „წიაღის მოპოვება არის უშუალოდ ლიცენზიის მფლობელის ან დაქირავებული სუბიექტის მიერ ლიცენზიის მფლობელის სახსრებით განხორციელებული საბადოს დამუშავების შედეგად გარკვეული ოდენობის წიაღისეულის მოხმარება“. ამგვარად, კომპანია უფლებამოსილია ლიცენზიის გასხვისების გარეშე გადასცეს სხვა სუბიექტს

⁴¹ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის ირაკლი მუცნიაშვილის 2020 წლის 19 აგვისტოს წერილი მოქალაქე ანა ტრაპაიძეს

⁴² წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 19 მარტის #22/83 წერილი ააიპ „მწვანე ალტერნატივას“ აღმასრულებელ დირექტორს

მოპოვებითი სამუშაოების წარმოების უფლება, ანუ დაიქირავოს სხვა კომპანია, რომელიც წიაღს მისთვის მის ნაცვლად მოიპოვებს.

თუმცა, დადებულ ხელშეკრულებაში საყურადღებოა რამდენიმე ფაქტი. კერძოდ, შპს „იბერია-მშენსა“ და „გრავის“ შორის დადებულ ხელშეკრულებაში კომპანიები წარმოდგენილნი არიან არა როგორც „დამქირავებელი“ და „დაქირავებული“, არამედ, როგორც „მყიდველი“ და „გამყიდველი“. ამასთან, კომპანია „გრავის“ ქვიშა-ხრემის იმ დროისთვის არსებული მარაგი - 68 800 კუბური მეტრი - გაყიდული აქვს სრულად, რამაც „იბერია-მშენისგან“ აღებული აქვს 68 000 ლარი. გარდა ამისა, ხელშეკრულებაში მყიდველის ვალდებულებების ნაწილში ნათქვამია, რომ „იბერია-მშენი“ არის პასუხისმგებელი სალიცენზიო პირობების შესრულებაზე და ლიცენზიის პირობების დარღვევის შემთხვევაში დაკისრებული საჯარიმო სანქციების გადახდაზე.⁴³

ზემოაღნიშნული ფაქტები მოწმობენ, რომ „გრავისა“ და „იბერია-მშენს“ შორის დადებული ხელშეკრულება არის არა, უბრალოდ, მოპოვებითი სამუშაოების წარმოების უფლებამოსილების გადაცემის, არამედ, სწორედ, ლიცენზიის გასხვისების შეთანხმება. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონში მკაფიოდაა ნათქვამი, რომ დაქირავებული სუბიექტი ლიცენზიის მფლობელის სახსრებით ახორციელებს წიაღის მოპოვებას.⁴⁴ „გრავისა“ და „იბერია-მშენის“ შემთხვევაში კი, საქმე სხვაგვარადაა. კომპანია „გრავის“ ლიცენზიის ფარგლებში მოსაპოვებელი ქვიშა-ხრემის სანაცვლოდ, მყიდველისგან მიღებული აქვს შესაბამისი სოლიდური თანხა.

ამგვარად, გამოდის, რომ „იბერია-მშენს“ ლიცენზია გასხვისებული აქვს, ოდნოდ ისე, რომ ამ ფაქტისთვის დარქმეული არ აქვს შესაბამისი სახელი და აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული არ ჰყავს ლიცენზიის გამცემი ორგანო. შედეგად, წიაღის ეროვნული სააგენტოს წინაშე არ არის ანგარიშვალდებული კომპანია, რომელიც რეალურად მოიპოვებს წიაღისეულს ლიცენზიის ფარგლებში.

ლიცენზიების პირობების შესრულება და კანონდარღვრების კონტროლი

ყოველწლიური ანგარიშგება

#00275 ლიცენზიის მიღებიდან (2006 წლიდან) დღემდე 15 ყოველწლიური დაკვირვების ფორმა უნდა ყოფილიყო წარდგენილი შესაბამისი ორგანოსთვის. თუმცა, წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოგზავნილი წერილისა და მასალების მიხედვით,⁴⁵ შპს „გრავის“ შევსებული აქვს მხოლოდ 10 სტატისტიკური დაკვირვების ფორმა. ამასთან, სააგენტოს მიერ გამოგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ სტატისტიკური დაკვირვებების ფორმებში შეტანილ ციფრებში უზუსტობებია, რის გამოც, შეუძლებელია მოპოვებული ნედლეულის ზუსტი ოდენობის დადგენა. შევსებული ფორმების მიხედვით, 2019 წლის ჩათვლით მოპოვებულია 16 000 ან 12 000 კუბური მეტრი წიაღისეული.

მაგრამ, აქ კიდევ უფრო საყურადღებო სხვა გარემოებაა. ზემოთ უკვე განიმარტა, რომ კომპანია „გრავისა“ და „იბერია-მშენს“ შორის დადებული შეთანხმება, თავისი შინაარსით, წარმოადგენს #00275 ლიცენზიის გაყიდვის ხელშეკრულებას, თუმცა, ოფიციალურად აღნიშნული ლიცენზია

⁴³ შპს „გ.რ მოტორსის“ ქვიშა-ხრემის გადამამუშავებელი საწარმოს სკრინინგის ანგარიშის დანართი N1-3 “ხელშეკრულება”

⁴⁴ საქართველოს პარლამენტი. (1996 წლის 17 მაისი). საქართველოს კანონი „წიაღის შესახებ“. ხელმისაწვდომია „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე, სარეგისტრაციო კოდი: 380.000.000.05.001.000.140

⁴⁵ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 19 მარტის #22/83 წერილი „მწვანე ალტერნატივას“ აღმასრულებელ დირექტორს.

გასხვისებული არ არის და კვლავ „გრავის“ სახელზე ირიცხება. შესაბამისად, „გრავი“ ითვლება წიაღის ეროვნული სააგენტოს წინაშე ანგარიშვალდებულ ლიცენზიანტად. თუმცა, რეალურად, კომპანია „იბერია-მშენი“ უნდა იყოს პასუხისმგებელი ყველა იმ ვალდებულების შესრულებაზე, რომელიც კანონით წიაღის მოპოვების ლიცენზიანტს ეკისრება, მათ შორის, ყოველწლიური სტატისტიკური დაკვირვების ფორმების შევსებაზე.

ამასთან, „გრავის“ მიერ შევსებული ანგარიშგების ფორმების მიხედვით, კომპანიას 2015 წლის შემდეგ, #00275 ლიცენზიის ფარგლებში, დიდმის ჭალებში ქვიშა-ხრეში არ მოუპოვებია. თუმცა, „იბერია-მშენი“, ბოლო პერიოდში, ტერიტორიიდან აქტიურად მოიპოვებდა წიაღისეულს, რაც დადასტურდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის მიერ ჩატარებული ინსპექტირებისას.⁴⁶ დეპარტამენტის მონაცემებით, 2020 წლის აგვისტოში ჩატარებული შემოწმების მომენტისთვის, ტერიტორიაზე განთავსებული იყო 171 460 კუბური მეტრი ინერტული მასალა. აქედან, 122 670 კუბური მეტრი ქვიშა-ხრეში ეკუთვნოდა „იბერია-მშენს“, რომელსაც კომპანიის წარმომადგენლის თქმით, ნელლეული მოპოვებული ჰქონდა სალიცენზიო ფართობიდან. დარჩენილი რაოდენობა ეკუთვნოდა „იბერია-მშენის“ ორ მეგობარ კომპანიას („გ.რ მოტორსი“ და „ლიდერ-ბეტონი“, სამივე კომპანიას საერთო მესაკუთრე ჰყავს), რომელთაც, იმავე წარმომადგენლისვე მტკიცებით, მასალა შესყიდული ჰქონდათ. ამ შესყიდვების დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი გზდ-სთვის ინსპექტირების პროცესში წარმოდგენილი არ ყოფილა.

ამგვარად, გამოდის, რომ შპს „იბერია-მშენს“ მინიმუმ 122 670 კუბური მეტრი ქვიშა-ხრეში მოპოვებული აქვს ისე, რომ ამის შესახებ ინფორმირებული არ არის წიაღის ეროვნული სააგენტო. სანაცვლოდ, წიაღის ეროვნულ სააგენტოში შპს „გრავის“ წარდგენილი აქვს ცრუ ანგარიშები, რომელთა მიხედვით, ლიცენზიის ფარგლებში 2015 წლიდან ნელლეული მოპოვებული არ ყოფილა. ამასთან, „იბერია-მშენის“ მიერ მოპოვებული წიაღისეულის რაოდენობა - 122 670 კუბური მეტრი, მნიშვნელოვნად აღემატება ლიცენზიით განსაზღვრულ რაოდენობას - 68 800 კუბურ მეტრს (80 000–12 000 კუბური მეტრი). ამის მიუხედავად, წიაღისეულის უკანონოდ მოპოვებისათვის კომპანია სანქცირებული არ არის.

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ შპს „გრავის“ მტკიცებით, მას ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ლიცენზიის ფარგლებში ქვიშა-ხრეში არ მოუპოვებია, მაგრამ, რეალურად, შპს „იბერია-მშენმა“ ამ წლებში სულ მცირე 122 670 კუბური მეტრი ნელლეული მოიპოვა, გამოდის, რომ სახელმწიფომ დაკარგა მინიმუმ 20 000 ლარზე მეტი ოდენობის შემოსავალი, რომელიც ლიცენზიანტს მოსაკრებლის სახით უნდა გადაეხადა.

ანგარიშის წარუდგენლობაზე რეაგირება

შესაბამის ორგანოს (წიაღის ეროვნულ სააგენტოს) ანგარიშის უქონლობის ხუთი ფაქტიდან, მხოლოდ ერთი - 2018 წლის სტატისტიკური დაკვირვების ფორმის არქონა - აქვს გამოვლენილი; თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნული სამართალდარღვევისთვის დააჯარიმა „გრავი“ - კომპანია, რომელიც რეალურად არ არის სამართალდარღვევაზე პასუხისმგებელი, რადგანაც ლიცენზია აქვს გასხვისებული.

⁴⁶ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის ირაკლი მუკნიაშვილის 2020 წლის 19 აგვისტოს წერილი მოქალაქე ანა ტრაპაიძეს.

სალიცენზიო პირობების ადგილზე კონტროლი

წიაღის ეროვნული სააგენტო

ადგილზე #00275 ლიცენზიის პირობების შესრულება წიაღის ეროვნულ სააგენტოს არცერთხელ არ აქვს შემოწმებული.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა, დიდმის ქალების სამეზობლო თემის განცხადებისა და სატელეფონო შეტყობინების საფუძველზე, 2020 წლის აგვისტოში დიდმის ქალების ტერიტორია დაათვალიერა. როგორც უკვე აღინიშნა, დეპარტამენტმა გამოავლინა სამი კომპანია („იბერია-მშენი“, „გ.რ მოტორსი“ და „ლიდერ-ბეტონი“), რომელთაც ტერიტორიაზე დასაწყობებული ჰქონდათ დიდი რაოდენობით ინერტული მასალა.

გარდა ამისა, დეპარტამენტმა აღმოაჩინა, რომ დიდმის ქალების სამ უბანზე ქვიშა-ხრეში მოპოვებული იყო უკანონოდ, სათანადო ლიცენზიის გარეშე. ჯამში, სამივე უბანზე ულიცენზიოდ მოპოვებული ნედლეული შეადგენდა 175 421 კუბურ მეტრს, ხოლო ზიანი - 176 021 ლარს. გზდ-მ სამართალდამრღვევი პირები ვერ გამოავლინა და მასალები შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეგზავნა გამოსადიებლად.

აქ ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ეს სამი უბანი გრუნტის სამანქანო გზით, სწორედ, იმ ტერიტორიას უკავშირდება, სადაც კომპანიებს ინერტული მასალა აქვთ დასაწყობებული. თუმცა, იმის ეჭვი, ხომ არ წარმოადგენს უკანონოდ მოპოვებული წიაღისეული მშპს „გ.რ მოტორსისა“ და „ლიდერ-ბეტონის“ მიერ დასაწყობებულ ინერტულ მასალას, დეპარტამენტს არ გასჩენია და არც ქალების შედარებითი ანალიზი ჩაუტარებია ამის დასადგენად.

გადამამუშავებელი საქმიანობები

მოპოვებით სამუშაოებთან ერთად, დიდმის ქალების ტერიტორიაზე უკანონო გადამამუშავებელი საქმიანობებიც აქტიურად მიმდინარეობდა. ქალების მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე, შესაბამისი ნებართვების გარეშე, ფუნქციონირებდა მშპს „ლიდერ-ბეტონის“ ბეტონის საწარმო, „გ.რ მოტორსის“ ინერტული მასალის გადამამუშავებელი საწარმო და „რეზა ბლოკის“ სამშენებლო ბლოკის დამამზადებელი ცეხი.⁴⁷

გზდ-მ, დათვალიერებისას, აღმოაჩინა, რომ „ლიდერ-ბეტონსა“ და „რეზა-ბლოკს“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არ ჰქონდათ შეთანხმებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა ტექნიკური ანგარიშები.⁴⁸ ვინაიდან, არცერთი საქმიანობა არ ექვემდებარებოდა გზშ-ის პროცედურას, ორივე საწარმო ვალდებული იყო ჩაეტარებინა ტექნიკური ინვენტარიზაცია და შეეთანხმებინა მისი შედეგები სამინისტროსთვის. ამგვარად, ორივე საქმიანობა იყო უკანონო.

⁴⁷ ხვედელიძე, მ., & ტრაპაიძე, ა. (2021). კვლევის ანგარიში: [დიდმის ქალები ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე - არსებული მდგომარეობა და პრობლემიდან გამოსავალი](#). ღია საზოგადოების ფონდი.

⁴⁸ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის ირაკლი მუკნიაშვილის 2020 წლის 19 აგვისტოს წერილი მოქალაქე ანა ტრაპაიძეს

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დიდმის ქალების სამეზობლო თემს „გ.რ მოტორსისა“ და „ლიდერ ბეტონის“ ტექნიკური ანგარიშები გაუგზავნა მას შემდეგ, რაც გზდ-მ მათი საქმიანობა შეამოწმა და დარღვევები გამოავლინა; „ლიდერ ბეტონის“ საწარმოს ტექნიკური ანგარიში⁴⁹ სამინისტროსთან შეთანხმებული იყო მხოლოდ 2020 წლის 13 აგვისტოს, ანუ ჩატარებული დათვალიერების შემდეგ, ხოლო „გ.რ მოტორსის“ ანგარიშზე⁵⁰ არც ზუსტი თარიღი და არც შესაბამისი პირების ხელმოწერები დატანილი არ იყო.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სამსახურმა ზემოხსენებულ მუნიციპალურ ნაკვეთზე განხორციელებული მშენებლობები უნებართვოდ ნაწარმოებ მშენებლობებად სცნო და განხორციელებული მშენებლობების კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მერიისთვის წარდგენის ან, სხვა შემთხვევაში, მათი დემონტაჟის ბრძანება გასცა.⁵¹

დიდმის ქალების სამეზობლო თემის სამართლებრივი ბრძოლის, საჩივრებისა და სარჩელების პასუხად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრისა და მისი მოადგილის ბრძანებით, 2021 წლის თებერვალში გაუქმდა, როგორც „გ.რ. მოტორსის“ ქვა-ღორღის გადამამუშავებელი საწარმოს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომლითაც საქმიანობა სამინისტრომ გაათავისუფლა გზშ-ის პროცედურისგან, ისე „ლიდერ ბეტონის“ ტექნიკური ანგარიშის შეთანხმება სამინისტროსთან. სამინისტროს გადაწყვეტილებით, საწარმოებს ოფიციალურად აკრძალათ გადამამუშავებელი დანადგარების გამოყენება. ამასთან, თბილისის მერიის მუნიციპალურმა ინსპექციამ საწარმოებს დაავალა მათი კუთვნილი ობიექტების დემონტაჟი.

დღეს არსებული მდგომარეობა დიდმის ქალებში

მიუხედავად იმისა, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გადამამუშავებელი საქმიანობები უკანონოდ სცნო, მუნიციპალურმა ინსპექციამ კი, უნებართვოდ აშენებული ნაგებობების დემონტაჟის ბრძანება გასცა, დიდმის ქალების სამეზობლო თემის წევრებმა, 2021 წლის თებერვლის შემდეგ, საწარმოების უკანონოდ ფუნქციონირების არაერთი ფაქტი დააფიქსირეს⁵², მათ შორის, ღამის საათებში, ე.წ „კომენდანტის საათის“ მოქმედების პერიოდში.

უკანონოდ აშენებული ობიექტების დემონტაჟი დღემდე არ განხორციელებულა.

რაც შეეხება ზემოთ ხსენებული კომპანიების მიერ დიდმის ქალების ტერიტორიაზე უკანონოდ მოპოვებულ და დასაწყობებულ ქვიშა-ხრეშს, ნედლეულის ძირითადი ნაწილი - დაახლოებით 90% - ტერიტორიიდან უკვე გატანილი და რეალიზებულია, თანაც ისე, რომ სახელმწიფოს აქედან არანაირი შემოსავალი არ მიუღია.

⁴⁹ შპს „ლიდერ-ბეტონის“ სამშენებლო მასალების წარმოება-ბეტონის წარმოების ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში. (2020 წლის 13 აგვისტო)

⁵⁰ შპს „გ.რ. მოტორსის“ ინერტული მასალების გადამამუშავებელი საწარმოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში. (2020 წელი)

⁵¹ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური სამსახურის მუნიციპალური ინსპექცია-ინსპექტირებისა და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ტერიტორიის დაცვის სამმართველოს უფროსის ზურაბ მამსიკაშვილის #17-0120261846 წერილი.

⁵² დიდმის ქალების სამეზობლო თემის Facebook გვერდი - „დიდმის ქალები - Dighomi Meadows“.


4. ქვიშა-ხრეშის მოპოვება მდინარე რიონზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტში

ავტორი: მარიამ ხვედელიძე

მდინარე რიონი და მისი მნიშვნელობა

მდინარე რიონის ხეობა (იხ. რუკა 4.1) ქვიშა-ხრეშის მოპოვების ლიცენზიებით საკმაოდ დატვირთული არეალია. დღესდღეობით, მდინარის მთელ სიგრძეზე ქვიშა-ხრეშის მოპოვების 97 ლიცენზიაა გაცემული, მათგან უდიდესი ნაწილი (21 ლიცენზია) გაცემულია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (იხ. რუკა 4.2).⁵³

რიონი ჰიდროენერგეტიკური რესურსების თვალსაზრისითაც საკმაოდ ათვისებული მდინარეა და მასზე ოთხი ჰესი ფუნქციონირებს: რიონჰესი, გუმათჰესი 1, გუმათჰესი 2 და ვარციხეჰესი. რიონზე დაგეგმილია, ასევე, ონისა და ნამახვანის ჰესების კასკადების მშენებლობა. ჰესებს ვხვდებით რიონის შენაკადებზეც, მათ შორისაა: ლაჯანურჰესი, შაორჰესი, ტყიბულჰესი.



რუკა 4.1. მდინარე რიონის კალაპოტი წყარო: საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი

რიონის მიმართ არსებული ეკონომიკური ინტერესების პარალელურად, აღსანიშნავია მდინარის უნიკალური მნიშვნელობა ეკოლოგიური თვალსაზრისით. მდინარე რიონი მაღალი

⁵³ მწვანე ალტერნატივა, 2021. [სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების რეესტრი](#), 2021 წლის 25 ოქტომბრის მდგომარეობით.

კონსერვაციული ღირებულების მქონე ჰაბიტატია, რადგანაც მას გააჩნია განსაკუთრებული ეროვნული, რეგიონული და გლობალური მნიშვნელობა ზუთხისებრთა გადარჩენის, დაცვისა და მათი სიცოცხლისუნარიანი პოპულაციების აღდგენისთვის.

ზუთხისებრნი პლანეტის უძველესი ბინადრები არიან; ისინი 245 მილიონამდე წლის წინ გაჩნდნენ და დღემდე მოაღწიეს. თუმცა, დღესდღეობით, ზუთხისებრთა თითქმის ყველა სახეობა გადაშენების საფრთხის წინაშეა ინტენსიური მოპოვებისა და ჰაბიტატების განადგურების გამო. ზუთხისებრთა სახეობების შემცირების უმთავრესი მიზეზები წყალსაცავებისა და კაშხლების მშენებლობა, ჰაბიტატების ფრაგმენტაცია და სატოფე (საქვირითე) ადგილების განადგურება და ბრაკონიერებობაა.



რუკა 4.2. სამტრედიის მუნიციპალიტეტში გაცემული ქვიშა-ხრემის ლიცენზიები. წყარო: საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი

ზუთხისებრთა სახეობების გასამრავლებლად საჭირო ბუნებრივი სატოფო არეალი საკმაოდ შეზღუდულია. რიონი ერთ-ერთია მსოფლიოს იმ რამდენიმე მდინარიდან, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია ზუთხისებრთა სატოფო ადგილები და, შესაბამისად, ჯერ კიდევ ხდება მათი ბუნებრივ გარემოში გამრავლება. უფრო მეტიც, ამჟამად, შავი ზღვის აუზის მხოლოდ ორ მდინარეში – რიონსა და დუნაიში ხდება ზუთხისებრთა ბუნებრივი გზით აღწარმოება ევროპის კონტინენტზე.⁵⁴

ზუთხისებრთა დაცვის ვალდებულება და მათი ბოლო თავშესაფარი საქართველოში

⁵⁴ველური ბუნება, 2020 წლის 27 ივლისი. [კოლხური ზუთხი](#).

ზუთხისებრთა კონსერვაციის პან-ევროპული სამოქმედო გეგმა

2018 წელს, ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის (ბერნის კონვენცია) მუდმივმოქმედმა კომიტეტმა მიიღო ზუთხისებრთა კონსერვაციის პან-ევროპული სამოქმედო გეგმა (Pan European Action Plan for Sturgeons).⁵⁵ დოკუმენტი ზუთხისებრთა კონსერვაციის მსოფლიო საზოგადოებისა (The World Sturgeon Conservation Society) და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (World Wildlife Fund, WWF) ინიცირებითა და ჩართულობით მომზადდა.

სამოქმედო გეგმა ფარავს ზუთხისებრთა 8 ევროპულ სახეობას, რომელთაგანაც შვიდი ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის (IUCN) წითელ ნუსხაშია შესული, როგორც გადაშენების კრიტიკული საფრთხის წინაშე მყოფი სახეობა. დოკუმენტი მიზნად ისახავს ევროპაში უკანასკნელი ზუთხისებრების შენარჩუნებას და მათი ჰაბიტატების დაცვა/აღდგენას. სამოქმედო გეგმა გვთავაზობს მყისიერად გასატარებელ ღონისძიებებს ზუთხისებრთა არსებული პოპულაციების შესანარჩუნებლად და მათთვის ხელსაყრელი ჰაბიტატების და საიმპროგრაციო კორიდორების საიდენტიფიკაციოდ და დასაცავად.

გამომდინარე იქიდან, რომ ზუთხები მუდმივად იცვლიან საცხოვრებელ ჰაბიტატებს, მიგრირებენ მდინარეებს და ზღვებს შორის და კვეთენ სხვადასხვა ქვეყნების ეროვნულ საზღვრებს, ევროპაში მათი დაცვა და აღდგენა შესაძლოა არა ერთი კონკრეტული სახელმწიფოს, არამედ ყველა ევროპული სახელმწიფოს თანამშრომლობის გზით და ერთობლივი ძალისხმევით.⁵⁶

ზუთხისებრთა დაცვის სამოქმედო გეგმა აერთიანებს ბერნის კონვენციის ყველა ხელმომწერ მხარეს (51 სახელმწიფოს), თუმცა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმ ქვეყნებს ანიჭებს, რომლებიც ზუთხისებრთა ჰაბიტატებს მოიცავენ.

2019 წელს, ევროკომისიამ და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ექსპერტებმა, ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივის ფარგლებში, აღიარეს პან-ევროპული სამოქმედო გეგმის მნიშვნელობა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ზუთხისებრების შესანარჩუნებლად და მოუწოდეს სახელმწიფოებს მისი განხორციელებისკენ.⁵⁷

ზუთხისებრთა კონსერვაციის პან-ევროპული სამოქმედო გეგმის შესრულებისა და ზუთხის სახეობების დაცვაზე ზრუნვის ვალდებულება საქართველოსაც გააჩნია, როგორც ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით, ისე ბერნის კონვენციის წევრობით ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე.


⁵⁵ The World Sturgeon Conservation & WWF. 2018, November 30. [Pan-European Action Plan for Sturgeons](#).

⁵⁶ WWF&WSCS. [Saving Europe's Sturgeons](#).

⁵⁷ WWF. 2019, May 22. [Big boost for endangered European sturgeons](#).

ამასთან, საქართველოში გავრცელებული ზუთხისებრთა ექვსივე სახეობა (იხ. გამოსახულება 4.1) შესულია, როგორც ეროვნულ წითელ ნუსხაში, ისე საერთაშორისო წითელ ნუსხაში (IUCN-ის წითელი ნუსხა). ამ უკანასკნელის მიხედვით, საქართველოში გავრცელებული ყველა სახეობა გლობალურად გადაშენების უკიდურესი საფრთხის ქვეშ იმყოფება.⁵⁸

ზუთხისებრთა კონსერვაციის სხვადასხვა ასპექტები ბერნის კონვენციასთან ერთად, ასახულია საქართველოს მიერ რატიფიცირებულ არაერთ საერთაშორისო აქტში, მათ შორისაა - CITES-ის კონვენცია, ბონის კონვენცია, დეკლარაცია შავი ზღვის შესახებ და ა.შ.⁵⁹ ზუთხისებრთა სახეობების კონსერვაცია და კონსერვაციის მენეჯმენტის გეგმის შექმნა და დანერგვა “2014-2020 წ.წ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმის” ეროვნულ მიზანსაც წარმოადგენს.⁶⁰



გამოსახულება 4.1. საქართველოში გავრცელებული ზუთხისებრთა სახეობები. წყარო: ჟურნალი „ველური ბუნება“.

რიონი - ზუთხისებრთა ბოლო თავშესაფარი საქართველოში

ზუთხისებრთა სატოფე არეალები საქართველოში ისტორიულად განლაგებული იყო მდინარე რიონში, ენგურსა და ცხენისწყალში. რიონში სატოფე არეალი საჯავახო-სამტრედიის სარკინიგზო ხიდიდან ქუთაისამდე გრძელდებოდა და მისი სიგრძე 57 კმ-ს, ფართობი კი 200 ჰექტარს შეადგენდა (იხ. დიაგრამა 4.1).

⁵⁸ველური ბუნება, 2020 წლის 27 ივლისი. [კოლხური ზუთხი](#).


⁵⁹ არჩილ გუჩმაიძე, 2012. საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ზუთხისებრნი, გენეზისი, ტაქსონომიური შემადგენლობა, ბიოეკოლოგია, ოტოლითების აგებულება და კონსერვაცია. ბათუმი

⁶⁰ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 მაისის დადგენილება №343 "2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ". ხელმისაწვდომია „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე, სარეგისტრაციო კოდი: [340170000.10.003.017963](#)

დღეს, კაშხლების მშენებლობის შედეგად, სატოფე არეალები შემორჩენილია მხოლოდ რიონში, 9 კმ-იან (ძველი მონაკვეთის 16%) მონაკვეთზე, სოფელ ახალსოფლიდან ვარციხეჰესის სადერივაციო არხის შესართავამდე (იხ. რუკა 4.3).⁶¹

WWF და რიონის დაცული ტერიტორია

გლობალურ დონეზე ზუთხისებრთა შენარჩუნებასა და დაცვაზე აქტიურად მუშაობს ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი - WWF. როგორც უკვე ვახსენეთ, სწორედ ეს ორგანიზაციაა ზუთხისებრთა კონსერვაციის პან-ევროპული სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ინიციატორი და ავტორი. ორგანიზაცია პან-ევროპული სტრატეგიის განხორციელების ფასილიტაციას ახდენს და სხვადასხვა რეგიონებში ახორციელებს ზუთხისებრთა კონსერვაციულ ღონისძიებებს. ზუთხისებრთა კონსერვაციის თვალსაზრისით, WWF-ის საქმიანობაში მდინარე რიონს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.




დიაგრამა 4.1. სატოფე უბნები 1922 და 2011 წლებში. წყარო: არჩილ გუჩმანიძე, 2012. სადისერტაციო ნაშრომი.

WWF-ის კავკასიის ოფისი, WWF შვეიცარიის ფინანსური მხარდაჭერით და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით, ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია საქართველოში გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ზუთხისებრთა სახეობების კონსერვაციის გაძლიერება. პროექტის პირველი ფაზა რიონზე და მისი შესართავის მიმდებარე საზღვაო აკვატორიაში ახალი დაცული ტერიტორიების შექმნაა.⁶²

⁶¹ არჩილ გუჩმანიძე, 2012. საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ზუთხისებრნი, გენეზისი, ტაქსონომიური შემადგენლობა, ბიოეკოლოგია, ოტოლითების აგებულება და კონსერვაცია. ბათუმი

⁶² ველური ბუნება, 2020 წლის 27 ივლისი. [კოლხური ზუთხი](#).



რუკა 4.3. 9კმ-იანი სატოფე უბანი მდ. რიონში. წყარო: არჩილ გუჩმაიძე, 2012. სადისერტაციო ნაშრომი.

თავდაპირველად, ზუთხისებრთათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ჰაბიტატის დასაცავად, WWF გეგმავდა რიონის დაცული ტერიტორიის შექმნას მდინარის 100 კმ-იან მონაკვეთზე, ვარციხეჰესის სადერივაციო მილის დასასრულიდან რიონის ზღვასთან შესართავამდე. თუმცა, ორგანიზაცია იძულებული გახდა აღნიშნულ გეგმაზე უარი ეთქვა, რადგანაც სახელმწიფოს ამ ტერიტორიის მიმართ სხვა ინტერესები გააჩნდა;⁶³ აღნიშნულ საკითხზე ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება საუბარი.


WWF-ის მიერ მომზადებული კანონპროექტი „რიონის აღკვეთილის შექმნისა და მართვის შესახებ“ 2018 წლის სექტემბერში საჯაროდ გამოქვეყნდა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე.⁶⁴ პროექტი⁶⁵ ითვალისწინებს აღკვეთილის შექმნას სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, 624 ჰექტარზე. გეგმარებითი აღკვეთილის ტერიტორია მოიცავს ზუთხისებრთა უკანასკნელი სატოფო არეალის 9 კილომეტრიან მონაკვეთს რიონზე (იხ. რუკა 4.4).

მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტი რიონის აღკვეთილის შექმნის შესახებ ჯერ კიდევ სამი წლის წინ, 2018 წელს მომზადდა და საჯაროდაც გამოქვეყნდა შენიშვნებისა და კომენტარებისთვის, კანონი დღემდე არ არის მიღებული. WWF კავკასიის პროგრამის ოფისის მიერ გამართულ დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრაზე, ორგანიზაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რაც სახელმწიფოს მხრიდან კანონპროექტის მიღებას აფერხებს, ტერიტორიის მიმართ არსებული ეკონომიკური ინტერესებია.

⁶³ WWF კავკასიის პროგრამის ოფისი. 2021 წლის 27 აპრილი. დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრა - ზუთხისებრთა კონსერვაციის გაძლიერება საქართველოში

⁶⁴ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, 2018 წლის 3 სექტემბერი. [სიახლოები: საქართველოს კანონის პროექტი „რიონის აღკვეთილის შექმნისა და მართვის შესახებ“ და მასი თანმდევი „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე](#)

⁶⁵ საქართველოს კანონის პროექტი ["რიონის აღკვეთილის შექმნისა და მართვის შესახებ"](#).



რუკა 4.4. რიონის გეგმარებითი ალკვეთილის საზღვრები
წყარო: კანონპროექტი რიონის ალკვეთილის შექმნისა და მართვის შესახებ

როგორც უკვე აღინიშნა, მდინარე რიონიდან აქტიურად მოიპოვებენ ქვიშა-ხრემს. რიონის 100 კმ-იან მონაკვეთზე, რომლის დაცვაც WWF-ს თავდაპირველად მთლიანად სურდა, კანონპროექტზე მუშაობის პროცესში ქვიშა-ხრემის მოპოვების 25 ლიცენზია მოქმედებდა. სწორედ, ეს გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ დაცული ტერიტორიის ამ ვარიანტზე უარი ითქვა. თუმცა, როგორც ჩანს, ქვიშა-ხრემის მოპოვება ბევრად შემცირებული ფართობის დაცული ტერიტორიის დაარსებასაც უშლის ხელს; ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მესამე წელია, რიონის ალკვეთილის დაარსების შესახებ კანონპროექტის მიღების პროცესი შეჩერებულია.

ამასთან, კანონპროექტში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მოთხოვნის გათვალისწინებით, შევიდა შემდეგი დებულება - „ ეს კანონი არ ვრცელდება რიონის ალკვეთილის ამ კანონით დადგენილი საზღვრების ფარგლებში ამ კანონის ამოქმედებამდე არსებულ: ბ) სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე“.⁶⁶

ეს ნიშნავს, რომ რიონის ალკვეთილის შექმნის შემდეგ, ალკვეთილის ტერიტორიაზე მოქმედებაში დარჩება ქვიშა-ხრემის მოპოვების დღეს მოქმედი ლიცენზიები და მათი ვადის გასვლამდე შესაძლებელი იქნება ზუთხისებრთა უკანასკნელ სატოფე არეალზე, დაცული ტერიტორიის ფარგლებში სამშენებლო მასალების მოპოვება დია კარიერული წესით. ეს, რა თქმა უნდა, საფრთხეს შეუქმნის ტერიტორიის საკონსერვაციო სტატუსს და ეწინააღმდეგება ამ არეალზე დაცული ტერიტორიის შექმნის მიზანს.

⁶⁶ საქართველოს კანონის პროექტი "[რიონის ალკვეთილის შექმნისა და მართვის შესახებ](#)". მე-5 მუხლი.

ქვიშა-ხრემის მოპოვების ზემოქმედება ადგილობრივ გარემოზე და ზუთხისებრთა ჰაბიტატზე

ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობაზე

რიონის გეგმარებითი ადკვეთილის ფარგლებში გაცემულ ქვიშა-ხრემის ლიცენზიებთან ყველაზე ახლოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ახალსოფელი მდებარეობს. სოფელი 500-600 მეტრითაა დაშორებული სალიცენზიო ტერიტორიებთან, თუმცა, სოფლის მოსახლეობაზე წიაღით სარგებლობა უარყოფით ზემოქმედებას არ ახდენს; მდინარე რიონსა და ახალსოფელს შორის თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალი გადის, რის გამოც, ახალსოფლის მოსახლეობა მოწყვეტილია მდინარეს. მოსახლეობას არც ხეობიდან ქვიშა-ხრემის ტრანსპორტირება აწუხებს, რადგანაც ნედლეულის გადასაზიდად მაგისტრალი გამოიყენება.

2021 წლის ივნისში, სოფელში სავლელე გასვლისას ჩატარებული გამოკითხვის დროს, ადგილობრივების ძირითადმა ნაწილმა განაცხადა, რომ არ ჰქონდა ინფორმაცია სოფლის ტერიტორიაზე ქვიშა-ხრემის მოპოვების შესახებ; მხოლოდ გამოკითხულთა მცირე ნაწილი ფლობდა აღნიშნულ ინფორმაციას. ადგილობრივებმა განაცხადეს, რომ ამ ტერიტორიაზე მოპოვებული ქვიშა-ხრემი მაგისტრალის მშენებლობაზე გამოიყენებოდა, მშენებლობის დასრულების შემდგომ კი, სამშენებლო მასალების მოპოვება აღარ განახლებულა.

ზემოქმედება მდინარის ეკოსისტემაზე და ზუთხისებრთა სატოფო არეალზე

როგორც აღინიშნა, ზუთხისებრთა საცხოვრებელი ჰაბიტატების რაოდენობა დღეს მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვნად შეზღუდულია. ეს განპირობებულია მათი უკიდურესი მოწყვლადობით გარემო ფაქტორების მიმართ, იქნება ეს - ჰესების მშენებლობა და ოპერირება, დაბინძურება, უკანონო და ირაციონალური თევზჭერა თუ ინერტული მასალის მოპოვება.

მდინარის კალაპოტიდან და ნაპირებიდან ქვიშა-ხრემის მოპოვება, რაც მდინარე რიონის სატოფო არეალის ფარგლებშიც ხდება, ძლიერ უარყოფით როლს თამაშობს მდინარის ეკოსისტემის რღვევაში და ჰაბიტატის იმ მახასიათებლების კარგვაში, რომლებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ იქთიოფაუნის, განსაკუთრებით კი, ზუთხისებრთა პოპულაციების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაში.

მდინარიდან და მისი ნაპირებიდან ქვიშა-ხრემის მოპოვება სხვადასხვა სახის უარყოფით ზეგავლენას ახდენს მდინარის ეკოსისტემის სიჯანსაღეზე. ღია კარიერულმა სამუშაოებმა შესაძლოა გამოიწვიოს: ნაპირების ეროზია და კალაპოტის გაფართოება, ამის შედეგად კი მდინარეში წყლის დონის შემცირება; წყლის ამღვრევა და დაბინძურება; სელიმენტების (ნატანის) შემადგენლობის ცვლილება, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს წყლის ბიომრავალფეროვნებაზე; ჩამონატანის რაოდენობრივი შემცირება; მტვრისა და ხმაურის დონის ზრდა; მიწისქვეშა წყლების დაბინძურება, რომლითაც მდინარე საზრდოობს; მდინარის

ნუტრიენტებით სიმდიდრის გაზრდა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ევტროფიკაცია და წყალმცენარეების უკონტროლო ზრდა.

ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორი საფრთხეს უქმნის ზუთხის სახეობების საცხოვრებელ ჰაბიტატებს, განსაკუთრებით კი, გამრავლებისთვის ხელსაყრელი გარემო-პირობების არსებობას. ზრდასრულ ზუთხისებრთა დიდი ზომიდან გამომდინარე, მათ ესაჭიროებათ ღრმა წყალი და დიდი სივრცე ცურვისათვის. მდინარეში ბუნებრივი ჰიდროლოგიური პირობების კარგვამ - წყლის დაბინძურებამ და ამღვრევამ, მდინარის კალაპოტის გაფართოებამ, წყლის სიჩქარისა თუ ტემპერატურის ცვლილებამ და ტოფობისთვის ხელსაყრელი კენჭოვანი გრუნტის ფსკერის კარგვამ შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ზუთხისებრთა სატოფო გარემოზე, ქვირითის ფიზიოლოგიასა და ნაყოფიერებაზე, ემბრიონის განვითარებაზე და ზუთხთათვის შესაფერისი საკვების სიმრავლეზე.⁶⁷

ზუთხისებრთა სატოფო არეალზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესამსუბუქებლად გასათვალისწინებელი საკითხები

1. მოსალოდნელი ზიანის წინასწარ განსაზღვრა

ყველა ზემოთჩამოთვლილი ფაქტორის წინასწარ გათვალისწინება აუცილებელია ნებისმიერი სახის მოპოვებითი საქმიანობის დაწყებამდე ზუთხისებრთათვის ისეთი მნიშვნელოვანი ჰაბიტატის ფარგლებში, როგორცაა საქვირითე უბანი.

თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში ქვიშა-ხრემის მოპოვება (თუ სალიცენზიო ტერიტორიის ფართობი არ აღემატება 25 ჰექტარს) არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, ქვიშა-ხრემის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად კომპანიას არ ესაჭიროება მოპოვებითი საქმიანობის შედეგად მოსალოდნელი ზიანის წინასწარ განსაზღვრა და შეფასება.⁶⁸ 25 ჰექტარზე ნაკლები ფართობის ტერიტორიაზე ქვიშა-ხრემის ლიცენზიის მისაღებად საჭიროა მხოლოდ გეოსაინფორმაციო პაკეტის მომზადება, რომელიც მოიცავს წიაღით სარგებლობისათვის ოპტიმალური ტერიტორიის მონახვას (სამთო და მიწის მინაკუთვნი), შესაბამის ტოპოგრაფიულ რუკას და სალიცენზიო ობიექტთან დაკავშირებულ საინფორმაციო პაკეტს, რომელიც შეიცავს საინჟინრო-გეოლოგიურ დასკვნას, ინფორმაციას წიაღით სარგებლობის რაოდენობრივ, თვისობრივ და დროში განსაზღვრულ მახასიათებლებთან დაკავშირებით.⁶⁹

⁶⁷ WWF. 2016. *SAVING STURGEONS - A global report on their status and suggested conservation strategy.*

⁶⁸ საქართველოს კანონი "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი". დანართი I, პუნქტი 26; დანართი II, პუნქტი 2.1. ხელმისაწვდომია „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე, სარეგისტრაციო კოდი: [360160000.05.001.018492](https://www.gov.ge/portal/gov.ge/doc/360160000.05.001.018492)

⁶⁹ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს დადგენილება №136 „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. ხელმისაწვდომია „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე, სარეგისტრაციო კოდი: [380.050.000.10.003.000.270](https://www.gov.ge/portal/gov.ge/doc/380.050.000.10.003.000.270)

იმის გათვალისწინებით, რომ 25 ჰექტარზე მეტი ფართობის ტერიტორიაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვების ლიცენზია ძალიან იშვიათად გაცივმა, გამოდის, რომ თითქმის არასდროს ფასდება პოტენციური ზემოქმედება გარემოზე, შესაბამისად, არ შეისწავლება სალიცენზიო არის მნიშვნელობა ეკოლოგიური თუ კონსერვაციული თვალსაზრისით და ის საფრთხეები, რომლებიც მოპოვებითი სამუშაოების შედეგად შეიძლება დაემუქროს სალიცენზიო ტერიტორიაზე თუ მის მიმდებარედ არსებულ ეკოსისტემასა და ბიომრავალფეროვნებას.

გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება არც რიონის სატოფო უბნის ფარგლებში გაცემული ქვიშა-ხრეშის ლიცენზიების შემთხვევაში მომხდარა, რადგანაც ამ ტერიტორიაზე წარსულში თუ დღეს მოქმედი ყველა ლიცენზია 2018 წლამდე პერიოდში, ანუ ჯერ კიდევ მაშინ გაცივდა, როდესაც გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსი და გზმ-ის პროცედურა არ არსებობდა. თუმცა, ეს ლიცენზიები 2018 წლის შემდეგაც რომ გაცემულიყო, მათგან მხოლოდ ერთი, მპს „ჰეილონის“ ლიცენზია შესაძლოა დაქვემდებარებოდა გზმ-ის პროცედურას (რადგანაც მხოლოდ მისი ფართობია 25 ჰა-ზე მეტი).

2. ეკოლოგიური მდგომარეობის მონიტორინგი

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ასევე მონიტორინგის სისტემის არარსებობა. სალიცენზიო ტერიტორიის ეკოლოგიურ მდგომარეობას არც ლიცენზიანტი და არც ლიცენზიის გამცემი ორგანო არ აკონტროლებს. პერიოდული ზედამხედველობის დროს, რომელიც ისედაც ძალიან იშვიათად და, ხშირ შემთხვევაში, საერთოდ არ ტარდება, წიაღის ეროვნული სააგენტო მხოლოდ ლიცენზიის პირობების შესრულებას ამოწმებს და, ძირითადად, გეოლოგიური უსაფრთხოების თვალსაზრისით აფასებს ტერიტორიას.

3. მოსალოდნელი ზიანის პრევენცია

ქვიშა-ხრეშის ლიცენზიების გაცემისას, ლიცენზიის პირობებში არ ხდება ისეთი სპეციფიკური პირობებისა თუ შეზღუდვების შეტანა, რომლებიც სალიცენზიო ტერიტორიის ბიომრავალფეროვნების მაქსიმალურად დაცვას და ზიანის პრევენციასა თუ შერბილებას უზრუნველყოფს; ასეთი პირობა რიონის სატოფო უბნის შემთხვევაში შესაძლოა იყოს, მაგალითად, ზუთხის ადმასვლის დროს მოპოვებითი სამუშაოების შეწყვეტა ან შეზღუდვა.

4. ზიანის კომპენსაცია/გამოსწორება

კიდევ ერთი პრობლემატური საკითხია ის, რომ არ ხდება ბიომრავალფეროვნებისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია ან/და გამოსწორება. ლიცენზიის ვადის გასვლის შემდეგ, ლიცენზიანტი კომპანიას მხოლოდ ტერიტორიის რეკულტივაცია ევალება, თუმცა, გავრცელებული პრაქტიკით, რეკულტივაციაც მხოლოდ ტექნიკური ხასიათისაა; ლიცენზიანტი ღია კარიერებს ფუჭი ქანებით ავსებს და ტერიტორიას უბრალოდ ასწორებს. რაც შეეხება, მოპოვებითი სამუშაოების პროცესში ტერიტორიაზე გავრცელებული ბიომრავალფეროვნებისთვის მიყენებულ ზიანს, ამ სახის ზიანის დათვლა თუ ანაზღაურება საერთოდ არ ხდება.

ამ თავის შესავალ ნაწილში აღინიშნა, თუ როგორი მოწყვლადი შეიძლება იყოს ზუთხისებრთა სატოფო არეალი ქვიშა-ხრეშის მოპოვების მიმართ და რამდენად დიდი ზიანი შეიძლება მიაყენოს ამ საქმიანობამ მდინარეში ზუთხების ქვირითობისთვის ხელსაყრელი მახასიათებლებისა და გარემო-პირობების არსებობას.

ამის მიუხედავად, რიონის გეგმარებითი აღკვეთილის ტერიტორიაზე, ზუთხისებრთა კონსერვაციისთვის მსოფლიო მნიშვნელობის ჰაბიტატის ფარგლებში მოქმედი ლიცენზიები გაცემულია ჰაბიტატის მდგომარეობისა და მნიშვნელობის შეფასების, ყოველგვარი შემარბილებელი, საპრევენციო თუ საკომპენსაციო ღონისძიებების დაგეგმვის გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ რიონის გეგმარებითი აღკვეთილის შექმნა და ზუთხისებრთა სატოფე ჰაბიტატის შენარჩუნება მნიშვნელოვანია, როგორც ეროვნულ, ისე გლობალურ დონეზე და არამხოლოდ მნიშვნელოვანია, ამის ვალდებულება აქვს საქართველოს ადებული, ხელისუფლება დაცული ტერიტორიის შექმნის პროცესს აჭიანურებს; სასწორის მეორე მხარეს ეკონომიკური ინტერესები დევს. აქვე, ის ფაქტიც ყურადსაღებია, რომ რიონის აღკვეთილის კანონპროექტში შეტანილი დებულების (მუხლი 5) მიხედვით, ტერიტორიაზე აღკვეთილის შექმნის შემდეგაც დასაშვებია იქნება მოპოვებითი საქმიანობები კანონის მიღებამდე გაცემული ლიცენზიის ფარგლებში.

დღევანდელი მდგომარეობით, ტერიტორიაზე აქტიურია მხოლოდ ორი ლიცენზია, რომელთაც მოქმედების ვადა 2026 წელს გასდით. ამის გათვალისწინებით, ერთი შეხედვით საეჭვოა, რატომ აქვს სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესი რიონის იმ მონაკვეთის მიმართ, რომლისგანაც არც თუ ისე დიდ ფინანსურ სარგებელს იღებს. თუმცა, თუ იმ ფაქტს მივიღებთ მხედველობაში, რომ უცნობია, როდის იქნება მიღებული კანონპროექტი “რიონის აღკვეთილის შექმნისა და მართვის შესახებ”, დიდი ალბათობით, ტერიტორიაზე კიდევ გაიცემა ახალი ლიცენზიები, რომელთა ფარგლებშიც ქვიშა-ხრეშის მოპოვება აღკვეთილის შექმნის შემდეგაც გაგრძელდება. მოვლენათა განვითარების მსგავსი სცენარი, რა თქმა უნდა, არასასურველია და მომავალში უარყოფითად აისახება აღკვეთილის შექმნის კონსერვაციული მიზნის მიღწევაზე.

რიონის სატოფე უბნის მიმდებარე სალიცენზიო ტერიტორიების მდგომარეობა დღეს

რიონის გეგმარებითი აღკვეთილის ტერიტორიაზე ჩატარებული სავლე გასვლის მომენტში მოპოვებითი სამუშაოები არ მიმდინარეობდა. მდინარის ზედა ტერასის მხოლოდ ერთ უბანზე იდგა ხრეშის ამოღების პროცესში შეჩერებული ტრაქტორი (იხ. ფოტო 4.1), რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ მოპოვებითი საქმიანობა დათვალიერებამდე არც თუ ისე დიდი ხნით ადრე შეწყდა. ტერიტორიაზე დასაწყობებული არ ყოფილა მოპოვებული ქვიშა-ხრეში.

სალიცენზიო ტერიტორიების დათვალიერებისას, თვალთ ადვილად შესამჩნევი იყო დიად, რეკულტივაციის გარეშე დატოვებული ძველი, დაჭაობებული კარიერები (იხ. ფოტო 4.2). თუმცა, ვერსად შეხვდებოდით თუნდაც ერთ რეკულტივირებულ უბანს, მიუხედავად იმისა, რომ ლიცენზიების დიდი ნაწილი ტერიტორიაზე მოქმედი აღარ არის და, შესაბამისად, ყოფილ

ლიცენზიანტებს, კანონის შესაბამისად,⁷⁰ ეკისრებათ დეგრადირებული ტერიტორიების პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ვალდებულება. ასევე, არაერთ ადგილას იყო განთავსებული ფუჭ ქანებში შერეული, რეკულტივაციისთვის გაუვარგისებული ნიადაგის ფენები (იხ. ფოტო 4.3).



ფოტო 4.1. მარიამ ხვედელიძე, მაისი, 2021. რიონის მარჯვენა სანაპიროს ზედა ტერასა, ქვიშა-ხრეშის მოპოვების მომენტში გაჩერებული ტრაქტორი. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

ამასთან, რიონის ამ მონაკვეთში შეიმჩნეოდა ქვიშა-ხრეშის მოპოვების შედეგად ჩამოჭრილი მარჯვენა სანაპირო და გაფართოებული კალაპოტი (იხ. ფოტოები 4.4 და 4.5).

⁷⁰ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №424 „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. ხელმისაწვდომია „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე, სარეგისტრაციო კოდი: [300160070.10.003.017647](https://www.gov.ge/portal/gov.ge/doc/300160070.10.003.017647)



ფოტო 4.2. მარიამ ხვედელიძე, მაისი, 2021. ღიად, რეკულტივაციის გარეშე დატოვებული ძველი კარიერი, რომელიც დაბინძურებული წყლითაა სავსე. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.



ფოტო 4.3. მარიამ ხვედელიძე, მაისი, 2021. ფუჭ ქანებში შერეული ნიადაგის ფენები. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.



ფოტო 4.4. მარიამ ხვედელიძე, მაისი, 2021. მდინარის ჩამოჭრილი კალაპოტი. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.



ფოტო 4.5. მარიამ ხვედელიძე, მაისი, 2021. მდინარის ჩამოჭრილი კალაპოტი. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

რიონის გეგმარებითი აღკვეთილის ტერიტორიაზე გაცემული ლიცენზიების პირობების შესრულება და კანონდღსრულების კონტროლი

რიონის აღკვეთილის კანონპროექტზე მუშაობისას, გეგმარებითი დაცული ტერიტორიის ფარგლებში, რიონის 9 კმ-იან მონაკვეთზე, 5 კომპანიის 6 ლიცენზია მოქმედებდა (იხ. რუკა 4.5 და ცხრილი 4.1). მათგან სამ ლიცენზიას 2020 წელს გაუვიდა მოქმედების ვადა, ხოლო ერთს 2021 წლის 15 მარტს. შესაბამისად, ამჟამად ტერიტორიაზე მხოლოდ ორი მოქმედი ლიცენზიაა, რომელთაც ვადა 2026 წლამდე აქვთ.



რუკა 4.5. რიონის გეგმარებითი აღკვეთილის ფარგლებში გაცემული ქვიშა-ხრემის ლიცენზიები
წყარო: საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი

ცხრილი 4.1. რიონის გეგმარებითი აღკვეთილის ფარგლებში გაცემული ქვიშა-ხრემის ლიცენზიები.

კომპანია	ლიცენზია	ფართობი	მოქმედების პერიოდი
შპს „იბერი“	00506	11 ჰა	2007-2026
	1005125	1.5 ჰა	2017-2020
შპს „ბელ-გეგებელი“	1002099	3 ჰა	2014-2026
შპს „ინფრა კონსტრაქშენი“	1002910	9.06 ჰა	2015-2020
შპს „სამშენებლო კომპანია ალტჯე“	1003454	4.94 ჰა	2016-2021
შპს „ჰეილონი“	1003588	40.09 ჰა	2015-2020

აღნიშნულ ლიცენზიებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია იმ გარემოების ხაზგასმა, რომ ქვიშა-ხრეში აქტიურად მოიპოვებოდა მხოლოდ სამი ლიცენზიის ფარგლებში: კომპანია „იბერმა“ თითქმის სრულად მოიპოვა ქვიშა-ხრეში ორივე ლიცენზიით დადგენილი ოდენობა; თითქმის მთლიანად მოიპოვა ნედლეული კომპანიამაც „სამშენებლო კომპანია ალტჯე“, რომლის ლიცენზიასაც ვადა 2021 წლის მარტში გაუვიდა; შპს „ბელ-გეგბელმა“ შვიდი წლის განმავლობაში მოიპოვა მხოლოდ 3568 კუბური მეტრი ქვიშა-ხრეში; კომპანია „ინფრა-კონსტრაქშენმა“, რომლის ლიცენზიის ვადაც 2020 წელს ამოიწურა, დადგენილი ოდენობის მხოლოდ 30% მოიპოვა; ხოლო, შპს „ჰეილონის“ მიერ მოპოვებული ნედლეულის ოდენობა უცნობია, რადგანაც მას არცერთხელ არ აქვს შევსებული ანგარიშების ფორმა.

ყოველწლიური ანგარიშგება

ცხრილში მოცემული 6 ლიცენზიანტიდან, ყოველწლიური ანგარიშგებები - უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების ფორმა N1-01 - სრულად აქვს წარმოდგენილი სამ ლიცენზიანტს; შპს „ჰეილონის“ ანგარიშგება წარდგენილი არ ქვს არცერთხელ, შპს „იბერს“ (#00506 ლიცენზიის შემთხვევაში) - ოთხჯერ (2008, 2009, 2010 და 2020 წლებში), ხოლო შპს „ინფრა-კონსტრაქშენს“- ერთხელ, 2020 წელს.⁷¹

რაც შეეხება ანგარიშების წარუდგენლობაზე რეაგირებას, რეაგირების პრაქტიკა სხვადასხვაგვარია: თუ შპს „ბელ-გეგბელის“ შემთხვევაში, ყოველწლიური ანგარიშის დაგვიანებით წარდგენის გამო, სასამართლო სიტყვიერი შენიშვნით შემოიფარგლა, შპს „ინფრა კონსტრაქშენი“, შპს „სამშენებლო კომპანია ალტჯე“ და შპს „ჰეილონი“ 500 ლარით დაჯარიმდნენ. აქვე აღსანიშნავია, რომ სამშენებლო კომპანია „ალტჯეს“ ანგარიშის ვადაგადაცილების დარღვევა მეორედაც დაუფიქსირდა, თუმცა, ამ შემთხვევაში, სასამართლომ მას მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილება მისცა.

რაც შეეხება კომპანია „ჰეილონის“, აქ საინტერესოა ერთი გარემოება; კერძოდ, წიაღის ეროვნულმა სააგენტომ კომპანიის მიერ ანგარიშგების წარდგენის ვადის მეორედ დარღვევა 2020 წლის 22 ივნისს დააფიქსირა, თუმცა, სასამართლოს 2020 წლის 4 სექტემბრის დადგენილებით, საქმის განხილვის მომენტისათვის გასული იყო ადმინისტრაციული სახდელის დადების ოთხ თვიანი ვადა, ამიტომ შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ სახდელის დადებისთვის ვადა შეზღუდულია. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის⁷² 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქალაქო სასამართლოს განსჯად სამართალდარღვევის საქმეზე სახდელის დაკისრების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო თუ სამართალდარღვევა დენადია, ფაქტის გამოვლენის დღიდან.

⁷¹ 2021 წლის 1 ივნისს, მასალების მოწოდების მომენტისთვის წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ ჯერ არ იყო მომხდარი შესაბამისი რეაგირება 2020 წლის ანგარიშგების ვადაგადაცილების ფაქტებზე.

⁷² საქართველოს კანონი "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი". ხელმისაწვდომია „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე, სარეგისტრაციო კოდი: 020.000.000.05.001.000.010

შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, სამართალდამრღვევს ჯარიმა დააკისროს ანგარიშგების წარდგენის ბოლო ვადიდან - 1 მაისიდან - მხოლოდ ოთხი თვის განმავლობაში; ამგვარად, ის კანონითაა შეზღუდული ყველა სამართალდარღვევაზე მოახდინოს რეაგირება.

ლიცენზიის პირობების კონტროლი

წიაღის ეროვნულ სააგენტოს ლიცენზიის პირობების შესრულება ადგილზე შემოწმებული აქვს მხოლოდ ერთხელ - შპს „ინფრა კონსტრაქშენის“ ლიცენზიის შემთხვევაში.

წიაღის ათვისების გეგმა-გრაფიკი


წიაღის ათვისების გეგმა-გრაფიკი ექვსივე ლიცენზიანტს აქვს შეთანხმებული, თუმცა, ორი ლიცენზიის შემთხვევაში გრაფიკის შეთანხმება მოხდა დაგვიანებით.

5. ქვიშა-ხრეშის მოპოვება მდინარე სუფსაზე


ავტორი: ირინა სვანიძე

შესავალი

მდინარე სუფსა დასავლეთ საქართველოში მდებარეობს. ის გურიის სამი (ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება (იხ. რუკები 5.1 და 5.2).



რუკა 5.1. გურიის მხარე. წყარო: Google Maps



რუკა 5.2. მდინარე სუფსა. წყარო: საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი

მდინარე სუფსიდან სამშენებლო მასალის უკონტროლო და უკანონო მოპოვება ერთ-ერთ ყველაზე აქტუალური პრობლემაა. ბოლო წლებია, სულ უფრო აქტიურად მიმდინარეობს ავტობანის და შიდასახელმწიფოებრივი გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია, რამაც კიდევ უფრო გაზარდა საშენ მასალათა მოპოვების მასშტაბი და მოცულობა. ინერტული მასალის მოპოვების პროცესი ხშირ შემთხვევაში სრულიად უკონტროლოდ მიმდინარეობს და ირღვევა

სალიცენზიო პირობები. მდ. სუფსაზე ქვიშა-ხრემის მოპოვება საფრთხეს უქმნის ადგილობრივ ეკოსისტემას და აზარალებს ადგილობრივ მოსახლეობას. ადგილობრივთა უკმაყოფილების მიზეზი მრავალია, თუმცა მათი ძირითადი პრობლემა მოპოვების გამო სასოფლო-სამეურნეო მიწების დაკარგვას უკავშირდება.

მდ. სუფსაზე არსებულ სალიცენზიო ტერიტორიების ნაწილზე მოპოვებითი სამუშაოები დღემდე აქტიურად გრძელდება, ნაწილზე უკვე დასრულებულია. მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ მოპოვებითი სამუშაოების დასრულების მთავარი მიზეზი ადგილობრივების პროტესტია.

საველე გასვლის მიგნებები

მდინარე სუფსაზე საერთო ჯამში ქვიშა-ხრემის მოპოვების 15 ლიცენზიაა გაცემული. ინერტულ მასალას კომპანიები სამ სხვადასხვა (ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის) მუნიციპალიტეტში მოიპოვებენ. ანგარიშის მომზადების დროს მდინარეზე ქვიშა-ხრემის მოსაპოვებლად გაცემული ყველა ლიცენზიისა და სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებისგან მიღებული მასალების (ადმინისტრაციული წარმოების მასალები, ლიცენზიანტების მიერ წარმოებული ყოველწლიური ანგარიშგებები, შემოწმებების მასალები და ა.შ) შესწავლა მოხდა. ხოლო, იქიდან გამომდინარე, რომ ლიცენზიების უმეტესი ნაწილი (11 ლიცენზია) ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებშია გაცემული, 2021 წლის მაისის თვეში საველე გასვლა სწორედ ამ მუნიციპალიტეტებში განვახორციელეთ.

ადგილზე გასვლის ფარგლებში ხუთი სალიცენზიო ტერიტორიის და სხვადასხვა ლიცენზიანტების საქმიანობების შესწავლა მოხდა. კერძოდ, შესწავლილ იქნა შპს „ნატა 2000“-ის (ლიცენზიის #10000659; 10000689), შპს „აკეთის“, შპს „მ და კომპანის“ ლიცენზიის (#10002021) და შპს „დაოს“ (ლიცენზიის #10001588) ლიცენზიები. გამოიკითხა სამი სოფლის მაცხოვრებლები.



ფოტო 5.1. ირინა სვანიძე, მაისი, 2021. ქვიშა-ხრემის მოპოვების შემდეგ დატოვებული მდ. სუფსა, ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

სალიცენზიო ტერიტორიებზე, მოპოვებითი სამუშაოები ზოგან გრძელდება, ზოგ ადგილებზე კი უკვე დასრულებული დაგვხვდა. პირველი, რასაც ადგილზე სტუმრობისას ადამიანი დაინახავს, არის ის, რომ მდ. სუფსის კალაპოტები და სანაპიროები წიაღისეულის მოპოვების გამო, სრულიად სახეცვლილია (იხ. ფოტო 5.1).

უკანონო მოპოვება

საველე გასვლამ აჩვენა, რომ ლიცენზიის მომპოვებელი კომპანიები, ხშირ შემთხვევაში არღვევენ კანონს. სახელმწიფო კონტროლი სუსტია, მოსახლეობაზე ზემოქმედების მასშტაბი კი კიდევ უფრო იმატებს.

უწყებები კონტროლს ძირითადად საჩივრის დაფიქსირების შემთხვევაში ახორციელებენ. ამიტომ, იმისი დადგენა: ვინ, სად და რა რაოდენობის წიაღისეულს მოიპოვებს, ან არღვევს თუ არა კანონს - ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია. ეს სტიმულს აძლევს კანონდამრღვევებს ლიცენზიის მიღების გარეშეც მოიპოვონ სასარგებლო წიაღისეული. მდ. სუფსაზე უკანონო მოპოვების არაერთი შემთხვევაა. სწორედ ასეთ შემთხვევას შევესწარიტ საველე გასვლის დროსაც. სოფ. სილაურის მიმდებარედ, არალიცენზირებად ტერიტორიაზე მოპოვებული იყო ქვიშა-ხრეში. ტერიტორიაზე აღარ არსებობდა ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მთლიანად იყო გადათხრილი. ადგილზე აღარც ტექნიკა აღარ იყო განთავსებული (იხ. ფოტოსურათები 5.2 და 5.3).



ფოტო 5.2. ირინა სვანიძე, მაისი, 2021. სოფელ სილაურთან, არალიცენზირებად ტერიტორიაზე ქვიშა-ხრემის მოპოვება. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

გარემოზე ზედამხედველობის დეპარტამენტის ცხელ ხაზზე საჩივრის დაფიქსირების შემდეგ, გზდ-ეს წარმომადგენლები ადგილზე მალევე მოვიდნენ, თუმცა მათგან სათანადო რეაგირება არ მომხდარა. დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მხოლოდ მოინიშნეს, რომ ადგილზე ხდებოდა უკანონო მომეპოვება, მაგრამ იმის გამო, რომ ხელთ არ გვქონდა ინფორმაცია (ფოტო-მასალა) იმის შესახებ, თუ ვინ მოიპოვებდა ადგილზე წიაღისეულს, მათ მხოლოდ დააფიქსირეს

აღნიშნული ფაქტი. ასევე, დასძინეს, რომ ზედამხედველობას ფაქტის გამოძიების შესაძლებლობა არ გააჩნდა.




ფოტო 5.3. ირინა სვანიძე, მაისი, 2021. სოფ. სილაურთან, არალიცენზირებად ტერიტორიაზე ქვიშა-ხრემის მოპოვებაფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

ადგილობრივებისა და გარემოსდაცვითი სათემო ორგანიზაცია „ეკოს“ წარმომადგენლების თქმით, მდ. სუფსაზე უკანონო მოპოვების ხშირი შემთხვევები წინა წლებში უფრო იყო. თუმცა, ორგანიზაციისა და მოსახლეობის პროტესტის შედეგად არაერთი უკანონო საქმიანობების შეჩერება მოხერხდა.

შპს „სამი ძმა“ - უკანონო მოპოვება

მდ. სუფსაზე გაცემული ლიცენზიების უმეტესი ნაწილს ორი კომპანია (შპს „აკეთი“ და შპს „ნატა 2000“) ფლობს (იხ. დიაგრამა 5.1).



დიაგრამა 5.1. მდ. სუფსაზე ქვიშა-ხრემის მოპოვებელი კომპანიები

ორივე კომპანიის ლიცენზიები 2019 წლიდან (საგადასახადო დავალიანების გამო) დაყადაღებულია⁷³. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის მიხედვით, ყადაღა შეიძლება დაედოს მოვალის როგორც უძრავ, ასევე მოძრავ ქონებას. ყადაღის დადების შემდეგ, მესაკუთრეს ეკრძალება ქონების განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისება, დაგირავება, მასზე ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებების დადება - ან/და ქონების შესანახავად გადაცემა. ქონებაზე ყადაღის დადების შემდეგ ნებისმიერი ზემოთაღნიშნული გარიგება ბათილია.⁷⁴ მიუხედავად ამისა, კანონის გვერდის ავლით, 2021 წლის მაისში შპს „ნატა 2000“-მა თავისი ლიცენზიების ნაწილი იჯარის ხელშეკრულების⁷⁵ საფუძველზე შპს „სამ ძმას“ გადასცა. კომპანია კი ისე, რომ ეს ფაქტი სახელმწიფო უწყებებისთვისაც ცნობილია, ქვიშა-ხრემის მოპოვებითი სამუშაოებს დღემდე აქტიურად აგრძელებს.

სოფ. ბაილეთის და სოფ. სილაურის მოსახლეობამ „სამი ძმის“ წინააღმდეგ არაერთხელ გამართა აქცია და გადაკეტეს გზები. მოსახლეობა გზების დაზიანებას და კომპანიის მიერ მდ. სუფსაზე ქვიშა ხრემში მოპოვებას აპროტესტებდა. მიუხედავად მათი პროტესტისა, სახელმწიფოს რეაგირება არ მოუხდენია.

კვლევის საწყის ეტაპზე, წიაღის ეროვნული სააგენტოდან იმ ლიცენზიების გამოთხოვა მოხდა, რომელიც სააგენტოს მიერ მდ. სუფსაზე იქნა გაცემული.⁷⁶ ყურადსაღებია, რომ უწყების მიერ მოწოდებულ მასალაში⁷⁷ შპს „სამ ძმასთან“ დაკავშირებით არანაირი სახის დოკუმენტი არ იქნა მოწოდებული. სავლელე გასვლის შემდეგ, ინფორმაციის გადამოწმების მიზნით განმეორებით მივწერეთ⁷⁸ წიაღის ეროვნულ სააგენტოს და მოვითხოვეთ, გადმოეცათ დოკუმენტაცია, რომელიც ამ კომპანიას წიაღით სარგებლობის სამართლებრივ საფუძველს ანიჭებდა. ხოლო, დოკუმენტაციის არ არსებობის შემთხვევაში, ვითხოვდით სააგენტოს მიერ შესაბამისი ზომები, კანონის დარღვევით წიაღის მოპოვების ფაქტის აღსაკვეთად. პასუხად მივიღეთ,⁷⁹ რომ სსიპ - წიაღის ეროვნულ სააგენტოში შპს „სამი ძმასა“ და შპს „ნატა 2000“-ს შორის არსებული შეთანხმების შესახებ ინფორმაცია საერთოდ არ ფიქსირდებოდა. ამასთან, სამინისტრო გვწერდა, რომ მწვანე ალტერნატივას მიერ გაგზავნილ წერილში აღნიშნულ კოორდინატებზე ფიქსირდებოდა შპს „ჯორჯიან მინერალსზე“ და შპს „ნატა 2000“-ზე გაცემული ლიცენზიები,

⁷³ შემოსავლების სამსახურის #1 აქტი ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ.

⁷⁴ საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ, თავი IX, მუხლი 40; თავი XI, მუხლი 61¹.

⁷⁵ 2021 წლის 10 მაისს შპს „სამ ძმასა“ და „ნატა 2000“-ს შორის დადებული იჯარის ხელშეკრულება.

⁷⁶ მწვანე ალტერნატივას 2021 წლის 24 თებერვლის #21/03-820 წერილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს.

⁷⁷ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 16 აპრილის #22/125 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

⁷⁸ მწვანე ალტერნატივას 2021 წლის 28 ივნისის #№ 21/03-847 წერილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს.

⁷⁹ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 12 ივლისის #22/263 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

შესაბამისად აღნიშნულ ტერიტორიაზე ქვიშა-ხრემის მოპოვება წიაღით უკანონო სარგებლობას არ წარმოადგენდა.

საველე გასვლის დროს, ასევე გაირკვა, რომ ტერიტორიაზე, სადაც შპს “სამი ძმა” წიაღისეულს მოიპოვებს, მდინარიდან ქვიშა-ხრეში ნაცვლად, ტექნიკას ტალახი ამოჰქონდა (იხ. ფოტო 5.4). აღნიშნულის თაობაზე, ადგილიდანვე დავრეკეთ გარემოზე ზედამხედველობის დეპარტამენტის ცხელ ხაზზე და დავაფიქსირეთ საჩივარი. გზდ წარმომადგენლების რეაგირება, მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ ტექნიკის მიერ მდინარეში ჩასვლის სიღრმე გაიზომა. როცა დარწმუნდნენ, რომ კომპანია სამი მეტრის მეტ სიმაღლეზე არ ჩადიოდა ადგილი დატოვეს.



ფოტო 5.4. ირინა სვანიძე, მაისი, 2021. წიაღისეულის მოპოვება, შპს “სამი ძმა”. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

გზდ წარმომადგენლების მიერ, უკანონო მოპოვების საკითხი საერთოდ არ განხილულა. უფრო მეტიც, ადგილზე დოკუმენტების შემოწმების შედეგად დაადგინეს, რომ კომპანია კანონის ფარგლებში მუშაობდა.

სალიცენზიო პირობების დარღვევით წიაღისეულის მოპოვება

შპს „მ და კომპანია“ ქვიშა-ხრემს სოფ. აკეთის მიმდებარედ მოიპოვებს. კომპანიას ლიცენზია შპს „გზამშენიდან“ 2021 წლის 24 აპრილს გადაეცა. ლიცენზიის მოქმედების ვადა 2021 წლის 31 მაისს მთავრდებოდა. საველე მონიტორინგის დროს, კომპანიას ქვიშა-ხრემის მოპოვებისათვის მხოლოდ ორი დღე ჰქონდა დარჩენილი და მაქსიმალურად ცდილობდა სრული დატვირთვით მუშაობას. კომპანიის თქმით, შპს „გზამშენს“ ამ ადგილზე საშენი მასალა არასოდეს არ მოუპოვებია. შპს „მ და კომპანიის“ მუშაობის მაგალითმა, ნათლად აჩვენებს - თუ რა დონეზე შეუძლია კომპანიას, სრული წესების დაუცველობით განახორციელოს მოპოვება. კომპანია სალიცენზიო პირობების დარღვევით ახორციელებს მოპოვებას. კერძოდ, სალიცენზიო პირობების მიხედვით, ქვიშა-ხრემის მოპოვების სიღრმე 1,5 მეტრზე მეტს არ უნდა აღემატებოდეს, კომპანია კანონდარღვევით დაახლოებით სამ, ოთხ მეტრამდე მოიპოვებს წიაღისეულს (იხ. ფოტო 5.5). ტერიტორია სრულიად გადათხრილია, ჰუმუსოვანი ფენა აღარ არსებობს და არც ცალკე ტერიტორიაზე არ არის დასაწყობებული. ხეები მოგლეჯილია და ფუჭ ქანებთან ერთად გარკვეულ ადგილებზეა მიყრილი. საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე წყალი დგას და უკვე დაჭაობებულია (იხ. ფოტო 5.6). კომპანიის წარმომადგენლების დაპირება, რომ ტერიტორიას საწყის ეტაპამდე მიიყვანენ დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ეჭვის საფუძველს

კიდევ უფრო მეტად ამყარებს იმ სალიცენზიო ტერიტორიების ნახვა, სადაც უკვე დასრულებულია მოპოვება.



ფოტო 5.5. ირინა სვანიძე, მაისი, 2021. შპს „მ და კომპანიის“ მიერ ქვიშა-ხრეშის მოპოვება. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.



ფოტო 5.6. ირინა სვანიძე, მაისი, 2021. შპს „მ და კომპანიის“ მიერ ქვიშა-ხრეშის მოპოვება. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

კანონის მიხედვით⁸⁰, კომპანიები ვალდებული არიან, უზრუნველყონ სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება. სალიცენზიო ტერიტორიებზე არც ეს წესია დაცული. სოფ აკეთში, (ლიცენზიის მფლობელი კომპანიის დადგენა ვერ მოხერხდა) ტერიტორიაზე, სადაც უკვე თვეებია დასრულებულია ქვიშა-ხრეშის მოპოვება, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა ადარ არსებობს. კარიერი კვლავ ღიად არის დატოვებული და ტერიტორია დაჭაობებულია (იხ. ფოტო 5.7 და 5.8).



ფოტო 5.7. ირინა სვანიძე, მაისი, 2021. სოფ აკეთი, რეკულტივაციის გარეშე დატოვებული ტერიტორია. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.



ფოტო 5.8. ირინა სვანიძე, მაისი, 2021. სოფელი აკეთი, რეკულტივაციის გარეშე დატოვებული ტერიტორია. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

⁸⁰ საქართველოს მთავრობის დადგენილება №136 სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე, მუხლი 7.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა

ლიცენზიების გაცემა, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის გარეშე ხდება. ინფორმაციას არ ქონა, ხშირ შემთხვევაში, ადგილობრივ მოსახლეობასა და კომპანიებს შორის უთანხმოების მთავარი მიზეზი ხდება. გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათ ლიცენზიის გაცემის პროცესში ჩართულობის შესაძლებლობა არასოდეს არ ჰქონიათ. ძირითადად, ადგილობრივები მათ სოფლებში ქვიშა - ხრეშის მოპოვების შესახებ, კომპანიების მიერ ტერიტორიაზე ტექნიკის შეყვანის შემდეგ ხდებოდა ინფორმირებულები. ამის შემდეგაც, მათ მთელი ძალისხმევა სჭირდებათ კომპანიის შესახებ ინფორმაციის გასაგებად: ვინ არიან, გააჩნიათ თუ არა ნებართვა და ა.შ.

განხილული 15 ლიცენზიიდან, მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო (შპს დაო - 1005004 ლიცენზია), როცა ლიცენზიის მასალებს თანდართული ჰქონდა მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმი. მასში, ადგილობრივების მოსაზრებებიც იყო ასახული. სხვა ლიცენზიების შემთხვევაში მოხდა თუ არა მოსახლეობასთან შეთანხმება გაურკვეველია.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ზემოქმედება

გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საზოგადოების ჩაურთველობაა მიზეზი იმისა, რომ ადგილობრივებისათვის მხოლოდ სალიცენზიო ტერიტორიაზე მოპოვებითი სამუშაოების დაწყების შემდეგ ხდება ცნობილი, რომ მიწა რომელითაც წლებია სარგებლობენ, ახლა რომელიდაც კომპანიის საკუთრებაა. ქვიშა - ხრეშის მოპოვების გამო მიტაცებულია სასოფლო-სამეურნეო მიწები, საძოვრები და მდინარის ნაპირები. მიუხედავად მოსახლეობის პროტესტისა, ხშირ შემთხვევაში კომპანიები საქმიანობას მაინც აგრძელებენ, ადგილობრივებს კი მიზეზური თანხების სანაცვლოდ უწევთ კუთვნილი ქონების დათმობა.

საველე გასვლის დროს, ნანახი ხუთი სალიცენზიო ტერიტორიიდან, ორის შემთხვევაში სალიცენზიო ტერიტორია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს მოიცავდა, დანარჩენ შემთხვევებში კი - საძოვრებს. როგორც მოსახლეობასთან გასაუბრების შემდეგ გაირკვა, მათ ეს ტერიტორიები ქვიშა-ხრეშის მოპოვების გამო დაკარგეს. მიწის ნაკვეთების ნახვა ახლა სრულიად შეუძლებელია, მათი უმეტესი ნაწილი საერთოდ გამქრალია



ფოტო 5.9. ირინა სვანიძე, მაისი, 2021. სალიცენზიო ტერიტორია, სადაც მოპოვებამდე კერძო საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთები იყო. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

და სალიცენზიო ტერიტორიაზე კუნძულების სახით არის შემორჩენილი (იხ. ფოტოები 5.9 და 5.10). ხოლო, რაც დარჩა მოსახლეობამ მისი დაკანონებაც კი ვერ შეძლო.



ფოტო 5.10. ირინა სვანიძე, მაისი, 2021. სალიცენზიო ტერიტორია, სადაც მოპოვებამდე კერძო საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთები იყო. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

სოფ. ნაგომართან შპს „ნატა 200“ - ზე გაცემული ლიცენზიის შესაჩერებლად, ადგილობრივებმა არაერთხელ გამართეს აქციები. მიუხედავად იმისა, რომ სალიცენზიო ტერიტორიაზე და მის გარშემო სასოფლო-სამეურნეო მიწები, საძოვრები და ჭალის მიდამოებია, მოსახლეობისათვის ლიცენზიის შესახებ ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც კომპანიამ ადგილზე ტექნიკა შეიყვანა. საბოლოოდ, მოსახლეობის პროტესტის გამო, სამუშაოები ადგილზე მალევე შეწყდა.

ლიცენზიებთან დაკავშირებული დოკუმენტების ანალიზი გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ წიაღის ეროვნული სააგენტო, ნებართვის გაცემის პროცესში საერთოდ არ ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ზემოქმედების საკითხს. მაგალითად, შპს „აკეთის“ (1004225 - ლიცენზია) შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი წერდა წიაღის ეროვნულ სააგენტოს, რომ სალიცენზიო ტერიტორიის გასწვრივ მდებარეობდა სასოფლო-სამეურნეო მიწები, რომლებიც ადგილობრივ მაცხოვრებლებს ეკუთვნოდათ (წერილის შინაარსიდანვე ირკვეოდა, რომ მოსახლეობას მიწები დაკანონებული არ ჰქონდა). მუნიციპალიტეტი წიაღის ეროვნულ სააგენტოს სთხოვდა, ადგილზე გაერკვია ეს საკითხი. ლიცენზია გაიცა, თუმცა, რა მოხდა მიწებთან დაკავშირებით, გაუგებარია (არც სალიცენზიო პირობებში აღარ არის ეს საკითხი ასახული).

საავტომობილო სასწორების არქონა და ტრანსპორტირების ზემოქმედება მოსახლეობაზე

კარიერებიდან გამოსული მძიმეწონიანი მანქანები მუდმივად გადაადგილებიან სოფლებში და მიმდებარე ტერიტორიებზე. გზები უმეტეს ადგილებზე დაზიანებულია კარიერებიდან შემომავალი ზემძიმე სატვირთოების შედეგად (იხ. ფოტოსურათები 5.12 და 5.13). მოსახლეობა პერიოდულად უჩივის მძიმეწონიანი მანქანების გადაადგილებით გამოწვეულ პრობლემებს.

სოფ. ბაილეთის მაცხოვრებელთა თქმით, სოფელში დღის განმავლობაში დაახლოებით 150-მდე მძიმეწონიანი მანქანა გადაადგილდება (ადგილზე სტუმრობისას ეს ადვილად შესამჩნევია, მანქანები ყოველ 2-3 წუთში ერთხელ გადაადგილდებიან).



ფოტო 5.11. ირინა სვანიძე, მაისი, 2021. მძიმეწონიანი მანქანების გადაადგილების შედეგად დაზიანებული გზა, სოფ. ნაგომარი. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.



ფოტო 5.12. ირინა სვანიძე, მაისი, 2021. მძიმეწონიანი მანქანების გადაადგილების შედეგად დაზიანებული გზა, ოზურგეთი. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

გზების დაზიანების გარდა, მოსახლეობას ტრანსპორტირებიდან გამოწვეული, სხვა არაერთ პრობლემას უჩივის. ადგილობრივები თავს უსაფრთხოდ არ მიიჩნევენ, რადგან მჭიდროდ დასახლებულ უბნებში მანქანები სიჩქარეს არ იცავენ და სწრაფად გადაადგილდებიან. მოსახლეობა შეშინებულია და ბავშვების ქუჩაში გარეთ გაშვებას ერიდებიან. სოფელ ბაილეთში ხშირია ავარიებიც, რომლის მთავარი მიზეზიც ქვიშა-ხრეშით დატვირთული მანქანების გადაადგილებაა. ადგილობრივების თქმით, 2021 წლის ივნისის თვეში ორი ასეთი უბედური

შემთხვევა მოხდა. პრობლემის თაობაზე, რამდენიმე სტატიაც დაიწერა.⁸¹ აღნიშნულის შესახებ როგორც მუნიციპალიტეტი, ასევე კომპანიებიც ინფორმირებულები არიან, თუმცა ჯერ უსაფრთხოების არანაირი ზომა არ გატარებულა.

კანონის მიხედვით,⁸² ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა. არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია. კომპანიები არცერთ შემთხვევაშიც არ იცავენ (იხ. ფოტო 5.13). ადგილობრივები მუდმივად ჩივიან ტრანსპორტირებიდან გამოწვეული ხმაურისა და მტვრის გამო. გზები არცერთ სოფელში არ ირწყვება. ზაფხულის უნალექო დღეებში განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაშია მოსახლეობა. მანქანები გადაუფარებელი გადაადგილებიდან და საშენი მასალების ჰაერში გაფანტვა ხდება. ერთ-ერთი მაცხოვრებლის თქმით, თუკი, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, კომენდანტის საათის შემოღებით უკმაყოფილო იყო, სოფ. ბაილეთის მაცხოვრებლები პირიქით. ღამე მანქანების გადაადგილების შეზღუდვის გამო მშვიდად ძილს ახერხებდნენ.



ფოტო 5.13. ირინა სვანიძე, მაისი, 2021. კარიერებიდან მოძრავი ძარაგადახურავი მძიმეწონიანი მანქანა. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

კარიერებიდან მოძრავი მძიმეწონიანი მანქანების გადაადგილების გამო, სოფ. ბაილეთის ერთ-ერთი მკვიდრის ცხოვრება გაუსაძლისი გახდა. მისი სახლი გზასთან ყველაზე ახლოს მდებარეობს. წლების განმავლობაში მზიდი მანქანების გადაადგილებამ მის სახლს ზიანი მიაყენა და დაიზარა. სრულიად გამოგნებელია თავად კომპანიების (შპს „დაო“) და სახელმწიფო უწყებებს რეაგირება ამ ფაქტზე. ოჯახმა არაერთხელ მიმართა როგორც კომპანიას, ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებსაც. მიუხედავად არაერთი

⁸¹ გურია ნიუსი, 2021. [ორი ავტოავარია ბაილეთში: „სიკვდილის ტრასად ნუ ვაქცევთ ამ მონაკვეთს“](#).

⁸² საქართველოს მთავრობის დადგენილება №136, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე, მუხლი 7.

დაპირებისა, კომპანიას დღემდე კომპენსაცია არ გადაუხდია. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის რეაგირებას, ოჯახს გამოუსადეგარი მასალა გადასცეს სახლის შესაკეთებლად. დაპირდნენ, რომ თვითონვე შეაკეთებდნენ სახლს, თუმცა მათთან დღემდე არავინ მისულა.

გარემოსდაცვითმა სათემო ორგანიზაცია „ეკომ“ აღნიშნულ პრობლემებზე არაერთხელ მისწერა წერილი როგორც ადგილობრივ მუნიციპალიტეტს, ასევე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს. მათი მოთხოვნა იყო, რომ სახელმწიფოს მხრიდან მომხდარიყო სასწორების შექმნა, სატვირთოების აწონვა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციებით გადაჭარბებული ტვირთის გადაზიდვების შემთხვევაში სათანადო რეაგირება. თუმცა, სახელმწიფო უწყებების მხრიდან რეაგირება დღემდე არ მომხდარა და ორგანიზაცია კვლავაც მოლოდინის რეჟიმშია.

არაპირდაპირი ზემოქმედება მოსახლეობაზე

მოსახლეობის უკმაყოფილება საქმიანობებიდან გამოწვეულ არაპირდაპირ ზემოქმედებებსაც უკავშირდება. ადგილობრივების თქმით, მდ. სუფსაზე მოპოვებითი სამუშაოების დაწყების შემდეგ, ჭებში წყალი დაუმრა მოსახლეობას.

მათი თქმით, ქვიშა-ხრეშის მოპოვებამ, მიწის ნაყოფიერებაზეც მოახდინა ზეგავლენა. მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაწილი დიდი მანძილითაა დამორებული სალიცენზიო ტერიტორიებიდან, მოსავლიანობამ მაინც იკლო. „ნიადაგის სტრუქტურა შეიცვალა და მოსავლის რაოდენობის კლებაც საგრძნობლად შესამჩნევია“ - ამბობს სოფ. ძიმითის მკვიდრი.

დასაქმება და შრომის პირობები

კომპანიების სალიცენზიო ტერიტორიაზე შესვლას, პარალელურად თან სდევს ადგილობრივების მიმართ დაპირებები, რომ სოფლად მყოფი მოსახლეობა დასაქმებული იქნება. ლიცენზიანტები ამ მეთოდს განსაკუთრებით მაშინ მიმართავენ, როცა მოსახლეობასთან კომფლიქტის მოგვარება სურთ. ადგილობრივების თქმით, თითოეული სოფლიდან, დაახლოებით ექვსი ან შვიდი ადამიანი თუ იქნება დასაქმებული. მოსახლეობის წუხილიც ამას უკავშირდება, რომ მხოლოდ ერთი და ორი ადამიანის დასაქმება, მოპოვებიდან გამოწვეულ საერთო პრობლემებს ვერაფერს შველის და მათ კომპანიების საქმიანობებიდან არანაირი სარგებელი არ აქვთ. სალიცენზიო ტერიტორიები ზოგიერთ შემთხვევაში მდინარის სხვადასხვა მხარეს არის განთავსებული. გზის არ არსებობის გამო, ტერიტორიებთან დასაკავშირებლად კომპანიები კუსტარულად აშენებულ ხიდებს იყენებენ. ამგვარად აშენებულია, სოფ. ახალსოფლის მიმდებარედ შპს „დაოს“ სალიცენზიო ტერიტორიაზე მისასვლელი ხიდიც, რომელიც უსაფრთხოების მინიმალური პირობების დაცვით არის აგებული (იხ. ფოტო 5.14). ადგილობრივების თქმით, მასზე დღის განმავლობაში დაახლოებით 80-90 მანქანა გადაადგილდება, რაც დასაქმებულთა ჯანმრთელობას საფრთხის ქვეშ აყენებს.



ფოტო 5.14. ირინა სვანიძე, მაისი, 2021. კუსტარულად აშენებული ხიდი, სოფელ სილაურთან. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

განხილული ლიცენზიები - დარღვევები

კვლევის პროცესში მდ. სუფსაზე ქვიშა - ხრეშის მოსაპოვებლად გაცემული 15 ლიცენზია და ამ ლიცენზიებთან დაკავშირებული დოკუმენტები იქნა განხილული. წიაღის ეროვნული სააგენტოდან მიღებული მასალების⁸³ შესწავლის შედეგად, სხვადასხვა სახის დარღვევები გამოიკვეთა. კერძოდ:

- ✓ ლიცენზიით განსაზღვრული პირობების მიხედვით, ლიცენზიანტი ვალდებულია ლიცენზიის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს წარუდგინოს წიაღის ათვისების შესაბამისი გეგმა-გრაფიკი. აღნიშნული გეგმის გარეშე წიაღის მოპოვება - კანონდარღვევაა. შესწავლილი 15 ლიცენზიიდან - გეგმა-გრაფიკი მხოლოდ ერთ კომპანიას ჰქონდა წარდგენილი. ამ ლიცენზიის შემთხვევაშიც, გაურკვეველი იყო, დროულად მოხდა თუ არა ათვისების გეგმის შეთანხმება და დამტკიცება, წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ (წიაღისეულის ათვისების გეგმა მომზადებული და დამტკიცებული იყო ლიცენზიის მიღებიდან ერთი თვის ვადაში).

⁸³ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 16 აპრილის #22/125 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

- ✓ არცერთ შემთხვევაში არ იყო წარდგენილი და შეთანხმებული წიაღით სარგებლობის პროექტი. არც იმის შესახებაა ცნობილი, აღნიშნული სავალდებულო სახის დოკუმენტი გააჩნია თუ არა საერთოდ კომპანიებს.
- ✓ ლიცენზიანტი ვალდებულია, ყოველწლიურად მოამზადოს და წარადგინოს უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების ფორმა N1-01.⁸⁴ შესწავლილი თხუთმეტი ლიცენზიიდან ათის შემთხვევაში დოკუმენტი ყოველწლიურად იყო წარდგენილი. ოთხი ლიცენზიის შემთხვევაში კი არასრულად (სამი ლიცენზიის შემთხვევაში სტატისტიკური დაკვირვების ფორმა N1-01 -კომპანიას - ერთხელ არ ჰქონდა კომპანიას წარდგენილი, ერთის შემთხვევაში კი - რვაჯერ), ერთის შემთხვევაში ჯერ დრო ჰქონდა წარსადგენად. სრულიად გამოგნებელია თავად ამ ანგარიშების ხარისხი. ანგარიშები უმეტესწილად მეტად დაბალი ხარისხისაა, 90 პროცენტი შეუვსებელი და არაფრისმომცემია.

ყურადსაღებია, რომ შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოს მიერ ათვისების შესაბამისი გეგმა-გრაფიკის და სტატისტიკური დაკვირვების ფორმა N1-01 არ ქონა არცერთხელ არ დაფიქსირებულა.

ყველა ლიცენზიას თან ახლავს გეოსაინფორმაციო პაკეტი. ამ უკანასკნელში სალიცენზიო ტერიტორიებსა და მოსახლეობას შორის დაშორების შესახებ ინფორმაციას ხშირ შემთხვევაში არ ვხვდებით და ის მხოლოდ უახლოესი სოფლის/სოფლების ჩამონათვალთ შემოფარგლება. შესაბამისად, ნათელი ხდება, რომ წიაღის ეროვნული სააგენტო, ისე გაცემს ნებართვებს, რომ მოსახლეობის დაშორების საკითხს საერთოდ არც ითვალისწინებს.

ლიცენზიის გამცემი, ლიცენზიანტს სხვადასხვა სახის პირობებს უწესებს. განხილული ლიცენზიების მაგალითებმა აჩვენა, რომ სხვადასხვა ლიცენზიების შემთხვევაში პირობებიც განსხვავებულია. ზოგის შემთხვევაში გარკვეული პირობებია ჩადებული, მაგალითად: არ დააზიანოს კომპანიამ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, წიაღისეულის მოპოვების სიღრმე არ აღემატებოდეს 1,5 მ-ს და ა. შ. უმეტეს შემთხვევებში - ლიცენზიები სტანდარტული ფორმით, ყოველგვარი დამატებითი პირობების გარეშე გაიცემა.

ლიცენზიის გაცემის პროცესში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი - ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ჩართულობაა. ლიცენზიის გაცემამდე, წიაღის ეროვნული სააგენტო, ადგილობრივ მუნიციპალიტეტს ლიცენზიის თაობაზე უგზავნის წერილს და სთხოვს მათ, ამ ლიცენზიასთან დაკავშირებული პოზიციის დაფიქსირებას. განხილული 15 ლიცენზიიდან რვა შემთხვევაში ლიცენზიის გაცემისას მუნიციპალიტეტის თანხმობა მიღებული იყო, შვიდის შემთხვევაში - არა.

⁸⁴ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის დადგენილება №271, ტექნიკური რეგლამენტების – წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიოპირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიშის) წესის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების პროექტის, წიაღით სარგებლობის ობიექტისდამუშავების ტექნოლოგიური სქემისა და წიაღისეულის შესწავლის სამუშაოთა გეგმების შედგენის წესისა და სტატისტიკური დაკვირვების ფორმების (№1-01, №1-02, №1-03 და №1-04) დამტკიცების თაობაზე.

სახელმწიფო კონტროლი და დარღვევაზე სახელმწიფოს რეაგირება

2018 წლამდე, სალიცენზიო პირობების კონტროლი და ზედამხედველობა, გარემოზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილებას წარმოადგენდა. უფლებამოსილების ფარგლებში ზედამხედველობის მიერ სულ ორი კომპანია შემოწმდა (ს.პ.ს „კვაჭაძე შრომისუბანი“; შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალმა საქართველოში“).

ყურადღებას იმსახურებს, ერთი ლიცენზიანტის (ს.პ.ს „კვაჭაძე შრომისუბანი“) მიმართ, სახელმწიფოს მხრიდან დარღვევაზე რეაგირების ფაქტი. კომპანია სამჯერ შემოწმდა⁸⁵ და სამივეჯერ დადგინდა, სამთო მინაკუთვნის გარეთ, სათანადო ლიცენზიის გარეშე იყო მოპოვებული ქვიშა-ხრეში. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიამ სამივეჯერ უკანონოდ მოიპოვა გარკვეული ოდენობის წიაღისეული, მისი დაჯარიმება მხოლოდ ერთხელ მოხდა. უფრო მეტიც, პირველი შემთხვევის დროს გარემოზე მიყენებული ზიანი საერთოდ არ შეფასებულა. გაურკვეველია, გამოსაწორა თუ არა კომპანიამ აღნიშნული ლიცენზიის ფარგლებში დარღვევა და მოხდა თუ არა შემოწმება ბოლო დაჯარიმების შემდეგ. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში, დეტალურად ნაჩვენებია კომპანიების შემოწმების დროს აღმოჩენილი დარღვევები და ჯარიმის ოდენობა (იხ. ცხრილი 5.1).

ცხრილი 5.1. გზდ მიერ 2018 წლამდე განხორციელებული შემოწმებები.

კომპანია	ლიცენზია	შემოწმების დრო	დარღვევა	გარემოზე მიყენებული ზიანი	ჯარიმის ოდენობა
ს.პ.ს „კვაჭაძე შრომისუბანი“	00302	2016 წლის 27 ოქტომბერი	უკანონოდ მოიპოვა 200 კუბ.მ ქვიშა-ხრეში	0	0
ს.პ.ს „კვაჭაძე შრომისუბანი“	00302	2016 წლის 24 ნოემბერი	უკანონოდ მოიპოვა 200 კუბ.მ ქვიშა-ხრეში	400	სიტყვიერი შენიშვნა
ს.პ.ს „კვაჭაძე შრომისუბანი“	00302	2017 წლის 14 ივლისი	უკანონოდ მოიპოვა 32, 12 კუბ.მ ქვიშა-ხრეში	232.12 ლარი	2000 ლარი
შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალმა საქართველოში“	1003471	2017 წლის 16 იანვარი	უკანონოდ მოიპოვა 63,98 კუბ.მ ქვიშა-ხრეში	327.96 ლარი	2000 ლარი

⁸⁵ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2021 წლის 23 აგვისტოს წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

2018 წლიდან დღემდე გარემოზე ზედამხედველობის დეპარტამენტმა მდ. სუფსაზე მხოლოდ ორი ლიცენზიის მფლობელი კომპანია შეამოწმა. ორივეჯერ ქვიშა-ხრეშის უკანონოდ მოპოვების ფაქტი გამოვლინდა.

- შპს „დაომ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ სილაურში, მდინარე სუფსის სანაპიროზე უკანონოდ მოიპოვა 135,7 მ3 ქვიშა-ხრეში. გარემოზე მიყენებული ზიანმა 335.7 ლარი შეადგინა და კომპანია 1000 ლარით დაჯარიმდა.
- ს.პ.ს „კვაჭაძე შრომისუბანმა“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩოჩხათში უკანონოდ მოიპოვა 130,8 მ3 ქვიშა-ხრეში. გარემოზე მიყენებულმა ზიანმა 330.8 ლარი შეადგინა კომპანია 1000 ლარით დაჯარიმდა.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (წიაღით სარგებლობის) ლიცენზიების პირობების სახელმწიფო კონტროლი 2018 წლიდან წიაღის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებაა.⁸⁶ (შესწავლა, შემოწმება, დათვალიერება). განხილული 15 ლიცენზიიდან, სააგენტოს არცერთი სალიცენზიო ტერიტორია (და არც, ლიცენზიებთან დაკავშირებული დოკუმენტების ქონის ფაქტი) არ შეუმოწმებია.⁸⁷

კვლევით დადგინდა, რომ კარიერებზე შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებული მდგომარეობა არცერთი ლიცენზიის შემთხვევაში არ შეუმოწმებია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტს.⁸⁸

⁸⁶ წიაღის შესახებ კანონი, მუხლი 31.

⁸⁷ საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 16 აპრილის #22/125 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

⁸⁸ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 21 ივნისის #09/1504 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

6. კვარციანი ქვიშის მოპოვება საჩხერის მუნიციპალიტეტში

ავტორი: მარიამ ხვედელიძე

საჩხერე - კვარციანი ქვიშის მოპოვების ცენტრი

საშენი მასალების ერთ-ერთი სახეობა კვარციანი და კვარცმინდვრისშპატიანი ქვიშაა, რომელიც ძირითადად მშენებლობასა და მინის წარმოებაში გამოიყენება. საქართველოში კვარციანი ქვიშას ოთხ მუნიციპალიტეტში მოიპოვებენ, ესენია: მარნეულის, ხაშურის, ჭიათურისა და საჩხერის მუნიციპალიტეტები. კვარციანი ქვიშის მოპოვებაზე ამ ოთხ მუნიციპალიტეტში, ერთად, 51 ლიცენზიაა გაცემული. აქედან, 8 ლიცენზიაა გაცემულია ჭიათურაში, 7 - ხაშურში, 8 - მარნეულში, ხოლო დანარჩენი 28 - საჩხერეში⁸⁹. ლიცენზიების ტერიტორიული გადანაწილებიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოში კვარციანი ქვიშის მოპოვების მთავარი ცენტრი იმერეთი, საჩხერის მუნიციპალიტეტია და ლიცენზიების 50%-ზე მეტი სწორედ აქაა თავმოყრილი.



რუკა 6.1. საჩხერის მუნიციპალიტეტი, იმერეთის მხარე. წყარო: საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი


კვარციანი ქვიშის მოპოვება საჩხერის მუნიციპალიტეტში 5 არეალზე მიმდინარეობს: ბაჯითის საბადოზე (სოფელ ბაჯითთან), საფარისღელის საბადოზე (სოფელ სარეკთან), ითავაზას საბადოს I, II და III უბნებზე (იხ. რუკა 6.2).

⁸⁹ მწვანე ალტერნატივა, 2021. [სასარგებლო წიათისულის მოპოვების ლიცენზიების რეესტრი](#), 2021 წლის 25 ოქტომბრის მდგომარეობით.

გაცემული 28 ლიცენზია დღესდღეობით 16 კომპანიას ეკუთვნის, ლიცენზიების ძირითადი ნაწილი კი, მოდის 5 კომპანიაზე: შპს „Geo Sand“, შპს „მშენებელი 1“, შპს „კარიერი“, შპს „ქვიშის კარიერი“ და შპს „ჯეო კვარცი“ (იხ. დიაგრამა 6.1).


საჩხერის მუნიციპალიტეტში კვარციანი ქვიშის მოპოვება ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდიდან მოყოლებული მიმდინარეობს. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, საჩხერეში ითავაზას კვარციანი ქვიშის საბადოს I უბანზე წიაღისეულის ღია კარიერულული წესით, არამდგრადი მეთოდებით მოპოვება აქტიურად ხორციელდებოდა, რის შედეგად, 1990-იან წლებში სოფელი იცქისი (დღეს უკვე ზედა იცქისი), რომელშიც 110 ოჯახი ცხოვრობდა, ძლიერ დაზარალდა, პრაქტიკულად, მთელი სოფელი მოექცა ქვიშის მოპოვების არეალში (იხ. სატელიტური ფოტო 6.1) და დაიმეწყრა.⁹⁰

სულ სამიოდე ათეული წლის წინ მიღებული ამ მძიმე გამოცდილების მიუხედავად, ითავაზას საბადოს ტერიტორიაზე არამდგრადი მეთოდებით ქვიშის მოპოვება დღემდე გრძელდება. ითავაზას საბადოზე ღია კარიერების რიცხვი და ათვისებული ტერიტორიის ფართობი დღითიდღე მატულობს და სულ უფრო მეტი მოსახლე ექცევა ქვიშის მოპოვებითი სამუშაოებითა თუ ტრანსპორტირებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების ქვეშ. მომდევნო ქვეთავებში უფრო დეტალურადაა აღწერილი, რა ზეგავლენას ახდენს გარემოსა და ადგილობრივ მოსახლეობაზე ითავაზასა და სხვა საბადოების ექსპლუატაცია.



რუკა 6.2. კვარციანი ქვიშის მოპოვების არეალები საჩხერის მუნიციპალიტეტში
წყარო: საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი.

⁹⁰ მწვანე ალტერნატივას 2017 წლის 22 თებერვლის #04/02-555 წერილი საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს.



დიაგრამა 6.1. კომპანიები ლიცენზიების რაოდენობის მიხედვით



სატელიტური ფოტო 6.1. კარიერის ქვეშ მოქცეული სოფელი იცქისი (ზედა იცქისი) და ახალი (ქვედა) იცქისი. წყარო: საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი

კვარციანი ქვიშის მოპოვების ზეგავლენა გარემოსა და ადგილობრივ მოსახლეობაზე

1. სოფელი ბაჯითი

სოფელი ბაჯითი, რომელიც ქალაქი საჩხერიდან 5 კმ-ში მდებარეობს, ერთ-ერთია იმ სოფლებიდან, სადაც კვარციანი ქვიშის მოპოვება აქტიურად მიმდინარეობს. დღეს აქ 4 ლიცენზიაა აქტიური: სამი ლიცენზია, რომელთა საერთო ფართობი 5.94 ჰექტარია, ეკუთვნის კომპანია „Geo Sand“-ს, ერთი ლიცენზია (0.3 ჰა) კი, კომპანია „მშენებელი 1“-ის მფლობელობაშია. კარიერზე მოქმედი ლიცენზიებიდან ყველაზე ძველი Geo Sand-ის #1001161 ლიცენზიაა, რომელიც 2013 წელს გაიცა. მას შემდეგ კომპანია უფრო და უფრო აფართოებს სალიცენზიო ტერიტორიებს; 2015 წელს მან მეორე ლიცენზია შეიძინა, 2018 წელს კი, მესამე.⁹¹

ბაჯითის საბადოზე მოპოვებული ნედლეული გასასუფთავებლად ტრანსპორტირდება ქვიშის გასარეცხ საწარმოში, რომელიც ქალაქ საჩხერეში ე.წ ბამბეულის ტერიტორიაზე მდებარეობს. გასუფთავების შემდეგ ქვიშა მატარებლით მიაქვთ თბილისში, სადაც ის მინის წარმოებაში გამოიყენება.

ბაჯითის კარიერის უსაფრთხოება

ქვიშის კარიერზე სავსე გასვლის დროისთვის (2021 წლის ივნისში) მოპოვებითი სამუშაოები არ მიმდინარეობდა. თვალთვალ ადვილად შესამჩნევია იყო გამონამუშევარი ქანები, რომლებიც უზარმაზარ, ციცაბო კედლებად იყო აღმართული. კარიერის მდგომარეობა - გამონამუშევრების სიმაღლე, თითქმის 90°-იანი დახრილობა და საფეხურების არარსებობა, იძლევა იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ კარიერზე უსაფრთხოების ნორმები არ არის დაცული (იხ. ფოტოები 6.1 და 6.2).

შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოებიდან (წიაღის ეროვნული სააგენტო, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი) მწვანე ალტერნატივას მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის საპასუხოდ მიღებულ მასალებში ინსპექტირების მასალები არ იყო წარმოდგენილი, რაც ნიშნავს, რომ ბაჯითის არცერთ სალიცენზიო ტერიტორიაზე ლიცენზიის პირობების შესრულების მდგომარეობა არ არის შემოწმებული.

სამაგიეროდ, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ სოფელ ბაჯითში „Geo Sand“-ის სამივე ლიცენზია რამდენჯერმე შეამოწმა და აღმოაჩინა არაერთი დარღვევა, მათ შორის, არსებითი და კრიტიკული.⁹²

⁹¹ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 16 აპრილის #22/126 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

⁹² ტექნიკური და სამშენებლო უსაფრთხოების სააგენტოს 2021 წლის 16 ოქტომბრის #03/1111 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

2016 წელს სააგენტომ კომპანიის #1002589 ლიცენზიის ტერიტორიაზე დააფიქსირა დარღვევა კარიერის ტექნიკურ მახასიათებლებში, კერძოდ: კარიერის დამუშავება მიმდინარეობდა ერთ მთლიან ბლოკად, მთელს სიმაღლეზე შექმნილი იყო მხოლოდ ერთი საფეხური, რომელიც არ აკმაყოფილებდა არანაირ ნორმას (სიმაღლე, დახრილობა და სხვა), მოპოვება მიმდინარეობდა გადახსნითი სამუშაოების გარეშე, სამთო მასის ბუნებრივი ჩამოქცევის შედეგად. თავდაპირველად სააგენტომ კომპანიას 12-თვიანი ვადა მისცა დარღვევის გამოსასწორებლად და ამის შემდეგ აღნიშნული ლიცენზია კიდევ ოთხჯერ შეამოწმა (2017, 2018, 2019, 2020 წლებში), თუმცა, ლიცენზიანტს არცერთ ჯერზე არ ჰქონია გამოსწორებული შეუსაბამობა და აგრძელებდა მოპოვებით სამუშაოებს კრიტიკული დარღვევების არსებობის ფონზე. 2018 წლის შემოწმებისას სააგენტომ შეუსაბამობას უკვე „I ხარისხის კრიტიკული სტატუსი“ მიანიჭა და ჯარიმასთან ერთად, ობიექტის ექსპლუატაციის შეჩერების ბრძანება გასცა. ამის მიუხედავად, კომპანიამ მაინც გააგრძელა მოპოვებითი სამუშაოები, რაც სააგენტომ 2019 წლის შემოწმებისას აღმოაჩინა. „Geo Sand“-ის მიერ ზემოაღნიშნული დარღვევა ბოლო, 2020 წლის მონაცემებითაც არ არის გამოსწორებული. გარდა ამ კრიტიკული დარღვევისა, ზედამხედველობის სააგენტომ „Geo Sand“-ის სამი ლიცენზიის ფარგლებში ჩატარებული ხუთი შემოწმებისას სხვა სახის დარღვევებიც აღმოაჩინა.



ფოტო 6.1. კომპანია „Geo Sand“-ის კარიერი სოფელ ბაჯითთან წყარო: გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება „აი, ფაქტი“.

კარიერების უარყოფითი ზემოქმედება ბაჯითის ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელ გარემოზე

კვარციანი ქვიშის საბადოსთან ყველაზე ახლოს ინგა ჯაჯანიძის ოჯახი სახლობს (იხ. ფოტო 6.3). სახლი, სადაც ინგა მეუღლესთან და მცირეწლოვან შვილებთან ერთად ცხოვრობს, კარიერიდან 50 მეტრში, პირდაპირ გამონამუშევარი ქანების ქვეშ მდებარეობს. ინგას ოჯახი, ამავე ქუჩაზე

მცხოვრებ კიდევ 12 ოჯახთან ერთად, კარიერული სამუშაოებითა და წიაღისეულის ტრანსპორტირებით გამოწვეული მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების ქვეშ ექცევა (იხ. სატელიტური ფოტო 6.2 - კარიერი და მასთან ყველაზე ახლოს მდებარე სახლები).

ბაჯითში კვარციანი ქვიშის მოპოვების გამო მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემების შესახებ გამოძიება ჟურნალისტთა გაერთიანება „აი, ფაქტმაც“ ჩაატარა და 2021 წლის მაისში სტატია “ქვიშით აშენებულები 2” გამოაქვეყნა. მანამდე, გაერთიანებას ერთი სტატია უკვე ჰქონდა გამოქვეყნებული საჩხერის სოფელ სავანეში კვარციანი ქვიშის მოპოვების შესახებ.



ფოტო 6.2. მარიამ ხვედელიძე, ივნისი 2021. კომპანია „Geo Sand“-ის კარიერი სოფელ ბაჯითთან. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

ბაჯითის მკვიდრი ინგა ჯაჯანიძე სტატიაში⁹³ აცხადებს, რომ მას და მის ოჯახს ცხოვრება მუდმივად იმის შიშით უწევთ, რომ თავზე კლდე არ ჩამოეშალოთ. კარიერის ფუნქციონირებით გამოწვეულ შეშფოთებას ინგას მეზობლები, ქუჩის სხვა მაცხოვრებლებიც გამოსატყვევენ. მათი თქმით, ასფალტის გზაზე გავლა შეუძლებელია, სულ სილიანია, რაც ავარიების დიდ საფრთხეს ქმნის. ადგილობრივი თემურ ქამუშაძის განცხადებით, ხშირად მტვერი ნისლივით დგება და ეზოში დაჯდომა და სუნთქვაც კი შეუძლებელი ხდება.

⁹³ გამოძიებულ ჟურნალისტთა გაერთიანება "აი, ფაქტი", 2021. [ქვიშით აშენებულები - ნაწილი II.](#)



ფოტო 6.3. ინგა ჯაჯანიძის სახლი კარიერის ქვეშ
 წყარო: გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება „აი, ფაქტი“.



სატელიტური ფოტო 6.2. ქვიშის კარიერი და უახლოესი საცხოვრებელი სახლები.
 წყარო: Google Earth

ბაჯითში ჩატარებული საველე გასვლის ფარგლებში ინგა ჯაჯანიძის მეუღლეს გავესაუბრეთ. მისი თქმით, მის ოჯახს ამ ტერიტორიაზე მიწა საჩხერის მერიამ გადასცა და სახლი აქ 6 წლის წინ ააშენეს. თავდაპირველად კარიერი უფრო შორს იყო და მოპოვებული ქვიშაც სხვა გზით გაჰქონდათ, ბოლო პერიოდში კი, მოპოვება მათ საცხოვრებელთან უფრო და უფრო ახლოს დაიწყო და ნედლეულის ტრანსპორტირებასაც ახალი გზით ახდენენ, რომელიც კარიერიდან პირდაპირ მათ სახლთან გადის.

სატვირთო მანქანებს აქ ქვიშა დილის 8-9 საათიდან შუადღის 3 საათამდე გაუჩერებლად გადააქვთ და დღეში 100-მდე რეისს აკეთებენ. სატვირთოების გადაადგილება იმდენად დიდი რაოდენობით მტვერს წარმოქმნის, რომ ფანჯრების გაღებაც კი შეუძლებელია. მანქანების გავლისას მთელი სახლი ზანზარებს და შენობას არაერთი ბზარი აქვს გაჩენილი.

ოჯახმა გამგეობას დახმარებისთვის არაერთხელ მიმართა, თუმცა, ამას მუნიციპალიტეტის მხრიდან რეაგირება არცერთხელ მოჰყოლია. მეტიც, მუნიციპალიტეტის პასუხი ის იყო, რომ ქვიშის მოპოვება სოფელ სავანეშიც ხდება, რაც თითქოს ბაჯითის მაცხოვრებელთა მდგომარეობას ამსუბუქებს და მისაღებს ხდის.

ოჯახის მტკიცებით, დახმარების სახით მათ კომპანიისაგან ერთადერთხელ მიიღეს 300 ცალი ბლოკი და 300 ლარის ცემენტი. ამის შემდეგ, კომპანიის წარმომადგენლებს უფლება მისცეს, რომ ქვიშის მოპოვება მათი სახლის თავზე ეწარმოებინათ და ნედლეულის ტრანსპორტირებისას სახლის გვერდით გამავალი გზით ესარგებლათ. მათი განმარტებით, თანხმობა იმ პირობით გასცეს, რომ კომპანია სახლის მიმდებარე ტერიტორიით და გზით მხოლოდ ცოტა ხნით ისარგებლებდა; საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ კომპანია ტერიტორიაზე საქმიანობას 5 წელზე მეტია აწარმოებს. ინგა ჯაჯანიძის ოჯახი ამას, დათქმული პირობის დარღვევად აღიქვამს.

კომპანია “Geo Sand“-ის მიერ ოჯახისგან თანხმობის მიღების პერიოდი დაახლოებით იმ პერიოდს ემთხვევა, როდესაც კომპანიამ ახალი ლიცენზია მიიღო. როგორც ჩანს, როცა კომპანია ოჯახთან მოსალაპარაკებლად მივიდა მათი საცხოვრებლის მიმდებარე ტერიტორიაზე ქვიშა-ხრეშის მცირე დროით მოპოვებასთან დაკავშირებით, ამაში გულისხმობდა ნებართვის აღებას ჯერ 2015 წლის #1002355 ლიცენზიის და შემდეგ 2018 წლის #1005321 ლიცენზიის მიღებისთვის. აღსანიშნავია, რომ ორივე ლიცენზია კომპანიას მიღებული აქვს 20 წლის ვადით და არა მცირე დროით, როგორც ეს ოჯახთან ჰქონდათ შეთანხმებული.

ბაჯითის კიდეც ერთმა ადგილობრივმა მკვიდრმა, 50 წლამდე ასაკის ქალბატონმა, რომელიც სოფელში 5 წელია ოჯახთან ერთად ცხოვრობს, საუბრისას აღნიშნა, რომ ძლიერი დაბინძურების გამო, უზომი მოყვანილი მწვანეების მიღებაც კი შეუძლებელია, ქარიან ამინდში კი, ბაჯითის ტერიტორია უდაბნოს ემსგავსება. მან ისაუბრა კიდეც ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე, კერძოდ: რამდენიმე წლის წინ თავის საკარმიდამო ნაკვეთზე, მამა-პაპისეული სახლის გვერდით, მისმა ოჯახმა ახალი სახლის აშენება დააპირა (იხ. ფოტო 6.4), რისთვისაც შესაბამისი ორგანოდან გეოლოგიური დასკვნაც მიიღო. მისი თქმით, მშენებლობის დაწყებამდე, მისი ოჯახი ვერ იაზრებდა კვარციანი ქვიშის კარიერის ზემოქმედებას და სახლის აშენებაც ამიტომ გადაწყვიტეს. მან აღნიშნა, რომ დადებითი გეოლოგიური დასკვნის გაცემა სახლის მშენებლობისთვის ამ ტერიტორიაზე არ უნდა მომხდარიყო და მის ოჯახსაც არ მოუწევდა ათიათასობით ლარის ჩადება სახლის მშენებლობაში, რომლის არსებობაც, მის ზემოთ არსებული კარიერის ზემოქმედების გამო, დღეს დიდი საფრთხის ქვეშ დგას.



ფოტო 6.4. მარიამ ხვედელიძე, ივნისი 2021. კარიერის ხედი სოფელ ბაჯითის ერთ-ერთი ადგილობრივის ახალაშენებული სახლიდან. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

ქვიშის კარიერი, როგორც სოციალური კონფლიქტის წყარო

ადგილობრივებთან საუბრისას ასევე გაირკვა, რომ კარიერიდან ყველაზე ახლოს მცხოვრებ ჯაჯანიძეების ოჯახსა და სოფლის სხვა მაცხოვრებლებს შორის კონფლიქტური სიტუაციაა. ბაჯითელები ოჯახს ბრალს იმაში სდებენ, რომ მათ კომპანია „Geo Sand“-ს, მათი სახლის გვერდით გამავალი გზის ქვიშის ტრანსპორტირებისათვის გამოყენების უფლება მისცეს. შედეგად, გზაზე სატვირთო მანქანების ინტენსიური გადაადგილება მთელი ქუჩის მაცხოვრებლებს უქმნის საფრთხეს. ჯაჯანიძეების ოჯახი, თავის მხრივ, ამტყვებს, რომ გადაადგილების უფლების მიცემის სანაცვლოდ ოჯახმა დახმარება და ისიც მიზერული, მხოლოდ ერთხელ მიიღო, რაც არ აძლევს კომპანიას თავისი საქმიანობის წლების განმავლობაში წარმოების უფლებას. კონფლიქტი სოფლის მაცხოვრებლებს შორის სულ უფრო მძაფრდება.

ამ დავასთან დაკავშირებით, გაუგებარია, რას ემყარება ერთ მოსახლესთან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასა და ტრანსპორტირებაზე შეთანხმების დადების პრაქტიკა. ნათელია, რომ კარიერთან მცხოვრებ პირველ ოჯახს სამართლიანი კომპენსაცია რომც მიეღო კომპანიისგან, თანხმობის მხოლოდ ერთი მაცხოვრებლისგან მიღება ვერ ჩაითვლება ადგილობრივ მოსახლეობასთან შეთანხმებად, მითუმეტეს, მიყენებული ზიანის კომპენსაციად. ქვემოთმოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შემოქმედების ის სახეები, რომელთაც სოფელ ბაჯითში კვარციანი ქვიშის კარიერის ფუნქციონირება წარმოშობს.

ცხრილის პირველი ნაწილი გვიჩვენებს შემოქმედებას ადგილობრივ გარემოზე, მეორე - მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ხოლო მესამე - სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე. მარცხენა სვეტში წარმოდგენილია შემოქმედების კონკრეტული სახეები და თითოეული სახის

ზემოქმედების ქვეშ - მისი სტატუსი (არსებული ან მოსალოდნელი/პოტენციური). მარჯვენა სვეტში მოცემულია ის მიზეზები, რომლებიც ამა თუ იმ სახის ზემოქმედებას წარმოშობს.

ცხრილი 6.1. ქვიშის კარიერის ზემოქმედება სოფელ ბაჯითის მოსახლეობასა და გარემოზე.

1. ზემოქმედება ადგილობრივ გარემოზე		
ზემოქმედების სახე		მიზეზი
ჰაერის დაბინძურება		მოპოვებითი სამუშაოები ღია კარიერზე; მოპოვებული ნედლეულის ტრანსპორტირება
✓ არსებული	მოსალოდნელი	
ხმაურით დაბინძურება და ვიბრაცია		
✓ არსებული	მოსალოდნელი	ღია კარიერული სამუშაოები
ლანდშაფტის კარგვა/ვიზუალური დაბინძურება		
✓ არსებული	მოსალოდნელი	
ტყის საფარის კარგვა		ღია კარიერული სამუშაოები
✓ არსებული	მოსალოდნელი	
ნიადაგის ეროზია		
✓ არსებული	მოსალოდნელი	ბურღვითი სამუშაოები ღია კარიერზე; წიაღისეულის ერთ საფეხურად მოპოვება და მაღალი გამონამუშევარი კედლების არსებობა
მეწყურული მოვლენების განვითარება		
არსებული	✓ მოსალოდნელი	
2. ზემოქმედება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე		
ზემოქმედების სახე		მიზეზი
ავარიებით გამოწვეული უბედური შემთხვევები		ნედლეულის ტრანსპორტირება მოძველებული სატვირთო მანქანებით; სატვირთოების სიჩქარის უკონტროლობა; სილით დაბინძურებული გზა/არ ხდება გზის რეცხვა
არსებული	✓ მოსალოდნელი	
უბედური შემთხვევები კარიერზე		შრომის უსაფრთხოების ნორმების დაუცველობა; მაღალი გამონამუშევარი კედლების არსებობა; ნედლეულის მოპოვება ერთ საფეხურად
არსებული	✓ მოსალოდნელი	
მეწყურული პროცესების გააქტიურებით გამოწვეული უბედური შემთხვევები		ნედლეულის ღია კარიერული წესით მოპოვება; ბურღვითი სამუშაოები; წიაღისეულის ერთ საფეხურად მოპოვება და მაღალი გამონამუშევარი კედლების არსებობა
არსებული	✓ მოსალოდნელი	
ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული ჯანმრთელობის პრობლემები		ნედლეულის ღია კარიერული მოპოვება და ტრანსპორტირება
არსებული	✓ მოსალოდნელი	
3. ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე		
ზემოქმედების სახე		მიზეზი
კონფლიქტი ადგილობრივ მოსახლეობას შორის		ლიცენზიანტი კომპანიის მხრიდან ადგილობრივებთან წარმოებული არასამართლიანი პოლიტიკა
✓ არსებული	მოსალოდნელი	
ადამიანის უფლებების (ცხოვრობდეს ჯანსაღ გარემოში, იყოს ინფორმირებული და ა.შ) დარღვევა		მუნიციპალიტეტისა და ლიცენზიანტი კომპანიის დამოკიდებულება ადგილობრივების მიმართ;
✓ არსებული	მოსალოდნელი	

შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევა		
✓ არსებული	მოსალოდნელი	
საცხოვრებელი პირობების გაუარესება		მტვრის გავრცელება; ხმაური და ვიბრაცია; სატვირთობის მოძრაობა
✓ არსებული	✓ მოსალოდნელი	

2. ქვიშის სამრეცხაო ქალაქ საჩხერეში

სამრეცხაო, სადაც ქვიშა, გასარეცხად, საჩხერის სხვადასხვა ქვიშის კარიერებიდან მოაქვთ, ქალაქ საჩხერის ცენტრში, ე.წ ბამბეულის ტერიტორიაზე მდებარეობს (იხ. სატელიტური ფოტო 6.3); ის 100 მეტრითაა დაშორებული 9-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსებიდან (იხ.ფოტო 6.5). სამრეცხაოს ტერიტორიაზე მუდმივადაა დასაწყობებული დიდი რაოდენობით გარეცხილი თუ გაურეცხავი ქვიშა. ადგილობრივი მაცხოვრებლების თქმით, ქარიან ამინდში ტერიტორიაზე ისეთი მტვრის ბურუსია, რომ არაფერი ჩანს; ყოველდღიურად ფანჯრების გაღება და სახლის განიავება კი შეუძლებელია. მოსახლეობამ არაერთხელ მიმართა გამგეობას პრობლემის თაობაზე, თუმცა, ამას რეაგირება არ მოჰყვა.

სამრეცხაოს ტერიტორიაზე დასაწყობებული ქვიშისგან წარმოქმნილი მტვრის პრობლემას სამრეცხაოს ახლოს ქვიშის გამოწვა ემატება. მოძველებული დანადგარები, რომლებშიც ქვიშას წვავენ ძლიერ გამონაბოლქვსა და მძაფრ სუნს გამოყოფს, რაც ადგილობრივების ცხოვრებას კიდევ უფრო გაუსაძლისს ხდის. საწარმოო ტერიტორიის დათვალეიერებისას ადვილად შესამჩნევია, რომ დანადგარები ძველი და მწყობრიდან გამოსულია.



სატელიტური ფოტო 6.3. ქვიშის სამრეცხაო და საცხოვრებელი კორპუსები. წყარო: Google Earth

ქვიშის სამრეცხაოსა და საცხოვრებელ კორპუსებს შორის მდინარე ყვირილა ჩამოედინება. მოსახლეობის ცნობით, საწარმოო ტერიტორიაზე მოხმარებული დაბინძურებული წყალი, ყოველგვარი ფილტრაციის გარეშე, მდინარე ყვირილაში ზუსტად იმ ადგილას ჩაედინება, სადაც ხშირად ბანაობენ ბავშვები. სავლეთ გასვლისას ჩვენ თავად დავაფიქსირეთ ზუსტად საწარმოს წინ ყვირილაში მოცურავე ბავშვები (იხ. ფოტო 6.6).



ფოტო 6.5. მარიამ ხვედელიძე, ივნისი 2021. ქვიშის სამრეცხაო და საცხოვრებელი კორპუსები. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.




ფოტო 6.6. მარიამ ხვედელიძე, ივნისი 2021. ყვირილაში მოცურავე ბავშვები. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

3. ითავაზას საბადო

ითავაზას კვარციანი ქვიშის საბადო სამ უბანს აერთიანებს (იხ. რუკა 6.4). აქედან, ყველაზე ძველი - I უბანი, 1980-იანი წლებიდან მოქმედებს; უახლესი - III უბნის აქტიური ათვისება კი, 2018 წელს დაიწყო, როდესაც კომპანიამ „საჩხერის ქვიშა“ 17.28 ჰექტარი ფართობის მქონე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია მოიპოვა.

ითავაზას საბადოს ზემოქმედების არეალში არაერთი დასახლება ექცევა; ესენია სოფლები: სავანე, არგვეთი, იცქისი, ითავაზა, დურევი. მათ შორის, ყველაზე ძლიერ ზეგავლენას კარიერთან ყველაზე ახლომდებარე სოფლები სავანე, არგვეთი და იცქისი განიცდიან. კარიერების ფუნქციონირების შედეგად ამ სოფლებსა და მათ მაცხოვრებლებზე არსებულ ზემოქმედებაზე მომდევნო ქვეთავებში უფრო დეტალურად ვისაუბრებთ.



რუკა 6.4. ითავაზას საბადოს სხვადასხვა უბანი. წყარო: საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი

3.1 სოფელი იცქისი

როგორც უკვე აღინიშნა, გასული საუკუნის 80-იან წლებში, წიაღისეულის აქტიური ამოღება ითავაზას კვარციანი ქვიშის საბადოს I უბნიდან დაიწყო და წიაღისეული ღია კარიერული წესით, არამდგრადი მეთოდებით მოიპოვებოდა, რის გამოც, 1990-იან წლებში 110-კომლიანი სოფელი იცქისი პრაქტიკულად მთლიანად მოექცა კარიერების არეალში და დაიმეწყრა.

ხელისუფლება იძულებული გახდა დაზარალებული მოსახლეობა უსაფრთხო ადგილას გადაესახლებინა. იცქისის მაცხოვრებლებმა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხებით მათთვის გადაცემულ ნაკვეთებზე (დღეს უკვე ქვედა იცქისის ტერიტორია) დაიწყეს სახლების მშენებლობა. თუმცა, 1991 წლის დამანგრეველი მიწისძვრის გამო, სახელმწიფომ მთელი

ფულადი რესურსები მიწისძვრის შედეგებთან საბრძოლველად მიმართა და ახალ იცქისში ვერცერთი სახლის მშენებლობა-კეთილმოწყობა ვერ დაასრულა. იმ ოჯახებმა (9 ოჯახი), რომლებმაც ახალ იცქისში სახლების მშენებლობის დაწყება მოასწრეს, თავად მოახერხეს და შეიქმნეს მეტ-ნაკლებად ასატანი საცხოვრებელი გარემო, თუმცა, მათი დიდი ნაწილი მაინც გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს. განსაკუთრებით მძიმე სიტუაციაში იცქისის ის მაცხოვრებლები აღმოჩნდნენ, რომელთაც ვერ მოასწრეს მშენებლობის დაწყება და ძველ სოფელში მოუწიათ დარჩენა. სახელმწიფოს მიერ წლების წინ აღებული ვალდებულება - სოფელ იცქისში დარჩენილი ოჯახებისთვის სახლების აშენება და მათი ახალ იცქისში გადასახლება დღემდე არ შესრულებულა, არც ახალ იცქისში უკვე გადასახლებული ოჯახების საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად გატარებულა რაიმე ღონისძიება.⁹⁴

3.2 სოფელი სავანე

სოფელი სავანე ითავაზას კვარციანი ქვიშის III ახლადგახსნილი საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს. საბადოზე ქვიშა-ხრემს კომპანია “საჩხერის ქვიშა” 2018 წლიდან მოიპოვებს. აღნიშნული ლიცენზიის ფართობი საჩხერეში გაცემული ლიცენზიებს შორის ყველაზე დიდია და 17.28 ჰექტარს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ლიცენზიით წიაღის მოპოვება უკვე მეოთხე წელია მიმდინარეობს, წიაღის ეროვნულ სააგენტოს სალიცენზიო ტერიტორია ჯერ არცერთხელ არ შეუმოწმებია. კარიერის დათვალიერებისას დამუშავებული ტერიტორიის მდგომარეობამ - მაღალი და ციცაბო გამონამუშევარი ქანების არსებობამ და ქვიშის ერთ საფეხურად მოპოვებამ, იმის საფუძვლიანი ეჭვი გააჩინა, რომ ნედლეული აქაც წესების დარღვევით მოიპოვება (იხ. ფოტო 6.7 და 6.8).



ფოტო 6.7. მარიამ ხვედელიძე, ივნისი 2021. ქვიშის კარიერის უზარმაზარი გამონამუშევარი ქანები სოფელ სავანესთან. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

⁹⁴ მწვანე ალტერნატივას 2017 წლის 22 თებერვლის #04/02-555 წერილი საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს.



ფოტო 6.8. მარიამ ხვედელიძე, ივნისი 2021. ქვიშის კარიერის უზარმაზარი გამონამუშევარი ქანები სოფელ სავანესთან. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

კარიერების უარყოფითი ზემოქმედება სავანის ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელ გარემოზე

ქვიშის კარიერის პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ საბადოსთან ყველაზე ახლოს მდებარე უბნები - კომლაძეებისა და ამყოლაძეების უბნები ექცევა.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული საველე გასვლისას, ადგილობრივ მაცხოვრებლებთან გასაუბრებისას, დაისვა კითხვები იმის შესახებ, თუ რა ზეგავლენას ახდებს მათ საცხოვრებელ გარემოსა და ჯანმრთელობაზე რამდენიმე ასეულ მეტრში კვარციანი ქვიშის კარიერების არსებობა.

კომლაძეების უბნის მაცხოვრებლებმა საუბრისას აღნიშნეს, რომ ქვიშის კარიერის ზემოქმედება მათ საცხოვრებელ გარემოზე იმდენად დიდია, რომ ამ სოფელში ცხოვრება გაუსაძლისია. ადგილობრივთა მტკიცებით, სოფელში მკვეთრად იმატა სიმსივნური დაავადებების რიცხვმა. კომლაძეების უბნის ერთ-ერთი უხუცესის, 75 წლის მამაკაცის თქმით, მხოლოდ მის ოჯახში ორ ადამიანს დაუდგინდა სიმსივნე, რასაც ის სოფლის მიმდებარედ კვარციანი ქვიშის კარიერის არსებობას უკავშირებს. კომლაძეები მუდმივად იმის შიშით ცხოვრობენ, რომ სოფელი სავანეც იცქისის ბედს გაიზიარებს.

კომლაძეების უბნის მაცხოვრებლებმა საუბარში ისიც აღნიშნეს, რომ არც მუნიციპალიტეტს და არც კომპანიას ადგილობრივი მოსახლეობისთვის დახმარება არ გაუწევია. ადგილობრივები ვერ ხედავენ კარიერის ფუნქციონირების დადებით ზეგავლენას ვერც ადგილობრივთა დასაქმების შესაძლებლობებზე და ვერც, ზოგადად, ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. კომლაძეების თქმით, სულ რამდენიმე ადგილობრივია დასაქმებული კარიერზე ძალზე დაბალანაზღაურებად სამუშაოზე. ერთ-ერთმა მაცხოვრებელმა აღნიშნა, რომ წელიწადნახევრის წინ თავად მუშაობდა კარიერზე დარაჯად და მისი თვიური ანაზღაურება მხოლოდ 200 ლარს შეადგენდა. კარიერზე

დასაქმებული სხვა ადგილობრივების ხელფასები ამ თანხისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება.

ამყოლაძეების უბანი კიდევ ერთი უბანია, სადაც ქვიშის კარიერის ფუნქციონირებით გამოწვეული განსაკუთრებით უარყოფითი ზემოქმედება იჩენს თავს. ამ უბნის მოსახლეობა ზუსტად იმ გზის მიმდებარედ ცხოვრობს, რომელსაც კომპანიის სატვირთოები იყენებენ მოპოვებული ქვიშის ტრანსპორტირებისთვის (იხ. ფოტო 6.9). უბნის ერთ-ერთი მაცხოვრებლის, ახალგაზრდა მამაკაცის თქმით, ყველა მოსახლე უკმაყოფილოა მათ სახლებთან ასე ახლოს მიმდინარე კარიერული სამუშაოებით და ნედლეულის ტრანსპორტირებით გამოწვეული ზემოქმედებით. მან ისიც განაცხადა, რომ თანასოფლელებთან ერთად არაერთხელ მიმართა მუნიციპალიტეტს დახმარების თხოვნით, თუმცა, ამ ქმედებას არცერთხელ არ მოჰყოლია რეაგირება.

ადგილობრივმა ისიც გაიხსენა, რომ მისმა თანაუბნელებმა მათი სახლების წინ მდებარე ასფალტის გზაზე ტრაილერების ხშირი და სწრაფი გადაადგილების გამო, მუნიციპალიტეტს სიჩქარის შემზღვეველი ბარიერების, ე.წ. „ბუგაროკების“ მოწყობის თხოვნით მიმართეს და გამგეობამ მათი ეს თხოვნაც კი არ დააკმაყოფილა.

ამყოლაძეების უბნის მაცხოვრებლების თქმით, ქვიშის მოსაპოვებლად ახალი მიწების ათვისების მცდელობა მათ სოფელში არაერთხელ ყოფილა. ადგილობრივები იხსენებენ, რომ ერთ შემთხვევაში, ლიცენზიაც კი იყო გაცემული და კომპანიას ტერიტორიაზე ტექნიკა ჰყავდა შეყვანილი, თუმცა, ადგილობრივები წინ გადაუდგნენ და ლიცენზიანტს მუშაობის საშუალება არ მისცეს.


წიაღის ეროვნული სააგენტოსგან გამოგზავნილი მასალებიდან ირკვევა, რომ საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2015 წლის 11 ნოემბერს შუამდგომლობით მიმართა გარემოს ეროვნულ სააგენტოს⁹⁵. სააგენტოსთვის გაგზავნილ წერილში გამგეობა აცხადებდა, რომ კომპანია „მშენებელი 1“, რომელსაც 2007 წელს ჰქონდა მიღებული სოფელ სავანის მიმდებარე ტერიტორიაზე კვარციანი ქვიშის მოპოვების ლიცენზია, მოსახლეობის პროტესტის გამო, ვერ ახერხებდა მინიჭებული უფლებით სარგებლობას და ნედლეულის მოპოვებას; გამგეობა სააგენტოს სთხოვდა, კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყო სალიცენზიო ტერიტორიის ადგილმონაცვლეობა. შედეგად, 2016 წლის 16 აგვისტოს კომპანიის „მშენებელი 1“ სახელზე გაიცა კვარციანი ქვიშის მოპოვების ახალი ლიცენზია სოფელ ითავაზას ტერიტორიაზე.

3.3 სოფელი არგვეთი

არგვეთი სოფელ სავანის მეზობლად მდებარე სოფელია. როგორც ქვემოთ მოცემულ 6.4 სატელიტურ ფოტოსურათზე ჩანს, არგვეთის მიმდებარედ გაცემული ლიცენზიები საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას ფარავს.

⁹⁵ საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 11 ნოემბრის #53/5228 წერილი გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს უფროსს

არგვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ქვიშას მოიპოვებს სააქციო საზოგადოება „დარკვეთის საშენმასალათა კომბინატი“ (სალიცენზიო ტერიტორიის ფართობი - 8.52 ჰა), შპს „Geo Sand“ (ფართობი - 8.62 ჰა), შპს „ზემო იმერეთი“ (ფართობი - 6.7 ჰა), შპს „კარიერი“ (ფართობი - 3.55 და 3.92 ჰა) და კიდევ ბევრი სხვა კომპანია, შედარებით პატარა ლიცენზიებით.



სატელიტური ფოტო 6.4. ყვითლად დაშტრიხულია სალიცენზიო ტერიტორიები სოფელ სავანესა და არგვეთთან. წყარო: საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი

უნდა აღინიშნოს, რომ ბაჯითისა და სავანის მსგავსად, არც არგვეთის მიმდებარედ არსებული კარიერების მდგომარეობაა სახარბიელო. ვიზუალური დათვალიერებითაც კი კარგად ჩანს, რომ ნედლეულის მოპოვება უსაფრთხოდ და შესაბამისი ნორმების დაცვით არ ხორციელდება. ამას ისიც მოწმობს, რომ ზემოთჩამოთვლილი ხუთი ყველაზე დიდი ლიცენზიიდან სამზე, წიაღის ეროვნული სააგენტომ შემოწმებისას მოპოვების წესების დარღვევა გამოავლინა. კერძოდ, სალიცენზიო ფართობებზე წიაღი მოპოვებულია ერთ საფეხურად, ქვემოდან ზემოთ, დარღვეულია საფეხურების დასაშვები სიმაღლე და დახრილობა. რაც შეეხება დიდი ფართობის მქონე დანარჩენ ორ ლიცენზიას (კომპანია „კარიერის“ ლიცენზიები), არცერთის პირობები არაა ადგილზე შემოწმებული.

კარიერების უარყოფითი ზემოქმედება არგვეთის ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელ გარემოზე

არგვეთის მაცხოვრებლების თქმით, სოფელში ცხოვრებას გაუსაძლის ხდის კარიერიდან წამოსული დიდი რაოდენობით ქვიშის მტვერი. საუბარში მათ ისიც დაადასტურეს, რომ კომპანიები კარიერებზე სამუშაოებს ყოველგვარი ნორმების დაუცველად აწარმოებენ: წიაღისეულს მოიპოვებენ ჰიფსომეტრიულად დაბალი ნიშნულიდან მაღლისაკენ და ერთ საფეხურად; სამთო საქმის წესებისა და ნორმების მიხედვით, კარიერზე გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, ობიექტი უნდა მუშავდებოდეს ჰიფსომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბლისაკენ, საფეხურების სიმაღლე და დახრილობა კი არ უნდა აღემატებოდეს წიაღით სარგებლობის წინასწარ შედგენილი პროექტით განსაზღვრულ მაჩვენებლებს. ერთ-ერთი ადგილობრივის თქმით, გასული საუკუნის 90-იან წლებში აქ ორი ადამიანი გარდაიცვალა ნედლეულის არასწორად მოპოვების გამო.

მოსახლეობა უკმაყოფილოა იმითაც, რომ სოფლის მაცხოვრებლები არანაირ სარგებელს არ იღებენ მათთან ახლოს კარიერების ფუნქციონირებით; ადგილობრივების მტკიცებით, ლიცენზიანტი კომპანიები, რომლებიც ძალიან დიდ ფინანსურ სარგებელს იღებენ სოფლის ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციით, სოფლის მოსახლეობას არასდროს დახმარებიან; ადგილობრივ მაცხოვრებელთა აზრით, ოჯახური საქროების არსებობისას, ისინი კომპანიების მიერ მოპოვებული ნედლეულის მცირე რაოდენობას მაინც უნდა იღებდნენ უსასყიდლოდ. თუმცა, არგვეთელებს ქვიშის საბაზრო ფასში შექენა უხდებათ. რაც შეეხება დასაქმებას, მხოლოდ რამდენიმე ადგილობრივი მუშაობს კარიერებზე დაბალანაზღაურებად სამუშაოზე.

ბერიძეების უბანი სოფელ არგვეთში ყველაზე ახლოსაა ქვიშის კარიერებთან და პირდაპირ გადაჰყურებს მათ. უბნის სახლები კარიერებიდან 200-300 მეტრითაა დამორებული. ადგილობრივმა რომან ბერიძემ საუბრისას აღნიშნა, რომ კარიერებზე ცოტა ხნის წინ აფეთქებითი სამუშაოებიც კი მიმდინარეობდა, თუმცა მოსახლეობის პროტესტის გამო, მალევე შეწყდა.

მაცხოვრებლებმა, დახმარების თხოვნით, მუნიციპალიტეტსაც მიმართეს. მუნიციპალიტეტმა მათ, დახმარების ნაცვლად, ადვოკატის დაქირავება ურჩია.

ადგილობრივთა თქმით, გაუსაძლისად დიდი რაოდენობის მტვერთან ერთად, მათ ძალიან აწუხებთ მოპოვებითი სამუშაოებით გამოწვეული ხმაური. კარიერებზე მომუშავე ტექნიკის ხმა სოფელში მუდმივად ისმის.

საუბრისას სოფლის მაცხოვრებლებმა, ასევე, გაიხსენეს, რომ კარიერების ტერიტორიაზე, რამდენიმე ათეული წლის წინ, ხშირი ფოთლოვანი ტყე იყო, თუმცა, დღეს ტყის საფარი მთლიანად განადგურებულია. ადგილობრივები კარიერის და მის მიმდებარე ტერიტორიას, წარსულში საძოვრებად იყენებდნენ, თუმცა, დღეს საქონელს იქ ვეღარ აძოვებენ და იძულებულები არიან სოფლის შიდა ტერიტორიაზე გარეკონ საბალახოდ. არგვეთელებისთვის განადგურებას გადარჩენილი ტყის ნაწილში მოხვედრა და მისი რესურსებით სარგებლობაც

სირთულეს წარმოადგენს, რადგანაც ტყეში მოსახვედრად ბარიერების - კარიერების ძალზე მაღალი კედლების - დაძლევა უწევთ.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჯამებს ითავაზას საბადოზე მოქმედი კარიერების ზემოქმედებას საბადოს მიმდებარე სოფლების მოსახლეობასა და გარემოზე.

ცხრილის პირველი ნაწილი გვიჩვენებს ზემოქმედებას ადგილობრივ გარემოზე, მეორე - მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ხოლო მესამე - სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე. მარცხენა სვეტში წარმოდგენილია ზემოქმედების კონკრეტული სახეები და თითოეული სახის ზემოქმედების ქვეშ - მისი სტატუსი (არსებული ან მოსალოდნელი/პოტენციური). მარჯვენა სვეტში მოცემულია ის მიზეზები, რომლებიც ამა თუ იმ სახის ზემოქმედებას წარმოშობს.

ცხრილი 6.2. ქვიშის კარიერის ზემოქმედება ითავაზას საბადოს მიმდებარე სოფლების მოსახლეობასა და გარემოზე.

ზემოქმედება ადგილობრივ გარემოზე		
ზემოქმედების სახე		მიზეზი
ჰაერის დაბინძურება		მოპოვებითი სამუშაოები ღია კარიერზე; მოპოვებული ნედლეულის ტრანსპორტირება
✓ არსებული	მოსალოდნელი	
ხმაურით დაბინძურება და ვიბრაცია		
✓ არსებული	მოსალოდნელი	
ლანდშაფტის კარგვა/ვიზუალური დაბინძურება		ღია კარიერული სამუშაოები
✓ არსებული	მოსალოდნელი	
ტყის საფარის კარგვა		
✓ არსებული	მოსალოდნელი	
ნიადაგის ეროზია		ღია კარიერული სამუშაოები, რეკულტივაციის განუხორციელებლობა
✓ არსებული	მოსალოდნელი	
მეწყურული მოვლენების განვითარება		ბურღვითი სამუშაოები ღია კარიერზე; წიაღისეულის ერთ საფეხურად მოპოვება და მაღალი გამონამუშევარი კედლების არსებობა
არსებული	✓ მოსალოდნელი	
საძოვრების კარგვა		ღია კარიერული სამუშაოები
✓ არსებული	მოსალოდნელი	
საკარმიდამო და სასოფლო-სამეურნეო მიწების დაბინძურება		ღია კარიერული სამუშაოები, ნედლეულის ტრანსპორტირება
ზემოქმედება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე		
ზემოქმედების სახე		მიზეზი
ავარიებით გამოწვეული უბედური შემთხვევები		ნედლეულის ტრანსპორტირება მოძველებული სატვირთო მანქანებით; სატვირთოების სიჩქარის კონტროლის განუხორციელებლობა; სილით დაბინძურებული გზა/არ ხდება გზის რეცხვა
არსებული	✓ მოსალოდნელი	

უბედური შემთხვევები კარიერზე		შრომის უსაფრთხოების ნორმების დაუცველობა; მაღალი გამონამუშევარი კედლების არსებობა; ნედლეულის მოპოვება ერთ საფეხურად
✓ არსებული	✓ მოსალოდნელი	
მეწერული პროცესების გააქტიურებით გამოწვეული უბედური შემთხვევები		ნედლეულის დია კარიერული წესით მოპოვება; ბურღვითი სამუშაოები; წიაღისეულის ერთ საფეხურად მოპოვება და მაღალი გამონამუშევარი კედლების არსებობა
არსებული	✓ მოსალოდნელი	
ჯანმრთელობის პრობლემები		ნედლეულის დია კარიერული მოპოვებითა და ტრანსპორტირებით გამოწვეული ჰაერის დაბინძურება, საკარმიდამო ნაკვეთებისა და სასოფლო-სამეურნეო მიწების დაბინძურება
✓ არსებული	✓ მოსალოდნელი	
ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე		
ზემოქმედების სახე		მიზეზი
ადამიანის უფლების დარღვევა ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში		კარიერული სამუშაოების წარმოება დასახლებული ადგილების სიახლოვეს; მოსახლეობის უკმაყოფილების/პროტესტის უგულებელყოფა
✓ არსებული	მოსალოდნელი	
ადამიანის უფლების დარღვევა უზრუნველყოფილი იყოს დირსეული საცხოვრისით		დაზარალებული მოსახლეობისთვის დირსეული კომპენსაციის შეუთავაზებლობა;
✓ არსებული	მოსალოდნელი	
შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევა		შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის კონტროლის განუხორციელებლობა; ლიცენზიანტი კომპანიების უპასუხისმგებლობა
✓ არსებული	მოსალოდნელი	
საცხოვრებელი პირობების გაუარესება		მტვრის გავრცელება; ხმაური და ვიბრაცია; სატვირთოების მოძრაობა
✓ არსებული	✓ მოსალოდნელი	
პირუტყვის საძოვარად გაშვების შეზღუდვა		სასაძოვრე ტერიტორიების შემცირება ნედლეულის დია კარიერული მოპოვებისა და დიად დატოვებული უზარმაზარი კარიერების არსებობის შედეგად
✓ არსებული	მოსალოდნელი	
შეზღუდული მიწვლადობა ტყეზე და ტყის რესურსებზე		ნედლეულის დია კარიერული წესით მოპოვება; უზარმაზარი გამონამუშევარი კედლების არსებობა
✓ არსებული	მოსალოდნელი	

კვარციანი ქვიშის მომპოვებელი კომპანიები საჩხერეში

გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება "აი ფაქტის" სტატია „ქვიშით აშენებულების“ პირველ ნაწილში⁹⁶ საჩხერეში კვარციანი ქვიშის მომპოვებელი კომპანიების შესახებ რამდენიმე საინტერესო ფაქტია ხაზგასმული. სტატიაში ნათქვამია, რომ კომპანია „საჩხერის ქვიშის“ ერთ-ერთი მეწილე დავით გიორგაძე, რომელიც ადგილობრივი ბიზნესმენია, 2018 წელს თანასოფლელებთან, ანუ სავანელებთან ერთად იბრძოდა კარიერის გახსნის წინააღმდეგ,

⁹⁶ გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება "აი, ფაქტი", 2021. [ქვიშით აშენებულები](#).

თუმცა, 2019 წელს, თავად გახდა კომპანიის ერთ-ერთი მეწილე და კომპანიამ მოსახლეობის უარის და აქტიური პროტესტის მიუხედავად, მოპოვებითი სამუშაოები დაიწყო.

შპს „საჩხერის ქვიშა“ საჯარო რეესტრში 2018 წლის 27 აგვისტოს დარეგისტრირდა. აღსანიშნავია, რომ კომპანიის მეწილეები პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ და მისი საპრეზიდენტო კანდიდატის მსხვილი შემწირველები არიან. დღეისათვის, გიორგაძესთან ერთად, „საჩხერის ქვიშას“ კიდევ სამი მეწილე ჰყავს - ვალერი ტურძელაძე, ლევან ტურძელაძე და ალექსანდრე წულუკიძე. ვალერი ტურძელაძესა და ალექსანდრე წულუკიძეს, 2018 წელს, სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო კამპანიისთვის თითოეულს 22 ათასი ლარი აქვს შეწირული. დავით გიორგაძემდე კომპანიის მეოთხე მეწილე გელა კობერიძე იყო, რომელსაც ქართული ოცნებისთვის 11 ათასი ლარი აქვს შეწირული.


საჩხერეში კვარციანი ქვიშის მომპოვებელი კიდევ ერთი კომპანია - შპს „Geo Sand“-იც ქართული ოცნების მსხვილი შემწირველია. კომპანიის მეწილეებს - ივანე ფარქოსაძეს, მამუკა დეკანოიძესა და ალექსანდრე სირაძეს „ქართული ოცნებისა“ და სალომე ზურაბიშვილისთვის, ჯამში, 125 ათასი ლარი აქვთ შეწირული. აღსანიშნავია, რომ „Geo Sand“-ის ერთ-ერთ მესაკუთრეს ივანე ფარქოსაძეს წილები აქვს, ასევე, საჩხერეში კვარციანი ქვიშის ლიცენზიანტ სხვა კომპანიებში - „მშენებელი 1“-ში, „კვარცი საქართველოში“ და „მშენებელი 2015“-ში.

კიდევ ერთი კომპანია, რომელსაც „ქართული ოცნებისთვის“ გაღებული შემოწირულობა უფიქსირდება არის მიხეილ და მაია გურულების კომპანია შპს „იტავაზა მშენებელი“. კომპანიის ყოფილ მეწილეს და ახლანდელი მეწილეების ოჯახის წევრს, გიორგი გურულს, 2016 წელს, პარტიისთვის 60 ათასი ლარი აქვს შეწირული.

შპს „ჯეო კვარცი“ ქართული ოცნების კიდევ ერთი შემწირველი კომპანიაა. კომპანიის ერთ-ერთ მესაკუთრეს, მიხეილ სირაძეს, ოცნებისთვის და სალომე ზურაბიშვილისთვის 75 ათასი ლარი აქვს შეწირული, ხოლო მეორე მეწილეს - ანდრო ფარქოსაძეს - 12 ათასი ლარი. ორივე მათგანს წილები აქვთ ქვიშის მომპოვებელ სხვა კომპანიებშიც, კერძოდ: სირაძეს - „მშენებელი 1“-ში, „კვარცი საქართველოში“ და „საჩხერის ქვიშაში“, ხოლო ფარქოსაძეს - „ჯეო კვარცი“ და „მშენებელი 2015“-ში.

რამდენიმე ფიზიკური პირის დომინირება საჩხერეში კვარციანი ქვიშის მოპოვების ბიზნესში (იხ. დიაგრამა 6.2) და მმართველი პოლიტიკური პარტიისათვის ამ პირების მიერ გაკეთებული მსხვილი ფულადი შეწირულობები აჩენს საფუძვლიან ეჭვს, ვიფიქროთ, რომ შესაძლოა, ისინი სახელმწიფო ორგანოებისგან ერთგვარი მფარველობითაც სარგებლობდნენ. ეს მფარველობა შეიძლება, გამოხატული იყოს სხვადასხვა ქმედებით, მაგალითად: ბიზნეს-საქმიანობის (ანუ ლიცენზიის პირობების შესრულების) შემოწმებისგან თავის არიდებით, ლიცენზიის მიღების პროცედურის გაადვილების გზით ბიზნესის დაწყების ხელშეწყობით, მოსახლეობის უკმაყოფილებაზე თვალის დახუჭვით და ა.შ. მსგავსი ფაქტები ზემოთ მოცემულ თავებში არაერთგან გვაქვს ნახსენები.

დიაგრამა 6.2. ფიზიკური პირები, რომელთაც წილები აქვთ სხვადასხვა კომპანიებში.



მომდევნო ქვეთავში აღწერილია, როგორ ასრულებენ კომპანიები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და როგორ უზრუნველყოფენ შესაბამისი ორგანოები კანონდღსრულების კონტროლს.

ლიცენზიების პირობების შესრულება და კანონდღსრულების კონტროლი

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა სხვადასხვა საჯარო დაწესებულებისგან მიღებული მასალები, მათ შორის, ლიცენზიები და მათ გასაცემად ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები, წიაღის ათვისების გეგმა-გრაფიკები, ლიცენზიანტების მიერ წარმოებული ლიცენზიის პირობების შესრულების ყოველწლიური ანგარიშები და სხვადასხვა უწყების მიერ განხორციელებული შემოწმებების მასალები.

წიაღის ათვისების გეგმა-გრაფიკი

წიაღის ეროვნული სააგენტოდან მიღებული მასალების მიხედვით⁹⁷, 28 ლიცენზიიდან, წიაღის ათვისების გეგმა შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული იყო მხოლოდ 9 ლიცენზიის შემთხვევაში, საიდანაც გრაფიკი დროულად შეთანხმებული ჰქონდა მხოლოდ ორ კომპანიას. დანარჩენ შვიდ შემთხვევაში, წიაღის ათვისების გეგმა-გრაფიკი რამდენიმე თვის ან წლის დაგვიანებითაა შეთანხმებული წიაღის ეროვნულ სააგენტოსთან, ან წარსულში სხვა შესაბამის, უფლებამოსილ უწყებასთან. მაგალითად, შპს „სენდ კომპანიმ“ #01128 ლიცენზიის ათვისების გეგმა შეთანხმა 2013 წელს, ლიცენზიის მიღებიდან 5 წლის შემდეგ; შპს „მშენებელმა“ - 2012 წელს, #100247 ლიცენზიის მიღებიდან 4 წელში, შპს „კვარცმა“ (#1005045 ლიცენზია) - 2 წლის დაგვიანებით, 2019 წელს; შპს „არგვეთმა“ (#1000283 ლიცენზია) და შპს „კარიერმა“ (#1000286 ლიცენზია) - 1 წლის დაგვიანებით, 2012 წელს.

იმის მიუხედავად, რომ წიაღის ათვისების დამტკიცებული გეგმის არარსებობა სამართალდარღვევა⁹⁸ და მისი ქონა კი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც შემდგომში ლიცენზიანტი სწორედ ამ გეგმის მიხედვით იხდის წიაღით სარგებლობის გადასახადს - მოსაკრებელს, აღნიშნული დარღვევის შესახებ ინფორმაცია შეგვხვდა მხოლოდ კომპანია “Geo Sand”-ის #1004814 ლიცენზიის მასალებში. კომპანიის სამართალდარღვევის ოქმი ერთადერთია, სადაც ათვისების გეგმის არქონაა ხაზგასმული.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ შპს „კვარცის“ #1005045 ლიცენზიის წიაღის ათვისების გეგმა-გრაფიკის უქონლობის ფაქტი წიაღის ეროვნულმა სააგენტომ ლიცენზიის გაცემიდან ორი წლის შემდეგ, 2019 წლის ივლისში ჩატარებული არაგეგმიური შემოწმებისას აღმოაჩინა. თუმცა, სააგენტოს წარმომადგენელმა არ შეადგინა სამართალდარღვევის ოქმი და კომპანიას დამატებით კიდევ 5 სამუშაო დღე მისცა ათვისების გეგმის წარმოსადგენად. კომპანიამ მიცემულ ვადაში შეადგინა და სააგენტოს წარუდგინა გეგმა. აღნიშნულ ფაქტთან მიმართებით, საინტერესოა ის გარემოება, რომ სამართალდარღვევის ფაქტის არსებობის მიუხედავად, რომელიც 500-ლარიანი ჯარიმის დაკისრებას ითვალისწინებს, წიაღის ეროვნულმა სააგენტომ კომპანიას არ შეუდგინა სამართალდარღვევის ოქმი და დამატებითი ვადა მისცა დარღვევის გამოსასწორებლად.

ლიცენზიის პირობების კონტროლის შესახებ ყოველწლიური ანგარიშგება

როგორც უკვე აღინიშნა, ლიცენზიანტებს ეკისრებათ ვალდებულება,⁹⁹ ყოველწლიურად, 1 აპრილიდან 1 მაისამდე ლიცენზიის გამცემ ორგანოს წარუდგინონ სალიცენზიო პირობების

⁹⁷ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 21 აპრილის #22/126 წერილი “მწვანე ალტერნატივას” აღმასრულებელ დირექტორს.

⁹⁸ საქართველოს 1984 წლის 15 დეკემბრის კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, თავი VII, 57³ მუხლი. ხელმისაწვდომია „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე, სარეგისტრაციო კოდი: 020.000.000.05.001.000.010

⁹⁹ საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, თავი V, 21-ე მუხლი, მე-3 პუნქტი. ხელმისაწვდომია „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე, სარეგისტრაციო კოდი: 300.310.000.05.001.001.914

შესრულების ანგარიში. კვლევის ფარგლებში შესწავლილი 28 ლიცენზიის ყოველწლიური ანგარიშების შეფასების შედეგად, გამოვლინდა რამდენიმე პრობლემური საკითხი:

→ **შევსებული ანგარიშების სისრულე** - პრობლემურია ყოველწლიური ანგარიშების სრულყოფილად შევსების საკითხი. საჩხერეში კვარციანი ქვიშის მოპოვების არცერთ ლიცენზიანტს არ აქვს სრულად შევსებული ყოველწლიური სტატისტიკური დაკვირვების ფორმა. ანგარიშებში ველების უმრავლესობა ცარიელია და ძირითად შემთხვევაში, გადმოცემულია მხოლოდ ისეთი ზედაპირული სახის ინფორმაცია, როგორცაა საანგარიშო წელს მოპოვებული და წლის დასასრულს დარჩენილი ნედლეულის მოცულობა.

→ **წარმოდგენილი მონაცემების სიზუსტე** - ყოველწლიური ანგარიშების არაერთ ფორმაში არის გაპარული უზუსტობა, მაგალითისთვის:

- შპს „კარიერს“ #00769 ლიცენზიის 2012 წლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქვს სრულიად გაურკვეველი გამოთვლები და მონაცემები, 2015 წელს წარმოდგენილი მონაცემები კი არაზუსტია, კერძოდ, 2014-2015 წლების ანგარიშების მიხედვით, 2014 წლის დასაწყისში წიაღის მოცულობა შეადგენდა 97 061 კუბური მეტრს, ხოლო 2015 წლის დასაწყისისთვის უფრო მეტს - 128 189 კუბურ მეტრს;
- სს „დარკვეთის საშენმასალათა კომბინატის“ #1001049 ლიცენზიის 2015 წლის ანგარიშგების ფორმა სრულიად ცარიელია და მასში არცერთი მონაცემი არაა შეტანილი, 2016 წლის ანგარიშში კი ნედლეულის მითითებული ოდენობებიდან ირკვევა, რომ მოპოვება 2015-შიც იყო განხორციელებული, უბრალოდ ამის შესახებ კომპანიამ დაკვირვების ფორმაში ინფორმაცია არ შეიტანა. რიცხობრივი შეცდომაა კომპანიის 2016 წლის ანგარიშშიც;
- შპს „კვარცს“ #1005045 ლიცენზიის პირობების შესრულების შესახებ 2019 წლისთვის ორი სახვადასხვა ანგარიშგება აქვს წარმოდგენილი სრულიად განსხვავებული მონაცემებით.

აღნიშნული ფაქტების არსებობა ტოვებს იმის განცდას, რომ არავინ ამოწმებს ანგარიშებში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეს, შესაბამისად, არც ლიცენზიის პირობების შესრულებას, რის გამოც, კომპანიების მიერ ყოველწლიური ანგარიშების წარმოდგენა ყოველგვარ აზრს კარგავს და მხოლოდ ფორმალურ ხასიათს იძენს.

ანგარიშების წარდგენის კონტროლი

→ **დარღვევების აღმოჩენა** - მნიშვნელოვანია ლიცენზიის პირობების შესრულების ანგარიშების წარმოდგენის შემოწმების საკითხიც.

იმის კონტროლი, შევსებული აქვს, თუ არა ამა თუ იმ კომპანიას ყოველწლიური ანგარიშის ფორმა, დიდი ხნის განმავლობაში გამოწვევა იყო. შესწავლილი 28 ლიცენზიიდან ანგარიშგების ფორმები სრულად (ყოველი წლისთვის) წარმოდგენილი არ არის 5 ლიცენზიის შემთხვევაში,

სულ 21-ჯერ. კომპანია „ა კლასს“ #00475 ლიცენზიის ანგარიში არ აქვს წარმოდგენილი რვაჯერ, „არგვეტს“ (#1000283) – ოთხჯერ, „ჯეო-კვარცს“ (1001199) – ორჯერ, „მშენებელი 1“-ს (100247) - ექვსჯერ, სს „დარკვეთის საშენმასალათა კომბინატს“ (1001049) - ერთხელ. თუმცა, ანგარიშის არქონის ფაქტი მხოლოდ ორ შემთხვევაშია დაფიქსირებული.

აღსანიშნავია, რომ ლიცენზიის პირობების კონტროლის ფუნქციის წიაღის ეროვნულ სააგენტოში გადასვლის შემდეგ, ყოველწლიური ანგარიშგების ფორმების ფორმალურად წარმოდგენის კონტროლის ხარისხი გაუმჯობესდა. ანგარიშების წარუდგენლობის 21 შემთხვევიდან 19 მოდის 2018 წლამდე პერიოდზე, ანუ იმ დროზე, როცა კონტროლს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი აწარმოებდა. ამ პერიოდში დეპარტამენტს დარღვევის არცერთი ფაქტი არ აღმოუჩენია. ამის საპირისპიროდ, 2018-2020 წ.წ.-ში დაკვირვების ფორმების წარუდგენლობის ორი შემთხვევიდან სააგენტოს მიერ ორივე იქნა გამოვლენილი.

→ **დარღვევაზე რეაგირების პრაქტიკა** - რეაგირების პრაქტიკა ზემოაღნიშნულ ორ ფაქტზეც კი განსხვავებულია. თუ შპს „არგვეტი“ (#1000283 ლიცენზია) ანგარიშის დაგვიანებით წარდგენისთვის დაჯარიმდა 500 ლარით, ამავე დარღვევის მიუხედავად, სასამართლომ კომპანია „ა კლასი“ (#00475 ლიცენზია) გაათავისუფლა სახდელისაგან, რადგანაც სამართალდარღვევა მიიჩნია მცირე მნიშვნელობის მქონედ, რომელსაც არ გამოუწვევია ზიანი. მსგავსი პრეცედენტების არსებობა, რა თქმა უნდა, გაუმართლებელია. თუკი, კანონით დადგენილია, რომ ლიცენზიანტის მიერ ყოველწლიური ანგარიშის წარუდგენლობა ან დაგვიანებით წარდგენა დასჯადი ქმედებაა, ამ დარღვევისთვის უნდა ისჯდებოდეს განურჩევლად ყველა ლიცენზიანტი და სამართალდარღვევაზე მოსალოდნელი რეაგირება უნდა იყოს ნათელი.

→ **სამართალდარღვევაზე რეაგირების ვადა** - კანონდარღვევებზე რეაგირებასთან მიმართებით, საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება: რეაგირება ხორციელდება მხოლოდ უკანასკნელ (მიმდინარე) საანგარიშო წელს დაფიქსირებული დარღვევის ფაქტზე. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ, მაგალითად, კომპანიას ყოველწლიური ანგარიშგების ფორმა მაკონტროლებელი ორგანოსთვის წარდგენილი არ ჰქონდა რამდენიმე წლის განმავლობაში, მას პასუხისმგებლობა ეკისრება ანგარიშგების წარუდგენლობისთვის მხოლოდ კანონდარღვევის აღმოჩენის წელს. მაგალითისთვის, თუ შპს „ა კლასის“ შემთხვევაში კომპანიას სტატისტიკური დაკვირვების ფორმა წარმოდგენილი არ ჰქონდა რვაჯერ, წიაღის ეროვნულმა სააგენტომ სამართალდარღვევის ოქმი შეადგინა მხოლოდ ერთხელ, 2020 წლის 15 ივნისს, 2019 წლის საანგარიშო პერიოდის სტატისტიკური დაკვირვების ფორმის ვადაგადაცილებისთვის.

სალიცენზიო პირობების ადგილზე კონტროლი

მნიშვნელოვანია, ზოგადად, სალიცენზიო პირობების კონტროლის საკითხიც. უნდა აღინიშნოს, რომ შესწავლილი 28 ლიცენზიიდან 11 ლიცენზიის (40%) პირობების ადგილზე შემოწმება არცერთხელ არ არის განხორციელებული, მაშინ, როდესაც კომპანიების დიდ ნაწილს 5 წელზე მეტია, ლიცენზიები აქვს მიღებული და მოპოვებით სამუშაოებს ახორციელებს. ასეთია,

მაგალითად, შპს “Geo Sand”-ის #102606 და #1001161 ლიცენზიები; „საყალიბე ქვიშების“ #1002008 ლიცენზია; “მშენებელი 1”-ის #1002597 ლიცენზია.

17 ლიცენზიიდან 14 ლიცენზია 2018 წლის შემდგომ პერიოდში, წიაღის ეროვნულმა სააგენტომ შეამოწმა, მხოლოდ სამი ლიცენზია შეამოწმა დეპარტამენტმა, 2018 წლამდე.

ძირითადი დარღვევები - რაც შეეხება აღმოჩენილ დარღვევებს, დოკუმენტაციურ დარღვევებთან ერთად, როგორცაა ათვისების გეგმების შეუთანხმებლობა, წიაღით სარგებლობის მოსაკრებლის გადაუხდელობა თუ ლიცენზიის პირობების შესრულების ყოველწლიური ანგარიშების ფორმების წარუდგენლობა, შესწავლილი ლიცენზიებიდან ძალიან ბევრი ლიცენზიის შემთხვევაში დარღვეულია წიაღისეულის მოპოვების წესები. მოწოდებული მასალიდან ირკვევა, რომ ჩატარებული 17 შემოწმებიდან რვა შემთხვევაში გამოვლინდა მოპოვების წესის დარღვევის ფაქტები. რვავე შემთხვევაში დარღვევები სრულიად იდენტურია - სამუშაოები არ არის ნაწარმოები წიაღის ათვისების პროექტის შესაბამისად: მოპოვება განხორციელებულია ერთ საფეხურად, დაბალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან მაღლისკენ, გამონამუშევარი კედლის დახრის კუთხე უახლოვდება 85-90 გრადუსს. დარღვევების თაობაზე კომპანიის წარმომადგენლების პოზიციები მსგავსია და ისინი აცხადებენ, რომ საბადოს სტრუქტურული მდგომარეობიდან გამომდინარე წიაღის სხვაგვარად მოპოვება შეუძლებელია.

წიაღის მოპოვება მსგავსი დარღვევებით ძალიან დიდ საფრთხეს უქმნის, როგორც კარიერზე მომუშავეთა უსაფრთხოებას, ისე კარიერის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ წიაღის მოპოვების წესების დარღვევა შესაძლოა ძალიან მძიმე შედეგებამდე მივიდეს, ამ დარღვევების კონტროლი და მათზე რეაგირება შეიძლება ითქვას, არასათანადოა.

რეაგირება მოპოვების წესების დარღვევაზე - კანონის მიხედვით, წიაღის მოპოვების წესების დარღვევის ფაქტის აღმოჩენისას, სამართალდამრღვევს ეკისრება ადმინისტრაციული სახდელი 2000 ლარის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ მოპოვებითი სამუშაოების განხორციელება დარღვევით გაგრძელდება, ჯარიმა სამმაგდება და შეადგენს 6000 ლარს, ხოლო სამართალდარღვევის კვლავ გაგრძელების შემთხვევაში, ხდება ცხრამაგი ოდენობის ჯარიმის დაკისრება.¹⁰⁰ ჯარიმის გასამმაგების ფაქტი შესწავლილი 28 ლიცენზიის მასალებიდან შეგვხვდა მხოლოდ ერთხელ, სს „დარკვეთის საშენმასალათა კომბინატის“ #1001049 ლიცენზიის შემთხვევაში. 2019 წლის ივლისში კომპანიას სალიცენზიო პირობების დარღვევისთვის სასამართლომ დააკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. თუმცა, კომბინატის მიერ მოპოვებითი სამუშაოები კვლავ დარღვევით გაგრძელდა, რის გამოც ამავე წლის ნოემბერში მას დაეკისრა გასამმაგებული, 6000-ლარიანი ჯარიმა.

დარღვევის გამოსწორება - ჯარიმის გასამმაგების ან/და გაცხრამაგების ფაქტი სხვა არცერთი ლიცენზიის შემთხვევაში აღმოჩენილი არ არის. მოწოდებულ მასალებში არც ის ჩანს, რომ

¹⁰⁰ საქართველოს 1984 წლის 15 დეკემბრის კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, თავი VII, 57³ მუხლი. ხელმისაწვდომია „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე, სარეგისტრაციო კოდი: 020.000.000.05.001.000.010

შესაბამის ორგანოს განმეორებით შეემოწმებინოს ლიცენზიანტი იმის სანახავად, გამოასწორა თუ არა დარღვევა. სწორედ აქ ჩნდება კითხვა - 2000-ლარიანი ჯარიმის დაკისრება მართლაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ კომპანიებს ისეთი სერიოზული დარღვევები, როგორცაა წიაღისეულის ერთ საფეხურად, დაბალი ნიშნულიდან მაღლისკენ მოპოვება და 30-40 მეტრიანი გამონამუშევარი კედლების არსებობა - მიწერილობის ჩაბარებისთანავე გამოეწორებინათ და მოპოვებითი სამუშაოები საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად განეხორციელებინათ, თანაც მაშინ, როდესაც აცხადებდნენ, რომ საბადოს მდგომარეობა წიაღის სხვაგვარად მოპოვების შესაძლებლობას არ იძლეოდა. შესაძლოა არსებობდეს მეორე და უფრო მოსალოდნელი ვარიანტი - ჯარიმების დაკისრების შემდეგ, უბრალოდ, არ შემოწმებულა გამოასწორა, თუ არა კომპანიამ დარღვევა.

კარიერების უსაფრთხოების კონტროლი

საჩხერეში კვარციანი ქვიშის ზოგიერთი კარიერი ტექნიკური უსაფრთხოების კუთხით შემოწმებულია სსიპ ტექნიკური და სამშენებლო უსაფრთხოების სააგენტოს მიერ. სააგენტომ 2016-2021 წლებში (2021 წლის აგვისტომდე) დღეს მოქმედი 28 ლიცენზიანტიდან 9 ლიცენზიანტის საქმიანობა შეამოწმა.¹⁰¹

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს ტექნიკური და სამშენებლო უსაფრთხოების სააგენტოს მიერ განხორციელებული შემოწმებების სტატისტიკას. პირველ სვეტში მოცემულია შემოწმებული ლიცენზიები, მეორე და მესამე სვეტში - შემოწმებების რაოდენობა და შემოწმების წლები, ხოლო მეოთხე სვეტში - დარღვევის გამოსწორების სტატუსი.

ცხრილი 6.4. ლიცენზიანტების შემოწმების სტატისტიკა კარიერის ტექნიკური უსაფრთხოების კუთხით.

შემოწმებული კომპანია (ლიცენზია)	შემოწმების რაოდენობა	შემოწმების წლები	გამოსწორდა თუ არა აღმოჩენილი დარღვევა (დარღვევები)
1. საყალიბე ქვიშები N1002008	5	2016; 2020	კი (2 შემოწმების შემდეგ)
2. ჯეო-კვარცი N1001199	6	2016; 2017; 2018; 2019; 2020	არა
3. ზემო იმერეთი N00770	7	2016; 2017; 2018; 2019; 2020	არა
4. სს დარკვეთის საშენმასალათა კომბინატი N1001049	6	2016; 2017; 2018; 2019; 2020	არა
5. იტავაზა მშენებელი N1001198	5	2016; 2017; 2018; 2019; 2020	არა
6. მშენებელი 1 N100247	3	2016; 2017	კი

¹⁰¹ ტექნიკური და სამშენებლო უსაფრთხოების სააგენტოს 2021 წლის 16 აგვისტოს #03/1111 წერილი “მწვანე ალტერნატივას” აღმასრულებელ დირექტორს.

7. მშენებელი 2015 N1002590	6	2016; 2017; 2018; 2019; 2020	არა
8. კარიერი N00769	5	2016; 2017; 2018; 2019; 2020	არა
9. Geo Sand N1001161;N1002606;N1002589	5	2016; 2017; 2018; 2019; 2020	არა

ყველაზე გავრცელებული დარღვევა კვარციანი ქვიშის მოპოვებითი საქმიანობების განხორციელებისას აღმოჩნდა საბადოს დამუშავება ტექნიკური ნორმების დარღვევით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დარღვევა წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული შემოწმებების დროსაც არაერთხელ დაფიქსირდა.

კერძოდ, სამშენებლო და ტექნიკური უსაფრთხოების სააგენტომ 6 ლიცენზიანტის შემოწმებისას აღმოაჩინა ერთი და იგივე არსებითი დარღვევა - კომპანიები ქვიშის მოპოვებას ახდენდნენ ერთ საფეხურად, საფეხურების ტექნიკური მახასიათებლები (სიმაღლე, დახრილობა და სხვ) არ აკმაყოფილებდა დადგენილ ნორმებს, მოპოვება მიმდინარეობდა გადახსნითი სამუშაოების გარეშე. აღსანიშნავია, რომ 5 წლის განმავლობაში 6 ლიცენზიანტიდან ვერცერთმა შეძლო სააგენტოს მიერ აღმოჩენილი შეუსაბამობის გამოსწორება. სააგენტომ კომპანიებს საქმიანობის გაგრძელებაც აუკრძალა, თუმცა, რამდენიმე ფარულად მაინც განაგრძობდა უკანონო მოპოვებით საქმიანობას.

აღნიშნულ დარღვევასთან ერთად, შემოწმებებისას ყველაზე ხშირად გამოვლენილი დარღვევებია: საფეხურების სიმაღლე ან/და დახრის კუთხე სცდება დასაშვებ ზღვარს, სალიცენზიო ფართობზე არ არის განთავსებული საგზაო და უსაფრთხოების ნიშნები, საფეხურების სახურავები გასუფთავებული არ არის ქვის ნარჩენებისგან, საფეხურები არ არის გაწმენდილი გამონამუშევრებისაგან, ლიცენზიანტის მიერ არ არის ჩატარებული პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება და ა.შ.



ფოტო 6.10. მარიამ ხვედელიძე, ივნისი 2021. ქვიშის ერთ საფეხურად მოპოვების შედეგად წარმოქმნილი გამონამუშევარი ქანები, სოფელი სარეკი, კომპანია „საყალიბე ქვიშების“ #1002008 ლიცენზია. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

რაც შეეხება, კვარციანი ქვიშის კარიერების შემოწმებას შრომის უსაფრთხოების თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ კარიერები შესულია მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპრობებიანი სამუშაოების ჩამონათვალში,¹⁰² საჩხერეში კვარციანი ქვიშის მოპოვების 28 ლიცენზიიდან არცერთი არ არის შემოწმებული სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ.¹⁰³


¹⁰² საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის #381 დადგენილება „მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპრობებიანი სამუშაოების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე“. ხელმისაწვდომია „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე, სარეგისტრაციო კოდი: [270000000.10.003.020697](https://www.matsne.gov.ge/ViewDocument.aspx?DocID=270000000.10.003.020697)

¹⁰³ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 21 ივნისის #09/1504 წერილი “მწვანე ალტერნატივას” აღმასრულებელ დირექტორს.

7. კირქვის მოპოვება დედოფლისწყაროში

ავტორი: ირინა სვანიძე

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს. ის კახეთის ყველაზე დიდი ადმინისტრაციული ერთეულია, რომლის ფართობიც 2531 კვ.კმ-ს შეადგენს. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი დედოფლისწყარო.¹⁰⁴



რუკა 7.1. საქართველოს რუკა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი
წყარო: საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი


დედოფლისწყაროში მდებარეობს არწივის ხეობის ბუნების ძეგლი, რომელიც ორი ობიექტისაგან შემდგარ უნიკალურ კომპლექსს წარმოადგენს. ერთი ნაწილი - კირქვიანი კლდეების კანიონია, მეორე კი, მიმდებარე ტყის მონაკვეთი, სადაც მე-5 საუკუნის ხორნაბუჯის ციხე-სიმაგრე მდებარეობს. კანიონში, რომელიც ლამაზი ლანდშაფტით გამოირჩევა, არაერთი მტაცებელი ფრინველი (არწივი, სვავი და სხვა) ბუდობს. ხეობაში შესაძლებელია ორბის ბუდეების, ასევე, იშვიათი/გადაშენების პირას მყოფი მცენარეების ნახვა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე არსად გვხვდება.¹⁰⁵

მუნიციპალიტეტში კირქვის არაერთი საბადოა აღრიცხული; დღეისათვის, კირქვის მოპოვებაზე გაცემულია 14 ლიცენზია. კარიერების უმეტესობა არწივის ხეობის ბუნების ძეგლთან და

¹⁰⁴ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, 2021. [დედოფლისწყაროს შესახებ: ისტორია](#).

¹⁰⁵ დაცული ტერიტორიების სააგენტო, დაუთარიღებელი. [არწივის ხეობის ბუნების ძეგლი](#).

ადგილობრივ მაცხოვრებლებთან უშუალო სიახლოვეს მდებარეობს (იხ. რუკა 7.2). წიაღისეულის მოპოვება დღემდე აქტიურად მიმდინარეობს, რამაც ადგილობრივ მოსახლეობას არაერთი პრობლემა შეუქმნა. „აღრე დედოფლისწყაროს საქართველოს ბეღელს ეძახდნენ, ახლა კიდეც თეთრი ოქროს ბეღელი შევარქვით ხალხმა. ოღონდ ეს ოქრო ჩვენი არ არის და არც იქნება“ - ეს სიტყვები ქ. დედოფლისწყაროში მცხოვრებ ერთ-ერთ მოქალაქეს ეკუთვნის.



რუკა 7.2. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში კირქვის მოსაპოვებლად გაცემული ლიცენზიები. წყარო: საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი

მუნიციპალიტეტში ლიცენზიების უმეტეს ნაწილს სამი ლიცენზიანტი ფლობს, ესენია: შპს „თერჯოლა კარიერი“, შპს „კალციტი“ და შპს „ჯორჯიან მეგა სემენტ გრუპი“. სავლე გასვლისას შესწავლილ იქნა შვიდი ლიცენზიანტის (შპს „არწივის ხეობის“, შპს „კალციტის“, შპს „თერჯოლა კარიერის“, შპს „ჰაიდელბერგცემენტის“, შპს „რუსთავის ფოლადის“, შპს „ინფინიტედის“ და ფ/პ გიორგი ნავროზაშვილის) საქმიანობა. ეს კომპანიები კირქვას მუნიციპალიტეტის სამ სხვადასხვა ტერიტორიაზე მოიპოვებს (იხ. სატელიტური ფოტო 7.1).



სატელიტური ფოტო 7.1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული ლიცენზიები. წყარო: Google Earth

ქალაქ დედოფლისწყაროში, მოსახლეობის მშვიდი ცხოვრება მას შემდეგ დაირღვა, რაც მუნიციპალიტეტში წიაღისეულის მოსაპოვებლად ტექნიკა გამოჩნდა. როგორც აღმოჩნდა, ადგილობრივი მოსახლეობა არცერთი ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ ყოფილა ჩართული. ისინი გაცემული ლიცენზიებისა და კირქვის მოპოვების შესახებ მხოლოდ ადგილზე სამუშაოების დაწყების შემდეგ იგებდნენ.

1. კირქვის მოპოვება სოფელ ხორნაბუჯში

დედოფლისწყაროში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ძველი კარიერი (20,13 ჰა) სოფელ ხორნაბუჯში მდებარეობს (იხ. ფოტოსურათები 7.1 და 7.2). ადგილობრივების თქმით, ჯერ კიდევ კომუნისტების დროიდან მოიპოვებდა აქ კირქვას სხვადასხვა კომპანია. ამჟამად, აღნიშნულ კარიერზე წიაღისეულს სს „არწივის ხეობა“ მოიპოვებს (ლიცენზია - #100020). ლიცენზია 2008 წლის 23 ივლისს, 20 წლის ვადით გაიცა. კარიერი არწივის ხეობის ბუნების ძეგლიდან დაახლოებით 1 კმ-ით, ხოლო უახლოესი მოსახლიდან 500 მეტრითაა დაშორებული.



ფოტო 7.1. ირინა სვანიძე, ივლისი, 2021. კარიერი სოფ. ხორნაბუჯში. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.



ფოტო 7.2. ირინა სვანიძე, ივლისი, 2021. კარიერი სოფელ ხორნაბუჯში. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

წლების განმავლობაში, კარიერის გვერდით ცხოვრებამ სოფ. ხორნაბუჯის მაცხოვრებლებს არაერთი პრობლემა შეუქმნა. მწვავე საკითხია კარიერზე ბურღვა-აფეთქებით სამუშაოების წარმოება. სალიცენზიო ტერიტორიაზე აფეთქებების გამო, ადგილობრივებს სახლები დაეზარათ (იხ. ფოტო 7.3). მათი განმარტებით, მიუხედავად პროტესტისა, ყურადღებას არავენ აქცევთ. გარდა ამისა, მოსახლეობას მუდმივად აწუხებთ მოპოვებითი სამუშაოების გამო წარმოქმნილი ხმაური და მტვერი.



ფოტო 7.3. ირინა სვანიძე, ივლისი, 2021.
დაზარული სახლი, სოფ. ხორნაბუჯი.
ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

ადგილობრივთა მიერ გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ნაწილი კარიერის გარშემო მდებარეობს. მაცხოვრებელთა თქმით, ბოლო წლების განმავლობაში სულ უფრო იკლო მოსავლიანობამ; ამას, ადგილობრივები, წიაღისეულის მოპოვების გამო გარემოს დაბინძურებით ხსნიან.

მიუხედავად იმისა, რომ სოფელი წიაღისეულის დიდ რესურსს ფლობს, სოფლის მაცხოვრებლები პირდაპირ სარგებელს ვერ იღებენ. სარგებელზე მსჯელობისას ადგილობრივები მხოლოდ იმას იხსენებენ, რომ ხანდახან, მათ კომპანია კირქვას შედარებით დაბალ ფასში ჰყიდის, იშვიათ შემთხვევაში კი, ჩუქნით კიდევ.

2. კირქვის მოპოვება ქალაქ დედოფლისწყაროში, ბაგრატიონის ქუჩის მიმდებარედ

ქალაქ დედოფლისწყაროს გარეუბანში, ბაგრატიონის ქუჩის მიმდებარედ, კირქვას ოთხი კომპანია მოიპოვებს. აქ განლაგებულია შპს „კალციტის“ (ლიცენზიის #1002256), შპს „თერჯოლა კარიერის“ (ლიცენზიის #1001352; #1004925), შპს „ჰაიდელბერგცემენტის“ (ლიცენზიის #1000794), შპს „რუსთავის ფოლადის“ (ლიცენზიის #1000326) კარიერები.



სატელიტური ფოტო 7.2. ბაგრატიონის ქუჩის მიმდებარედ არსებული სალიცენზიო ტერიტორიები. წყარო: Google Earth

შპს „თერჯოლა კარიერის“, შპს „ჰაიდელბერგცემენტის“, შპს „რუსთავის ფოლადის“ სალიცენზიო ტერიტორიები ერთმანეთის მომიჯნავედაა განთავსებული და ერთ დიდ კარიერს წარმოადგენს (ჯამური ფართობი - 69 ჰექტარი) (იხ. სატელიტური ფოტო 7.2). სალიცენზიო ტერიტორიები არწივის ხეობის ბუნების ძეგლის საზღვრიდან, დაახლოებით 500 მეტრით, ხოლო უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაახლოებით 1 კმ-ითაა დაშორებული.



ფოტო 7.4. ირინა სვანიძე, ივლისი, 2021. შპს „თერჯოლა კარიერის“, შპს „ჰაიდელბერგცემენტის“, შპს „რუსთავის ფოლადის“ კარიერების შესასვლელი. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.



ფოტო 7.5. ირინა სვანიძე, ივლისი, 2021. შპს „თერჯოლა კარიერის“, შპს „ჭაიდელბერგემენტის“, შპს „რუსთავის ფოლადის“ კარიერების შესასვლელი. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

სამივე კომპანიის სალიცენზიო ტერიტორიას ერთი შესასვლელი აქვს (იხ. ფოტო 7.4 და 7.5). კარიერი საკმაოდ კარგად არის დაცული. შესასვლელშივე დგანან დაცვის თანამშრომლები, რომლებიც უცხო პირთა შესვლას მკაცრად აკონტროლებენ. სალიცენზიო ტერიტორიიდან მოშორებით გამაფრთხილებელი აბრაა განთავსებული, რომ კარიერზე ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები მიმდინარეობს (იხ. ფოტო 7.6).



ფოტო 7.6. ირინა სვანიძე, ივლისი, 2021. შპს „თერჯოლა კარიერის“, შპს „ჭაიდელბერგემენტის“, შპს „რუსთავის ფოლადის“ კარიერების შესასვლელთან განთავსებული გამაფრთხილებელი აბრა. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

ერთ ლოკაციაზე რამდენიმე კომპანიის საქმიანობამ სრულიად შეცვალა კარიერის მიმდებარედ დასახლებულთა საცხოვრებელი გარემო და ქალაქ დედოფლისწყაროს სხვადასხვა ქუჩის მაცხოვრებელთა ცხოვრება გაუსაძლისი გახადა.

2.1 ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება

ბაგრატიონის ქუჩის მაცხოვრებლების მთავარი წუხილი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას უკავშირდება. ყველა კომპანიის სრული დატვირთვით მუშაობის დროს, კარიერის მიმდებარე ქუჩებს მტვერი ეფინება და მთლიანად ბურუსში ეხვევა. ადგილობრივებს წვიმის მოსვლა ყველაზე მეტად ახარებთ, რადგან მდგომარეობა შედარებით უფრო უმსუბუქდებათ. „მაგიდას თუ გაშლი გარეთ, ხუთი ან ათი წუთის მერე სულ მტვრითაა გადათეთრებული“ - ამბობს ბაგრატიონის ქუჩის მაცხოვრებელი.

მოსახლეობის გაუსაძლის მდგომარეობას კიდევ უფრო მეტად ამძიმებს, თამარის ქუჩაზე არსებული გიორგი ნავროზაშვილის კირქვის სამსხვრევი საამქრო (იხ. ფოტო 7.7) და ბაგრატიონის ქუჩაზე განთავსებული შპს „კალციტის“ კირქვის სამსხვრევი საამქრო. მოსახლეობას მუდმივად აწუხებს ქარხნებიდან წამოსული მტვერი. როგორც ადგილობრივები ამბობენ, მათ არაერთხელ მიმართეს გამგეობას, მაგრამ არანაირი შედეგი ამას არ მოუტანია.



ფოტო 7.7. ირინა სვანიძე, ივლისი, 2021. გიორგი ნავროზაშვილის კირქვის სამსხვრევი საამქრო. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

მაცხოვრებლებმა დაახლოებით ორი წლის წინ საჩივარი დაწერეს და ხელმოწერებიც შეაგროვეს. ადგილობრივების თქმით, არცერთ კომპანიას ფილტრები არ ეყენა ქარხანაში. მოსახლეობა პრობლემის მოგვარებას ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან ითხოვდა. როგორც ამბობენ, ჩივილის შემდეგ, მდგომარეობა გამოსწორდა, თუმცა უმნიშვნელოდ; ქარხნები გარემოს კვლავ აბინძურებენ.

2.3 ტრანსპორტირების ზემოქმედება

ბაგრატიონის ქუჩის მიმდებარედ არსებული კარიერებიდან გამოსული მძიმეწონიანი მანქანების გადაადგილება ქალაქ დედოფლისწყაროს მოსახლეობის მუდმივ პრობლემად იქცა. განსაკუთრებით, ბაგრატიონის, თამარისა და 9 აპრილის ქუჩების მაცხოვრებელთათვის.

კარიერებიდან და კირქვის საამქროდან გამოსული მანქანები მუდმივად გადაადგილდებიან ამ ქუჩებზე (იხ. ფოტო 7.8). ადგილობრივთა გადმოცემით, ყოველდღე, საათში, შესაძლოა, 20-ჯერ და მეტჯერ გაიაროს მძიმეწონიანმა მანქანებმა.



ფოტო 7.8. ირინა სვანიძე, ივლისი, 2021. კარიერიდან მიმავალი მძიმეწონიანი მანქანა. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

გზები წელიწადის არცერთ სეზონზე არ ირწყვება; ამას ემატება ისიც, რომ კანონდარღვევით, მანქანები გადაუფარებელი ძარით გადაადგილდებიან. თამარის ქუჩის მაცხოვრებელთა თქმით, გზა შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოირწყას თუ დედოფლისწყაროს მერიის ზედამხედველობის სამსახურში იჩივლებენ; თავად კომპანია ამას არასოდეს აკეთებს. ადგილობრივები ამბობენ, რომ გზას თავიანთი უზოების წინ თავადვე მორწყავდნენ, ამის საშუალება რომ ჰქონდეთ. თუმცა, ქალაქში არამართო სარწყავი, სასმელი წლის პრობლემაც კი დგას. ზაფხულობით წყალი სამ დღეში ერთხელ მოდის. ადგილობრივები თვლიან, რომ შედეგი, მხოლოდ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების ხშირად შეწუხებას აქვს. ამ შემთხვევაში, ადგილობრივი ხელისუფლება ქალაქის მცხოვრებლებს წყალს უზოებთან დიდი ცისტერნებით ურიგებს.

მძიმეწონიანი მანქანების მუდმივი გადაადგილების გამო, ქალაქის გზა გაფუჭებულია და მთლიანად რეაბილიტაციას საჭიროებს (იხ. ფოტოები 7.9 და 7.10). გზაზე გაჩენილი დიდი ორმოები, ალაგ-ალაგ ასფალტითაა ამოვსებული. გზის სრული რეაბილიტაცია არასოდეს მომხდარა და შეკეთება პერიოდულად ნაწილობრივ ხდებოდა, რაც მხოლოდ ორმოების ამოვსებით შემოიფარგლებოდა. ადგილობრივები თვლიან, რომ კომპანიებს შემოვლითი გზის გამოყენების შესაძლებლობა აქვთ, თუმცა, მაინც ქალაქზე გამავალ გზას იყენებენ, იმის გამო, რომ ეს გზა შემოვლით გზასთან შედარებით მოკლე და გამართულია.



ფოტოსურათი 7.9. ირინა სვანიძე, ივლისი, 2021. მძიმეწონიანი მანქანების გადაადგილების გამო დაზიანებული გზა, ბაგრატიონის ქუჩა. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.



ფოტო 7.10. ირინა სვანიძე, ივლისი, 2021. მძიმეწონიანი მანქანების გადაადგილების გამო დაზიანებული გზა, თამარის ქუჩა. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

2.4 ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები

ბაგრატიონის ქუჩის მაცხოვრებელთა თქმით, ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები თითქმის მუდმივად მიმდინარეობს სალიცენზიო ტერიტორიებზე (კვირაში ერთხელ მაინც). კომპანია აფეთქებითი სამუშაოების შესახებ ინფორმაციას მხოლოდ კარიერზე დასაქმებულ თანამშრომლებს აწვდის, იმისათვის, რომ მანქანები გაიყვანონ. რაც შეეხება მიმდებარედ დასახლებულ მაცხოვრებლებს, მათ წინასწარი ინფორმირება არასდროს ხდება. ადგილობრივები თვლიან, რომ მათი უფლებებს არც სახელმწიფო ორგანოები და არც კომპანიები არ იცავენ. მოსახლეობის თქმით, აფეთქებითი სამუშაოების დროს ფანჯრები და მიწა იძვრის, იგრძნობა ძლიერი ვიბრაცია; სამუშაოების დასრულების შემდეგ კი, არემარეს

ყვითელი კვამლი ეფინება. „გააჩნია ქარი საით უბერავს, მტვერიც იმის მიხედვით იქეთ მიდის. ტყეს ასე ერთი კვირის წინ სულ თეთრი ფერი ჰქონდა მტვრის გამო“ - ამბობს ბაგრატიონის ქუჩის ერთ-ერთი მაცხოვრებელი.

აფეთქებითი სამუშაოების გამო, მოსახლეობას სახლები პერიოდულად ეზარება, თუმცა ზიანი არასოდეს არავის არც შეუფასებია და არც აუნაზღაურებია. ადგილობრივები თავის სახსრებით ცდილობენ სახლების შეკეთებას.

2. 5 კომპანიებისა და სახელმწიფოს რეაგირება ადგილობრივების პროტესტზე

ბაგრატიონის ქუჩის მაცხოვრებელთა თქმით, მათ არაერთხელ მიმართეს გამგეობას, თუმცა არაფერი შეცვლილა. მათი თქმით, პრობლემების შესახებ ინფორმაციას ყველა ფლობს, თუმცა რეაგირება დღემდე არავის მოუხდენია.

მაცხოვრებლებმა საჩივარი, გარემოზე ზედამხედველობის ცხელ ხაზზეც არაერთხელ დააფიქსირეს. ერთ-ერთი ადგილობრივის თქმით, მის მიერ მსგავსი საჩივრის დაფიქსირებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ, მასთან ერთ-ერთი კომპანიის (კომპანიის სახელის დაფიქსირება არ ისურვა) წარმომადგენელი მივიდა და დაემუქრა, რომ გაჩუმებულიყო. როცა მუქარამ არ გაჭრა, მას გაჩუმების სანაცვლოდ ფული შესთავაზეს. „მითხრა გაჩუმდი და ფულს მოგცემთო, მაგრამ არ ავიღე ეს ფული. ვუთხარი, რომ უბრალოდ ამ პრობლემების გამოსწორება მინდოდა“ გვიყვება ქ. დედოფლისწყაროს მცხოვრები. ინტერვიუს დასასრულს, გვთხოვა, რომ ჩანაწერები ისე გაგვეკეთებინა, რომ მისი იდენტიფიცირება არ მომხდარიყო. ასევე დასძინა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი შეშინებულია და შეიძლება დიად პრობლემებზე ვერ ისაუბრონ.

3. კირქვის მოპოვება ქალაქ დედოფლისწყაროში, 9 აპრილის ქუჩაზე

9 აპრილის ქუჩაზე მდებარეობს ფ/პ გიორგი ნავროზაშვილის (ლიცენზიის #1005028) და შპს „ინფინიტელის“ (ლიცენზიის #10000675) სალიცენზიო ტერიტორიები, რომელიც მოსახლეობიდან დაახლოებით 150 მეტრითაა დაშორებული (იხ. ფოტოები 7.11 და 7.12).



ფოტო 7.11. ირინა სვანიძე, ივლისი, 2021. გიორგი ნავროზაშვილის და შპს „ინჟინიტელის“ სალიცენზიო ტერიტორიები. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

როგორც ადგილობრივები ყვებიან, კარიერზე სამუშაოები დაახლოებით 10 წელია რაც დაიწყო და მოსახლეობის მშვიდი ცხოვრებაც მას შემდეგ დასრულდა. მათ მუდმივად აწუნებთ მოპოვებითი სამუშაოებიდან წარმოქმნილი მტკერი და ხმაური.



ფოტო 7.12. ირინა სვანიძე, ივლისი, 2021. 9 აპრილის ქუჩა. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

ქუჩის მაცხოვრებელთა მთავარი პრობლემა მაინც მძიმეწონიანი მანქანების გადაადგილებას უკავშირდება. ნედლეულის ტრანსპორტირებას ამ ქუჩის მაცხოვრებლებზე ყველაზე დიდი გავლენა აქვს. ქ. დედოფლისწყაროში არსებული სხვა ქუჩის მაცხოვრებლებისგან განსხვავებით, 9 აპრილის ქუჩის მცხოვრებთა ყოფა კიდევ უფრო მძიმეა, რადგან ყველა კარიერიდან წამოსულმა მანქანამ ამ ქუჩაზე უნდა გაიროს. საათში დაახლოებით 30 - 40 მანქანა გადაადგილდება. ადგილობრივები ამბობენ, რომ მათი ყოფა უკვე გაუსაძლისია. მოსახლეობის თქმით, კომპანიებს შემოვლითი გზის გამოყენება შეუძლიათ, თუმცა ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე ასე არ იქცევიან. კომპანიები სულ უფრო მეტად მდიდრდებიან, მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები კი ყოველდღიურად უარესდება.

4. სოფელ სამრეკლოში მდებარე „ქოჩების ტბა“

ქალაქ დედოფლისწყაროს მოსახლეობის წუხილი „ქოჩების ტბის“ დაშრობას უკავშირდება (იხ. სატელიტური ფოტო 7.3). ადგილობრივების თქმით, ტბა სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა. წლების განმავლობაში მას აქტიურად სტუმრობდნენ როგორც ადგილობრივი, ისე სხვადასხვა ადგილიდან ჩასული ადამიანები. ბოლო რამდენიმე წელია, ტბამ დაშრობა დაიწყო. მოსახლეობა ამ ფაქტს, წიაღისეულის მოპოვებას უკავშირებს.



სატელიტური ფოტო 7.3. სამრეკლოს ტბა, ივლისი, 2021

გარდა იმისა, რომ ტბას ადგილობრივები სამკურნალოდ იყენებდნენ, ის მათთვის ერთ-ერთი შემოსავლის წყაროც იყო. რეგიონში სამკურნალო მიზნით ტურისტები ჩადიოდა და ადგილობრივებისაგან პროდუქტებს და სხვა სახის ნივთებს იძენდა. ტბის დაშრობის გამო, ტურისტების რაოდენობამაც იკლო. ადგილობრივთა ინფორმაციით, დედოფლისწყაროში, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს „ქოჩების ტბის“ რეაბილიტაციის პროექტი შემუშავდა. მიმდებარე ტერიტორიაზე იგეგმებოდა კაფეს, სპორტული ზონის - მინი ფეხბურთის, კალათბურთის და ბავშვთა სათამაშო მოედნების, სავარჯიშო ტრენაჟორების, გასახდელეების და საშხაპეების მოწყობა. ასევე იგეგმებოდა სათევზაო ზონის და ღამის გასათევად ფაცხების

მოწყობა, ტყეში საპიკნიკე ზონების და ავტოსადგომის მშენებლობა. თუმცა, ტბის დაშრობის გამო პროექტის განხორციელება შეჩერდა.¹⁰⁶

5. განხილული ლიცენზიები - დარღვევები

კვლევის პროცესში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში კირქვის მოსაპოვებლად გაცემული 14 ლიცენზია და ამ ლიცენზიებთან დაკავშირებული დოკუმენტები იქნა განხილული. წიაღის ეროვნული სააგენტოდან მიღებული მასალების¹⁰⁷ შესწავლის შედეგად, სხვადასხვა სახის დარღვევები გამოიკვეთა. კერძოდ:

- ✓ ლიცენზიით განსაზღვრული პირობების მიხედვით, ლიცენზიანტი ვალდებულია ლიცენზიის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს წარუდგინოს ათვისების შესაბამისი გეგმა-გრაფიკი. აღნიშნული გეგმის გარეშე წიაღის მოპოვება - კანონდარღვევაა. შესწავლილი 14 ლიცენზიიდან - გეგმა-გრაფიკი მხოლოდ ხუთ კომპანიას ჰქონდა წარდგენილი. აღნიშნული ხუთი კომპანიიდან, მხოლოდ ორი კომპანიის შემთხვევაში იყო დროულად დამტკიცებული გეგმა-გრაფიკი (წიაღისეულის ათვისების გეგმა მომზადებული და დამტკიცებული იყო ლიცენზიის მიღებიდან ერთი თვის ვადაში). დანარჩენი სამის შემთხვევაში კი, დაგვიანებით.
- ✓ კანონის მიხედვით,¹⁰⁸ კომპანია ვალდებულია ლიცენზიის გამცემ ორგანოს წარუდგინოს სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიში. განხილული 14 ლიცენზიიდან - არცერთის შემთხვევაში არ წარმოდგენია ლიცენზიანტს ანგარიში. არც იმის შესახებაა ცნობილი, აღნიშნული სავალდებულო სახის დოკუმენტი გააჩნია, თუ არა საერთოდ კომპანიებს.
- ✓ ლიცენზიანტი ვალდებულია, ყოველწლიურად მოამზადოს და წარადგინოს უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების ფორმა N1-01.¹⁰⁹ შესწავლილი 14 ლიცენზიიდან რვა შემთხვევაში დოკუმენტი ყოველწლიურად იყო წარდგენილი. სამი ლიცენზიის შემთხვევაში, სტატისტიკური დაკვირვების ფორმა N1-01 - ერთხელ არ ჰქონდა კომპანიას წარდგენილი, ორის შემთხვევაში - ორჯერ, ერთის შემთხვევაში კი - სამჯერ. სრულიად გამოგნებელია თავად ამ ანგარიშების ხარისხი. ყველა კომპანია ანგარიშის წარდგენისათვის გამზადებულ შაბლონს იყენებს, სადაც გარკვეული სახის მონაცემები

¹⁰⁶ კომერსანტი, 2017. "[ქობის ტბის](#)" დაშრობამ მრავალმილიონიანი პროექტი ჩააგდო.

¹⁰⁷ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 15 აპრილის #22/121 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

¹⁰⁸ საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, თავი V, მუხლი 21.

¹⁰⁹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის დადგენილება №271, ტექნიკური რეგლამენტების – წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშების (საინფორმაციო ანგარიშის) წესის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების პროექტის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების ტექნოლოგიური სქემისა და წიაღისეულის შესწავლის სამუშაოთა გეგმების შედგენის წესისა და სტატისტიკური დაკვირვების ფორმების (№1-01, №1-02, №1-03 და №1-04) დამტკიცების თაობაზე.

უნდა ჩაწეროს. მათ მიერ წარდგენილი ანგარიშების 90 პროცენტი შეუვსებელი და არაფრისმომცემია.

ყურადსაღებია, რომ შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოს ათვისების შესაბამისი გეგმა-გრაფიკის არქონის ფაქტი არცერთხელ არ აღმოუჩენია. წიაღით სარგებლობის პროექტის არ ქონა ერთხელ, ხოლო სტატისტიკური დაკვირვების ფორმა N1-01 არ ქონა მხოლოდ 8-ჯერ იქნა დაფიქსირებული.

ლიცენზიის გაცემის პროცესში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი - ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ჩართულობაა. ლიცენზიის გაცემამდე, წიაღის ეროვნული სააგენტო, ადგილობრივ მუნიციპალიტეტს ლიცენზიის თაობაზე უგზავნის წერილს და თხოვს მათ, ამ ლიცენზიასთან დაკავშირებული პოზიციის დაფიქსირებას. განხილული 14 ლიცენზიიდან მხოლოდ ოთხ შემთხვევაში იყო ლიცენზიის გაცემისას მუნიციპალიტეტის თანხმობა მიღებული, 10 ლიცენზიის შემთხვევაში - ასეთი დოკუმენტი წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებულ მასალებში არ იყო.

წიაღის ეროვნული სააგენტოს მიმართვის საფუძველზე, ლიცენზიის გაცემამდე, თანხმობას სხვადასხვა უწყებებიც გასცემენ, მათ შორის, დაცული ტერიტორიების სააგენტო, ეროვნული სატყეო სააგენტო და ა. შ. განხილული ლიცენზიების მაგალითმა აჩვენა, რომ **სახელმწიფო** ქონების ეროვნული სააგენტო ნებისმიერი ლიცენზიის გაცემაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო თანახმა, თუკი კომპანია ადგილობრივ მოსახლეობას სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლებას არ შეუზღუდავდა. ამ პირობას წიაღის ეროვნული სააგენტო, ზოგ შემთხვევაში, ითვალისწინებდა და უდებდა ლიცენზიანტს პირობებში, ზოგ შემთხვევაში - არა (როგორ ხდებოდა ამის შეფასება ან/და პირობებში გათვალისწინება, სააგენტოს მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან, ეს გაურკვეველია).

5.1 სახელმწიფო კონტროლი და დარღვევაზე რეაგირება

2018 წლამდე, სალიცენზიო პირობების კონტროლი და ზედამხედველობა, გარემოზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილებას წარმოადგენდა. დეპარტამენტიდან მიღებული მასალების¹¹⁰ შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ დეპარტამენტმა 2018 წლამდე მხოლოდ ერთი ლიცენზია (შპს „კალციტი“ - ლიცენზია 1003934) შეამოწმა.¹¹¹ ინსპექტირების დროს გაირკვა, რომ კომპანიას ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ ჰქონდა დასაწყობებული სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და მოპოვებულ ნედლეულთან იყო შერეული. გარემოზე მიყენებული ზიანი არ შეფასებულა, კომპანიას კი, მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნა მიეცა.

¹¹⁰ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2021 წლის 23 აგვისტოს წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

¹¹¹ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2019 წლის 22 სექტემბრის #040106 ოქმი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ.

2018 წლიდან დღემდე გარემოზე ზედამხედველობის დეპარტამენტს არცერთი სალიცენზიო ტერიტორია არ შეუმოწმებია.

2018 წლიდან ლიცენზიის პირობების შესრულების კონტროლის მიზნით ობიექტების საქმიანობის ინსპექტირება (შესწავლას, შემოწმებას, დათვალიერებას) წიაღის ეროვნული სააგენტოს¹¹² ევალება. სააგენტოდან მიღებული დოკუმენტებიდან ირკვევა,¹¹³ რომ განხილული 14 ლიცენზიიდან, სააგენტომ მხოლოდ სამი ლიცენზიის დოკუმენტები შეამოწმა სალიცენზიო ტერიტორიაზე გაუსვლელად. კონტროლის შედეგად სააგენტომ დაადგინა, რომ სამივე ლიცენზიის შემთხვევაში, კომპანიებს საერთოდ არ ჰქონდათ წარდგენილი სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიში.

ყურადსაღებია, რომ სასამართლოს რეაგირება, ერთი და იგივე დარღვევაზე სხვადასხვაგვარი იყო. ერთ ლიცენზიანტს (ფ/პ გიორგი ნავროზაშვილი - ლიცენზია #1005028) სასამართლომ 500-ლარიანი ჯარიმა დააკისრა. მეორე ლიცენზიანტი (შპს „არწივის ხეობა“ - ლიცენზიის #100020) კი, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა და მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილება მისცა. მესამე კომპანიის სალიცენზიო ტერიტორია (შპს „ლოგიკო“ - ლიცენზიის #1003016) წიაღის ეროვნულმა სააგენტომ 6-ჯერ შეამოწმა (6-ივე შემთხვევაში კომპანიას ერთი და იგივე დარღვევა ჰქონდა - სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიში არ ჰქონდა წარდგენილი). აქედან, მხოლოდ ოთხი შემოწმების შემდეგ დაეკისრა კომპანიას ჯარიმა. დანარჩენ ორ შემთხვევაში დაეკისრა თუ არა შპს-ს ჯარიმა, წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებულ მასალებში არ ჩანს. ქვემოთ დეტალურად აღწერილია, წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ, სალიცენზიო ტერიტორიაზე გაუსვლელად ჩატარებული შემოწმების შედეგად აღმოჩენილი დარღვევები. ასევე, ბოლო გრაფაში ჩამოთვლილია სახელმწიფოს მიერ თითოეული კომპანიის მიმართ დადგენილი ჯარიმის ოდენობა (იხ. ცხრილი 7.1.)

ცხრილი 7.1. წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ სალიცენზიო ტერიტორიაზე გაუსვლელად ჩატარებული შემოწმება.

კომპანია	ლიცენზია	შემოწმების თარიღი	დარღვევა	ჯარიმის ოდენობა
შპს „არწივის ხეობა“	100020	2019 წლის 21 მაისი	არ ჰქონდა წარდგენილი სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიში	სიტყვიერი შენიშვნა
ფ/პ „გიორგი ნავროზაშვილი“	1005028	2018 წლის 20 ივლისი	არ ჰქონდა წარდგენილი სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიში	500 ლარი
შპს „ლოგიკო“	1003016	2018 წლის 27 ივლისი	არ ჰქონდა წარდგენილი სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიში	500 ლარი

¹¹² „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონი, 31-ე მუხლი.

¹¹³ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 15 აპრილის (#22/121) წერილი მწვანე ალტერნატივას ადმასრულებელ დირექტორს.

	2019 წლის 11 მარტი	არ ჰქონდა წარდგენილი სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიში	უცნობია
	2019 წლის 7 მაისი	არ ჰქონდა წარდგენილი სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიში	1500 ლარი
	2019 წლის 16 მაისი	არ ჰქონდა წარდგენილი სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიში	500 ლარი
	2019 წლის 2 ოქტომბერი	არ ჰქონდა წარდგენილი სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიში	უცნობია
	2019 წლის 13 ნოემბერი	არ ჰქონდა წარდგენილი სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიში	4 500 ლარი

განხილული 14 ლიცენზიიდან, წიაღის ეროვნულმა სააგენტომ სავალე დათვალიერების ფარგლებში, მხოლოდ ერთ სალიცენზიო ტერიტორია შეამოწმა (მპს „რუსთავის ფოლადის“ ლიცენზია #1000326). კომპანიის შემოწმება 2020 წელს ჩაატარა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ლიცენზიანტს რამდენიმე უმნიშვნელოვანესი პირობა ჰქონდა დარღვეული; კერძოდ, კომპანიამ:

- ✓ სამთო-მოპოვებითი სამუშაოები აწარმოა წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის საპროექტო დოკუმენტაციის გარეშე;
- ✓ 2013, 2014, 2015 წ.წ. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება არ აღემატებოდა ყოველწლიურ მოსაპოვებელ მინიმალურ ოდენობას (300 000 ტონას);
- ✓ და ბოლოს, კომპანიას არ ჰქონდა გადახდილი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი.

წიაღის ეროვნულმა სააგენტომ შეადგინა ამ დარღვევებზე ოქმი, რაზეც სასამართლომ იმსჯელა და კომპანია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა. ლიცენზიანტს მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნა მიეცა. წიაღის ეროვნულმა სააგენტომ, სასამართლოს ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა, სააპელაციო სასამართლომ პირველი გადაწყვეტილება კვლავ ძალაში დატოვა.

მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო ახორციელებს. კანონის მიხედვით,¹¹⁴ კარიერებზე გეგმიური ტექნიკური ინსპექტირება ყოველ

¹¹⁴ „მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ინსპექტირების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“, მუხლი 3.

მეორე წელს უნდა განხორციელდეს. მასალების¹¹⁵ გაცნობის შემდეგ გაირკვა, რომ 2015 წლიდან 2021 წლის ივლისის ჩათვლით სააგენტომ, რვა კომპანიის საკუთრებაში არსებული 12 ლიცენზიის შესრულების მდგომარეობა შეამოწმა. 12-დან, დღეისათვის, მხოლოდ ხუთი ლიცენზიაა მოქმედი (სს „არწივის ხეობა“ - ლიცენზია #100020; შპს „კალციტი“ - ლიცენზიები #1002256 და #1003934; ფ/პ „გიორგი ნავროზაშვილი“-ს ლიცენზია #1004926; შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ - ლიცენზია #1000794). სააგენტომ შემდეგი დარღვევები აღმოაჩინა:

1. სს „არწივის ხეობის“ (ლიცენზიის #100020) სალიცენზიო ტერიტორია სააგენტომ სულ ოთხჯერ შეამოწმა. პირველი შემოწმების¹¹⁶ (2015 წლის 6 თებერვალი) შედეგად დადგინდა, რომ კომპანია მოპოვებით სამუშაოებს სხვადასხვა დარღვევებით ახორციელებდა და ოთხი შეუსაბამობა დაუდგინა (კარიერის სანგრევში მომუშავე ექსკავატორს არ გააჩნდა სანგრევის პასპორტი; კარიერის ტერიტორიაზე არსებული გზების მონაკვეთებზე არ იყო დამონტაჟებული საგზაო მოძრაობის წესებით გათვალისწინებული სტანდარტული ნიშნები და ა.შ). შეუსაბამობის შესრულების გადამოწმების მიზნით, კომპანია მეორედ 2015 წლის 8 მაისს შემოწმდა¹¹⁷ და დადგინდა, დარღვევები აღმოფხვრილი იყო, თუმცა ახალი შეუსაბამობა დაფიქსირდა (არასამუშაო საათებში სამთო მანქანა, არ იყო გაყვანილი სანგრევიდან უსაფრთხო ადგილზე).

მესამე შემოწმების დროს (2017 წლის 5 აგვისტო)¹¹⁸ სააგენტომ დაადგინა, რომ კომპანია კვლავ სხვადასხვა სახის დარღვევით მუშაობდა და სამი შეუსაბამობა დაუდგინა. 2017 წლის ოქტომბერში, შეუსაბამობის შესრულების გადამოწმების მიზნით, კვლავ შემოწმდა კომპანია¹¹⁹ და დადგინდა, რომ დარღვევები სრულად იყო აღმოფხვრილი.

2. შპს „კალციტის“ (ლიცენზიის #1002256, #1003934;) სალიცენზიო ტერიტორია სააგენტომ რვაჯერ შეამოწმა. ორჯერ #1002256 ლიცენზიის¹²⁰ და ორჯერ #1003934 ლიცენზიის¹²¹ ფარგლებში. ოთხ შემთხვევაში, სააგენტოს მიერ მოწოდებული მასალებიდან ვერ დადგინდა კომპანიის საკუთრებაში მყოფი, რომელი ლიცენზიის ფარგლებში განხორციელდა კონტროლი (ინსპექტირების ოქმზე ლიცენზიის ნომერი მითითებული არ არის).¹²² შემოწმებების დროს დადგინდა, რომ კომპანია გარკვეული დარღვევებით

¹¹⁵ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2021 წლის 16 აგვისტოს #03/1111 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

¹¹⁶ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2015 წლის 6 თებერვლის ტექნიკური ინსპექტირების ოქმი #07/03.

¹¹⁷ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2015 წლის 8 მაისის ტექნიკური ინსპექტირების ოქმი #07/17.

¹¹⁸ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2017 წლის 5 აგვისტოს ტექნიკური ინსპექტირების ოქმი #07/44.

¹¹⁹ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2017 წლის 27 ოქტომბრის ტექნიკური ინსპექტირების ოქმი #07/61.

¹²⁰ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს: 2017 წლის #07/60 ოქმი და 2018 წლის #07/03 ოქმი.

¹²¹ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს: 2019 წლის 29 სექტემბრის #07/43 ოქმი და 2019 წლის 4 ოქტომბრის #07/52 ოქმი.

¹²² ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს: 2015 წლის 13 მარტის #07/08 ოქმი; 2015 წლის 6 მაისის #07/16 ოქმი; 2015 წლის 14 ივლისის #07/31 ოქმი; 2017 წლის 5 აგვისტოს #07/43 ოქმი.

მუშაობდა და გამოსასწორებლად მას გარკვეული პერიოდი მიეცა. ბოლო შემოწმებებისას დადგინდა, რომ კომპანიას ყველა დარღვევა სრულად ჰქონდა აღმოფხვრილი.

3. ფ/პ „გიორგი ნავროზაშვილი“-ს სალიცენზიო ტერიტორია სულ ორჯერ შემოწმდა. პირველი შემოწმების დროს (2018 წლის 29 სექტემბერი)¹²³ დადგინდა, რომ კომპანიას ლიცენზიის ფარგლებში არ გააჩნდა კარიერის დამუშავების პროექტი და გამოსასწორებლად ორი თვე მიეცა. მეორედ კომპანია ოთხი თვის შემდეგ შემოწმდა¹²⁴ და დადგინდა, რომ კომპანიას დარღვევა გამოსწორებული ჰქონდა.
4. სააგენტომ მპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ სალიცენზიო ტერიტორია სულ ცხრაჯერ შეამოწმა.¹²⁵ ყოველი შემოწმების დროს დგინდებოდა, რომ კომპანია გარკვეული სახის დარღვევებით მუშაობდა და მის გამოსასწორებლად გარკვეული პერიოდი ეძლეოდა. ბოლოს კომპანია 2021 წლის 21 აპრილს შემოწმდა და დადგინდა, რომ კომპანიას კვლავ ჰქონდა დარღვევა, რომლის აღმოსაფხვრელადაც 90 დღე მიეცა. უცნობია, დაეკისრა თუ არა კომპანიას რაიმე სახის სახდელი.

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ მოწოდებული მასალებიდან, არცერთ შემთხვევაში არ ჩანს, დაეკისრა, თუ არა რომელიმე კომპანიას ჯარიმა, ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევის გამო.

კვლევით დადგინდა, რომ კარიერებზე შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებული მდგომარეობა არცერთი ლიცენზიის შემთხვევაში არ შეუმოწმებია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტს.¹²⁶

¹²³ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 29 სექტემბრის ტექნიკური ინსპექტირების ოქმი #07/44.

¹²⁴ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2019 წლის 18 იანვრის ტექნიკური ინსპექტირების ოქმი #07/02.

¹²⁵ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ტექნიკური ინსპექტირების ოქმები: #07/23 (22 მაისი, 2015); #07/47 (23 ოქტომბერი, 2015); #07/23 (6 მაისი, 2016); #07/40 (8 ივლისი, 2016); #07/51 (4 ოქტომბერი, 2019); #06/25 (21 თებერვალი, 2020); #06/35 (4 ივნისი, 2020); #06/164 (11 აგვისტო, 2020); #06/74 (21 აპრილი, 2021).

¹²⁶ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 21 ივნისის #09/1504 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.


8. კირქვის მოპოვება კასპის მუნიციპალიტეტში

ავტორი: მარიამ ხვედელიძე

კირქვა ცემენტის წარმოებისთვის აუცილებელი არალითონური მინერალია. ის, ასევე, გამოიყენება მეტალურგიაში, ქიმიურ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. ამჟამად, მთელ საქართველოში კირქვის მოპოვების 137 ლიცენზია მოქმედებს, საიდანაც 16 ლიცენზია კასპის მუნიციპალიტეტის (იხ. რუკა 8.1) ტერიტორიაზეა გაცემული.¹²⁷

კასპის მუნიციპალიტეტში კირქვის მოპოვება, ჯერ კიდევ, მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან მიმდინარეობს, ანუ იმ დროიდან, როდესაც მუნიციპალიტეტში ცემენტის ქარხანა „კასპიცემენტი“ გაიხსნა. „კასპიცემენტის“ ქარხანა კირქვის რესურსით კასპის სოფელ კავთისხევის კირქვის საბადოდან მარაგდებოდა.

დღესდღეობით, მუნიციპალიტეტში კირქვის ყველაზე მსხვილი მომპოვებელია შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“, რომელიც საქართველოში 2006 წლიდან ოპერირებს და ცემენტისა და ბეტონის არაერთ ქარხანას ფლობს. კომპანია ქალაქ კასპში ცემენტის სამ საწარმოს ფლობს; ქარხნები ძირითადად მუნიციპალიტეტში მოპოვებული ნედლეულით მარაგდებიან.



რუკა 8.1. კასპის მუნიციპალიტეტი. წყარო: საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი

¹²⁷ მწვანე ალტერნატივა, 2021. [სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების რეესტრი](#), 2021 წლის 25 ოქტომბრის მდგომარეობით.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების 2020 წლის რეესტრის¹ მიხედვით, კომპანია კასპის მუნიციპალიტეტში კირქვის ორ ლიცენზიას ფლობს. ორივე სალიცენზიო ტერიტორია მდებარეობს სოფელ კავთისხევში და შეადგენს 43.99 და 9.9 ჰექტარს. ჰაიდელბერგის გარდა, კასპში, კავთისხევის მიმდებარედ, კირქვის მსხვილმასშტაბიან ლიცენზიებს ფლობენ კომპანია „ჯიელსი“ (27.25 ჰა), „ეკოცემენტი“ (22.46 ჰა) და „ჯორჯიან ცემენტი“ (6.82 ჰა).

კირქვის მოპოვების ზეგვლენა გარემოსა და ადგილობრივ მოსახლეობაზე

კასპი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე აქტიური სამრეწველო ზონაა. მუნიციპალიტეტში კასპის ცემენტის ქარხანა ჯერ კიდევ 1931 წლიდან ფუნქციონირებს.¹²⁸ 2007 წელს ის კომპანია “ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიამ” შეიძინა და დღემდე მის საკუთრებაშია.¹²⁹ ჰაიდელბერგის ქარხანასთან ერთად, მუნიციპალიტეტის ფარგლებში ნედლეულის გადამამუშავებელი არაერთი მცირე ზომის საწარმო მუშაობს. კასპში მოპოვებითი მრეწველობაც აქტიურია; აქ ნედლეულს (კირქვა, ცეოლითი, ქვიშა-ხრეში), ძირითადად, ადგილობრივი საცემენტე წარმოებისთვის მოიპოვებენ.

მრეწველობითი საქმიანობების უარყოფითი ზეგავლენა კასპის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე მაღალია. განსაკუთრებულად რთულ ეკოლოგიურ მდგომარეობაში ქალაქ კასპის მაცხოვრებლები იმყოფებიან. ქალაქში ყველაზე მწვავედ კი, დაბინძურების პრობლემას, ფარნავაზის ქუჩა და მისი მოსახლეები განიცდიან. სწორედ, ამ დასახლებაში მოძრაობენ ყოველდღიურად სატვირთო მანქანები, რომელთაც ქარხანაში შეაქვთ და გამოაქვთ ნედლეული და ცემენტი. ამგვარად, ამ ქუჩაზე ქარხნიდან გამომავალ გამონაბოლქვს, ტრანსპორტირებით გამოწვეული ჰაერის დაბინძურებაც ემატება.¹³⁰



ფოტო 8.1. კასპი, ცემენტის ქარხნიდან წამოსული მტვერი ქალაქის თავზე.
წყარო: „თვითმმართველობის დროა!“ პორტალი droa.ge


¹²⁸ Reporter.ge. (2015 წლის 21 აპრილი). [კასპის ცემენტის ქარხანას გახშირებული დაავადებების გამო აღინაშნა მოლოდინი](#).

¹²⁹ ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია. დაუთარილებელი. [ჩვენს შესახებ](#).

¹³⁰ ლიბერალი. (2016 წლის 30 ნოემბერი). [როგა შენი მუშობელი კასპის ცემენტის საწარმოა...](#)

ეკოლოგიური პრობლემების წინაშე, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მხოლოდ ქალაქი კასპი არ დგას. ნელეულის, კერძოდ კი, კირქვის მოპოვების უარყოფითი ზემოქმედების ქვეშ სხვა დასახლებებიც ექცევიან.

კირქვის მოპოვება ყველაზე აქტიურად ორ უბანზე ხდება: სოფელ კავთისხევში, უსტატუსო, ე.წ კარიერის დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე და სოფელ წინარეხში (იხ. რუკა 8.2).



რუკა 8.2. კირქვის ლიცენზიების გადანაწილება კასპის მუნიციპალიტეტში; ზედა უბანი - კარიერის დასახლების მიმდებარე ტერიტორია; ქვედა უბანი - წინარეხის მიმდებარე ტერიტორია წყარო: საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი.

1. სოფელი კავთისხევი - კარიერის დასახლება

კავთისხევის კარიერის დასახლებაში, რომელსაც ოფიციალური სახელი არ აქვს, დღესდღეობით, 14 ოჯახი ცხოვრობს. საბჭოთა კავშირის დროს, ამ ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლები კასპის ცემენტის ქარხნის მუშებს აუშენეს. თავდაპირველად, ამ სახლებს მუშათა ოჯახები აგარაკებად იყენებდნენ, დროთა განმავლობაში კი, ისინი მათი მუდმივი საცხოვრებელი გახდა. ამ დროს, ტერიტორიაზე ჰაერის დაბინძურების პრობლემაც არ არსებობდა - დასახლებასთან გამავალი ერთადერთი გზა მუშების ტრანსპორტირებისთვის გამოიყენებოდა.¹³¹ დასახლების ეკოლოგიური მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც მიმდებარე ტერიტორიაზე კომპანია „ჭაიდელბერცემენტ ჯორჯიამ“ კირქვის საბადოს ექსპლუატაცია დაიწყო (იხ. სატელიტური ფოტოები 8.1 და 8.2). ამას დაემატა მცხეთის მუნიციპალიტეტიდან, სასხორის კირქვის საბადოდან ნელეულის ტრანსპორტირება. კასპის ცემენტის ქარხანაში კირქვის გადასაზიდად, კომპანია კარიერის უსტატუსო დასახლებაში გამავალ გზას იყენებს.

¹³¹ საინფორმაციო ცენტრი "შიდა ქართლი". (2016 წლის 15 ნოემბერი). [კირქვის საბადოებს შორის მოქცეული დასახლება](#).



სატელიტური ფოტო 8.1. კარიერის დასახლება, კირქვის კარიერი და დასახლებასთან გამავალი საავტომობილო გზა. წყარო: Google Earth



სატელიტური ფოტო 8.2. დაშორება დასახლებასა და კირქვის კარიერს შორის. წყარო: Google Earth

დასახლების წინაშე არსებული პრობლემები

ჩატარებული სავლე გასვლისას, კარიერთან ყველაზე ახლოს მცხოვრები ოჯახის წარმომადგენელს, ნათელა იმედაშვილს გავესაუბრეთ. ადგილობრივის თქმით, მისი ოჯახის, ისევე როგორც, დასახლებაში მცხოვრები 14 ოჯახის საცხოვრებელი პირობები გაუსაძლისია.

დასახლების მცხოვრებმა საუბრისას განაცხადა, რომ მისი სახლის წინ გამავალ გზაზე, სატვირთო მანქანები 24 საათის განმავლობაში, გაუჩერებლად მოძრაობენ. ამაში დასარწმუნებლად, სახლის უზომი ნახევარი საათის გატარებაც საკმარისი აღმოჩნდა; სასხორის საბადოდან (მცხეთა, სოფელი ძეგვის ტერიტორია) მომავალი კირქვით დატვირთული სატვირთო მანქანები აქ წუთში მინიმუმ ორჯერ გადაადგილდებოდნენ (იხ.ფოტოები 8.2 და 8.3).



ფოტოები 8.2 და 8.3. მარიამ სველეიძე, აგვისტო, 2021. ნათელა იმედაშვილის ეზოდან გადაღებული ძარაგადაუხურავი სატვირთო ავტომობილები. ფოტოები მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

კირქვით დატვირთული მანქანების ინტენსიური მოძრაობა ძლიერ ხმაურს წარმოშობს, რაც მოსახლეობის სიმშვიდეს, დღისით თუ ღამით, ერთნაირად არღვევს. თუმცა, ღამით, სატვირთოების მოძრაობით გამოწვეული ხმაურის ზემოქმედება კიდევ უფრო მაღალია. ნათელა იმედაშვილის ოჯახმა უკვე დიდი ხანია არ იცის, რას ნიშნავს მშვიდად ძილი. მან საუბრისას აღნიშნა, რომ სულ ცოტა ხნის წინ, სერიოზული ნერვული პრობლემები ჰქონდა და ხანგრძლივი და ძვირადღირებული მკურნალობა დასჭირდა; ადგილობრივი ჯანმრთელობის პრობლემას მუდმივ და გაუსაძლის ხმაურში ცხოვრებას უკავშირებს.

კარიერის დასახლებაში ჰაერის დაბინძურების პრობლემაც აქტუალურია. ადგილობრივების თქმით, ისინი ზაფხულის ცხელ დღეებშიც ვერ აღებენ ფანჯრებს, რადგანაც სახლი მტვრით ევსებათ. მტვრის წყაროა, როგორც კირქვით დატვირთული, ძარაგადაუხურავი სატვირთოების მოძრაობა, ისე დასახლებიდან რამდენიმე ასულ მეტრში მდებარე კირქვის კარიერი.

ადგილობრივთა მტკიცებით, მტვერი ჰაერთან ერთად, მოსავალსაც აბინძურებს და დასახლებაში მოყვანილი ხილისა თუ ბოსტნეულის საკვებად მიღება ჯანმრთელობისთვის საშიშია;



ფოტო 8.4. მარიამ ხვედელიძე, აგვისტო, 2021.
კარიერის დასახლებასთან გამავალი გზა. ფოტო
მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

ადგილობრივები ირწმუნებიან, რომ ჰაერის დაბინძურება დასახლების მაცხოვრებლებში სერიოზულ დაავადებებს იწვევს. ნათელა იმედაშვილის მტკიცებით, რამდენიმე წლის წინ, მისი მეუღლე ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული სასუნთქი გზების დაავადებით გარდაიცვალა.

დასახლების მაცხოვრებლებს სატვირთო მანქანების სწრაფი და უკონტროლო მოძრაობის საკითხიც აწუხებთ; ავტომანქანები დასახლებაში გამავალ გზაზე ძალიან მაღალი სისწრაფით გადაადგილდებიან, რის გამოც, ადგილობრივები ბავშვებს ეზოშიც კი ვერ უშვებენ. მხოლოდ ნათელა იმედაშვილის ოჯახში სატვირთო მანქანებმა სამი ძალი იმსხვერპლეს.

ადგილობრივებისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს კარიერზე დროდადრო მოქმედი ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოებიც. აფეთქებების დროს, ძლიერი ვიბრაციის გამო, ყველა სახლი ზანზარებს და იბზარება. კარიერიდან მომავალ ბიძგებს, კირქვით დატვირთული სატვირთო მანქანების დიდი სისწრაფით, ინტენსიური მოძრაობაც ემატება, რაც ბზარებს კიდევ უფრო ზრდის.

კარიერთან ყველაზე ახლოს მცხოვრები ქეთევან ბაცანკლიშვილის სახლი იმდენად დაიბზარა, რომ მასში ცხოვრება შეუძლებელი გახდა (იხ. ფოტო 8.5). კომპანია „ჰაიდელბერგცემენტმა“ ქეთევანს მცირე კომპენსაცია გადაუხადა და ცოტა მოშორებით, კარიერის დასახლებაშივე გადასცა ნაკვეთი ახალი სახლის ასაშენებლად. თუმცა, კომპენსაცია სახლის მშენებლობის

დასასრულებლად და ნორმალური საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად საკმარისი არ აღმოჩნდა. დღეს, ქეთევან ბაცანკლიშვილი უარეს პირობებში და დაუსრულებელ, სახურავის გარეშე დარჩენილ სახლში ცხოვრობს (იხ.ფოტო 8.6).



ფოტოები 8.5 და 8.6. მარიამ ხვედელიძე, აგვისტო, 2021. ქეთევან ბაცანკლიშვილის ძველი და ახალი სახლები. ფოტოები მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

რეაგირება ადგილობრივების უკმაყოფილებაზე

ადგილობრივები წლების განმავლობაში ითხოვდნენ ალტერნატიული გზის მოწყობას, რომელსაც კომპანია, ნედლეულის ტრანსპორტირებისას, დასახლებაში გამავალი გზის ნაცვლად გამოიყენებდა. მოსახლეობამ გამგეობასაც არაერთხელ მიმართა საჩივრით; მოთხოვნის პასუხად, „ჰაიდელბერგცემენტმა“, 2020 წელს, ალტერნატიული გზის მოწყობის ნაცვლად, უკვე არსებული გზის რეაბილიტაცია განახორციელა და გრუნტის გზის 500 მეტრიან მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარი დააგო.¹³² ამან, დამტვერიანების პრობლემა შედარებით შეამსუბუქა, თუმცა საბოლოოდ ვერ აღმოფხრა ის.

მოსახლეობის უკმაყოფილების განსამუხტად, კომპანიამ სხვა არაერთი დაპირებაც გასცა. მათ შორის იყო, დასახლების ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემის - უწყლობის მოგვარება და

¹³² კასპის მუნიციპალიტეტის მერია. (2020 წლის 29 სექტემბერი). [კასპის "კარიერის დასახლების" გზის მოწყობის სამუშაოები დასრულდა.](#)

ყველა ადგილობრივისთვის მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრის ჩასმა. თუმცა, მოსახლეობის მტკიცებით, დანაპირები არ შესრულებულა. წყლის პრობლემა დასახლებაში ისევ რჩება, ფანჯრები კი, კომპანიამ მხოლოდ ნათელა იმედაშვილის ოჯახს გამოუცვალა, რადგანაც მათი სახლი მდებარეობს გზასთან და კარიერთან ყველაზე ახლოს.

კომპანიის განცხადებით, ის, რასაც ადგილობრივები ქუჩას, ანუ დასახლებაში გამავალ გზას უწოდებენ, წარმოადგენს კარიერამდე მისასვლელ გზას და მის მთავარ დანიშნულებას, სწორედ, სატვირთო ავტომანქანების გადაადგილება წარმოადგენს. „ჰაიდელბერგცემენტი“ იმასაც ირწმუნება, რომ კომპანიამ გზის გასწვრივ მდებარე სახლებში კარ-ფანჯრები გამოცვალა.

ადგილობრივ ხელისუფლებაში კი, მოსახლეობის პროტესტის პასუხად, აცხადებენ, რომ მტვირთო და სატვირთოების გადაადგილებით არამარტო კავთისხევის დასახლების, არამედ, კასპის მუნიციპალიტეტის სხვა მაცხოვრებლებიც არიან შეწუხებულნი.¹³³

2. სოფელი წინარეხი

კირქვის მოპოვების მეორე უბანი სოფელ წინარეხში, კავთისხევიდან 2 კმ-ში მდებარეობს. კირქვა კატაულას მთაზე, სოფელთან ძალიან ახლოს მოიპოვება (იხ. ფოტოები 8.6 და 8.7). ყველაზე ახლომდებარე სახლი კირქვის საბადოდან 200 მეტრითაა დაშორებული.

გადათხრილი, თეთრი კირქვით დაფარული მთა სოფლის ყველა წერტილიდან მოჩანს (იხ. ფოტო 8.8). ერთ-ერთი მთავარი პრობლემაც, რომელიც აქ კირქვის მოპოვებას უკავშირდება, მოსახლეობის თქმით, ლანდშაფტის ვიზუალური იერსახის დამახინჯებაა.

საველე გასვლისას გამოკითხული ადგილობრივი მაცხოვრებლების თქმით, ტერიტორიაზე კირქვის მოპოვება დაახლოებით 20 წელია მიმდინარეობს. თუმცა, მათ სოფელში ლიცენზიების გაცემისას მოსახლეობისთვის აზრი არასდროს არავის უკითხავს.

წინარეხელებმა საუბრისას ისიც გაიხსენეს, რომ 4-5 წლის წინ, კირქვის კარიერის გაფართოების სურვილი არსებობდა. ერთ-ერთმა კომპანიამ საძიებო სამუშაოებიც დაიწყო; ამას მოსახლეობის პროტესტი მოჰყვა, რადგან ტერიტორია პირდაპირ სოფელში მდებარეობდა. ადგილობრივების აზრით, ძიების შედეგად, ამ არეალზე საკმარისი რაოდენობის კირქვა ვერ იქნა აღმოჩენილი და ლიცენზიაც ამიტომ აღარ გაცემულა. მოსახლეობის მტკიცებით, ტერიტორიაზე კირქვის საკმარისი მარაგი რომ აღმოჩენილიყო, ადგილობრივების პროტესტს არავინ გაითვალისწინებდა და მათი სახლების გვერდით კარიერი მაინც გაიხსნებოდა.

¹³³ ლიბერალი. (2016 წლის 30 ნოემბერი). [როგა შინი მუზობელი კასპის ცემენტის საწარმოა...](#)



ფოტოები 8.6 და 8.7. მარიამ სვედელიძე, აგვისტო, 2021. სოფლის ხედი კირქვის კარიერიდან. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც წინარეხელებს აწუხებთ, ტრადიციულ საკუთრებაში არსებული მიწების შემცირებაა. მათი თქმით, ძველად, სანამ კატაულას მთა მთლიანად გადაითხრებოდა, იქ სულ საძოვრები და სათიბები იყო. დღეს, მთაზე საქონელს საძოვრად ვეღარ უშვებენ, რაც ადგილობრივებს დამატებით პრობლემას უჩენს.



ფოტო 8.8. მარიამ სვედელიძე, აგვისტო, 2021. კარიერის ხედი სოფელ წინარეხის ერთ-ერთი სახლის უზოდან. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

ამჟამად, კარიერზე აფეთქებითი სამუშაოები არ მიმდინარეობს; თუმცა, ადგილობრივების მტკიცებით, რამდენიმე წლის წინ, აფეთქებების გამო, რამდენიმე ოჯახს სახლები დაეზარა.

რაც შეეხება, მოპოვებითი სამუშაოების დადებით ზეგავლენას სოფლის მაცხოვრებლებზე, წინარეხელები ირწმუნებიან, რომ მათ სოფელში კირქვის კარიერის ფუნქციონირებით ვერანაირ სარგებელს ვერ იღებენ; კარიერზე ადგილობრივები დასაქმებულები არ არიან, რადგანაც კომპანიას თავისი ხალხი მოჰყავს სამუშაოდ.

ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოზე კირქვის მოპოვების ზემოქმედების შეფასების შემდეგ, მომდევნო ქვეთავში განხილულია, როგორ ასრულებენ კომპანიები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და როგორ უზრუნველყოფენ შესაბამისი ორგანოები კანონდარღვრების კონტროლს.

ლიცენზიების პირობების შესრულება და კანონდარღვრების კონტროლი

წიაღის ათვისების გეგმა

ლიცენზიანტი ვალდებულია, წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღებიდან ერთი თვის ვადაში, ლიცენზიის გამცემ ორგანოსთან შეთანხმოს წიაღის ათვისების გეგმა, რომლის მიხედვითაც, ყოველწიურად უნდა გადაიხადოს წიაღით სარგებლობის გადასახადი.

წიაღის ეროვნული სააგენტოსგან მიღებული მასალებით ირკვევა, რომ კასპის მუნიციპალიტეტში მოქმედი კირქვის მოპოვების 16 ლიცენზიანტიდან, წიაღის ათვისების გეგმა-გრაფიკი შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული აქვს მხოლოდ 8 ლიცენზიანტს. აღნიშნული ლიცენზიანტებიდან, გეგმა დროულად, ანუ ლიცენზიის მიღებიდან ერთი თვის ვადაში, შეთანხმებული აქვს მხოლოდ 3 კომპანიას; 5 შემთხვევაში გეგმა შეთანხმებულია დაგვიანებით, რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57¹ მუხლის მიხედვით, კანონდარღვევაა და ისჯება 500 ლარიანი ჯარიმით.¹³⁴ თუმცა, აღნიშნული დარღვევა გეგმის შეთანხმების ვადაგადაცილების არცერთ შემთხვევაში არაა გამოვლენილი.¹³⁵

რაც შეეხება, წიაღის ათვისების გეგმის უქონლობას, იმ 8 ლიცენზიანტიდან, რომლებსაც არ აქვთ შეთანხმებული წიაღის ათვისების გეგმა, სააგენტოს მიერ გამოვლენილია ორი ლიცენზიანტი - შპს "ქვის გობი" (#10001092, ლიცენზია გაცემულია 2019 წელს) და ფ/პ გიორგი ჭინჭარაძე (#1000888, ლიცენზია გაცემულია 2012 წელს). კომპანია "ქვის გობი" აღნიშნული დარღვევისთვის დაჯარიმებულია 500 ლარით; გიორგი ჭინჭარაძის შემთხვევაში კი, ის ფაქტი, რომ ლიცენზიანტი წიაღისეულს ათვისების გეგმის გარეშე მოიპოვებდა, სააგენტომ აღმოაჩინა 2020 წლის 7 თებერვალს, ანუ გიორგი ჭინჭარაძის მიერ ლიცენზიის მიღებიდან 8 წლის შემდეგ. სააგენტომ ლიცენზიანტს მიწერილობით დამატებით 5 დღიანი ვადა მისცა გეგმის წარმოსადგენად; კომპანიამ მოთხოვნა არ შეასრულა¹³⁶, რის შედეგადაც, 2020 წლის 29 მაისს საქმე გადაეცა სასამართლოს. სასამართლომ 2020 წლის 20 ივნისს დაადგინა,¹³⁷ რომ აღნიშნულ საქმეში ადმინისტრაციული ზომები უნდა გატარებულიყო სამართალდარღვევის აღმოჩენიდან 4 თვის ვადაში, ანუ 18 ივნისის ჩათვლით. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო განხილვის მომენტისთვის 4-თვიანი ვადა გასული იყო, საქმის წარმოება შეწყდა.

¹³⁴ საქართველოს კანონი "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი". ხელმისაწვდომია „საკანონმდებლო მაცნე“ ვებგვერდზე, სარეგისტრაციო კოდი: 020.000.000.05.001.000.010

¹³⁵ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 15 აპრილის #22/123 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

¹³⁶ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 29 მაისის #002176 ოქმი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ.

¹³⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 20 ივნისის #4/3452-20 დადგენილება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

ლიცენზიის პირობების კონტროლის შესახებ ყოველწლიური ანგარიშგება

ლიცენზიის პირობების კონტროლის შესახებ ყოველწლიური ანგარიშგება არასრულად ან ვადაგადაცილებით აქვს წარმოდგენილი 16-დან 7 კომპანიას, მათ შორის, ყველაზე დიდი ლიცენზიების მფლობელებს - „ჭაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ #1000793 და #1000792 ლიცენზიების შემთხვევაში ანგარიშგება წარდგენილი არ აქვს ორ-ორჯერ, ხოლო “ეკოცემენტს” (#1001013 ლიცენზია) - სამჯერ.

ყოველწლიური დაკვირვების ფორმის წარუდგენლობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, ისჯება 500 ლარიანი ჯარიმით. იმას კი, დროულად წარმოადგინა თუ არა ამა თუ იმ კომპანიამ ანგარიში, 2018 წლიდან წიაღის ეროვნული სააგენტო აკონტროლებს.¹³⁸ აღსანიშნავია, რომ ანგარიშის წარუდგენლობის ან დაგვიანებით წარდგენის 19 შემთხვევიდან დარღვევა აღმოჩენილ იქნა მხოლოდ 8 შემთხვევაში; აქედან, სასამართლომ 6-ჯერ ჯარიმა დააკისრა, ხოლო 2-ჯერ სიტყვიერი შენიშვნა მისცა სამართალდამრღვევს.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ყველა სამართალდარღვევა 2018 წლის შემდეგ პერიოდში (მას შემდგომ, რაც ლიცენზიის პირობების კონტროლის ფუნქცია სააგენტოს გადაეცა) აღმოაჩინა წიაღის ეროვნულმა სააგენტომ. 2018 წლამდე ჩადენილ დარღვევებზე რეაგირება არცერთხელ მომხდარა.

ამასთან, არსებობს იმის დამკვიდრებული პრაქტიკაც, რომ ლიცენზიანტები რამდენიმე წლის დაკვირვების ფორმას წარადგენენ ერთიანად, სააგენტოს მიერ დარღვევის ფაქტის აღმოჩენის შემდეგ. მსგავსი შემთხვევა იყო კომპანია „ეკოცემენტისა“ და „კავთა სტოუნის“ ანგარიშების შემთხვევაში, რომლებმაც 2019 წელს ერთიანად წარადგინეს სამი წლის დაკვირვების ფორმები. ხსენებული ორი კომპანიიდან არცერთი¹³⁹ არაა დაჯარიმებული სამართალდარღვევის გამო, სასამართლომ ორივე მათგანს სიტყვიერი შენიშვნა მისცა.

სალიცენზიო პირობების ადგილზე კონტროლი

კონტროლი წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ (2018 წლის შემდგომი პერიოდი)

წიაღის ეროვნული სააგენტომ ადგილზე ექვსი ლიცენზიანტის სალიცენზიო ტერიტორია შეამოწმა; 10 ლიცენზიის შემთხვევაში, სალიცენზიო პირობების შესრულების ადგილზე შემოწმება 2018 წლის, ანუ აღნიშნული ფუნქციის წიაღის ეროვნული სააგენტოს პასუხისმგებლობაში გადასვლის შემდეგ, ჩატარებული არცერთხელ არაა.

¹³⁸ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 თებერვლის #84 დადგენილება „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ან წიაღით სარგებლობის ლიცენზიის პირობების შესრულების შემოწმებისას სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“. ხელმისაწვდომია „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე, სარეგისტრაციო კოდი: [380000000.10.003.020399](#)

¹³⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 23 აგვისტოს დადგენილება (საქმე #4/6668-18) და 2020 წლის 24 ივლისის (საქმე #4/4019-20) დადგენილება სიტყვიერი შენიშვნის გამოყენების შესახებ.

სააგენტომ ლიცენზიის პირობების დარღვევა გამოავლინა ექვსიდან ოთხ ლიცენზიანტთან; დაფიქსირებულ დარღვევებს წარმოადგენდა - სამ შემთხვევაში მოპოვების წესების დარღვევა (ნედლეულის მოპოვება საბადოს დამუშავების პროექტის დარღვევით, უსისტემოდ, ერთ საფეხურად) და ერთ შემთხვევაში - საბადოს დამუშავების პროექტის არარსებობა.

კონტროლი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სააგენტოს მიერ (2018 წლამდე პერიოდი)

2018 წლამდე, სალიცენზიო პირობების კონტროლზე პასუხისმგებელი ორგანო იყო გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. დეპარტამენტს კასპის მუნიციპალიტეტში კირქვის მოპოვების სამი ლიცენზია, ოთხჯერ აქვს ადგილზე შემოწმებული. შემოწმებულისას აღმოჩენილი ექვსი დარღვევიდან ოთხი წარმოადგენდა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნისა და განთავსების წესების დარღვევას, რის შედეგადაც მოხდა ნაყოფიერი ნიადაგისა და ფუჭი ქანების ერთმანეთში შერევა და მიწის დეგრადაცია/გაუვარგისება გარკვეული ფართობის ტერიტორიაზე (იხ. ცხრილი 8.1).¹⁴⁰

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია დეპარტამენტის მიერ ჩატარებული შემოწმებები და აღმოჩენილი დარღვევები. პირველ სვეტში წარმოდგენილია შემოწმებული ლიცენზიები, მეორეში - შემოწმების თარიღი, მესამეში - რა სახის დარღვევა იქნა აღმოჩენილი, ხოლო ბოლო სვეტში დაკისრებული ჯარიმის ან/და გარემოზე მიყენებული ზიანის ოდენობა.

ცხრილი 8.1. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის მიერ ჩატარებული შემოწმებები.

ლიცენზიანტი/ლიცენზიის ნომერი	თარიღი	დარღვევის სახე	ჯარიმა/ზიანის ოდენობა
ზაზა ქსოვრელი/1001299	25.10.2016	ნიადაგის ნაყოფიერი ფენისა და ფუჭი ქანების შერევა, მიწის დეგრადაცია	ზიანი - 3290 ლარი
		კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების წარუდგენლობა	ჯარიმა - 2000 ლარი
	25.08.2017	ნიადაგის ფენის შერევა ფუჭ ქანებთან	ჯარიმა - 500 ლარი/ზიანი - 579 ლარი
Georgia 2011/1000276	12.07.2017	მოპოვება ლიცენზიის გარეშე	ზიანი - 311 ლარი
		ნაყოფიერი ნიადაგისა და ფუჭი ქანების შერევა;	ზიანი - 7520 ლარი

¹⁴⁰ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2021 წლის 23 აგვისტოს წერილი „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციულ დირექტორს.

დიდგორი/10001091	03.06.2020	ნიადაგის ნაყოფიერი ფენისა და ფუჭი ქანების შერევა	ზიანი -1294 ლარი
------------------	------------	--	------------------

ლიცენზიანტის (შპს „წაჩხურუ“, შპს „ალფა მარი“, შპს „მარტ სტოუნი“ და ი/მ ტარიელ პაპავა) საქმიანობა შევისწავლეთ; ოთხივე კირქვას მოიპოვებს.



რუკა 9.2. მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლი და მის გარშემო არსებული სალიცენზიო ტერიტორიები. წყარო: საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი.

სამი ლიცენზიანტის: შპს „წაჩხურუს“ (ლიცენზია #00596), შპს „ალფა მარის“ (ლიცენზია #100037), ი/მ ტარიელ პაპავას (ლიცენზია #01137; 1001628) სალიცენზიო ტერიტორიები მარტვილში, უშუალოდ მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლის სიახლოვეს სამ სხვადასხვა ლოკაციაზე არის განთავსებული (იხ. რუკა 9.2). ხოლო, შპს „მარტ სტოუნის“ (ლიცენზიის #10000766) სალიცენზიო ტერიტორია, სოფ. ვახაში.

1. კირქვის მოპოვება მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლებაჩიეს და სოფელ ინჩხურის მიმდებარედ

შპს „წაჩხურუს“ პირველი (ლიცენზია #00596) სალიცენზიო ტერიტორია, მარტვილის კანიონის ავტოსადგომის მომიჯნავედ მდებარეობს (იხ. სატელიტური ფოტო 9.2). ლიცენზია 2007 წელს 20 წლის ვადით გაიცა. ადგილზე კირქვის მოპოვებითი სამუშაოები ამჯერად აღარ მიმდინარეობს, თუმცა, ტერიტორია უკვე სრულიად გადათხრილია და ტყით დაფარული ტერიტორიის ნაწილი განადგურებული (იხ. სატელიტური ფოტო 9.1). საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასიდან აღებულ რუკაზე ნათლად ჩანს, რომ ლიცენზიანტმა კირქვის მოპოვება სალიცენზიო ფარგლებს გარეთაც განახორციელა (იხ. სურათი 9.3), თუმცა, კომპანია, ამის გამო, არ დაჯარიმებულა.



სატელიტური ფოტო 9.1. ცისფერი კონტურით მონიშნულია შპს „ნახურუს“ (ლიცენზია #00596) სალიცენზიო ტერიტორია წყარო: საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი.

მოპოვებითი სამუშაოების დაწყებამდე ავტოსადგომი ტურისტების მიერ აქტიურად გამოიყენებოდა. წიაღისეულის მოპოვების შემდეგ, ტერიტორიაზე მიმდინარე ბურღვა - აფეთქებითი სამუშაოების გამო, ავტოსადგომის გამოყენება უსაფრთხო აღარ იყო, რის გამოც ის გაუქმდა. მთის ნაწილი მთლიანად ჩამოჭრილია და შესაბამისად, აღარც ტყის საფარი არსებობს.



ფოტო 9.1. ირინა სვანიძე, ივნისი, 2021. მარტვილის კანიონის ავტოსადგომის მომიჯნავედ შპს „ნახურუს“ კარიერი. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.




სატელიტური ფოტო 9.2.
მარტვილის კანიონის
ავტოსადგომი და მის მომიჯნავედ
შპს „წაჩხურუს“ კარიერი. წყარო:
Google Earth

ადგილობრივების თქმით, ტერიტორიაზე კირქვის მოპოვება გარკვეულ დისკომფორტს ტურისტებსაც უქმნიდა. მარტვილის კანიონზე მიმავალ ვიზიტორებს კარიერების გავლა უხდებოდათ. მუდმივი ხმაურის და დაბინძურებული ჰაერის გამო, ისინი მუდმივად გამოსატავდნენ უკმაყოფილებას.

შპს „წაჩხურუს“ მეორე სალიცენზიო ტერიტორია (ლიცენზია #00496) მარტვილის კანიონის ადმინისტრაციის შენობას და მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლის გარკვეულ ნაწილსაც მოიცავს (იხ. სატელიტური ფოტო 9.3).¹⁴² ლიცენზია, მსგავსად წაჩხურუს პირველი ლიცენზიისა, 2007 წელს, 20 წლის ვადით გაიცა. სალიცენზიო ტერიტორიაზე მოპოვებითი სამუშაოები ჯერ დაწყებული არ არის. გაცემული ლიცენზიის შესახებ, არც ადგილობრივი მოსახლეობა არის ინფორმირებული.

მართალია, შპს „წაჩხურუს“ ორივე ლიცენზიის გაცემის პროცესში მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლი დაარსებული არ ყოფილა, თუმცა, ამ ტერიტორიაზე 2013 წელს დაცული ტერიტორიის ოფიციალურად დაარსების შემდგომ, არ ყოფილა განხილული არცერთი ლიცენზიის გაუქმების ან ადგილმონაცვლეობის საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ სალიცენზიო ტერიტორიის დიდი ნაწილი პირდაპირ ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე ხვდება.

¹⁴² საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი.



სატელიტური ფოტო 9.3. მპს „წახურუს“ მეორე სალიცენზიო ტერიტორია, ლიცენზია #00496
წყარო: საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი.

უშუალოდ კანიონის საზღვარზე არის განთავსებული ასევე ალფა მარის და ტარიელ პაპავას ლიცენზიები. სამივე ლიცენზია ერთმანეთის მომიჯნავედ არის გაცემული (იხ. ფოტო 9.2). სალიცენზიო ტერიტორიები უახლოესი მოსახლიდან დაახლოებით 70-100 მეტრით არის დამორებული. ყურადსაღებია, რომ მოსახლეობას არცერთი ლიცენზიის გაცემის პროცესში მონაწილეობა არ მიუღია. მათ მხოლოდ წიაღისეულის მოპოვებითი სამუშაოების დაწყების შემდეგ გაიგეს, რომ კარიერებთან ახლოს მოუხდებოდათ ცხოვრების გაგრძელება.



ფოტო 9.2. ირინა სვანიძე, ივნისი, 2021. ალფა მარის და ტარიელ პაპავას სალიცენზიო ტერიტორიები. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

ლიცენზიანტებმა კირქვის მოპოვება დაახლოებით ოთხი წლის წინ დაიწყეს. სავსე გასვლის დროს, ტერიტორიაზე მოპოვებითი სამუშაოები შეჩერებული იყო. როგორც აღმოჩნდა, კომპანია კირქვის მოპოვებით სამუშაოებს აქტიურად ვეღარ აგრძელებს. ამის მთავარი მიზეზი ხიდის გაუმართაობაა, რომლის საშუალებითაც კომპანია მოპოვებული მასალის ტერიტორიიდან გატანას ახდენდა. ლიცენზიანტებს ამჯერად შემოვლითი გზის გამოყენება უწევთ, რომელიც დასახლებულ არეალზე გადის. შემოვლით გზაზე მძიმეწონიანი მანქანების გადაადგილება თითქმის შეუძლებელია. შეკვეთების შემთხვევაშიც კი კომპანიას, შედარებით პატარა მანქანებით (მცირე რაოდენობით) უწევთ ნედლეულის გატანა ტერიტორიიდან, რის გამოც შეკვეთების რაოდენობამაც იკლო.

1.2 წიაღისეულის გასატანად გამოსაყენებელი ხიდი - საფრთხე ტურისტებისთვის

ხიდი, რომელსაც კომპანია სალიცენზიო ტერიტორიიდან მოპოვებული წიაღისეულის გასატანად გამოიყენებდა, სოფ. იჩხურში კარიერიდან დაახლოებით 50 მეტრში მდებარეობს. მას გარე სამყაროსთან დასაკავშირებლად - როგორც კომპანია, ასევე ადგილობრივი მოსახლეობაც ყოველდღიურად გამოიყენებდა (იხ. ფოტო 9.3). სავარაუდოდ, მძიმეწონიანი მანქანების მუდმივად გადაადგილების გამო, ხიდი დაზიანდა. ის ფეხით გადასავლის შემთხვევაშიც კი უსაფრთხო აღარ არის, რის გამოც თითქმის ერთი წელია რაც გაუქმდა და ხიდთან მისასვლელი გზა გადაიკეტა.



ფოტო 9.3. ირინა სვანიძე, ივნისი, 2021. წიაღისეულის გასატანად გამოსაყენებელი ხიდი, რომელიც კანიონის თავზე მდებარეობს. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

რაც ყველაზე საგანგაშოა, ხიდი უშუალოდ კანიონის თავზე გადადის (იხ. ფოტო 9.4). კარიერებიდან წამოსული მძიმეწონიანი მანქანები თვეების განმავლობაში

გადაადგილდებოდნენ კანიონის თავზე, რითაც, საფრთხე ექმნებოდა ვიზიტორებს რომლებიც კანიონში, ხიდის ქვეშ ნავებით გადაადგილდებოდნენ.



ფოტო 9.4. ირინა სვანიძე, ივნისი, 2021. ხიდის ქვეშ არსებული კანიონი. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

ხიდის გაუქმებამ, მოსახლეობას პრობლემა სხვადასხვა კუთხით შეუქმნა. ადგილობრივებს გადაადგილებისთვის ახლა სხვა გზის გავლა უხდებათ. ამასთან, მძიმეწონიანი მანქანები ადრე თუ მჭიდროდ დასახლებულ უბნებში არ გადაადგილდებოდა, ახლა პირიქით. ადგილობრივების თქმით, მოსახლეობამ და ლიცენზიის მფლობელმა კომპანიებმა, გამგეობას არაერთხელ მიმართეს ხიდის შეკეთების მოთხოვნით, თუმცა დღემდე არაფერი შეცვლილა. ხიდი კვლავ ავარიული, ტურისტებისთვის კი საფრთხის შემცველია.

2. კირქვის მოპოვება სოფელ ვახაში

კირქვის მოსაპოვებელი ერთ-ერთი ყველაზე დიდი კარიერი, სალხინოში, სოფ. ვახაში მდებარეობს (იხ. სატელიტური ფოტო 9.4). სოფ. ვახაში ლიცენზიას რამდენიმე კომპანია ფლობს. მათ შორის ერთ - ერთი შპს „მარტ სტოუნია“. ამ კომპანიის და მათი მფლობელების შესახებ საუბარს, სალხინოში თითქმის ყველა ადამიანი გაურბის და სიფრთხილით ეკიდება. კომპანიის 50% წილის მფლობელი ბიზნესმენ კლიმენტი კეკუტიას შვილი, გიორგი კეკუტიაა. დანარჩენი 50% კი, მარტვილის მერის შვილს, ლაშა გრიგალავას ეკუთვნის.



სატელიტური ფოტო 9.4. სოფელი ვახა და სალიცენზიო ტერიტორიები
წყარო: Google Earth

მფლობელების ვინაობამ ყურადღება სალხინოში ვიზიტის შემდეგ მიიპყრო. ადგილობრივები ჩვენთან ინტერვიუში ყვებიან, რომ მთელი სალხინო კლიმენტი კეკუტიას საკუთრებაა. ბიზნესმენი სალხინოში: მიწის ნაკვეთებს, დიდ ფეშენებელურ სახლს, კომპანიებს და ეკლესიას (ასევე, სატრაპეზოს) ფლობს, რომელიც მან თავისი ოჯახისთვის ააშენა. ტაძარში შესვლის უფლება კეკუტიების ოჯახის გარდა არავის აქვს, შესაბამისად ადგილზე ვიზიტისას გაგვაფრთხილეს, რომ იქ შესვლა არც გვცადა. ბიზნესმენის უზოს შემადგენლობაში არის მოქცეული სოფლის საფეხბურთო მოედანიც, რომლით სარგებლობის უფლებაც, კეკუტიების ოჯახის გარდა არავის აქვს.

2.1 სოფელ ვახაში მდებარე კირქვის კარიერების ზემოქმედება გარემოზე და მოსახლეობაზე

კირქვის მოპოვება შუაგულ სოფელში მიმდინარეობს. ტერიტორია მთლიანად გადათხრილია. სალიცენზიო ტერიტორიაზე და მიმდებარედ გაჩენილია ხე-ტყე და ადარ არსებობს ნიადაგის ნაყოფიერი ფენა (იხ. ფოტო 9.5).



ფოტო 9.5. ირინა სვანიძე, ივნისი, 2021. სოფელი ვახა, კარიერის ტერიტორია. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

წიაღისეულის მოპოვების ტერიტორიიდან უახლოესი მოსახლის ეზო დაახლოებით ხუთი მეტრით არის დაშორებული (იხ. ფოტოები 9.6 და 9.7). ადგილზე ვიზიტისას სამუშაოები შეჩერებული იყო, რადგან სოფლის გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობდა და კარიერზე შემოვლითი გზით მივედით. მიუხედავად დიდი მცდელობისა, უახლოეს მოსახლესთან (რომლის ეზოდანაც უკვე კარიერი იწყება) კარიერებიდან გამოწვეულ ზეგავლენაზე საუბარი ვერ მოხერხდა. სოფლის დანარჩენი მაცხოვრებლებიც (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) თავიანთი აზრის დაფიქსირებას ძალზე ერიდებოდნენ. ისინი გამუდმებით იმეორებდნენ, რომ კარიერთან უშუალო სიახლოვეში ცხოვრების მიუხედავად, მათი საცხოვრებელი პირობები დამაკმაყოფილებელია და არანაირი პრობლემა მათ არ აქვს. აღნიშნული გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობა კომპანიის მფლობელების გამო, პრობლემებზე საუბარს ერიდება.



ფოტო 9.6. ირინა სვანიძე, ივნისი, 2021. სოფელი ვახა, კარიერი და მასთან უშუალო სიახლოვეში მყოფი სახლები. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

ადგილობრივების ნაწილმა გვითხრა, რომ მათ მეზობლებს ეშინიათ აზრის თავისუფლად დაფიქსირების. ამბობენ, რომ აქ ყველაფრის მფლობელი კეკუტიაა. თავიანთ ყოველდღიურ პრობლემებზე, მას შემდეგ დაიწყეს საუბარი, რაც დარწმუნდნენ, რომ ინტერვიუს დროს მათი პიროვნების იდენტიფიცირება არ მოხდებოდა. სოფლის მაცხოვრებლები ამბობენ, რომ კარიერიდან უშუალო სიახლოვეში მყოფი ოჯახები გაუსაძლის პირობებში ცხოვრობენ. მუდმივად აწუხებთ კარიერების მტვერი. დაბინძურების შესამცირებლად კი, ლიცენზიანტები არაფერს არ აკეთებენ (მათ შორის, არ ხდება გზების მორწყვა).

ადგილობრივების საცხოვრებელი პირობები განსაკუთრებით ბოლო წლებში სულ უფრო გაუარესდა. სოფლის მაცხოვრებელთა უკმაყოფილების მთავარი მიზეზი, მძიმეწონიანი მანქანების გადაადგილებაა. სოფლის გზაზე მუდმივად (დაახლოებით, ნახევარ საათში ერთხელ) გადაადგილდებიან მძიმეწონიანი მანქანები, რაც ძლიერ აბინძურებს გარემოს როგორც ხმაურით, ისე მტვრით. სატვირთო ავტომანქანები, უმეტესწილად, გადაუფარავი ძარით დადიან.



ფოტო 9.7. ირინა სვანიძე, ივნისი, 2021. სოფელი ვახა, კარიერი და მასთან უშუალო სიახლოვეში მყოფი სახლები. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

სოფელს, კარიერებიდან მხოლოდ ერთი სარგებელი აქვს - დასაქმება. თუმცა, მუშაობის საშუალება, მხოლოდ მამაკაცებს აქვს. სოფ. ვახაში მცხოვრები ქალები ამბობენ, რომ ამ კარიერებიდან მათ არანაირი სარგებელი არ აქვთ. მხოლოდ პრობლემას უქმნით. „სარეცხს ვერ ვფენთ, რამდენიმე წუთში ისევ გასარეცხია, გარეთ ვერ გამოხვალ და ვერ დაჯდები, რადგან სუნთქვა შეუძლებელია“ - ამბობს სოფ. ვახას მკვიდრი.

2.2 სოფელ ვახაში მდებარე კირქვის სამსხვრევი საწარმო და ბლოკის საამქრო

სოფელში არსებულ მძიმე ეკოლოგიურ პრობლემას კიდევ უფრო მეტად ამძიმებს, ბლოკისა და კირქვის გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც სალიცენზიო ტერიტორიების მომიჯნავედ არის განთავსებული (იხ. ფოტო 9.8). კირქვის გადამამუშავებელი ქარხნის მფლობელიც შპს „მარტ სტოუნია“. კომპანია, სოფ. ვახაში კირქვას წლებია უკანონოდ გადაამუშავებს. ქარხანას გარემოსდაცვითი ნებართვა ჯერაც არ აუღია. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება 2021 წლის

მარტში დაიწყო, თუმცა, სამინისტროს შენიშვნების საფუძველზე, სამჯერ შეწყდა და ღებმდე გრძელდება.¹⁴³

საწარმო გარემოზე ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ორჯერ შემოწმდა (პირველად, 2019 წლის 30 მაისს და მეორედ, 2020 წლის 14 ივლისს). ორივეჯერ დადგინდა, რომ კომპანია უნებართვოდ ახორციელებდა საქმიანობას. ყურადსაღებია, რომ კომპანიისათვის სახელმწიფოს ჯარიმა არცერთ შემთხვევაში არ დაუკისრებია და არც საწარმოს მუშაობა არ შეუჩერებია.



ფოტო 9.8. ირინა სვანიძე, ივნისი, 2021. სოფელი ვახა, კირქვის სამსხვრევი საწარმო. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

ადგილობრივები ამბობენ, კირქვის მოპოვებითი და გადამუშავებითი სამუშაოების ერთდროულად მიმდინარეობის დროს, სოფელი მთლიანად მტვრით იფარება და სუნთქვა შეუძლებელი ხდება. მუშა პროცესის გარეშე, განსაკუთრებით ქარიან ამინდში, მდგომარეობა მძიმდება, რაც ადგილზე დასაწყობებული, როგორც დასამსხვრევად გამზადებული, ისე უკვე გადამუშავებული მასალის ამტვერიანებას უკავშირდება.

გარდა ჰაერის დაბინძურებისა, კირქვის საამქრო მდინარე ვახას და ტეხურის წყალსაც ძლიერ აბინძურებს. მსხვრევის პროცესში, კომპანია წყალს იყენებს. საწარმოო პროცესში გამოყენებული

¹⁴³ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2021. [მარტვილის მუნიციპალიტეტში, შპს „მარტ-სტონის“ სასარგებლო წიაღისეულის \(კირქვის\) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პროექტი.](#)

წყალი კი, გაწმენდის გარეშე შუაგულ სოფელში მიედინება. როგორც ადგილობრივები გვიყვებიან, საამქროს მუშაობის პროცესში ეს წყალი კიდევ უფრო დიდი ოდენობით მიედინება და ყოველგვარი გაწმენდის გარეშე ჩაედინება ჯერ მდ. ვახაში, შემდეგ კი მდ. ტუხურაში და მათ დაბინძურებას იწვევს (იხ. ფოტოები 9.9 და 9.10).



ფოტო 9.9. ირინა სვანიძე, ივნისი, 2021. სოფელი ვახა, დამშრალი მდინარე ვახა. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

კირქვის სამსხვრევი საამქრო დიდი რაოდენობით წყალს საჭიროებს. მიმდებარე ტერიტორია წყლის მცირე რესურსია, განსაკუთრებით ზაფხულის ცხელ დღეებში. როგორც ირკვევა კომპანიას გამოსავლის მოძებნა არ გასჭირვებია. როგორც ტელეკომპანია მთავარი არხის სიუჟეტიდან¹⁴⁴ ირკვევა, შპს „მარტ სტოუნმა“ ყოველგვარი ნებართვის გარეშე, თხოპრას ჩანჩქერიდან წყალი თვითნებურად მოაქცია მილში და მას საამქროსთვის გამოყოფილ რეზერვუარებში ინახავს. სიუჟეტში ჩანს, რომ ჟურნალისტებთან საუბარში მერიის წარმომადგენლებმა ყველაფერი უარყვეს და თქვეს, რომ მსგავსი არაფერი გაუგიათ.

გამოკითხვის დროს გაირკვა, რომ სოფლის შუაში მდინარე ვახა ჩამოდის. ადგილობრივები ამბობენ, რომ მისი დონე ზაფხულის პერიოდში იკლებს, თუმცა, როცა დიდდება, მოსახლეობას სერიოზული პრობლემები ექმნება. მდინარის კალაპოტი, მოპოვების გამო, სრულიად

¹⁴⁴ მთავარი არხი, 2021. [კლიმენტი კეკელიამ ჩანჩქერი მოიპარა | ბიზნესმენმა წყალი გადაკეტა და საკუთარ საამქროში გადაიტანა.](#)

სახეცვლილია. ჩვენი ადგილზე ვიზიტის დროს, მდინარე სრულად დამშრალი იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით მაცხოვრებლები მორიდებით საუბრობდნენ და მდინარესთან დაკავშირებულ შეკითხვებზე პასუხს არ გვცემდნენ. ჩვენი ვარაუდით, მდინარის დამრობა თხოპრას ჩანჩქერიდან წყლის თვითნებურად გადაგდებას გამოიწვია; მოსახლეობამ კი, ამ საკითხზე საუბარს, კვლავ, ბიზნესმენ კეკუტიას გამო აარიდა თავი.



ფოტო 9.10. ირინა სვანიძე, ივნისი, 2021. სოფელი ვახა, დამშრალი მდინარე ვახა. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

კირქვის გადამამუშავებელი საწარმოს მოპირდაპირედ განთავსებულია ი/მ მურთაზ ბერიშვილის ბლოკის საამქრო (იხ. ფოტო 9.11). მარტ-სტოუნისაგან განსხვავებით ეს უკანასკნელი, გზდ-ის მიერ ორჯერ დაჯარიმდა. შემოწმებების დროს დადგინდა, რომ კომპანიას არ ჰქონდა წარდგენილი დაბინძურების სტაციონალური წყაროების მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სახელმწიფო აღრიცხვის ფორმა. გამოსწორდა, თუ არა აღნიშნული დარღვევა, გაურკვეველია, რადგან გზდ-ს 2017 წლის შემდეგ, საამქრო აღარ შეუმოწმებია.



ფოტო 9.11. ირინა სვანიძე, ივნისი, 2021. სოფელი ვახა, ბლოკის საამქრო. ფოტო მწვანე ალტერნატივის არქივიდან.

3. განხილული ლიცენზიები - დარღვევები

ამ კვლევისას, განხილულ იქნა მარტვილის მუნიციპალიტეტში კირქვის მოსაპოვებლად გაცემული 21-ვე ლიცენზია და ამ ლიცენზიებთან დაკავშირებული დოკუმენტები. წიაღის ეროვნული სააგენტოდან მიღებული მასალების¹⁴⁵ შესწავლის შედეგად, სხვადასხვა სახის დარღვევები გამოიკვეთა. კერძოდ:

- ✓ ლიცენზიით განსაზღვრული პირობების მიხედვით, ლიცენზიანტი ვალდებულია ლიცენზიის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს წარუდგინოს ათვისების შესაბამისი გეგმა-გრაფიკი. აღნიშნული გეგმის გარეშე წიაღის მოპოვება - კანონდარღვევაა. შესწავლილი 21 ლიცენზიიდან - გეგმა-გრაფიკი მხოლოდ ორ კომპანიას (შპს „აღფა მარი“ ლიცენზიის #100037 და ი/მ „ტარიელ პაპავა“ ლიცენზიის #1001628) ჰქონდა წარდგენილი. ამ ლიცენზიების შემთხვევაშიც, გაურკვეველი იყო, დროულად მოხდა თუ არა ათვისების გეგმის შეთანხმება და დამტკიცება, წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ;
- ✓ არცერთი ლიცენზიის შემთხვევაში არ ყოფილა წარდგენილი და შეთანხმებული წიაღით სარგებლობის პროექტი;
- ✓ ლიცენზიანტი ვალდებულია,¹⁴⁶ ყოველწლიურად მოამზადოს და წარადგინოს უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების ფორმა #1-01. შესწავლილი 21 ლიცენზიიდან დოკუმენტი ყოველწლიურად მხოლოდ 14 კომპანიას ჰქონდა წარდგენილ. ექვსი ლიცენზიის შემთხვევაში კი - არასრულად. კერძოდ, ერთ კომპანიას ათჯერ არ ჰქონდა წარდგენილი, ერთს შვიდჯერ, სამს ორჯერ, ერთ კომპანიას კი, მხოლოდ ერთხელ. სრულიად

¹⁴⁵ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 15 აპრილის წერილი #22/121 მწვანე ალტერნატივას ადმინისტრაციულ დირექტორს.

¹⁴⁶ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის დადგენილება №271, ტექნიკური რეგლამენტების – წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიშის) წესის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების პროექტის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების ტექნოლოგიური სქემისა და წიაღისეულის შესწავლის სამუშაოთა გეგმების შედგენის წესისა და სტატისტიკური დაკვირვების ფორმების (№1-01, №1-02, №1-03 და №1-04) დამტკიცების თაობაზე.

გამოგნებელია თავად ამ ანგარიშების ხარისხი. ყველა კომპანია ანგარიშის წარდგენისათვის გამზადებულ შაბლონს იყენებს, სადაც გარკვეული სახის მონაცემები უნდა ჩაწეროს. მათ მიერ წარდგენილი ანგარიშების 90 პროცენტი შეუსვებელი და არაფრისმომცემია.

ყურადსაღებია, რომ შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოს მიერ ათვისების შესაბამისი გეგმა-გრაფიკის არქონის ფაქტი სამჯერ, სტატისტიკური დაკვირვების ფორმა #1-01 არ ქონა ხუთჯერ იქნა აღმოჩენილი.

ყველა ლიცენზიას თან ახლავს გეოსაინფორმაციო პაკეტი. ამ უკანასკნელში სალიცენზიო ტერიტორიებისა და მოსახლეობის, მათ შორის, დაცული ტერიტორიებიდან დაშორების შესახებ ინფორმაციას, ხშირ შემთხვევაში, არ ვხვდებით და ის, მხოლოდ, უახლოესი სოფლის/სოფლების მითითებით შემოიფარგლება.

ლიცენზიის გაცემის პროცესში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ჩართულობაა. განხილული 21 ლიცენზიიდან 13 შემთხვევაში ლიცენზიის გაცემისას მუნიციპალიტეტის თანხმობა მიღებული იყო, რვა შემთხვევაში - არა.

4. სახელმწიფო კონტროლი და დარღვევაზე რეაგირება

2018 წლამდე, სალიცენზიო პირობების კონტროლი და ზედამხედველობა, გარემოზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილებას წარმოადგენდა. დეპარტამენტიდან მიღებული მასალების¹⁴⁷ შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ უფლებამოსილების ფარგლებში სულ ერთი კომპანია (შპს „ალფა მარი“¹⁴⁸) შემოწმდა. ინსპექტირების დროს აღმოჩნდა, რომ კომპანიას, სალიცენზიო კონტურს გარეთ ჰქონდა მოპოვებული და გატანილი 72,87 მ³ კირქვა. მიუხედავად დარღვევისა, კომპანიის მიერ გარემოზე მიყენებული ზიანი არ შეფასებულა და არც ჯარიმა დაუკისრებიათ ლიცენზიანტისთვის.

2018 წლიდან დღემდე გარემოზე ზედამხედველობის დეპარტამენტმა მხოლოდ ორი კომპანია შეამოწმა (ი/მ ტარიელ პაპავას,¹⁴⁹ შპს „მარტ სტოუნის“¹⁵⁰ სალიცენზიო ტერიტორიებზე). ორივე შემთხვევაში დარღვეული იყო ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ კომპანიებს ლიცენზიის ფარგლებს გარეთ,

¹⁴⁷ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2021 წლის 23 აგვისტოს წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

¹⁴⁸ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2017 წლის 11 იანვრის #031215 ოქმი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ.

¹⁴⁹ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2021 წლის 22 აპრილის #063675 ოქმი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ.

¹⁵⁰ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2021 წლის 26 აპრილის #049070 ოქმი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ.

უკანონოდ ჰქონდათ სასარგებლო წიაღისეული მოპოვებული. სახელმწიფოს ჯარიმა არცერთი ლიცენზიანტისათვის არ დაუკისრებია (იხ. ცხრილი 9.1).

ცხრილი 9.1. 2018 წლის შემდეგ გზდ-ს მიერ განხორციელებული შემოწმებები.

კომპანია	ინსპექტირების დრო	დარღვევა	გარემოზე მიყენებული ზიანი	ჯარიმის ოდენობა
ი/მ ტარიელ პაპავა	2021 წლის 22 აპრილი	ლიცენზიის ფართობს გარეთ უკანონოდ მოიპოვა 106,5 კუბ.მ ქვიშა-ხრეში	413	0
შპს „მარტ სტოუნი“	2021 წლის 26 აპრილი	ლიცენზიის ფართობს გარეთ უკანონოდ მოიპოვა 124,8 კუბ.მ ქვიშა-ხრეში	449.6	0

2018 წლიდან ლიცენზიის პირობების შესრულების კონტროლის მიზნით ობიექტების საქმიანობის ინსპექტირებაზე (შესწავლა, შემოწმება, დათვალიერება)¹⁵¹ წიაღის ეროვნული სააგენტო არის პასუხისმგებელი. სააგენტოდან მიღებული დოკუმენტებიდან ირკვევა,¹⁵² რომ სააგენტომ ადგილზე გაუსვლელად დოკუმენტები მხოლოდ ათი ლიცენზიის შემთხვევაში შეამოწმა.

ყურადსაღებია, რომ ერთიდაიგივე დარღვევაზე, სახელმწიფოს რეაგირება სხვადასხვაგვარი იყო. ასე მაგალითად:

1. შემოწმების შედეგად სააგენტომ დაადგინა, რომ სამი ლიცენზიის შემთხვევაში, კომპანიებს საერთოდ არ ჰქონდათ წარდგენილი ათვისების გეგმა - გრაფიკი. სასამართლომ, ორ კომპანიას (შპს „მარტ სტოუნი“ - ლიცენზიის #10000544; ფ/პ „შოთა გეგელია“ - ლიცენზიის #10000417) 500-ლარიანი ჯარიმა დააკისრა, ერთის (ი/მ „იური წულაია“ - ლიცენზიის #10000826) მიმართ კი, მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნით შემოიფარგლა.
2. წიაღისეულის ათვისების გეგმა მომზადებული და დამტკიცებული უნდა იყოს ლიცენზიის გაცემიდან ერთი თვის ვადაში. დოკუმენტების შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ორი ლიცენზიის შემთხვევაში, ათვისების გეგმა დაგვიანებით იყო წარდგენილი. აღნიშნული დარღვევის ფაქტზეც სასამართლოს რეაგირება სხვადასხვაგვარი აღმოჩნდა. ერთ კომპანიას (შპს „მარტ სტოუნი“ - ლიცენზიის #10000766) კანონით დადგენილი 500-ლარიანი ჯარიმა დაეკისრა, მეორეს (ფ/პ „მურთაზ ბერიშვილი“ - ლიცენზიის #10001012) კი მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილება მიეცა.

¹⁵¹ „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 31.

¹⁵² წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 15 აპრილის #22/121 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

3. ასევე, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის მიხედვით კომპანია ვალდებულია ლიცენზიის გამცემ ორგანოს წარუდგინოს სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიში. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ხუთი ლიცენზიის შემთხვევაში არ იყო წარდგენილი ანგარიში. ამ შემთხვევაშიც, ერთიდაიგივე დარღვევაზე, სასამართლოს რეაგირება განსხვავებული იყო. ოთხი კომპანიის (შპს „მშენებელი 2018“ – 10000187; ი/მ „ტარიელ პაპავა“ - ლიცენზიის #01137; შპს „ქიდნესი“ - ლიცენზიის #1004474; ლიცენზიის #1002584) მიმართ სასამართლო მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილებით შემოიფარგლა, ერთს (ფ/პ „როინ ნაჭყებია“ - ლიცენზიის #1004410) კი, 500-ლარიანი ჯარმა დააკისრა.

სააგენტომ სავლელ დათვალიერების ფარგლებში, მხოლოდ ერთი ლიცენზია (შპს „წახურუ“ - ლიცენზიის #004396) შეამოწმა. რის შედეგადაც გაირკვა, რომ კომპანიას არ ჰქონდა გადახდილი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი. ლიცენზიანტი 2000 ლარით დაჯარიმდა.

ორ ლიცენზიაზე სსიპ - წიაღის ეროვნულ სააგენტოში ამჟამად მიმდინარეობს ლიცენზიის შემოწმება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი ახორციელებს მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შემოწმებას. ზედამხედველი ორგანო კანონის¹⁵³ შესაბამისად გასცემს მითითებას აღმოჩენილი დარღვევის ზედამხედველი ორგანოს მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში გამოსწორების შესახებ. დარღვევის გამოსწორებისათვის განისაზღვრება გონივრული ვადა და აღინიშნება შესაბამის ოქმში. მითითებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ზედამხედველი ორგანო ამოწმებს სამართალდამრღვევს, რის შესახებაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აღინიშნება პირობებთან მიმართებით შესრულდა თუ არა მითითებები. დარღვევის გამოსასწორებლად გაცემული მითითებით დადგენილ ვადაში დარღვევის გამოსწორებლობის შემთხვევაში, ზედამხედველი ორგანო სამართალდამრღვევს უწესებს ჯარიმას და და გაცემული მითითების შესასრულებლად აძლევს დამატებით გონივრულ ვადას. ამასთანავე, ზედამხედველ ორგანოს უფლება აქვს, შეაჩეროს სამუშაო პროცესი.

დეპარტამენტიდან მიღებული მასალებიდან¹⁵⁴ ირკვევა, რომ განხილული 21 ლიცენზიიდან მხოლოდ ერთი ლიცენზიანტი (შპს „მარტ სტოუნი“) შემოწმდა. პირველად, 2019 წელს.¹⁵⁵ შემოწმების დროს დადგინდა, რომ კომპანია არღვევდა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის არაერთ მუხლს. მაგალითად: კომპანიას არ ჰყავდა გამოყოფილი, აკრედიტებულ

¹⁵³ საქართველოს ორგანული კანონი “შრომის უსაფრთხოების შესახებ”, თავი IIV, მუხლი 18.

¹⁵⁴ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 21 ივნისის #09/1504 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

¹⁵⁵ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 13 მაისის აღმინისტრაციული დამართალდარღვევათა #000338 ოქმი.

პროგრამა გავლილი სპეციალისტი; დასაქმებულებს არ უტარდებოდათ შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი; კომპანიას არ გააჩნდა საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა; არ იყო მოწყობილი დასაქმებულთათვის გადაადგილებისათვის მოსახერხებელი გზები და ღიობები საიდანაც შესაძლებელი იყო ადამიანების ვარდნა არ იყო დაფარული; მოსაწესრიგებელი იყო ელექტრო უსაფრთხოება; კომპანიას არ გააჩნდა პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შესაძლებლობა; საწარმოში არ ხორციელდებოდა ხმაურის დონის განსაზღვრა; დასაქმებულები არ იყვნენ უზრუნველყოფილნი მუშაობის პერიოდში უბედური შემთხვევების დაზღვევით და ა.შ ლიცენზიანტს გაფრთხილება მიეცა და დეპარტამენტის მიერ მიცემული 23 მითითების შესასრულებლად 60 დღე განესაზღვრა.¹⁵⁶ მითითებების შესრულების გადამოწმების მიზნით, კომპანია იმავე წელს შემოწმდა¹⁵⁷ და გაირკვა, რომ 23 მითითებიდან, მხოლოდ 16 მათგანი ჰქონდა გამოსწორებული. უცნობია დარჩენილი მითითებების შეუსრულებლობის გამო დაეკისრა თუ არა კომპანიას რაიმე სახის სახდელი.

მეორედ, ლიცენზიანტი 2020 წელს შემოწმდა¹⁵⁸ და დადგინდა, რომ კომპანია კვლავ არღვევდა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის სხვადასხვა მუხლს. დეპარტამენტმა შეადგინა ოქმი და კომპანიას 7000 ლარის ჯარიმა დააკისრა. ასევე, კომპანიას მიეცა შვიდი მითითება¹⁵⁹ და მათ გამოსასწორებლად 30 დღე განესაზღვრა. ოთხი თვის შემდეგ, მითითებების შესრულების გადამოწმების მიზნით, კომპანია კვლავ შემოწმდა¹⁶⁰ და გაირკვა, რომ ყველა მითითება გამოსწორებული ჰქონდა.

კვლევით დადგინდა, რომ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს არცერთი სალიცენზიო ტერიტორია არ შეუმოწმებია.¹⁶¹

¹⁵⁶ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 1 მაისის #000338 მითითება.

¹⁵⁷ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 8 სექტემბრის შემოწმების #000338 აქტი.

¹⁵⁸ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 22 სექტემბრის აღმინისტრაციული დამართალდარღვევათა #001102 ოქმი.

¹⁵⁹ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 8 სექტემბრის #001102 მითითება.

¹⁶⁰ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 25 იანვრის შემოწმების #001102 აქტი.

¹⁶¹ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2021 წლის 16 აგვისტოს #03/1111 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

გამოყენებული მასალა

თავი 2. ქვიშა-ხრემის მოპოვება მდინარე იორზე

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2021 წლის 23 აგვისტოს წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის: 2021 წლის 28 იანვრის #058887 ოქმი; 2017 წლის 13 თებერვლის #033507 ოქმი; 2019 წლის 19 მარტის #046063 ოქმი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ.

გარდაბნის მაგისტრი სასამართლოს 2021 წლის 26 თებერვლის დადგენილება, საქმე #4-377-20.

თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 3 ივლისის დადგენილება, საქმე #4/3561-20.

თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 12 სექტემბრის დადგენილება, საქმე #4/6746-19.

თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 18 ივლისის დადგენილება, საქმე #4/7429-19; 330510019003071397;

თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება, საქმე #5805-20.

თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 5 ოქტომბრის დადგენილება, საქმე #4/5804-20.

რუსთავის სამოქალაქო სასამართლოს 2020 წლის 27 ნოემბრის დადგენილება, #4-378-20 საქმე.

საქართველოს მთავრობის №136 დადგენილება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე, მუხლი 7.

¹საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, 2020. [გარდაბნის მუნიციპალიტეტის 5 სოფლის წყალმომარაგებისათვის მეორე ეტაპის სამუშაოები მიმდინარეობს.](#)

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის დადგენილება №271, ტექნიკური რეგლამენტების – წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიშის) წესის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების პროექტის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების ტექნოლოგიური სქემისა და წიაღისეულის შესწავლის სამუშაოთა გეგმების შედგენის წესისა და სტატისტიკური დაკვირვების ფორმების (№1-01, №1-02, №1-03 და №1-04) დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 21 ივნისის #09/1504 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება #1-1/2; წიაღის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე, მუხლი 6.

საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი. <https://atlas.mepa.gov.ge/>

წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 15 აპრილის #22/124 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 15 აპრილის #22/124 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

წიაღის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 21 ოქტომბრის შემოწმების შესახებ ინსპექტირების აქტი #000071.

წიაღის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 27 ოქტომბრის #002800 ოქმი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ.

წიაღის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 27 ოქტომბრის #002787 ოქმი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ.

წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 9 მარტის #000309 ადმინისტრაციული მიწერილობა.

წიაღის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 26 ოქტომბრის #002804 ოქმი.

„წიაღის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 17 მაისის კანონი.

NOVATORS.GE, დაუთარილებელი. [სოფელ ხაშმისა და კანარეთის სამების შესახებ.](#)

REC Caucasus, ნოემბერი 2020. [ალაზანი-იორის მდინარეთა სააუზო მართვის გეგმის შემუშავება საქართველოში.](#)

თავი 3. ქვიშა-ხრემის მოპოვება თბილისში, დიდმის ქალებში

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წერილი მოქალაქე ანა ტრაპაიძეს. (2020 წლის 19 აგვისტო).

საქართველოს პარლამენტი. (1996 წლის 10 იანვარი). საქართველოს კანონი "გარემოს დაცვის შესახებ". მოპოვებული 2021 წლის 29 ნოემბერი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=30>-დან

საქართველოს პარლამენტი. (1996 წლის 17 მაისი). საქართველოს კანონი "წიაღის შესახებ". მოპოვებული 2021 წლის 29 ნოემბერი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33040?publication=18>-დან

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური სამსახურის მუნიციპალური ინსპექცია-ინსპექტირებისა და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ტერიტორიის დაცვის სამმართველოს უფროსის ზურაბ მამსიკაშვილის #17-0120261846 წერილი. (თ. გ.).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური სამსახურის მუნიციპალური ინსპექცია-ინსპექტირებისა და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ტერიტორიის დაცვის სამმართველოს უფროსის ზურაბ მამსიკაშვილის #17-0120261846 წერილი. (თ. გ.).

მპს "გ.რ მოტორსის" ქვიშა-ხრემის გადამამუშავებელი საწარმოს სკრინინგის ანგარიშის დანართი N1 - დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები. (თ. გ.).

მპს „გ.რ. მოტორსის“ ინერტული მასალების გადამამუშავებელი საწარმოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში. (2020).

მპს „ლიდერ-ბეტონის“ სამშენებლო მასალების წარმოება-ბეტონის წარმოების ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში. (2020 წლის 13 აგვისტო).

წიადის ეროვნული სააგენტოს #22/83 წერილი ააიპ „მწვანე ალტერნატივას“ აღმასრულებელ დირექტორს. (2021 წლის 19 მარტი).

ხვედელიძე, მ., & ტრაპაიძე, ა. (2021). *კვლევის ანგარიში: დიდმის ჭალები ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე - არსებული მდგომარეობა და პრობლემიდან გამოსავალი*. ღია საზოგადოების ფონდი. მოპოვებული https://osgf.ge/wp-content/uploads/2021/03/digmis-chaleti_forweb.pdf-დან

თავი 4. ქვიშა-ხრემის მოპოვება მდინარე რიონზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტში

The World Sturgeon Conservation Society, & WWF. (2018, November 30). PAN-EUROPEAN ACTION PLAN for STURGEONS. Retrieved from <https://rm.coe.int/pan-european-action-plan-for-sturgeons/16808e84f3>

WWF. (2016). *SAVING STURGEONS - A global report on their status and suggested conservation strategy*. Retrieved November 18, 2021, from https://wwfint.awsassets.panda.org/downloads/Saving_sturgeons_A_global_report_on_their_status_and_suggested_conservation_strategy.pdf

WWF. (2019, May 22). Big boost for endangered European sturgeons. Retrieved November 16, 2021, from https://wwf.panda.org/discover/our_focus/freshwater_practice/?347494/Sturgeons-Get-Much-Needed-Boost

WWF. (n.d.). Saving Europe's Sturgeons. Retrieved from https://ec.europa.eu/environment/nature/conservation/species/action_plans/pdf/FOR%20WEBSITE_Summary%20leaflet.pdf

WWF კავკასიის პროგრამის ოფისი. (2021 წლის 27 აპრილი). დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრა - ზუთხისებრთა კონსერვაციის გაძლიერება საქართველოში.

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისი, & საქართველოს მთავრობა. (2018 წლის 3 სექტემბერი). საქართველოს კანონის პროექტი "რიონის აღკვეთილის შექმნისა და მართვის შესახებ". მოპოვებული 2021 წლის 17 ნოემბერი, <https://bit.ly/3noGLSN>-დან

გუჩმაიძე, ა. (2012). საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ზუთხისებრნი, გენეზისი, ტაქსონომიური შემადგენლობა, ბიოეკოლოგია, ოტოლითების აგებულება და კონსერვაცია. ბათუმი.

ველური ბუნება. (2020 წლის 27 ივლისი). კოლხური ზუთხი. მოპოვებული 2021 წლის 16 ნოემბერი, <https://wildlife.ge/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%96%E1%83%A3%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%98/>-დან

საქართველოს მთავრობა. (2013 წლის 31 დეკემბერი). საქართველოს მთავრობის დადგენილება №424 „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. მოპოვებული 2021 წლის 2019 ნოემბერი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2187255?publication=0>-დან

საქართველოს მთავრობა. (2014 წლის 8 მაისი). საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 მაისის დადგენილება №343 "2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ". მოპოვებული 2021 წლის 17 ნოემბერი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2342057?publication=0>-დან

საქართველოს მთავრობა. (2014). საქართველოს მთავრობის დადგენილება №136 სასარგებლო წიადისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების

დამტკიცების თაობაზე. მოპოვებული 2021 წლის 18 ნოემბერი,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/10258?publication=0>-დან

საქართველოს პარლამენტი. (2017). საქართველოს კანონი "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი".
მოპოვებული 2021 წლის 18 ნოემბერი,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981?publication=7>-დან

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. (1984 წლის 15 დეკემბერი). საქართველოს კანონი
"საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი". მოპოვებული 2021 წლის 19
ნოემბერი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=484>-დან

თავი 5. ქვიშა-ხრემის მოპოვება მდინარე სუფსაზე

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2021 წლის 23 აგვისტოს წერილი მწვანე
ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2016 წლის 27 ოქტომბრის #030176, 2016 წლის 24
ნოემბრის #030185, 2017 წლის 14 ივლისის #037921, 2019 წლის 22 ნოემბრის #049926, 2017 წლის
16 მაისის #034394, 2018 წლის 6 აგვისტოს #043142 და 2017 წლის 16 იანვრის #032718 ოქმები
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ.

გურია ნიუსი, 2021. [ორი ავტოავარია ბაილეთში: "სიკვდილის ტრასაა ნუ ვაქცევთ ამ მონაკვეთს"](#).

ინტერვიუ სათემო ორგანიზაცია „ეკოს“ წარმომადგენელთან, ირმა გორდელაძესთან.

მწვანე ალტერნატივას 2021 წლის 24 თებერვლის #21/03-820 წერილი წიაღის ეროვნული სააგენტოს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს.

მწვანე ალტერნატივას 2021 წლის 28 ივნისის #N^o 21/03-847 წერილი წიაღის ეროვნული სააგენტოს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს 2021 წლის 21 ივნისის #09/1504 წერილი მწვანე ალტერნატივას
აღმასრულებელ დირექტორს.

საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი. <https://atlas.mepa.gov.ge/>

საქართველოს მთავრობის დადგენილება №136 სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის
გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე, მუხლი 7.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №136, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის
გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე, მუხლი 7.

საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, თავი V, მუხლი 21.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის დადგენილება №271, ტექნიკური რეგლამენტების –
წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ
ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიშის) წესის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების
პროექტის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების ტექნოლოგიური სქემისა და
წიაღისეულის შესწავლის სამუშაოთა გეგმების შედგენის წესისა და სტატისტიკური დაკვირვების
ფორმების (№1-01, №1-02, №1-03 და №1-04) დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ, თავი IX, მუხლი 40; თავი XI, მუხლი 611.

შემოსავლების სამსახურის აქტი #1 ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ.

შპს „სამ ძმასა“ და „ნატა 2000“-ს შორის დადებული იჯარის ხელშეკრულება, 2021 წლის 10 მაისი.

წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 16 აპრილის #22/125 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 12 ივლისის #22/263 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 16 აპრილის #22/125 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

„წიაღის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 17 მაისის კანონი

წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 16 აპრილის #22/125 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

თავი 6. კვარციანი ქვიშის მოპოვება საჩხერის მუნიციპალიტეტში

გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება "აი, ფაქტი". (2021 წლის 21 იანვარი). ქვიშით აშენებულები. მოპოვებული 2021 წლის 4 ნოემბერი, <https://ifactimereti.ge/qvisha/>-დან

გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება "აი, ფაქტი". (2021 წლის 20 მაისი). ქვიშით აშენებულები - ნაწილი II. მოპოვებული 2021 წლის 4 ნოემბერი, <https://ifactimereti.ge/qvisha2/>-დან

მწვანე ალტერნატივა. (2021 წლის 26 ოქტომბერი). სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების რეესტრი 2021 წლის 25 ოქტომბრის მდგომარეობით. მოპოვებული 2021 წლის 3 ნოემბერი, <https://greenalt.org/library/sasargeblo-wiaghiseulis-mopovebis-licenziebis-reestri-2021-wlis-25-oqtombris-mdgomareobit/>-დან

მწვანე ალტერნატივას #04/02-555 წერილი საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს. (2017 წლის 22 თებერვალი).

საქართველოს მთავრობა. (2013 წლის 31 დეკემბერი). საქართველოს მთავრობის N421 დადგენილება. მოპოვებული <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2187951?publication=0>-დან

საქართველოს მთავრობა. (2018 წლის 27 ივლისი). საქართველოს მთავრობის დადგენილება №381 მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი საშუაობების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე. მოპოვებული <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4277583?publication=0>-დან

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს #09/1504 წერილი "მწვანე ალტერნატივას" აღმასრულებელ დირექტორს. (2021 წლის 21 ივნისი).

საქართველოს პარლამენტი. (2005 წლის 24 ივნისი). საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ. მოპოვებული 2021 წლის ნოემბერი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=91>-დან

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება. (1984 წლის 15 დეკემბერი). საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. მოპოვებული 2021 წლის ნოემბერი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=482>-დან

საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის #53/5228 წერილი გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს უფროსს . (2015 წლის 11 ნოემბერი).

ტექნიკური და სამშენებლო უსაფრთხოების სააგენტოს #03/1111 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს. (2021 წლის 16 აგვისტო).

შრომის ინსპექციის სამსახურის #09/1504 წერილი "მწვანე ალტერნატივას" აღმასრულებელ დირექტორს. (2021 წლის 21 ივნისი).

წიაღის ეროვნული სააგენტოს #22/126 წერილი "მწვანე ალტერნატივას" აღმასრულებელ დირექტორს. (2021 წლის 21 აპრილი).

წიაღის ეროვნული სააგენტოს N22/302 წერილი „მწვანე ალტერნატივას“ აღმასრულებელ დირექტორს. (2021 წლის 17 აგვისტო).

თავი 7. კირქვის მოპოვება დედოფლისწყაროში

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2019 წლის 22 სექტემბრის #040106 ოქმი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2021 წლის 23 აგვისტოს წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, 2021. [დედოფლისწყაროს შესახებ: ისტორია.](#)

დაცული ტერიტორიების სააგენტო, დაუთარიღებელი. [არწივის ხეობის ბუნების ძეგლი.](#)

კომერსანტი, 2017. ["ქოჩების ტბის" დამრობამ მრავალმილიონიანი პროექტი ჩააგდო.](#)

„მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ინსპექტირების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“, მუხლი 3.

საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი. <https://atlas.mepa.gov.ge/>

საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, თავი V, მუხლი 21.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის დადგენილება №271, ტექნიკური რეგლამენტების – წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიშის) წესის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების პროექტის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების ტექნოლოგიური სქემისა და წიაღისეულის შესწავლის სამუშაოთა გეგმების შედგენის წესისა და სტატისტიკური დაკვირვების ფორმების (№1-01, №1-02, №1-03 და №1-04) დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 21 ივნისის #09/1504 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2021 წლის 16 აგვისტოს #03/1111 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ტექნიკური ინსპექტირების: 2015 წლის 6 თებერვლის #07/03 ოქმი; 2015 წლის 13 მარტის #07/08 ოქმი; 2015 წლის 6 მაისის #07/16 ოქმი; 2015 წლის 8 მაისის #07/17 ოქმი; 2015 წლის 22 მაისის #07/23 ოქმი; 2015 წლის 14 ივლისის #07/31 ოქმი; 2015 წლის 23 ოქტომბრის #07/47 ოქმი; 2016 წლის 6 მაისის #07/23 ოქმი; 2016 წლის 8

ივლისის #07/40 ოქმი; 2017 წლის 5 აგვისტოს #07/44 ოქმი; 2017 წლის 5 აგვისტოს 07/43 ოქმი; 2017 წლის 27 ოქტომბრის #07/61 ოქმი; 2017 წლის 28 ოქტომბრის #07/60 ოქმი; 2018 წლის 3 თებერვალი #07/03 ოქმი; 2018 წლის 29 სექტემბრის #07/44 ოქმი; 2019 წლის 18 იანვრის #07/02 ოქმი; 2019 წლის 29 სექტემბრის #07/43 ოქმი; 2019 წლის 4 ოქტომბრის #07/52 ოქმი; 2019 წლის 4 ოქტომბრის #07/51 ოქმი; 2020 წლის 21 თებერვლის #06/25 ოქმი; 2020 წლის 4 ივნისის #06/35 ოქმი; 2020 წლის 11 აგვისტოს #06/164 ოქმი; 2021 წლის 21 აპრილის #06/74 ოქმი.

წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 15 აპრილის #22/121 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 15 აპრილის #22/121 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

“წიაღის შესახებ” საქართველოს 1996 წლის 17 მაისის კანონი კანონი.

თავი 8. კირქვის მოპოვება კასპის მუნიციპალიტეტში

Reporter.ge. (2015 წლის 21 აპრილი). კასპის ცემენტის ქარხანას გახშირებული დაავადებების გამო ადანაშაულებენ. მოპოვებული <https://reporter.ge/kaspis-tsementis-qarkhanas-gakhshirebuli-daavadebebis-gamo-adanashauleben/>-დან

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წერილი ააიპ მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს. (2021 წლის 23 აგვისტო).

თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილება #4/3452-20 საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ . (2020 წლის 20 ივნისი).

კასპის მუნიციპალიტეტის მერია. (2020 წლის 29 სექტემბერი). კასპის “კარიერის დასახლების” გზის მოწყობის სამუშაოები დასრულდა. მოპოვებული 2021 წლის 24 ნოემბერი, <https://kaspi.gov.ge/kaspis-municipaliteti1/siaxle/518-kaspis-karieris-dasaxlebis-gzis-motskobis-samushaoebi-dasrulda.html>-დან

ლიბერალი. (2016 წლის 30 ნოემბერი). როცა შენი მეზობელი კასპის ცემენტის საწარმოა... მოპოვებული 2021 წლის 22 ნოემბერი, <http://liberali.ge/articles/view/26218/rotsa-sheni-mezobeli-kaspis-tsementis-satsarmoa> -დან

საინფორმაციო ცენტრი "შიდა ქართლი". (2016 წლის 15 ნოემბერი). კირქვის საბადოებს შორის მოქცეული დასახლება. მოპოვებული 2021 წლის 24 ნოემბერი, <https://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/3927-kirqvissabadoebsshorismoqceulidasakhleba>-დან

საქართველოს მთავრობა. (2018 წლის 16 თებერვალი). სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ან წიაღით სარგებლობის ლიცენზიის პირობების შესრულების შემოწმებისას სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ. მოპოვებული 2021 წლის 25 ნოემბერი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4066593?publication=0>-დან

წიაღის ეროვნული სააგენტოს #22/123 წერილი ააიპ მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს. (2021 წლის 15 აპრილი).

წიაღის ეროვნული სააგენტოს ოქმი #002176 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ. (2020 წლის 29 მაისი).

ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია. (თ. გ.). *ჩვენს შესახებ*. მოპოვებული www.heidelbergcement.ge:
<https://www.heidelbergcement.ge/ka/about-us-დან>

თავი 9. კირქვის მოპოვება მარტვილის მუნიციპალიტეტში

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2021 წლის 23 აგვისტოს წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2017 წლის 11 იანვრის #031215, 2021 წლის 22 აპრილის #063675 და 2021 წლის 26 აპრილის #049070 ოქმები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ.

მთავარი არხი, 2021. [კლიმენტი კაკუტიამ ჩანჩქერი მოიპარა | ბიზნესმენმა წყალი გადააკეთა და საკუთარ საამქროში გადაიტანა.](#)

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2021. [მარტვილის მუნიციპალიტეტში, შპს „მარტ-სტოუნის“ სასარგებლო წიაღისეულის \(კირქვის\) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პროექტი.](#)

საქართველოს ეროვნული პარკები, დაუთარილებელი. [მარტვილის კანიონი.](#)

საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი. <https://atlas.mepa.gov.ge/>

საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის დადგენილება №271, ტექნიკური რეგლამენტების – წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიშის) წესის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების პროექტის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების ტექნოლოგიური სქემისა და წიაღისეულის შესწავლის სამუშაოთა გეგმების შედგენის წესისა და სტატისტიკური დაკვირვების ფორმების (№1-01, №1-02, №1-03 და №1-04) დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ, თავი II V, მუხლი 18. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 21 ივნისის #09/1504 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 13 მაისის ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა #000338 ოქმი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 1 მაისის #000338 მითითება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 8 სექტემბრის #000338 შემოწმების აქტი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 22 სექტემბრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმი #001102.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 8 სექტემბრის #001102 მითითება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 25 იანვრის #001102 შემოწმების აქტი.

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2021 წლის 16 აგვისტოს #03/1111 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 15 აპრილის #22/121 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 15 აპრილის #22/121 წერილი მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს.

„წიაღის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 17 მაისის კანონი.